ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი

სტუდენტების საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია



2023
26 მაისი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023

ISBN 978-9941-36-158-6 (pdf)

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნინო აბესაძე, სამყარო, გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის გასაყარზე 5

გიორგი აკობია, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობა 12

ლუკა არქანია, ფინანსური რისკების ტენდენციები საანალიზო საწარმოებში 23

ანასტასია ბაბუხადია, ინტერნეტის როლი ბიზნესში და ელექტრონული სერვისების განვითარება საქართველოში 31

ალინა ბაირამოვა, აზერბაიჯანელი მოსახლეობის დამოკიდებულება შვილიანობისადმი (გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარის მაგალითზე) 39

ანი ბარამიძე, მცირე ბიზნესის განვითარების გამოწვევები საქართველოში 44

მარიამ ბასიაშვილი, ოლიგოპოლია საქართველოს ფარმაცევტულ ბაზრებზე და სახელმწიფოს როლი მის რეგულირებაში 50

ანი ბაშარაძე, ახალგაზრდების დასაქმება და მისი გამოწვევები საქართველოში 56

ანასტასია ბახია, ხელოვნური ინტელექტის გავლენა ბიზნესზე 62

მირიან ბლუაშვილი, საქართველოს ექსპორტის გამოწვევები 67

მარიკა გაბელია, საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მართვის ეკონომიკური მექანიზმები 71

ლუკა გაგუა, მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში 78

ელენე გარდავა, პოსტპანდემიური პერიოდის გამოწვევები საქართველოში: ბიზნეს სექტორის განვითარების შესაძლებლობები და მისი სრულყოფის გზები 87

გულიკო გელაშვილი, ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში 93

სერგო გუგუჩია, კიბერუსაფრთხოების ადმინისტრირების თანამედროვე გამოწვევები 101

ლევან გურაშვილი, თვითღირებულების ანალიზის შედეგები საანალიზო საწარმოებში 111

სოფიკო დათუაშვილი, ღვინის ბაზრის საექსპორტო პოტენციალი საქართველოში 117

მარიამ დეკანოიძე, საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი პროირიტეტები 124

სოფიკო დევაძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობა ევროკავშირთან 130

ლიკა ვანიშვილი, სტუდენტთა კმაყოფილებასა და სწავლისუნარიანობაზე
მოქმედ ფაქტორთა კვლევა 136

მარიამ ვასაძე, ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის გავლენა შრომის ბაზარზე 147

თამარი ზურაბიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ზრდის თანამედროვე ტენდენციები 158

ნია თედორაძე, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ქართულ ბიზნესში 165

თემურ თუთარაშვილი, ცირკულარული ეკონომიკის თანამედროვე
გამოწვევები და საქართველო 172

ანა კაპანაძე, აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით სტუდენტების
დაინტერესება, პერსპექტივები და გამოწვევები 184

სალომე ლიპარტელიანი, სამედიცინო ბიზნესი საქართველოში 193

ანანო საყვარელიძე, ინკლუზიური ბიზნესი 201

ნინო სიდამონიძე, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის აქტუალური საკითხები, სტუდენტი 206

მარიამ ტალახაძე, საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე 212

ლინა ფარეულიძე, ტურიზმის დადებითი და უარყოფითი შედეგები საქართველოში 219

ზურაბ ქველიაშვილი, ხორვატია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციულ პროცესებში 228

ქეთი შავიშვილი, უმუშევრობა და სიღარიბის დონე საქართველოში 237

მარიამ შენგელია, ქართული პორტების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში 245

ლიკა წერეთელი, ინვესტიციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს
პოზიციონირებისათვის 254

ლიზი ჭელიძე, მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია და დასაქმების პოლიტიკა 265

ეთერ ჯიმშელეიშვილი, ინფლაციის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში 271

სამყარო, გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის გასაყარზე

ნინო აბესაძე

დღესდღეობით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ერთმანეთს დაუკავშირდა მატერიალურად თუ სულიერად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მსოფლიო გახდა გლობალური. გლობალიზაციის პროცესმა მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფერო: ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა, რელიგია, სამართალი, ოჯახი, ადამიანთა ყოველდღიური ფიქრებიც კი. გლობალიზაცია ძალზე ფართო და მრავალმხრივი ცნებაა, რომელიც საფუძვლიანად ცვლის თანამედროვე საზოგადოერივი ცხოვრების შინაარსს, რაც შეეხება თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს, იგი არნახულ მასშტაბებს აღწევს, შესაბამისად თანდათანობით კარგავს სივრცისა და დროის შეგრძნებას და როგორც ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს პლანეტარულ სახეს იღებს. ბუნებრივია ასეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი არაერთმნიშვნელოვნად აღიქმება საზოგადოების მიერ და იგი მუდმივი დებატებისა თუ წინააღმდეგობების საგანია. აღნიშნული პროცესის ფონზე მსოფლიოში შეინიშნება დეგლობალიზაციის ტენდენციების გამოვლენა, რაც გამოწვეულია ისეთი გლობალური მოვლენებით როგორებიცაა: COVID-19-ის პანდემია, მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, რუსეთ-უკრაინის ომი, ფართომასშტაბიანი ეკონომიკური სანქციები, რომლებიც ეჭქვეშ აყენებენ გლობალიზაციის პროცესის არსებობას. შესაბამისად, აღნიშნულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია გლობალიზაციაზე, როგორც შეუქცევად მოვლენაზე, რომელიც მიუხედავად დეგლობალიზაციასთან ჭიდილისა არ თმობს პირველობას მსოფლიო ასპარეზზე. გლობალიზაციის შესახებ არსებული უამრავი ნაშრომის ფონზე, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, აღნიშნულ თემაში გამოკვეთილია ის მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც გვეხმარება ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუხსნელი გლობალიზაციის პროცესის შესწავლასა და გაანალიზებაში.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, დეგლობალიზაცია, COVID-19-ის პანდემია, ეკონომიკური კრიზისი, რუსეთ-უკრაინის ომი, ეკონომიკური სანქციები*

თემის აქტუალურობა. ნებისმიერი ცნების, ტერმინის წარმოქმნა გარკვეულ გარემოებებთან და პირობებთან არის დაკავშირებული და ის მაშინ გამოიყენება, როდესაც ამის საჭიროება დგება. გლობალიზაცია სწორედ დღევანდელი ფენომენია და ამით არის განპირობებული მისი სწრაფი გავრცელება. არსებულ რეალობაში ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია, შესაბამისად მას დიდ ყურადღებას უთმობენ როგორც სამამულო, ასევე უცხოელი ბიზნეს-მკვლევრები, აგრეთვე აღნიშნული ფენომენის შესწავლასა და გაანალიზებას არაერთი ნაშრომი ეძღვნება, მათ შორის, აღსანიშნავია ნობელის პრემიის ლაურეატის ამერიკელი ეკონომისტის ჯოზეფ სტიგლიცის ნაშრომი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გლობალიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების კვლევაში, ასევე მნიშვნელოვანია გერმანელი სოციოლოგის ულრიხ ბეკის როლი გლობალიზაციის არსისა და მისი გამოწვევების კვლევაში. (ჩადუნელი, 2013), თუმცა გლობალიზაციის განსხვავებულ ჭრილში განხილვა, რაც შეიძლება ითქვას, რომ ცარიელი ნიშაა, აღნიშნული ნაშრომი სწორედ ამ სიცარიელის შევსების მოკრძალებული ცდაა. გლობალიზაცია თანამედროვე სიტუაციას ასახავს და მისი გამოყენება სხვა ისტორიული ეპოქების მიმართ გამართლებული ვერ იქნება. თუმცა ისტორიას თუ გადავხედავთ დავრწმუნდებით, რომ გლობალიზაციისკენ სწრაფვა კაციობრიობის ნიშან-თვისებაა, რაც თავდაპირველად გამოიხატებოდა თემების, ტომების, ქალაქების თუ სახელმწიფოების მზარდ ურთიერთობებში. დღეს ნებისმიერი ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემათა ერთი ნაწილი გლობალურია,

ხოლო დანარჩენი ნაწილი მას უკავშირდება მჭიდროდ. შესაბამისად ნებისმიერი ცხოვრებისეული საკითხის გადაჭრა თავისებურად უკავშირდება გლობალური პრობლემის გადაწყვეტას. მეორე მხრივ კი ეს უკანასკნელი თითოეული ქვეყნის ცხოვრებისეული ამოცანაა და არა რომელიმე განსაკუთრებული ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფისა, მსგავსი პრობლემების გადაწყვეტა ჩვენი პლანეტის თითოეული ქვეყნის ერთიან ძლისხმევას მოითხოვს, როგორც ლათინები იტყოდნენ „ის რაც ეხება ყველას, ყველას საზრუნავიცაა". (გაგოშიძე, 2006) დღესდღეობით, ჩვენ ვცხოვრობთ ახალი ისტორიული რეალობის ეპოქაში, სადაც მიმდინარე გლობალური პროცესები იმდენად ყოვლისმომცველია, რომ მისი ყურადღების მიღმა დატოვება შეუძლებელია, შესაბამისად თუ აღნიშნული პროცესის შესახებ არ გაგვაჩნია თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, მოვლენების ობიექტურ შეფასებას ვერ მოვახდენთ. ქიმიური თვალსაზრისით თუ განვიხილავთ გლობალიზაცია შეიძლება შევადაროთ ნაერთს, რომლის შემადგენელი ელემენტების განცალკევება მეტად რთული ან შეუძლებელია. გლობალიზაციასთან ერთად ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე დეგლობალიზაციაზე, რომელიც ბოლო პერიოდის თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ ხშირად გამოიყენება გლობალიზაციის კრიზისის ფონზე. გლობალიზაციისგან განსხვავებით მეცნიერები ამტკიცებენ,რომ დეგლობალიზაციისკენ მიმავალი პროცესები მოიცავს მიწოდების ჯაჭვის ჩაწყვეტას, წარმოების შემცირებას, ცხოვრების დონის გაუარესებას,შესაბამისად ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ არჩევანი გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის პოლიტიკას შორის მათ ეკონომიკაში. (ხოზრევანიძე, 2021).

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს: გლობალიზაციის, როგორც 21-ე საუკუნის შეუქცევადი ფენომენის შეფასება და ანალიზი სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე, გლობალიზაციის როგორც რთული და წინააღმდეგობრივი პროცესის დადებითი და უარყოფითი შედეგების გამოკვეთა, დეგლობალიზაციის ტენდენციის გამოვლენა გლობალური მოვლენების ფონზე.

ნაშრომის ამოცანები: აღნიშნული მიზნების მიღწევის გზაზე დასახული იქნა შემდეგი ამოცანები: გლობალიზაციის შემფასებელთა და მკვლევართა სამი კატეგორიის გამოყოფა და მათი ანალიზი, გლობალიზაციის ტემპებისა და მასშტაბების პროგნოზირება გლობალური მოვლენების ფონზე როგორებიცაა: COVID-19-ის პანდემია, მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, რუსეთ-უკრაინის ომი და დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები.

კვლევის ხერხები და მეთოდები: აღნიშნული ნაშრომის, „სამყარო, გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის გასაყარზე" თემატიკის კვლევის ასპექტში გამოყენებულია: ანალიზის, სინთეზის, შედარების, დედუქციისა და ინდუქციის მეთოდები.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: დღესდღეობით სამყაროში მიმდინარე გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის პრობლემატიკით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს წარმოდგენა შეექმნას და გაიაზროს გლობალიზაციის არსი, მისი მოქმედების ხასიათი და მასშტაბები, აგრეთვე თუ განსაკუთრებით აინტერესებს ამ შეუქცევადი მოვლენის დეგლობალიზაციასთან მიმართების საკითხი, აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში საშუალება მიეცემა გაეცნოს თანამედროვე ეტაპზე არსებულ გლობალურ მოცემულობებს. ყოველივე ამის მისაღწევად ნაშრომი გამყარებულია სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომებითა და მკვლევართა შეფასებებით.აღნიშნულ ნაშრომში წამოჭრილ პრობლემათა ავტორისეული კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გამოტანილია კონკრეტული დასკვნები: სამყაროში გლობალიზაციის, გლობალური მოვლენებისა და დეგლობალიზაციასთან მისი მიმართების საკითხთან დაკავშირებით, ასევე მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები, სამყაროში გლობალიზაციის როგორც უწყვეტი და შეუქცევადი მოვლენის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე.

1. გლობალიზაცია, როგორც 21-ე საუკუნის შეუქცევადი ფენომენი

საზოგადოდ ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოებრივი განვითარება დედამიწაზე დიდი, ერთიანი პროცესის ფარგლებში მიმდინარეობს, რაც გლობალიზაციის სახელითაა ცნობილი, შესაბამისად ნებისმიერი ადამიანი აღნიშნული პროცესის ნაწილია. სულ სხვა ვითარებაა ამ ტერმინის ფორმალური, მეცნიერულად დასაბუთებული განმარტების თვალსაზრისით-.არსებობს გლობალიზაციის იმდენი განმარტება, რომ საბოლოო ჯამში მასზე რაიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. (მელიქიძე, 2006) გლობალიზაცია მისი რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ცალსახად შევაფასოთ.გამოყოფენ გლობალიზაციის შემფასებელთა და მკვლევართა სამ კატეგორიას: **ჰიპერგლობალისტებს, სკეპტიკოსებსა და ტრანსფორმაციონისტებს**.

ჰიპერგლობალისტები ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია სრულიად ახალი ერაა კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს გლობალური ერა. მათი აზრით, ერი-სახელმწიფოების ეპოქა დამთავრდა. ეკონომიკურმა გლობალიზაციამ წარმოების, ვაჭრობისა და ფინანსების ტრანსნაციონალური ქსელის ჩამოყალიბების მეშვეობით ეკონომიკის დენაციონალიზაცია გამოიწვია. ეს არის საზღვრების გარეშე ეკონომიკა, რომელსაც ემორჩილება სახელმწიფო. შესაბამისად ეროვნული სახელმწიფოს როლი განუხრელად სუსტდება. იშლება ძველი იერარქია, ჩნდება და ძლიერდება ახალი ფასეულობები, რაც ერთიანი, გლობალური ცივილიზაციის ჩამოყალიბების წინაპირობას ქმნის.

სკეპტიკოსებს ანუ ანტიგლობალისტებს მიაჩნიათ, რომ გლობალიზაცია მითია. საერთაშორისო ეკონომიკაში გლობალიზაციის ნაცვლად საქმე გვაქვს რეგიონალიზაციასთან, რადგან მსოფლიო ეკონომიკა ვითარდება სამი მთავარი სავაჭრო საფინანსო ბლოკის მიმართულებით: ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, აზია-წყნარი ოკეანური სარტყელი. სკეპტიკოსებისთვის სრულიად მიუღებელია ერი-სახელმწიფოების ეპოქის დასრულება. მათი აზრით სახელმწიფო არის და იქნება მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი აქტორი.

ტრანსფორმაციონისტები არ იზიარებენ ჰიპერგლობალისტების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თანამედროვე პერიოდი გლობალური ერაა, მაგრამ გლობალიზაციას არც მითად აღიქვამენ. ისინი აღიარებენ, რომ სახელმწიფოს როლი შემცირდა, მაგრამ სახელმწიფოთა სისტემის კვდომაზე ლაპარაკიც ზედმეტია. უბრალოდ სახელმწიფოთა და რეგიონთაშორისმა ურთიერთობამ ტრანსფორმაცია განიცადა. (მთიულიშვილი, 2013)

გლობალიზაცია მსოფლიო საზოგადოების განვითარების ობიექტური პროცესია, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების რთული მრავალდონიანი სისტემა. როგორც ამ ფენომენის ნაწილი, მნიშვნელოვნად იზრდება მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საინფორმაციო და კულტურული ურთიერთკავშირები. პოლიტიკურ კონტექსტში გლობალიზაცია ანუ ეგრედ წოდებული „მონდიალიზმი“ ცდილობს შექმნას მმართველობის ზენაციონალური ინსტიტუტები, ერთიანი მსოფლიო მთავრობა.ეკონომიკური თვალსაზრისით, გლობალიზაცია განასახიერებს ურთიერთდაკავშირებული მონოლითური გლობალური ეკონომიკის, საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების ერთიანი ბაზრის ფორმირების პროცესს. ამრიგად, გლობალიზაცია გაგებულია, როგორც ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს გაერთიანების ისტორიული პროცესი, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილება, გაგებული, როგორც მსოფლიო ეკონომიკის სუბიექტების მჭიდრო შერწყმა ინტერნაციონალიზაციის, ტრანსნაციონალიზაციისა და ლიბერალიზაციის საფუძველზე. ურთიერთდაკავშირებული პოლიტიკური ურთიერთობების სისტემით. შესაბამისად, კაპიტალიზმს, როგორც სოციალურ სისტე-

მას და იდეოლოგიას, რომელიც მოითხოვს კაპიტალის გაზრდას და სუპერმოგების მიღებას, ცენტრალურ ადგილს იკავებს ამ სოციალურ პროცესში და მსოფლიო განვითარების ტენდენციაში. გლობალიზაციის პროცესის გაურკვევლობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, თანამედროვე სამეცნიერო სკოლები მის შესასწავლად იყენებენ სხვადასხვა მეთოდოლოგიურ მიდგომებს.

კულტუროლოგიური მიდგომის თვალსაზრისით, გლობალიზაციის პროცესი შესწავლილია ზოგად ცივილიზაციურ კონტექსტში. ამ მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ გლობალიზაცია არის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გლობალური ტრანსფორმაციის საბოლოო ეტაპი, ხოლო გლობალიზაციის პროცესი არის ზოგადის თანდათანობითი გარდაქმნა კონკრეტულად, კონკრეტულის ზოგადად. ეს მიდგომა არ ჩანს სამართლიანი, რადგან გლობალურ კონტექსტში ყველა მახასიათებელი არ შეიძლება გარდაიქმნას ზოგადად. არსებობს სხვადასხვა მსოფლიო ცივილიზაცია, რომელთაგან თითოეულს აქვს კულტურული თვითიდენტიფიკაციის საკუთარი მოდელები.

მეორე მიდგომა არის ეკონომიკური. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, გლობალიზაციის მიზანია მსოფლიო ერთიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებისა და ნორმების შესაბამისად, ანუ თავად ეროვნული სახელმწიფოს აღმოფხვრა. ეს მიდგომა მეტწილად უტოპიურია, რადგან არსებობს ეკონომიკურად განუვითარებელი ქვეყნების დიდი რაოდენობა, რომლებისთვისაც გლობალური ეკონომიკური სტანდარტები მიუწვდომელია. ასეთი გარდაქმნების შედეგად მსოფლიო ეკონომიკა სტაბილურად და თანაბრად ვერ განვითარდება, რითაც სახელმწიფოთა უთანასწორობა უფრო აშკარა გახდება.

გლობალიზაციის შემდეგი კონცეფცია შემოთავაზებულია ეკოლოგიური მიდგომის მომხრეების მიერ. ამ მიმართულების საფუძველია ეკოლოგიური განაწილება; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; გარემოსდაცვითი პოლიტიკა; გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების განხორციელება;მომავალში საზოგადოების გადარჩენის უზრუნველყოფა. გლობალიზაციის ამ ვექტორს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ეკონომიკურთან შედარებით, მეორეხარისხოვანია. მისი რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ გარემოსდაცვითი პარიტეტის კონცეფციის განხორციელების ფარგლებში.

მეოთხე მიდგომა რთულია. გლობალიზაცია არის რთული გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, გეოკულტურული ფენომენი, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე, რომელიც შედის გლობალურ პროცესში. გლობალიზაციის პროცესი არის ტრადიციული ტერიტორიული სოციალურ-კულტურული, სახელმწიფო-პოლიტიკური და ეკონომიკური ბარიერების შესუსტება, რომელიც, ერთის მხრივ, ახდენს ცალკეული სახელმწიფოების იზოლირებას და მეორე მხრივ, იცავს მას გარე უარყოფითი გავლენისგან. (KURNICKI, 2023

2. გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები

დღევანდელი გადმოსახედიდან ძალიან რთულია უახლოეს და შორეულ მომავალში გლობალიზაციის ტემპებისა და მასშტაბების პროგნოზირება. გლობალიზაცია ჯერაც ბოლომდე ამოუხსნელი ფენომენია. როგორც ვიცით, არსებობს უამრავი შეხედულება მის რაობაზე, წარმოშობასა და განვითარების ეტაპებზე.საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს გლობალიზაცია? სრულყოფილი, ამომწურავი პასუხი არ არსებობს, თუმცა ჩვენ უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ მივიღოთ პასუხი კითხვაზე თუ რა სარგებლობა მოაქვს გლობალიზაციას ჩვენთვის და რა ნეგატიური შედეგები შეიძლება მოგვიტანოს. შესაბამისად მის შესახებ რაიმე დასკვნის გამოტანამდე აუცილებელია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება (ხუციშვი-

ლი, 2014) უფრო კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ გლობალიზაციის დადებით შედეგებზე შეიძლება ითქვას, რომ: 1.გლობალიზაცია ზრდის თავისუფალ სავაჭრო შესაძლებლობებს ქვეყნებს შორის. ეს საშუალებას აძლევს განვითარებულ ქვეყნებს, ბიზნეს ორგანიზაციებს განახორციელონ ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებში. 2. რაც უფრო ღია ხდება ქვეყნებს შორის კომუნიკაცია, ინფორმაციის გაზიარება მარტივდება გლობალიზაციის პირობებში.ამან ასევე ხელი შეუწყო პროდუქციის ტრანსპორტირების სიჩქარის ზრდას. 3.გლობალიზაციის გზით გაერთიანებული ქვეყნები კულტურულ ბარიერებს ხსნიან და სამყაროს გლობალურ სოფლად აქცევენ. 4. გლობალიზაციის შედეგად განვითარებულ ქვეყნებს შორის ნაკლები ომის ალბათობაც არსებობს. (College, 2016) ამასთანავე გლობალიზაცია შეიძლება იყოს არაერთი უარყოფითი შედეგის მომტანი როგორებიცაა: 1. **გაზრდილი კონკურენცია** მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალ ვაჭრობას შეუძლია გაზარდოს ერის სიმდიდრე, ის ასევე ზრდის კონკურენციას. ადგილობრივმა ბიზნესებმა კონკურენცია უნდა გაუწიონ მრავალეროვნულ კორპორაციებს, რომლებიც აწარმოებენ იაფ საქონელს დაბალ ფასად, რაც მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. 2. **შრომისა და რესურსების ექსპლუატაცია** მდიდარი, ინდუსტრიული ქვეყნები ხანდახან აფორმებენ სავაჭრო ხელშეკრულებებს განვითარებად ქვეყნებთან, რათა გამოიყენონ სუსტი შრომითი და გარემოსდაცვითი კანონები. მაგალითად, ცნობილია, რომ შეერთებული შტატები იყენებს უცხოურ მუშახელს იაფი საქონლის წარმოებისთვის. 3. **სავაჭრო დისბალანსი**, რომელიც ასევე ცნობილია როგორც სავაჭრო დეფიციტი, ხდება მაშინ, როდესაც ქვეყანა უფრო მეტს ხარჯავს იმპორტზე, ვიდრე ექსპორტზე. ეს ქმნის კაპიტალის დეფიციტს, რომელიც ქვეყანამ უნდა აანაზღაუროს ან უცხოური კრედიტორებისგან ფულის სესხებით ან მის აქტივებში უცხოური ინვესტიციების დაშვებით. 4. **სამუშაო ადგილების დაკარგვა**, როდესაც ინდუსტრიული ქვეყნები შრომას აუთსორსს უწევენ, ეს იწვევს სამუშაო ადგილების დეფიციტს ქვეყნის შიგნით. (Dithurbide, 2022)

3. დეგლობალიზაცია გლობალიზაციის წინააღმდეგ

დეგლობალიზაცია არის მოძრაობა ნაკლებად დაკავშირებული სამყაროსკენ, რომელსაც ახასიათებს ძლიერი ეროვნული სახელმწიფოები, ადგილობრივი გადაწყვეტილებები და საზღვრების კონტროლი, ვიდრე გლობალური ინსტიტუტები, ხელშეკრულებები და თავისუფალი გადაადგილება.ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მსოფლიო შევიდა დეგლობალიზაციის პერიოდში და ასახელებს ბოლო პერიოდის მოვლენებს, როგორებიცაა: COVID-19-ის პანდემია, Brexit, ტრამპიზმი,რუსეთ-უკრაინის ომი,პრობლემები მიწოდების ჯაჭვთან, გლობალური ენერგეტიკული კრიზისი და გასული ათწლეულის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება. (Markus Kornprobst & Jon Wallace, 2022) დღესდღეობით მსოფლიო ეკონომიკა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რაც წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული გლობალური ეკონომიკური წესრიგის შეცვლის მიზეზია. ხაზგასასმელია ბოლო პერიოდში განვითარებული გლობალური მოვლენები კერძოდ, COVID-19-ის პანდემიამ, როგორც გლობალურმა ფენომენმა, გლობალიზაციის შესახებ არსებულ შეხედულებათა ხელახალი გააზრების აუცილებლობა წარმოშვა. COVID-19-ის პანდემია ბევრმა „გლობალიზაციის კრიზისად“ აღიქვა და დღის წესრიგში დააყენა დეგლობალიზაციის ტენდენციის ჩამოყალიბება. (პაპავა, 2022) გლობალურ ეკონომიკაში, ანუ ეკონომიკურად დაკავშირებულ ქვეყნებში, თავისუფლად მოძრაობს არა მარტო საქონელი, კაპიტალი, სამუშაო ძალა, ცოდნა თუ ტურისტი, არამედ ეპიდემიაც, ეს უკანასკნელი იძენს თვისებრივად ახალი, გლობალური დაავადების ანუ პანდემიის სახეს და დიდ ზიანს აყენებს მთლიანად გლობალურ ეკონომიკას. აქედან გამომდინარე კორონა პანდემია ცალსახად გლობალიზაციის დეფექტია, რადგანაც მოიცვა მსოფლიოს ყველა კონტინენტი

ქვეყნებითურთ (ანტარქტიდის გარდა) და ჩაითრია კრიზისში. მაშასადამე, ზემოაღნიშნულ დეფექ-ტებს, რომელიმე ცალკე აღებული ქვეყანა ვერ გაუმკლავდებოდა ამიტომაც, აღნიშნული პრობლე-მის გადასაჭრელად მოხდა სახელმწიფოთა გაერთიანება და მათი კოორდინირებული მოქმედება ეს კი, უდაოდ, გლობალიზაციის პოზიტიურ ეფექტზე მეტყველებს. (სამადაშვილი, 2020) რუსეთ-უკ-რაინის ომის აღნიშნულ კონტექსტში განხილვა გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ ამ მოვლენით გამოწვეულ როგორც ეფექტებზე, ასევე დეფექტებზეც. ეს უკანასკნელი გულისხმობს ადამიანთა მსხვერპლსა და ეკონომიკის გაჩერებას. რაც შეეხება ეფექტებს: აღსანიშნავია,რომ ამ პერიოდში ბე-ნეფიტები მიიღეს აზიის, კავკასიის სახელმწიფოებმა. გაიზარდა ტურისტების ნაკადი, ფულადი გზავნილები და საქართველოში ლარის გამყარებას, სწორედ ზემოაღნიშნულმა მოვლენამ შეუწყო ხელი. აგრეთვე აღსანიშნავია დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სან-ქციები, რომლის ფარგლებში გლობალიზაციის თავისებურების შესწავლა კიდევ უფრო მეტ სიმ-წვავეს იძენს. (პაპავა, 2022)

დასკვნები და რეკომენდაციები

აღნიშნულ ნაშრომში შესრულებული კვლევის შედეგები დასკვნის სახით შეიძლება ჩამოყალიბ-დეს შემდეგნაირად: ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან ირკვევა, რომ გლობალიზაცია ნამდვილად რთული, წინააღმდეგობრივი და შეუქცევადი მოვლენაა და მიუხედავად მისდამი მიძღვნილი უამ-რავი ნაშრომისა და კვლევისა გლობალიზაცია ჯერაც ბოლომდე ამოუხსნელი ფენომენია. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის არსის განსაზღვრის კონცეპტუალური მიდგომების შესწავლამ კი-დევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გლობალური პრობლემების გადასაჭრელად და არსებული გლობა-ლური წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია ხარისხობრივად ახალი კონცეპტუა-ლური მიდგომების ჩამოყალიბება თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში პროცე-სებისა და ფენომენების შესწავლისას. ვინაიდან ყველა მათგანის მხოლოდ კლასიკური თეორიული თვალსაზრისით ახსნა შეუძლებელია. ხაზგასასმელია აგრეთვე ის გლობალური მოვლენები როგო-რებიცაა: COVID- 19-ის პანდემია, მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, რუსეთ-უკრაინის ომი, ეკონომიკური სანქციები, რომლებიც მხოლოდ ეჭქვეშ აყენებენ გლობალიზაციის არსებობას-.თუმცა შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აღნიშნულმა პანდემიამ გამოავლინა გლობალიზაციის რო-გორც ეფექტები,ასევე დეფექტები. აქამდე ჩვენ განვიხილავდით გლობალიზაციის შედეგად შექ-მნილ სისტემას, რომელიც აშკარად მომგებიანია მდიდარი კორპორაციებისთვის. თუ იქნებოდა შე-საძლებლობა იმისა, რომ დროში გვემოგზაურა და გლობალიზაცია შეჩერებულიყო გლობალიზაცი-ის დაწყებამდე, როგორი იქნებოდა მსოფლიო დღეს? გლობალიზაციის გარეშე, ეს იქნებოდა დახუ-რული სისტემა. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვექნებოდა ინფორმაცია სხვა ქვეყნებში მი-დინარე მოვლენებსა და პროცესებზე. წარმოუდგენელია უკეთესი სამყარო გლობალიზაციის გარე-შე, რადგანაც ჩვენ არ ვიქნებოდით ისეთი მოწინავე ტექნოლოგიებითა და კომუნიკაციებით, რო-გორც დღეს ვართ. გლობალიზაცია-დეგლობალიზაციის გარშემო გამართულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ პოლიტიკური გლობალიზაციის დონე პრაქტიკულად ჩამორჩება ეკონომიკური გლობალიზა-ციის დონეს, რამაც შექმნა დეგლობალიზაციის დაწყების ილუზია; დისპროპორცია პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაციის დონეებს შორის სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გლობალიზაციის პროცესი შექცევადია. რა თქმა უნდა დეგლობალიზაცია სავსებით შესაძლებელია. ამისათვის კი ამა თუ იმ სახელმწიფომ სავსებით შეგნებულად მეტ-ნაკლებად იზოლაციონისტური პოლიტიკა უნდა გაატაროს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ეს უარყოფითად აისახება არა მარ-ტო ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ სოციალურ, პოლიტიკურ და გარემოსდაცვით სფეროებზეც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგოშიძე მ. (2006). გლობალიზაციის არსებითი ნიშნები, (p. 133). თბილისი.
2. მელიქიძე ვ. (2006). მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენ-ტრი.
3. მთიულიშვილი ნ. (2013, ნოემბერი 25). გლობალური პრობლემების გეოგრაფია. მაგნოლია
4. პაპავა ვ. (2022 დეკემბერი). დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული გლობალიზაციის პირო-ბებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები.
5. სამადაშვილი უ. (2020). ეკონომიკა. კორონა პანდემია, როგორც გლობალიზაციის დეფექტი და ეფექტი, p. 186.
6. ჩადუნელი ნ. (2013). ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში. (p. 224). თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. ხოზრევანიძე ა. (2021). გლობალიზაცია, დეგლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ტენდენციები (კომპანიის მაგალითზე), (p. 73). თბილისი.
8. ხუციშვილი ლ. (2014). გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური შედეგები. გლობალიზაცია.
9. College W. U. (2016). Positive and Negative Impacts of Globalization. Globalisation, Management.
10. Dithurbide, D. (2022, 25 july). MotionPoint. Advantages and Disadvantages of Globalization: Preparing for Expansion.
11. KURNICKI, L. R. (2023). The Impact of the Globalization Process on The Modern World – The Need to Find a New Path of Human Development. Eastern Europe Research in Business and Economics.
12. Markus Kornprobst & Jon Wallace. (2022, october 12). What is deglobalization? What is meant by deglobalization, what does it mean for efforts to address global challenges, and are there any benefits to having a less globalized world?

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობა

გიორგი აკობია

მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყნისთვის საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ვერცერთი ქვეყანა ვერ შეძლებს დამოუკიდებლად, ქვეყნის შიგნით არსებული რესურსებით, უზრუნველყოს მოსახლეობა. საქართველოც ამ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავაჭრო ურთიერთობები, რადგანაც საქართველოს ეკონომიკური ზრდის კომპონენტში წმინდა ექსპორტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ სტატიაში ვისაუბრებ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებზე მის სამ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან და კიდევ ერთხელ გავამახვილებ ყურადღებას იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის სავაჭრო ურთიერთობები.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებს უმეტესობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრია და მათ შორის სავაჭრო ურთიერთობები ძირითადად „უპირატესი ხელშეწყოის რეჟიმის“ საფუძველზე ხორციელდება.

დამოუკიდებელ სახელმწიფოათა თანამეგობრობის (დსთ) წევრ ქვეყნებთან(გამონაკლისია რუსეთის ფედერაცია), თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით. ასევე იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ორმხრივ ფორმატში რეგულირდება.

საქართველო ყოველწიურად ცდილობს გააფართოვოს თავისუფალი ვაჭრობის „საზღვრები“, რაც გულისხმობს იმას,რომ გაიზრდება, როგორც იმპორტირებული ასევე ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა.

საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 4 783.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.1 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 1 461.5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (გაიზარდა 24.7 პროცენტით), ხოლო იმპორტი 3 322.2 მლნ. აშშ დოლარს (გაიზარდა 21.0 პროცენტით). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2023 წლის იანვარმარტში, 1 860.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 38.9 პროცენტია.[1]

გრაფიკი #1: საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2020-2023 წლების იანვარ-მარტში



წყარო: https://www.geostat.ge/ka

2023 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67.9 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (673.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (666.9 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (376.0 მლნ. აშშ დოლარი). [1]

გრაფიკი #2: ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა **20**23 წლის იანვარ-მარტში



წყარო: https://www.geostat.ge/ka

2023 წლის იანვარ-მარტში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 411.8 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 28.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 205.7 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 14.1 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 81.8 მლნ. აშშ დოლარით (5.6 პროცენტი) [1]

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2023 წლის იანვარ-მარტში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 474.5 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 14.3 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 251.2 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.6 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები 225.0 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.8 პროცენტი). [1]

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები

2007 წელს, თურქეთ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმდა. თურქეთთან თავსუფალი ვაჭრობის ინიციატორი ქართული მხარე იყო. მთავრობა ელოდა, რომ რუსული ემბარგოს შემდგომ ქართული ღვინო 70 მილიონიან ბაზარზე, თურქეთში გადამისამართდებოდა. ხოლო ქვეყანაში კი თურქული ინვესტიციების „ბუმი“ დაიწყებოდა. შეხვედრები ასევე გაიმართა 2017 წელს, სადაც ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში მნიშვნელოვან შეთანხმებებს გაესვა ხაზი და გაფორმდა შეთანხმება 2017-2020 წლებისთვის კულტურულ სფეროში თანამშრომლობის თემაზე. როგორც თურქეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა „25 წლის განმავლობაში საქართველომ და თურქეთმა მიაღწიეს მეგობრულ, კეთილმეზობლურ და ძმურ ურთიერთობებს, რაც ნაკარნახევია გეოგრაფიით, სტრატეგიული თანამშრომლობის საჭიროებით და ჩვენ განვაგრძობთ საქართველოსთან ურთიერთობების გაღრმავებას. ორივე მხარე მივიღებთ სარგებელს თანამშრომლობის ყველა მექანიზმიდან და მაქსიმალურად მხარს დავუჭერთ ერთმანეთს ჩვენი ურთიერთობების გაფართოებაში.“

2018 წელს ქართულ და თურქულ მხარეებს შორის მოლაპარაკება გაიმართა, სადაც ორი ქვეყნის დელეგაციის შეხვედრა შედგა და შეთანხმდნენ თავისუფალი ვაჭრობის არსებული შეთანხმების გაფართოებაზე. შეთანხმების ფარგლებში კვოტები გაიზარდა თაფლზე (თურქეთში თაფლზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია), ცოცხალ ცხვარზე, თხასა და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე. აღნიშნული შეთანხმება საქართელოსთვის მომგებიანია, რადგანაც საქართველოს მიეცა საშუალება 20 პროცენტით გაზარდოს ექსპორტი თურქეთში.

რაც შეეხება <u>სტატისტიკას,</u> როგორც უკვე აღვნიშნე, თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. ამ წლის მონაცემებით, საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ფეროშენადნობები,ტრიკოტაჟის ნაწარმი, ქსოვილები და ა.შ. ამ პერიოდში ექსპორტმა შეადგინა $105 011.5 ათასი, რაც მეტია გასული წლის ამავე პერიოდის ექსპორტზე (ექსპორტირებული იყო $99 208.6 ათასი).

ცხრილი #1: საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2022* წლის იანვარი-მარტი		2023* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
ექსპორტი – სულ	**99 208.6**		**105 011.5**	
მათ შორის:				
ტრიკოტაჟის ნაწარმი	20 582.8	588.8	18 429.6	471.1
ფეროშენადნობები	21 498.4	10 680.3	17 078.7	15 093.1
კოსტუმები, კომპლექტები, ტრიკოტაჟისა, ნაქსოვი, მამაკაცისა ან ბიჭისა	11 104.5	412.7	8 198.5	278.1
ცხიმები, ქონები და მათი ფრაქციები, თევზის ან ზღვის ძუძუმწოვრების	2 538.0	1 162.0	6 058.2	1 583.4
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით	-	-	4 671.5	0.1
დანარჩენი საქონელი – სულ	43 484.9		50 574.9	

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: https://www.geostat.ge/ka

იმპორტის მხრივ, 2023 წლის იავარ-მარტში თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებულ უმ-სხვილეს სასაქონლო ჯგუფებს შორის აღსანიშნავია: ავტომობილები, შავი ლითონის მეტალოკონ-სტრუქციები, სამკურნალო საშუალებები, და ა.შ. იმ დროისთვის იმპორტმა შეადგინა $568 694,2 რაც კვლავ მეტია გასული წლის ამ პერიოდთან (2022 წელს, იმპორტირებული იყო $465 591,0 -ის პროდუქცია) შედარებით.

ცხრილი #2 თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2022* წლის იანვარი-მარტი		2023* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
იმპორტი – სულ	**465 591.0**		**568 694.2**	
მათ შორის:				
მსუბუქი ავტომობილები (ცალი)	16 443.2	505	26 931.4	765
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	13 374.5	197.4	24 998.0	406.0
შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციები და მათი ნაწილები	11 675.6	5 671.4	17 372.2	7 590.8
ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები; სარეცხი და საწმენდი საშუალებები	5 268.9	6 352.8	10 688.1	10 454.0
მზა ნაწარმი სხვა, ტანსაცმლის თარგების ჩათვლით	13 039.8	680.0	10 437.0	440.9
დანარჩენი საქონელი–სულ	405 789.0		478 267.4	

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: https://www.geostat.ge/ka

ამრიგად, თურქეთ-საქართველოს პარტნიორობა ორივე მხარისთვის მომგებიანია. ათეული წლებია საქართველო თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვან პარტნიორად იქცა. თურქეთს სურს საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობები კიდევ უფრო მეტად გააღრმავოს. ამისთვის მზად არის, გაზარდოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხადრაჭერა. ანკარა თბილისს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში გასასვლელ ხიდად განიხილავს.

საქართველო-რუსეთი სავაჭრო ურთიერთობები

რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები რამდენიმე ათწლეულს ითვლის. ამ დროის განმავლობაში იყო დროებითი „შეჩერებან (ემბარგო), თუმცა დღეს მაინც რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები წარმატებით მიმდინარეობს. შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო ისტორია.

2006 წელს რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დააწესა აკრძალვა საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტზე. ემბარგო მოიხსნა 2013 წელს. იგი ძირითადად ეხებოდა ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტს.

2011 წლის 9 ნოემბერს საქართველომ და რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ბრუნვის მონიტორინგის მექანიზმის შექმნის შესახებ. რომლის თანახმადაც, მათ უნდა შეექმნათ სავაჭრო დერეფნები საზღვრის აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და ზემო ლარსის მონაკვეთებზე, რომელთა დასაწყისში და ბოლოში მიმავალი ტვირთების მოძრაობას შვეიცარიული კომპანია გააკონტროლებდა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ საქართველომ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანზიაციაში (WTO) გაწევრიანებაზე თანხმობა განაცხადა.

როგორც ადრე, დღესაც რუსეთი ქვეყნის მთავარ სავაჭრო პარტნიორად რჩება, რასაც ციფრებიც ადასტურებს. მაგალითად, ომიდან 10 წლის თავზე, 2018 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით, ექსპორტის მიმართულებით რუსეთი 12.8%-ით პირველ ადგილზეა, იმპორტით კი 10.1%-ით მეორე ადგილზე.

რაც შეეხება პროდუქციის იმპორტსა და ექსპორტს, საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური და მტკნარი წყლები, ფეროშენადნობები, სპირტიანი სასმელები, მსუბუქი ავტომობილები და სხვა. რუსეთიდან კი საქართველოში იმპორტირდება ხორბალი, მზესუმზირის ზეთი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სატელეფონო აპარატები.

რაც შეეხება უახლოეს სტატისტიკას, 2023 წლის იანვარ-მარტში, საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია : ყურძნის ნატურალური ღვინოები, ფეროშენადნობები, მინერალური და მტკნარი წყლები, სპირტიანი სასმელები, და ა.შ. ამ პერიოდში $176 916,7 ათასი პროდუქცია გაიტანა საქართველომ ექსპორტზე რუსეთში.

ცხრილი #3: საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2022* წლის იანვარი-მარტი		2023* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
ექსპორტი – სულ	**109 836.2**		**176 916.7**	
მათ შორის:				
ფეროშენადნობები	32 855.8	17 744.0	45 353.0	36 224.9
ყურძნის ნატურალური ღვინოები	25 434.7	9 093.7	38 042.4	13 818.6
მსუბუქი ავტომობილები (ცალი)	2 198.6	272	21 608.6	1 544
მინერალური და მტკნარი წყლები	14 396.3	26 395.9	16 118.3	29 624.1
სპირტიანი სასმელები	4 918.9	1 215.3	12 616.3	2 976.1
დანარჩენი საქონელი – სულ	30 032.0		43 178.1	

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: https://www.geostat.ge/ka

რაც შეეხება იმპორტს, ამ პერიოდში რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქცი-აა:ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი და სხვა.ხოლო იმპორ-ტირებული საქონლის სრული ღირებულება კი $489 971,3 ათასს შეადგენს.

ცხრილი#4: რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2022* წლის იანვარი-მარტი		2023* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
იმპორტი – სულ	**273 957.9**		**489 971.3**	
მათ შორის:				
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	45 009.6	54 351.6	168 805.1	235 338.8
ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები	35 005.9	141 691.0	74 545.5	288 935.3
ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი	10 146.2	31 503.0	13 059.1	42 248.8
ხორბალი და მესლინი	8 938.3	27 247.8	12 483.6	39 577.9
ქვანახშირი და მისგან მიღებული მყარი საწვავის სახეობები	449.3	1 975.2	11 754.4	67 420.6
დანარჩენი საქონელი – სულ	174 408.6		209 323.7	

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: https://www.geostat.ge/ka

მოკლედ რომ ვთქვათ, მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირი მაინც გრძელდება, გაძლიერდა რუსული კაპიტალის აქტიურობა ქართულ ეკონომიკაში, ქართული სამუშაო ძალა კი რუსულ ეკონომიკაში გამოიყენება.

საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობები

საქართველოსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 9 ივნისს დამყარდა. ის იყო ერთერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და გახსნა საელჩო საქართველოში

ქართულ-ჩინური ეკონომიკური ურთიერთობები მზარდი დინამიკით ხასიათდება, ყოველწლიურად იზრდება ქართული პროდუქტის ექსპორტი ჩინეთში,რამაც განაპირობა 2017 წლის 13 მაისს პეკინში საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულების ფარგლებში ჩინეთში იმპორტისას ქართული პროდუქციის დაახლოებით 94% გათავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც,რომ საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, ვისთანაც ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურეობას გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, სადაც დაახლოებით 1,4 მილიარდი მომხმარებელია და ამით ქართველ მწარმოებლებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი პროდუქცია ჩინეთის ბაზარზე დამატებითი საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ.

რაც შეეხება საექსპორტო პროდუქციას, მათ შორისაა თაფლი, ღვინო, მინერალური წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ჩაი, ლუდი, თხილი, ბოსტნეული, ხილი, შოკოლადის ნაწარმი, მარცვლეული,თევზი, სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, ლოკომოტივები, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები და ა.შ.

2023 წლის იანვარ-მარტის სტატისტიკა: საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირდა 133 332,7 ათასი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. მათ შორის: ყურძნის ნატურალური ღვინოები, ძვირფასი ლითონის მადნები, მედიცინასა და ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ხელსაწყოები და სხვა.

<u>ცხრილი #5: საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები</u>

საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

»	2022* წლის იანვარი-მარტი		2023* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
ექსპორტი – სულ	**220 027.0**		**133 332.7**	
მათ შორის:				
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	178 275.1	65 492.7	103 513.1	56 639.9
ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები	22 011.0	7 378.3	14 859.9	4 908.0
ხელსანყოები და მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი	4 102.7	21.0	6 362.5	23.0
ყურძნის ნატურალური ღვინოები	2 969.4	832.5	2 607.5	725.7
მსუბუქი ავტომობილები (ცალი)	30.0	1	1 461.4	33
დანარჩენი საქონელი – სულ	12 638.9		4 528.3	

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: https://www.geostat.ge/ka

ამავე პერიოდში ჩინეთიდან საქართველოში იმპორტირდა $242 691,0 ათასი პროდუქცია-გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები, რეზინის ახალი პნევმატური სალტეები და საბურავები და ა.შ.

ცხრილი #6: ჩინეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

ჩინეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2022* წლის იანვარი-მარტი		2023* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
იმპორტი-სულ	**242 030.0**		**242 691.0**	
მათ შორის:				
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	5 981.5	54.6	25 209.0	258.9
მარტივი პოლიაცეტალები, პოლიეთერები და ეპოქსიდის ფისები	17 573.5	12 492.3	7 585.8	5 661.3
ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი	6 698.6	5 199.5	6 605.0	7 648.9
რეზინის ახალი პნევმატური სალტეები და საბურავები	8 186.5	2 566.2	5 528.7	2 052.0
აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის	5 834.5	211.4	5 227.4	275.8
დანარჩენი საქონელი-სულ	197 755.3		192 535.1	

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: https://www.geostat.ge/ka

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩინეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, ამავდროულად დაამყარა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები და გახსნა საელჩო თბილისში. ჩინეთთან ჩვენი პარტნიორობა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის,რადგანაც როგორც უკვე აღვნიშნე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ნიშნავს ქართული პროდუქციისა და მომსახურების წვდომას მსოფლიოს ყველაზე დიდ ბაზარზე. საქართველოსთვის ჩინეთთან დადებული შეთანხმება იქნება ორმხრივად მომგებიანი, როგორც ექსპორტის თვალსაზრისით ისე საინვესტიციო კუთხითაც, რადგანაც იგი უზრუნველყოფს უფრო მეტი ჩინური ინვესტიციის შემოდინებას საქართველოში და ამასთანავე მოიაზრებს საქართველოში ჩინური გამოცდილების გაზიარებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის ათვისებას, რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და მომგებიანია.

COVID-19-ის გავლენა საქართველოს ვაჭრობის ტენდენციებზე

COVID-19-მა როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ეკონომიკაზე დიდი გავლენა მოახდინა,შესაბამისად ქვეყნის სავაჭრო ტენდენციები წინა წლებთან შედარებით საკმაოდ განსხვავებული იყო. სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით 2019 წელთან შედარებით 2020 წლის საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო შემცირდა, ვინადაინ პანდეემის გამო საზღვრები ჩაკეტილი იყო და შესაბამისად ვერ ხერხდებოდა დიდი რაოდენობით პროდუქტების როგორც იმპორტი,ასევე ექსპორ-

ტი, თუმცა 2021 წელს შედარებით გაუმჯობესდა პანდეემის პირობები და საზღვრებიც გაიხსნა, ამიტომ ქვეყანაში საკმაოდ დიდი რაოდენობით იმპორტი შემოვიდა რამაც უარყოფითი საგარეო ვაჭრობის სალდო ,კიდევ უფრო გაზარდა.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE-ს) მიერ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა კვლევა და მომზადდა ანგარიში „COVID-19-ის გავლენა „საქართველოს ვაჭრობასა და სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე.“ კვლევაში დადებითადაა შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ პანდემიის შედეგების შესამსუბუქებლად განხორციელებული ღონისძიებები.Ї[6]

კვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოს უჭირავს წამყვანი ადგილი რეგიონში სავაჭრო რეფორმატორთა შორის, ხოლო შეფასებამ აჩვენა, რომ „მთავრობამ გადააჭარბა მოლოდინს მიწოდების ჯაჭვის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მხრივ. მან მინიმუმამდე დაიყვანა სავაჭრო შეზღუდვები; სწრაფად გააფართოვა და ხელმისაწვდომი გახადა საწარმოებისთვის ვაჭრობის გამარტივებისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტი და შეიმუშავა დახმარების ზომები მოსახლეობის დაუცველი ფენებისთვის, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებთათვის, და ასევე მძიმედ დაზარალებული სექტორების დასახმარებლად“.

ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის. მასში ხაზგასმულია ვაჭრობის წვლილის გაზრდის მნიშვნელობა COVID-19 პანდემიის შემდეგ ძლიერი და მდგრადი ეკონომიკის მშენებლობაში.

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული მთავრობის მიერ გატარებულ შემდეგ ზომებზე:

- ვაჭრობაში გამჭვირვალობის ეფექტიანი უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი მარეგულირებელი და პროცედურული ზომების გამოქვეყნებით.
- სავაჭრო დოკუმენტების ონლაინ გაცემა;
- შესაბამისმა უწყებებმა გაზარდეს ძალისხმევა ვაჭრობაში ჩართული სუბიექტებისთვის სხვადასხვა სახის საჭირო დოკუმენტების დაჩქარებულ რეჟიმში გასაცემად;
- სასაზღვრო კონტროლი ხორციელდებოდა ეფექტიანი რისკზე დაფუძნებული ინტეგრირებული საზღვრის მართვის სისტემით.
- სასაზღვრო კონტროლის პუნქტების განტვირთვის მიზნით განხორციელდა ტვირთების ფიზიკური ინსპექტირების რეალოკაცია.
- საბაჟო და გადასახადების გადახდა გაგრძელდა ონლაინ რეჟიმში, რასაც დაემატა გადასახადის დაბრუნების გამარტივებული პროცედურა.
- ტრანზიტული მოძრაობა კვლავ ეფუძნებოდა რეგიონული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებს და მეზობელ ქვეყნებთან მონაცემთა ელექტრონულ მიმოცვლას.[6]

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე

თანამედროვე მსოფლიოს ახალი გამოწვევა არის რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც ძალიან დიდ გავლენას ახდენს მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაზე და მათ შორის საქართველოზეც.

ბოლო ათწლეულია რუსეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია 2021 წელს 10.2%-იანი წილით, რუსეთი საქართველოს მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იყო, თურქეთის შემდეგ. გასულ წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ „საქსტატის“ მონაცემებით, $610 მილიონს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ რუსეთზე საქართველოს მთლიანი ექსპორტის 14.4% მოდის 2021 წლის მონაცემებით. საქართველოს ძირითად

საექსპორტო პროდუქციის, კერძოდ ღვინის 59%, მტკნარი და მინერალური წყლების 43%, სპირტიანი სასმელების 26% და ფეროშენადნობების 35% სწორედ რუსეთში იყიდება.

საქსტატის წინასწარი მონაცემებით:

- 2022 წლის იანვარში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 82.3 პროცენტი შეადგინა; აქედან რუსეთი - 12.9% (თითქმის 42.7 მლნ აშშ დოლარი);

2022 წლის იანვარში ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.2% შეადგინა; აქედან რუსეთი - 11% (85.9 მლნ აშშ დოლარი);

- o 2021 წლის იანვართან შედარებით, რუსეთთან ექსპორტი 88%-ით, ხოლო იმპორტი 54.3%-ით გაიზარდა. {1}

დასკვნა

ამრიგად, საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგანაც საქართველოს ეკონომიკური ზრდის კომპონენტში საგარეო ვაჭრობას, როგორც წმინდა ექსპორტს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რასაც ბოლო წლების ზრდის მოდელში მისი წვლილი მეტყველებს. ეს ყველაფერი ღია ეკონომიკისთვის დამახასიათებელი. ეკონომიკური ზრდა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. თუ სავაჭრო პარტნიორებში ადგილობრივი მოხმარება იზრდება და ეროვნული ვალუტა მყარდება, ეს საქართველოს ექსპორტის ზრდაზე დადებითად აისახება. საქართველოს სავაჭო პარტნიორები ძირითადად ცენტრალური აზრიისა და ევროპის ქვეყნებია (მათ შორის საერთო საზღვრის მქონე ქვეყნებიც), რომლებსაც საქართველოსთან საკმაოდ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა აქვთ.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ძალიან დიდ გავლენას ახდენს საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე, ვინაიდან რუსეთი ჩვენი ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია .ეს დაძაბული ვითარება 2022 წლის წინასწარ მონაცემებზე არის ასახული. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2022 იანვარ-ოქტომბრისJ წინასწარი მოანცემებით კვლავ ისევ უარყოფითი საგარეო ვაჭრობის სალდო გვაქვს და ექსპორტი კვლავ მეტია იმპორტზე.

შედეგად კი რეგიონში საკმაოდ რთული ეკონომიკური ვითარება შეიქმნება, სწორედ ამიტომ ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობა ძალზედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც მათ ეკონომიკურ სტაბულურობაში ისე მათსავე განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.geostat.ge
2. http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/
3. http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=462&info_id=61126
4. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12
5. https://www.mof.ge/export_importis_informacia
6. http://www.economy.ge/?page=news&nw=1580
   ფუტკარაძე რ. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი, „უნივერსალი“, 2010.
7. Putkaradze R. Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18). 2019.

8. European Commission. Panorama N60. Bulgaria and Romania celebrate 10 years in the EU. Luxembourg: Publications Office of the European Union. 2017.
4. Artimova P. WORLD IN 2050, Case Study – ROMANIA. UNIVERSITY OF WARSAW. 2016.
5. პაპავა ვ., სილაგაძე ა. (2018) ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – "Gross Domestic Product"-ის ქართული სახელწოდების შესახებ. „ეკონომიკა და ბიზნესი", ტ. 11, N1.
6. Heritage Foundation (2019). https://www.heritage.org/index/ranking. http://www.geostat.ge.
7. The Global Competitiveness Report 2018. http://www3.weforum.org/docs/GCR2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2018.pdf.
8. https://europa.eu/european-union/about-eu/countries_en.
9. http://hdr.undp.org/sites/default/files/2018_human_development_statistical_update.pdf.
10. World Bank Statistics (2018): GDP, GDP per capita.
11. World Justice Project. Rule of Law Index 2019. Washington. https://worldjusticeproject.org/sites/default/files/documents/WJP-ROLI-2019-Single%20Page%20View-Reduced_0.pdf. /ბოლო ნახვა 19 აგვისტო, 2019/
12. Pintilescu C. POLITICAL CHANGES AND ECONOMIC DEVELOPMENT IN ROMANIA. EAST-WEST Journal of ECONOMICS AND BUSINESS. Vol. XV, No 1-2. 2012. pp. 89-105.

ფინანსური რისკების ტენდენციები საანალიზო საწარმოებში

ლუკა არქანია

კვლევის მიზანია საწარმოების ფინანსური ლევერიჯის შესწავლა. საწარმოთა საქმიანობა მუდმივად შეიცავს გარკვეულ გაურკვევლობას, ამიტომ ყოველთვის არსებობს მიზნების მიუღწევლობის რისკი. ასე რომ, ბიზნეს რისკების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები ყოველთვის აქტუალურია.

კვლევის საგანი არის საანალიზო საწარმოების ფინანსური ლევერეჯი.

ნაშრომში განხილულია საწარმოთა რისკებს სახეები და ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები, მისი ანალიზის მეთოდიკის განვითარების მიზნით. დღეს საწარმოთა ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ბიზნესის მართვას რისკებზე დაფუძნებული პრინციპების საფუძველზე. ეს ნიშნავს თანამედროვე რთულ ბიზნესგარემოში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას საწარმოს შიდა და გარე მიზნების მიღწევის ალბათობის ცვალებადობის გამუდმებული კონტროლის პირობებში, რათა შემცირდეს ამა თუ იმ სახის რისკის მოსალოდნელი არასასურველი ზეგავლენა საწარმოთა ფინანსურ სტაბილურობაზე. შესაბამისად, სულ უფრო აქტუალურია საწარმოთა რისკების ანალიზის სრულყოფის საკითხების კვლევა.

კვლევის ობიექტია „შპს თელიანი ველი“ და „სს თელიანი ველი“.

საკვანძო სიტყვები: საოპერაციო ლევერიჯი, ფინანსური ლევერიჯი, ფაქტორული მოდელი.

1. ფინანსური ლევერიჯის არსი და მნიშვნელობა

რისკის მენეჯმენტი მოიცავს იდენტიფიკაციას, ანალიზს და რეაგირებას რისკის ფაქტორებზე, რომლებიც ქმნიან ბიზნესის ცხოვრების ნაწილს. რისკების ეფექტური მართვა ნიშნავს სამომავლო შედეგების მაქსიმალურად გაკონტროლების მცდელობას პროაქტიული და არა რეაქტიული მოქმედებით. აქედან გამომდინარე, რისკების ეფექტური მენეჯმენტი გვთავაზობს პოტენციალს შეამციროს როგორც რისკის წარმოშობის შესაძლებლობა, ასევე მისი პოტენციური ზემოქმედება.

კვლევის მიზანია ბიზნესის რისკების მაჩვენებლების იდენტიფიკაცია, ზოგადი მაჩვენებლების დადგენა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზის საფუძველზე, ლევერიჯის ზოგადი კოეფიციენტების ანალიზი.

ლევერიჯი არის საინვესტიციო სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ფულის სესხებას ინვესტიციის პოტენციური ანაზღაურების გასაზრდელად. მისი გამოყენება შესაძლებელია ბიზნესში, პროფესიულ ვაჭრობაში და სახლის დასაფინანსებლადაც კი. ლევერიჯი ასევე შეიძლება ეხებოდეს ვალის ოდენობას, რომელსაც კომპანია იყენებს აქტივის დასაფინანსებლად, რომელსაც ფინანსური ლევერიჯი ეწოდება.

ლევერიჯი არის სპეციალური ძალებისა და ეფექტების გამოყენება მაღალი შედეგების მისაღებად, რომელიც აჭარბებს ჩვეულებრივი კურსით მუშაობის პირობებში მიღებულ შედეგებს. მაგრამ, იგი დაკავშირებულია გარკვეულ ხიფათთან. მაგალითად, კრედიტის ტვირთი მოიცავს მუდმივი ფინანსური ხარჯების გამოყენებას საწარმოს პოტენციური მოგების გაზრდისათვის. თუმცა, ხელსაყრელ პირობებში შეიძლება მოიტანოს დადებითი შედეგები. მაგრამ, შეიძლება მიღებულ იქნეს ძალიან უარყოფითი შედეგებიც არახელსაყრელ პირობებში. ამიტომ, ლევერიჯს ორმაგად მჭრელ

მახვილს უწოდებენ [Leverage is a double-edged sword. Shmedt Fred]. ის ადიდებს როგორც მოგებას, ასევე ზარალსაც.

კვლევის მიზნის მისაღწევად დასმულ იქნა ფინანსური ლევერიჯის დღემდე ცნობილი კოეფიციენტებიდან ზოგადი მაჩვენებლების შერჩევა და ანალიზის ამოცანები. კვლევისას აგრეთვე აუცილებელი იყო იმის დასაბუთება, რომ ლევერიჯის შერჩეული მაჩვენებელი ისეთი კოეფიციენტი უნდა იყოს, რომლის მაქსიმალური სიდიდე რისკის არარსებობის პირობებში ერთია. ერთის ზემოთ კი, რისკის არსებობაზე მიუთითებს.

ლევერიჯის კოეფიციენტი არის ნებისმიერი ფინანსური გაზომვა, რომელიც ასახავს კაპიტალის რაოდენობას ვალის (სესხების) სახით ან აფასებს კომპანიის უნარს შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები. ლევერიჯის კოეფიციენტის კატეგორია მნიშვნელოვანია, რადგან კომპანიები ეყრდნობიან კაპიტალისა და დავალიანების ნაერთს თავიანთი ოპერაციების დასაფინანსებლად და კომპანიის მიერ დაკავებული ვალების ოდენობის ცოდნა სასარგებლოა იმის შესაფასებლად, შეუძლია თუ არა მას გადაიხადოს თავისი დავალიანება ვალის მოთხოვნის დადგომისას.

თვით სიტყვა ლევერიჯი (leverage) ინგლისური წარმოშობისაა და ნიშნავს ძალას, ბერკეტის პრინციპს, რითაც განსხვავებული და საკმაოდ მძიმე საგნების შერევა შეიძლება. ეკონომიკაში იგი შეიძლება აიხსნას, როგორც ურთიერთსაპირისპირო ბუნების მაჩვენებელთა ფარდობა, რომელიც შესაბამის საფრთხეზე მიუთითებს და მაშასადამე, შესაძლებელია მისი გამოყენება რისკების გაზომვის მიზნით. უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ლევერიჯის მრავალგვარი კოეფიციენტია ცნობილი.

2. ლევერიჯის მაჩვენებლები და მათი დანიშნულება

არსებობს ორი ძირითადი ტიპის ლევერიჯი: საოპერაციო და ფინანსური.

საოპერაციო ლევერიჯი ეხება ფირმის საინვესტიციო საქმიანობას. ეს ეხება ფიქსირებული (მუდმივი) საოპერაციო ხარჯების ჩართვას ფირმის შემოსავლების ნაკადში. საოპერაციო ლევერიჯი დაკავშირებულია მუდმივი საოპერაციო ხარჯების არსებობასთან და ახასიათებს წარმოებასა და რეალიზაციის პროცესებში არსებულ რისკებს. საოპერაციო რისკი შეიცავს მუდმივი ხარჯების, კერძოდ, წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯების არაეფექტიანად გამოყენების შესაძლო რისკს, რაც მოსალოდნელი მოგების შემცირებაში აისახება. საოპერაციო რისკი არის იგივე სამეწარმეო ანუ სამეურნეო რისკი.

ლევერიჯის მართვა მოითხოვს მუდმივი საწარმოო და ფინანსური ხარჯების იდენტიფიკაციას, რათა შემცირებულ იქნეს რისკები. კერძოდ, საჭიროა:

ა. მუდმივი საექსპლოატაციო ხარჯების სახეების (ტიპების) განსაზღვრა საწარმოო მოწყობილობებისა და აღჭურვილობის და, ძვირადღირებულ შრომით დანახარჯებში. მაგალითად, ძვირადღირებული შრომა ამცირებს მოგების შესლებლობას და აყოვნებს რისკების შემცირებას.

ბ. მუდმივი ფინანსური ხარჯების ტიპების განსაზღვრა (იდენტიფიკაცია), როგორიცაა:

• ფინანსური ვალდებულებები - შეიძლება მიიღონ მნიშვნელოვანი მოგება, მაგრამ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრუბლობის გამო შეიძლება საწარმო ბოლოს გაკოტრდეს;

• შეიძლება შემცირდეს პოტენციური მოგება არსებული აქციონერებისათვის, მაგრამ შეიძლება შეამციროს რისკები. აღსანიშნავია, რომ ლევერიჯის ზოგიერთი კოეფიციენტი თუ ერთის ტოლია, რისკი არ არსებობს. ერთის ზემოთ კი რისკის არსებობის მაჩვენებელია. მაგრამ, ლევერიჯის ყველა მაჩვენებელი ამ მიდგომას არ აკმაყოფილებს.

საინტერესო ფაქტია, რომ გაყიდვების მოცულობის ცვლილება იწვევს ფირმის საოპერაციო მოგების პროპორციულ ცვლილებას ფირმის ფიქსირებული საოპერაციო ხარჯების გამოყენების შესაძლებლობის გამო. საოპერაციო ლევერიჯის ხარისხს უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი მნიშვნელობა.

წინამდებარე შრომაში კვლევის ძირითადი საგანია ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლები.

ფინანსური ლევერიჯი იკვლევს საწარმოს სესხებსა და სააქციო კაპიტალს შორის თანაფარდობის ხარისხს და მოგების ცვლილებასთან კავშირს. **დაფინანსების წყაროების სტრუქტურის ოპტიმიზაციას მოგების გადიდების მიზნით, ფინანსური ლევერიჯის კონცეფციას უწოდებენ**. ფინანსური ლევერიჯი ფინანსური რისკების შეფასებისათვის გამოიყენება. იგი განსაკუთრებით საინტერესოა აქციების მფლობელებისათვის, რათა იცოდნენ, მოგების რა სიდიდეს უნდა ელოდებოდნენ ყოველ ერთ აქციაზე.

ფინანსური ლევერიჯი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ფირმის კაპიტალის სტრუქტურასთან: ვალისა და საკუთარი კაპიტალის ურთიერთობასთან. ფიქსირებული ფინანსური გადასახადების არსებობა ფირმის შემოსავლის ნაკადში იწვევს ფინანსურ ლევერიჯს.

ფინანსური ლევერიჯის მნიშვნელობა და როლი მდგომარეს შემდეგში:

- ის ეხმარება ფინანსურ მენეჯერს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შემუშავებაში. კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა არის ვალისა და კაპიტალის ერთობლიობა, რაც იწვევს კაპიტალის ყველაზე დაბალ ღირებულებას და ფირმის უმაღლეს ღირებულებას.
- ეს ზრდის როგორც მოგებას ერთ აქციაზე (EPS), ასევე ფინანსურ რისკს.
- ფინანსური ლევერიჯის მაღალი დონე მიუთითებს მაღალი ფინანსური ფიქსირებული ხარჯების არსებობაზე, ასევე მაღალ ფინანსურ რისკზე.
- ეს ხელს უწყობს ფინანსური რისკისა და შემოსავლის დაბალანსებას კაპიტალის სტრუქტურაში.
- ის აჩვენებს ინვესტიციის ანაზღაურების ჭარბ რაოდენობას სახსრების გამოყენების ფიქსირებულ ღირებულებაზე.
- ეს არის სასარგებლო ინსტრუმენტი ფინანსური მენეჯერის ხელში ფირმის კაპიტალის სტრუქტურაში დავალიანების ოდენობის განსაზღვრისას.

ფინანსური ლევერიჯის მრავალი კოეფიციენტი არსებობს. წინამდებარე შრომაში პრაქტიკული კომპანიების მაგალითზე განვიხილე ფინანსური ლევერიჯის შემდეგი მაჩვენებელის ფაქტორული მოდელი: საოპერაციო მოგების (OP) ფარდობა წმინდა მოგებასთან (NP), რომელიც წარმოდგნილია ექვსი ფაქტორ-მაჩვენებლის მწკრივის სახით (ჭილაძე ი. 2019):

$$DFL = \frac{OP}{NP} = \frac{OP}{S} * \frac{S}{PS} * \frac{PS}{A} * \frac{A}{OwC} * \frac{OwC}{P} * \frac{P}{NP} :$$ ეს ფაქტორებია:

(OP/S) - საოპერაცი მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან.

რაც უფრო მაღალია ეს კოფიციენტი, ნიშნავს, რომ იზრდება გაყიდვების რისკები.

(S/PS) - შემოსავლების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან . მისი ზრდა საწარმოო დანახარჯების ნაკლებ ეფეტიანად გამოყენების რისკებზე მიანიშნებს. ანუ იზრდება საოპერაციო რისკი;

(PS/A) - რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა აქტივების საშუალო წლიურ ჯამთან, აქტივების დაძველებით მოსალოდნელ რისკებზე მიუთითებს;

(A/OwC) - აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან, რომლის ზრდა მიანიშნებს საკრედიტო და საპროცენტო რისკების ზდის შესახებ;

(OwC/P) - საკუთარი კაპიტალის ფარდობა წლიურ მოგებასთან, რომლის ზრდა ნიშნავს რომ საკუთარი კაპიტალი უფრო მეტად იზრდება, ვიდრე მოგება. ამდენად, არსებობს კაპიტალის უკუგების შემცირების რისკები;

(P/NP) – არის წლიური მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან, რომლის ზრდა ნიშნავს რომ წლიური მოგება უფრო მეტად იზრდება, ვიდრე წმინდა მოგება. ამდენად, არსებობს მოგების გადასახადის რისკი.

3. ფინანსური ლევერიჯის ფაქტორული ანალიზის შედეგები

ნაშრომში მოცემული ფინანსური ლევერიჯის ზოგადი მაჩვენებლების ფაქტორული მოდელის საფუძველზე გავზომეთ ფაქტორების გავლენა აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებით, მარტივად შეიძლება რისკების ცლილებაზე არჩეული ფაქტორების გავლენის გაზომვა. იქნა ქართული ღვინის კომპანიის, „თელიანი ველის“ და „ასკანელი ძმების“ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია (იხ. ცხრილი 1).

ვინაიდან საოპერციო ლევერიჯის ანალიზი ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია, რადგან მას შიგა ინფორმაცია ჭირდება, რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია, ამიტომ, მხოლოდ ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლის ფაქტორული ანალიზი გავაკეთეთ, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია საკმარისია. როგორ ცხრილი 3.1 - დან ცხრილი 2-დან ჩანს, ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები ძალიან მაღალია. ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტების ტენდენციების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ: საოპერაციო მოგების ფარდობა წლიურ მოგებასთან (OP/P) - არ უნდა იყოს 1.5-ზე მაღალი, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ფარდობა (L/OwC) - არ უნდა იყოს ერთზე მაღალი და აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთნ (A/OwC) - არ უნდა იყოს 2-ზე მაღალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საწარმო ზარალიანი ხდება.

სს „თელიანი ველი“ არის საქართველოს ღვინის მწარმოებელი მოწინავე კომპანიაა. იგი დარსდა 1997 წელს „სამარკო ღვინოების თელიანის მარნის“ ბაზაზე, რომელიც აშენდა წინანდალში, თელიანის ველის მახლობლად 1954 წელს.

ცხრილში 3.1. მოცემულია ფინანსურ ლევერიჯზე მოქმედი, ზემოთ განხილული ფაქტორების პრაქტიკული მაჩვენებლები სს თელიანი ველის მაგალითზე.

ცხრილი 1. „სს თელიანი ველის“ ფინასური ლევერიჯის კოეფიციენტები.

ჯამი (საერთო გადახა)

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები	2020	2021	გადახრა 2020 წლიდან	ფაქტორის გავლენა
OP/NP საოპერაციო მოგება/წმინდა მოგებასთან	-0.5952	0.3641	-0.9593	0.9593
ფაქტორები				
1) OP/S საპერაციო მოგება/რეალიზაციიდან შემოსავალზე	0.0494	0.0109	-0.0385	0.4641
2) S/PS შემოსავლი/რეზლიზაცის მოგებას	2.8352	3.2636	0.4284	-0.0198
3) PS/A რეალიზაციდან მოგება/აქტივები	0.2353	0.2409	0.0057	-0.0036
4) A/OWC აქტივები/საკუთარ კაპიტალ	2.3756	2.7065	0.3309	-0.0215
5) OCW/P საკუთარი კაპიტალ/წლიურ მოგება	-7.6012	15.7238	23.3250	0.5401
6) P/NP წლიური მოგება/წმინდა მოგება	1.0000	1.0000	0.0000	0.0000

ცხრილი 1.1. რისკების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენები

პირვლი ფაქტორის გავლენა	0.4641
მეორე ფაქტორის გავლენა	-0.0198
მესამე ფაქტორის გავლენა	-0.0036
მეოთხე ფაქტორის გავლენა	-0.0215
მეხუთე ფაქტორის გავლენა	0.5401
მეექსვე ფაქტორის გავლენა	0.0000
ჯამი (საერთო გადახა)	**-0.9593**

განხილული ექვსი ფაქტორიდან, ორმა ფაქტორმა შეამცირა ფინანსური რისკები, რაც დადებითი მოვლენაა. ხოლო ერთმა ფაქტორმა საერთოდ არ მოახდინა ზეგავლენა. სამა ფაქტორმა კი გაზარდა იგი. ასეთ შემთხვევაში, კომპანიის მენეჯმენტმა საგანგებო ღონისძიებები უნდა განეხორციელებინა, რათა გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში და უარი ეთქვა სესხების აღებაზე. აგრეთვე საყურადღებოა საოპერაციო რისკების კონტროლიც, რადგან კომპანიამ მაღალი ფიანანსური ლევერიჯის პირობებში გააგრძელა მუშობა და 2020 წელს ზრალიანი გახდა.

კომპანია „ასკანელი ძმები“ დაარსდა 1998 წელს, ძმები ჩხაიძეების მიერ. სახელწოდება „ასკანელი“ დაკავშირებულია პატარა, ჯადოსნურ სოფელ ასკანასთან, რომელიც მდებარეობს გურიის ულამაზეს რეგიონში.

ცხრილი 2. „შპს ასკანელი ძმების“ ფინასური ლევერიჯის კოეფიციენტები.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები	2020	2021	გადახრა 2020 წლიდან	ფაქტორის გავლენა
OP/NP საოპერაციო მოგება/წმინდა მოგებასთან	1.5573	0.6258	-0.9315	-0.9315
ფაქტორები				
1) OP/S საპერაციო მოგება/რეალიზაციიდან შემოსავალზე	0.2626	0.1250	-0.1375	-0.8156
2) S/PS შემოსავლი/რეზლიზაცის მოგებას	2.9435	2.8979	-0.0456	-0.0115
3) PS/A რეალიზაციდან მოგება/აქტივები	0.2586	0.2221	-0.0365	-0.1031
4) A/OWC აქტივები/საკუთარ კაპიტალ	2.0471	2.3245	+0.2774	+0.0850
5) OCW/P საკუთარი კაპიტალ/წლიურ მოგება	3.8070	3.3459	-0.4612	-0.0863
6) P/NP წლიური მოგება/წმინდა მოგება	1.0000	1.0000	0.0000	0.0000

ცხრილი 2.1. რისკების ცვლილებაზე მოქმედ ფაქტორთა გავლენები.

პირველი ფაქტორის გავლენა	-0.8156
მეორე ფაქტორის გავლენა	-0.0115
მესამე ფაქტორის გავლენა	-0.1031
მეოთხე ფაქტორის გავლენა	0.0850
მეხუთე ფაქტორის გავლენა	-0.0863
მეექსვე ფაქტორის გავლენა	0.0000
ჯამი.	**-0.9315**

შპს „ასკანელი ძმების“ შემთხვევაში მხოლოდ ერთმა ფაქტორმა იმოქმედა დადებითად, დანარ-ჩენი ხუთი ფაქტორი ზრდის ფინასური რისკების დონეს. რაც შეეხება საბოლო ფინანსურ შედეგს შპს „ასკანელი ძმები“ 2020 წელი მოგებით დაასრულა რაც შეადგენდა 10 489 ათ. ლარს, ხოლო 2021 წელს მისი მოგება 17 021 ათ. ლარს შეადგენდა.

ცხრილი 3. *რისკების ცვლილებაზე მოქმედ ფაქტორთა გავლენები.*

	სს თელიანი ველი		შპს ასკანელი ძმები	
ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები	გადახრა 2020 წლიდან	ფაქტორის გავლენა	გადახრა 2020 წლიდან	ფაქტორის გავლენა
OP/NP საოპერაციო მოგება/წმინდა მოგებასთან	-0,9593	+0,9593	-0.9315	-0.9315
ფაქტორები				
1) OP/S საპერაციო მოგება/რეალიზაციიდან შემოსავალზე	-0,0385	+0,4641	-0.1375	-0.8156
2) S/PS შემოსავლი/რეზლიზაცის მოგებას	+0,4284	-0,0198	-0.0456	-0.0115
3) PS/A რეალიზაციდან მოგება/აქტივები	+0,0057	-0,0036	-0.0365	-0.1031
4) A/OWC აქტივები/საკუთარ კაპიტალ	0,3309	-0,0215	0.2774	+0.0850
5) OCW/P საკუთარი კაპიტალ/წლიურ მოგება	23,325	+0,5401	-0.4612	-0.0863
6) P/NP წლიური მოგება/წმინდა მოგება	0	0	0.0000	0.0000

ამრიგად, ფინანსური ლევერიჯის ექვსფაქტორიანი მოდელის მიხედვით ჩატარებული ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სს „თელიანი ველის“ და შპს „ასკანელი ძმების“ მენჯმენტმა უფრო მეტი დაკვირვებით უნდა მართონ ფინანსური რისკები. კომპანიის მდგომარეობის შესაფასებლად თუ რა რისკების წინაშე შეიძლება აღოჩნდეს კომპანია, უნდა გამოიყენოს ლივერიჯის ის მანჩვენებლები და კოეფიცინტები რომლის საფუძველზეც თვალსაჩინო გახდება თუ რა პოტენციური რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანია.

დასკვნა

ამრიგად, სამეწარმეო რისკების მართვა გულისხმობს რისკების განმაპირობებელი მიზეზების გამოვლენა-შეფასებას და მათი მოხდენის შემთხვევაში კომპანიაზე და პერსონალზე უარყოფითი ზემოქმედების გამორიცხვის ან მინიმიზების მიზნით ღონისძიების გატარებას.

საწარმოთა მენეჯმენტის მიერ სამეწარმეო და ფინანსური რისკების მართვა აუცილებელია მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის ამაღლებისათვის. წინამდებარე სტატიაში განხილული იქნა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილი საოპერაციო და ფინანსური ლევერიჯის არსი და მაჩვენებლები. პრაქტიკული კვლევა კი ჩატარდა სს „თელიანი ველის“, და შპს „ძმები ასკანელების“ კომპანიების მაგალითზე.

რისკზე წასვლა თავისთავად ნეგტიური ნაბიჯი არ არის. იგი შეიძლება დაკავშირებულ იქნეს დამატებითი მოგების მიღებასთან. ამას ხელს უწყობს რისკების ეფექტური მართვა. ფინანსური მენეჯმენტის მთავარი მიზანია საწარმოს ფინანსური სტაბილურობის არსებული მდგომარეობის გამოკვლევა და მისი შემდგომი გაუმჯობესება.

მოცემულ ნაშრომში განხილული ლევერიჯის მაჩვენებლების კოეფიციენტის გამოთვლის მეთოდიკა და მათი პრაქტიკაში გამოყენება საწარმოს მენეჯმენტს დაეხმარება საოპერაციო და ფინანსური რისკების ზეგავლენის შემცირებაში და პრევენციული ღონისძიებების გატარებაში.

რეკომენდაციები

სს თელიანი ველის მენეჯმენტმა აუცილბლად უნდა მიაქციოს ყურადღება გაყიდვების რისკის ზრდას, რადგან მოცემული ფაქტორი 2020 და 2021 წლებში ზრდის საწრმოს რისკებს.

ასევე 2021 წელს სს თელიანი ველის ფიანანსური ანგარიშგებიდან ჩანს რომ, საკუთარი კაპიტალი უფრო მეტად იზრდება, ვიდრე მოგება. ამდენად, არსებობს კაპიტალის უკუგების შემცირების რისკები. ხოლო შპს ასკანელი ძმების მენეჯმენტმა უფრო ეფექტური კონტროლი უნდა მოახინოს საკრედიტო და საპროცენტო რისკების ზრდაზე რადგან მოცემული ფაქტორის ზრდა 2021 წელს იწვევს რისკბის მატებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ნარმანია, ნ. ფარესიშვილი. რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში, თბილისი 2012.
2. იზოლდა ჭილაძე. საწამოთა ლევერიჯის ანალიზის მეთოდიკის სრულყოფის საკითხები. „მონოგრაფია“ თბილისი 2019;
3. ფინანსური ანალიზი, სახელმძღვანელო. ჭილაძე ი. 2018.
4. სს „თელიანი ველი“ და შვილობილი კომპანიები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
5. შპს „ასკანელი ძმები“ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.
6. https://www.analyticssteps.com/blogs/types-leverage-advantages-and-disadvantages;
7. https://getmoneyrich.com/leverage-analysis/;
8. https://www.upwork.com/resources/types-of-leverage#financial;
9. https://www.financestrategists.com/accounting/financial-statements/leverage/operating-leverage/?gclid=CjwKCAjwx_eiBhBGEiwA15gLN15SzNL3RY8OjHAd-bR-QQJz7OEZE-IJJ7eI1g8oZyJC4yGqx-HHyhoCTs0QAvD_BwE.

ინტერნეტის როლი ბიზნესში და ელექტრონული სერვისების განვითარება საქართველოში

ანასტასია ბაბუხადია

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ბიზნესსექტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თუმცა, ბიზნესებს მნიშვნელოვანი სარგებლის ნახვა შეუძლიათ თუ ელექტრონული ბიზნესსა და ელექტრონულ კომერციას მეტი ყურადღება დაეთმობა. ***წინამდებარე კვლევის მიზანი*** *სწორედ საქართველოში ელექტრონული ბიზნესის და ელექტრონული კომერციის განვითარების შემაფარხებელი მიზეზ-ფაქტორების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა-მინიმიზებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაა.*

დასახული მიზნის მიღწევისკენ მიმავალ გზაზე საჭიროა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები: აიხსნას *ელექტრონული ბიზნესის და ელექტრონული კომერციის არსი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში;* ***გაანალიზდეს*** *ელექტრონული ბიზნესის და ელექტრონული კომერციის მექანიზმი და ძირითადი ფორმები;* ***გამოიკვეთოს*** *ელექტრონული კომერციის დინამიკა და ძირითადი ტენდენციები;* ***გამოვლინდეს*** *ელექტრონული ბიზნესის და ელექტრონული კომერციის განვითარების შემაფარხებელი მიზეზ-ფაქტორები,* ***შემუშავდეს*** *მათი აღმოფხვრა-მინიმიზებისათვის წინადადებები და რეკომენდაციები და* ***პროგოზირდეს*** *განვითარების პერსპექტივები.*

ზემოთ ჩამოთლილი ამოცანების გადაწყვეტისას გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა: *საქსტატის მონაცემების, კვლევისას მოპოვებული ინფორმაციისა და ექსპერტთა შეხედულებების სისტემური ანალიზი, სინთეზი, შედარება, დაკვირვება, აბსტრაქცია, ინდუქცია, დედუქცია და სხვა.*

კვლევის შედეგები და მათი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. *ჩემს მიერ ჩატარდა ელექტრონული კომერციის საბაზრო კონიუნქტურის და მსოფლიოში ინტერნეტ-გაყიდვების მოცულობის ანალიზი; დარგის ექსპერტების მოსაზრებათა გათვალისწინებით, განისაზღვრა საქართველოში ელექტრონული კომერციის ბაზრის განვითარების ძირითადი პრობლემები, ტენდენციები და პერსპექტივები; შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ჩატარდა მომხმარებელთა სოციოლოგიური გამოკითხვა, ინტერნეტით ვაჭრობასთან და ონლაინ-მაღაზიებთან მათი დამოკიდებულების შესახებ; სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდის გამოყენებით, გაანგარიშებულია საწარმოთა მიერ სოციალური მედიის გამოყენების განაწილების კოეფიციენტი.* ***შესაბამისად, კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც სასწავლო პროცესში, ისე პრაქტიკაში ელექტრონული ბიზნესის სტარტაპებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ.***

საკითხის შესწავლილობის ხარისხი. *ელექტრონული ბიზნესის და ელექტრონული კომერციის პრობლემების კვლევას ეძღვნება როგორც სამამულო, ისე უცხოელ ავტორთა ნაშრომები. მათ შორის აღსანიშნავია: რ. აბულაძის, რ. ლორთქიფანიძის, დ. სიჭინავას, დ. ჯავახაძის, გ. ჯოლიას, მ. ბაგეტის, ჰ. ვაგერის, მ. ვაჰრენსის, დ. კარვერის, რ. კლარკის, დ. კოზიეს, პ. ლოუს, პ. მაგნუსონის, ჰ. მინსის, დ. ეიმორის და სხვათა ნაშრომები. ავტორთა სიმრავლე ან ნიშნავს, რომ ახალი აქტუალური თემის კვლევა დასასრულს უახლოვდება. ზოგ შემთხვევაში ნაშრომებში წარმოდგენილი საკითხები სქემატური და ინფორმაციულია, განხილულია ელექტრონული კომერციის მხოლოდ ცალკეული ელემენტები, მათი ინტეგრაციის, შიდა და გარე გარემოს ცვლილებებთან, ზოგადეკონომიკურ პრობლემებთან კავშირის გარეშე.* ***შემოთავაზებული ნაშრომი აღნიშნული სიცარიელის აღმოფხვრის ერთ-ერთი მოკრძალებული ცდაა.***

საკვანძო სიტყვები: *ინტერნეტი, ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული კომერცია, მომხმარებელი, გამყიდველი, კონკურენცია, ეფექტიანობა.*

თემის აქტუალობა. გლობალიზაციის პირობებში ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, შესაძლებელი გახადა სამეწარმეო საქმიანობის ვირტუალურ სივრცეში განხორციელება. ინტერნეტის საყოველთაო გავრცელებამ და სხვადასხვა ელექტრონული პლათფორმის შექმნამ, საფუძველი ჩაუყარა ციფრული მეწარმეობის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის თანამედროვე ფორმის ჩამოყალიბებას.[5;154]. წარმატება ბიზნესში შეუძლებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების მასშტაბური გამოყენების გარეშე. ხშირად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მისაღებია ოპერატიულად, რეალური დროის რეჟიმში.

ამრიგად, სამეწარმეო სტრუქტურათა გადარჩენა და წარმატება პირდაპირაა დამოკიდებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური ინოვაციების დროულ ადაპტირებაზე. ამასთანაა დაკავშირებული „ახალი ეკონომიკის“ (რომლის საფუძველია ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები) ისეთი მიმართულებების გამოჩენა და განვითარება, როგორებიცაა ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული საწარმო, ელექტრონული კომერცია. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული კომერცია არის არა მხოლოდ კომერცია ინტერნეტის გამოყენებით, არამედ საწარმოთა არსებობისა და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ახალი ფორმების შექმნის მექანიზმი.

დაწყებულია ბიზნეს-სისტემების ფუნდამენტური ტრანსფორმაცია და, რაც მთავარია, მატერიალურ-ნივთობრივი კაპიტალი თანდათან უთმობს ადგილს ინტელექტუალურს, ადამიანურ და სტრუქტურულ კაპიტალს (სხვადასხვა სტრუქტურებში, მაგალითად საწარმოო პროცესებში გამოყენებულ ცოდნას).

ამრიგად, კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომის თემა თანამედროვე პრობლემასთანაა დაკავშირებული, იგი რეალური, პერსპექტული და მაშასადამე, აქტუალურია.

1. ინტერნეტის როლი საზოგადოებისა და ბიზნესის განვითარებაში

თავისი არსებობის განმავლობაში, ინტერნეტმა განვლო რთული გზა, პროექტიდან გლობალურ დეცენტრალიზებულ ქსელამდე. ამჟამად მის უნიკალურ მახასიათებლებთა შორისაა: ჰიპერმედიულობა, ინტერაქტიულობა, ვაჭრობის, ანგარიშსწორების, გარიგების შესაძლებლობები და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტმა საფუძველი ჩაუყარა ელექტრონულ ცივილიზაციას. იგი განაპირობებს მსოფლიო სამეურნეო-ეკონომიკური პროცესების მჭიდრო ინტეგრაციას, ქსელური ეკონომიკის, ელექტრონული ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტულ და გამჭვირვალე ბიზნეს-გარემოს.

ინტერნეტსივრცეში შეიქმნა და განვითარდა სამეწარმეო საქმიანობის ახალი სფერო - ელექტრონული ბიზნესი. ეკონომიკის სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება წარმოაჩენს მეწარმეობის ახალ შესაძლებლობებს, ბიზნეს-მოდელებს და გენერირებს ახალი ბიზნეს-ელიტის წარმოქმნას [1;36].

ამჟამად ინტერნეტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ელექტრონული კომერცია, რომელიც უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვას, მომხმარებელთან ურთიერთკავშირის დამყარებას, ბაზრის მოცულობის ზრდას, შუამავლებისათვის საჭირო დანახარჯების შემცირებას. ელექტრონული კომერცია განაპირობებს ინტერნეტ-მარკეტინგის განვითარებასა და ზრდას. საქართველოში, ელექტრონული კომუნიკაციების სეგმენტი გამოირჩევა ეკონომიკური მიმზიდველობით, რაც ნათლად აისახა ელექტრონული ბიზნესის, ინტერნეტ-მომსახურების პროვაიდერების შემოსავლებში. მიუხედავად ამისა, ინტერნეტ-მომხმარებელთა აქტივობა ელექტრონულ ბაზარზე ჯერ კიდევ დაბალია. ამის მიზეზია ახალი საგადასახადო საშუალებების, პლასტიკური ბარათების,

ბაზრის ზრდის ნელი ტემპი, მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, ელექ-ტრონული ტექნოლოგიების განვითარების ტემპი.

ჩვენს ქვეყანაში მომხმარებლების 24% სარგებლობს ინტერნეტ-მაღაზიებით, ინტერნეტ-ბანკის მომსახურებით - 21%, ფულად ანგარიშსწორებით - 18%, გადასახადებს იხდის - 14 %, ინტერნეტ-ა-უქციონის მომხმარებელია 13 %, ბილეთების დაჯავშნას მიმართავს 6 %, ელექტრონული ბაზრის სხვა სეგმენტებს (ინტერნეტ - კაზინო, სახელფასო მომსახურება და სხვა) 4 %. [4;113-114].

2. ელექტრონული ბიზნესი და მონაწილეთა ურთიერთობის მოდელები

ინტერნეტში ელექტრონული ბიზნესის მონაწილეთა ურთიერთობის, ძირითადად, სამი მოდე-ლია გავრცელებული:

მოდელს „მეწარმე - მეწარმე“ შემოკლებით აღნიშნავენ B2B (Business to Business), რა თქმა უნდა, ასეთი დაყოფა პირობითია, რამდენადაც B2B მოდელში ერთ-ერთი მეწარმე არის მიმწოდებელი, ხოლო მეორე - მომხმარებელი.

ბიზნესი მომხმარებელს (B2C) საწარმოების მიერ საქონლის პირდაპირი გაყიდვა კერძო პირის-თვის, რაც ქმნის სამომხმარებლო ბაზრს. ვაჭრობის ეს ფორმა ეფექტიანია დიდი ქალაქებისა და რე-გიონების გეოგრაფიული დაშორების პირობებში, მომხმარებლისთვის საქონლისა და მომსახურე-ბის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ეს მოდელი იძლევა ვაჭრობის საშუალებას შუამავალთა მინიმალური რაოდენობით.

„მომხმარებელი - მომხმარებელი“ (C2C) – ელექტრონული ვაჭრობა კერძო პირებს შორის. გარი-გება შესაძლებელია, როგორც ინტერნეტში, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით (ყველა საკითხის ინ-ტერნეტით შეთანხმების შემთხვევაში).

3 . სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ქვეყანაში ვებ-გაყიდვების მიხედვით

ცხრილი N1 [13]

საწარმოები	სოციალური ქსელები (მაგ. Facebook, LinkedIn, Xing, Viadeo, Yammer, და ა.შ.)	2020	2021
სულ		26.8%	28.5%
მცირე		25.4%	27.5%
საშუალო		46.7%	47.2%
მსხვილი		50.8%	53.2%

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან, ვებ-გაყიდვების განაწილება ქვეყნების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ საქართველოში 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, შეიმჩნევა ვებ-გაყიდვების რაოდენობის შემცირება. ჩემი გამოთვლებით, მაჩვენებელი შემცირდა 16.8%-ით. ვვარაუდობ, რომ აღნიშნული გამოიწვია სწორედ COVID 19-ის პერიოდში საკმაოდ ხშირად გამოყენებულმა ონლაინ ვაჭრობამ და მომსახურებამ. 2021 წლისთვის კი ამ მაჩვენებლის ცვლილება გამოიწვია ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებამ.

ცხრილი N2 [14]

ვებ-გაყიდვების განაწილება ქვეყნების მიხედვით		2020	2021
სულ	საქართველო	**66.0%**	**49.2%**
	ევროკავშირის ქვეყნები	14.1%	17.2%
	დსთ-ს ქვეყნები	10.1%	15.0%
	აშშ	5.7%	5.8%
	სხვა ქვეყნები	4.1%	12.8%
	სულ	100.0%	100.0%

N2 ცხრილში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების უკეთ გასაანალიზებლად, გამოვიყენე სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდე, რომელიც ახასიათებს ერთობლიობაში თითოეული ელემენტის ხვედრით წილს. დაკვირვების ერთობლიობად ჩავთვალე ყველა ტიპის საწარმო: მცირე, საშუალო, მსხვილი და გამოვთვალე მათ მიერ სოციალური მედიის (Facebook Instagram, Linkedin, და სხვა) გამოყენების განაწილება 2020 წლისთვის. გამოსათვლელად გამოვიყენე სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდის ფორმულა. თითოეული საწარმოს მონაცემი შევაფარდე მთლიან ერთობლიობასთან და მივიღე პროცენტული მაჩვენებელი. გამოთვლებიდან გამომდინარე, მივედი დასკვნამდე, რომ მცირე საწარმოების ხვედრითი წილი მთლიან ერთობლიობაში წარმოადგენდა 0.94%-ს, საშუალოების - 1.7%, ხოლო მსხვილების 1.8%-ს.

4. მომხმარებელთა შერჩევითი გამოკითხვის შედეგები ინტერნეტ-მაღაზიებში საქონლის შეძენის სიხშირე

- ყოველკვირეულად - 15%
- თვეში ერთი-ორჯერ - 13%
- წელიწადში სამი-ოთხჯერ - 39%
- წელიწადში ერთხელ - 18%
- კითხვას არ უპასუხეს - 14%

მომხმარებელთათვის გადახდის მისაღები ფორმები

- ელექტრონული საფულე - 20%
- საბანკო ბარათი - 48 %
- ნაღდი ანგარიშსწორება - 32%

ინტერნეტ-მაღაზიების პოტენციურ კლიენთა მიერ ქსელში შესყიდვების შემაფერხებელი ფაქტორები

- მათ მიერ შერჩეული საქონლის ხარისხში ეჭვის შეტანა - 25%
- პერსონალური ფინანსური მონაცემების ინტერნეტში გამოაშკარავების სურვილის უქონლობა - 31%
- მაღაზიის მოუხერხებელი საიტი - 49%
- საბანკო ბარათის არარსებობა - 35%
- მომხმარებლამდე მიტანის სიძვირე - 28%

5. ელექტრონული კომერციის განვითარების ეტაპები და პერსპექტივები

ბოლო ათწლეულში შექმნილმა ტექნიკურმა საშუალებებმა განაპირობა კომერციული საქმიანობის კომპლექსური ავტომატიზაციის ანუ ელექტრონული კომერციის განვითარება. ამრიგად, ელექტრონული კომერციის ეკონომიკურ წინაპირობას წარმოადგენს დანახარჯების შემცირება. ცხადია, რომ ელექტრონული კომერციის პირდაპირი გავლენა ეკონომიკაზე უკვე დაწყებულია. თანდათან ეს პროცესი არამარტო კომერციული კომპანიების უმრავლესობას, არამედ მთელ საზოგადოებასაც მოიცავს. COVID-19 პანდემიისპერიოდში მცირებიზნესის პრაქტიკულად ყველა დარგმა თავისი საქმიანობა ამა თუ იმ ფორმით გადაიყვანა ონლაინ-რეჟიმში. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ჩატარებული კვლევებით, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოში ონლაინ-ბიზნესის და ინტერნეტკომერციის ზრდამ ეიძლება შეადგინოს საკმაოდ დიდი წილი [**8;10**].

ელექტრონული კომერციის განვითარების ძირითადი პრობლემა არის ინტერნეტით შესრულებული ოპერაციისადმი უნდობლობა. მომხმარებელთა 43 % თვლის, რომ ონლაინ-შესყიდვა რისკიანია და მეტ შემთხვევაში საქონელზე ანგარიშსწორებას ახორციელებს ნაღდი ფულით. ინტერნეტ-მაღაზიაში ან ინტერნეტ-აუქციონზე ყიდვაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზია ყიდვის პროცედურის სირთულე (მომხმარებელთა 31 %-სათვის), საქონლის აღწერის და ნახვის შესაძლებლობის არარსებობა (მომხმარებელთა 27 %-სათვის) და ინტერნეტით ანგარიშსწორების არაუსაფრთხოება (მომხმარებელთა 23 %-სათვის) [**4;123**].

საქართველოში ელექტრონული კომერციის პოტენციალის გამოყენების კონკრეტულ მიმართულებებად მიმაჩნია:

1. **გლობალური არჩევანი**. ელექტრონული კომერციის ფარგლები განისაზღვრება არა გეოგრაფიული ან ეროვნული საზღვრებით, არამედ კომპიუტერული ქსელების გავრცელებით. ელექტრონული კომერციის სისტემა ყველაზე წვრილ მომწოდებლებსაც კი აძლევს ბიზნესის საშუალებას გლობალური მასშტაბით.
2. **კონკურენტუნარიანობის ამაღლება**. ელექტრონული კომერცია აძლევს მიმწოდებლებს კონკურენტუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობას „შემკვეთთან მიახლოების“ გზით.
3. **გაყიდვების პერსონალიზაცია**. კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ დაწვრილებითი ინფორმაცია თითოეული ინდივიდუალური დამკვეთის შესახებ და აწარმოონ ისეთი პროდუქტი და მომსახურება, რომლებიც დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნას.
4. **სწრაფი რეაქცია მოთხოვნაზე**. ელექტრონული კომერცია ამცირებს გზას მომწოდებლიდან დამკვეთამდე, ისეთი ტრადიციული შუალედური პუნქტების გვერდის ავლით, როგორიცაა საცალო და საბითუმო საწყობები.

5. **დანახარჯების შემცირება**. ელექტრონული კომერციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია გარიგების დანახარჯების შემცირება. ელექტრონული გარიგება მკვეთრად ამცირებს მომსახურებაზე დანახარჯების ღირებულებას.

ექსპერტებთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა მათი მოსაზრება რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ მიაჩნიათ, რომ უახლოეს ათწლეულში საცალო ვაჭრობის ინდუსტრიაში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. იმის მიუხედავად, რომ შესყიდვების დიდი ნაწილი ხორციელდება რეალურ და არა ვირტუალურ მაღაზიებში, სადაც გაყიდვების მოცულობა არ აღემატება საქონელბრუნვის მოცულობის ორ პროცენტს, მათი მუშაობის ფორმატი მაინც მნიშვნელოვნად შეიცვლება. დაახლოებით 20 პროცენტით შემცირდება საცალო ვაჭრობაში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა. შემცირდება აგრეთვე სასაწყობო მეურნეობის დაცვის მუშაკებისა და მერჩენდაიზერების რაოდენობა.

ელექტრონული კომერციის განვითარებაზე ამჟამად ნეგატიურად მოქმედებს ფაქტორების მთელი რიგი:

- ✓ ელექტრონული კომერციის ტექნოლოგიების გამოყენების მრავალი სამართლებრივი საკითხის გადაუწყვეტელობა;
- ✓ ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლების ისეთი მნიშვნელოვანი პოტენციური რეზერვების არსებობა, რომლებიც ელექტრონული კომერციის სფეროს ფარგლებს გარეთ მდებარეობენ (საწარმოების ავტომატიზაციის, შრომის მწარმოებლურობის, გარიგებების დისციპლინის და ა.შ. დაბალი დონე);
- ✓ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ინტერნეტთან დაშვების მქონე მეურნე სუბიექტების დაბალი პროცენტი.

დასკვნები და რეკომენდაციები

დღეს ნებისმიერი დიდი, მცირე თუ საშუალო ბიზნესის წარმატებული საქმიანობისთვის გარდაუვალი აუცილებლობაა, ფეხი აუწყოს ბაზრის ტენდენციებს, გამოიყენოს ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანი არხები და ჩანდეს სწორედ იქ, სადაც მისი პოტენციური მომხმარებელი იყრის თავს. ასეთი ადგილი კი ონლაინსივრცეა, თავისი უამრავი არხითა და საიტით.

- ინტერნეტით რეკლამა დღითიდღე უფრო ეფექტური ხდება. ის საშუალებას გვაძლევს, ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოების ისეთ ჯგუფებს, რომელთა ყურადღების მიპყრობა სხვა საშუალებებით გაცილებით რთული და, ამასთან, ძვირია.

- ინტერნეტი ფლობს უნიკალურ მახასიათებლებს, რომელთა შორის აღსანიშნავია მისი ინტერაქტიურობა, კომუნიკაციის, ანგარიშსწორების, გარიგების დადების შესაძლებლობა და სხვა. ეს მნიშვნელოვნად აფართოებს მისი გამოყენების ეფექტურობას ბიზნესში. შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტმა საფუძველი ჩაუყარა ელექტრონულ ცივილიზაციას, კონკრეტულად კი ციფრულ მარკეტინგს.

- ამჟამად ქართულ ბიზნესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ციფრული არხების განვითარება წარმოადგენს. ეს ერთის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის მასშტაბით ელექტრონული კომერციის განვითარებას. მეორე მხრივ კი, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესს შესაძლებლობას მისცემს, ონლაინ გადახდის სისტემის მეშვეობით კიდევ უფრო გაზარდოს გაყიდვები და გადავიდეს დახვეწილი ელექტრონული კომერციის ეტაპზე. საჭიროა ამაღლდეს ბიზნესმენთა

ცნობიერება ელექტრონული კომერციის მიმართულებით და გაუმჯობესდეს ინტერნტერ ინფრასტრუქტურა.

- ელექტრონული ბიზნესის ინოვაციური სტრატეგიის შემუშავებას წინ უნდა უსწრებდეს კომერციულ საწარმოთა ინივაციური საქმიანობის მდგომარეობის მაჩვენებელთა და განვითარების პერსპექტივების ანალიზი.

- ბიზნესის ელექტრონული ფორმების დანერგვისას, ბიზნეს-საქმიანობის ეფექტიანი მხარდაჭერისთვის, ძირითადად, გამოყენებული უნდა იქნას მონიტორინგი და პროგნოზირება.

- ელექტრონული ბიზნესის ინოვაციური სტრატეგიის მთავარი თავისებურებაა ორიენტაცია მომხმარებელზე. ამ თვალსაზრისით, ინტერნეტ-პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციის საფუძვლად, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას იდეა „მომხმარებლიდან - ბიზნესისკენ“ (C2B), როგორც ინტერნეტ-სისტემაში ელექტრონული ბიზნესის ინოვაციური პროცესების მართვის ეფექტიანი საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები:

1. **აბულაძე რ**. ელექტრონული მთავრობა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2013.
2. **გელაშვილი ს; შონია ზ; ქინქლაძე რ**. სოციალური სტატისტიკა. თბ.2020წ
3. **თოდუა ნ; გოგიტიძე ნ**. COVID-19-ის პანდემიის გავლენა ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევაზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“. თბ. 2022წ. გვ 161
4. **იაშვილი გ., იაშვილი თ., აბულაძე კ**. ელექტრონული მმართველობა და ელექტრონული კომერცია. სახელმძღვანელო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2022.
5. **მაღლაკელიძე ა**. ციფრული მეწარმეობის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო-ანალიტიკური ჟურნალი N3, 2020.
6. **მექვაბიშვილი ე**. ეკონომიკის ფინანსებიზაცია: ბოროტება თუ სიკეთე?. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკას და ბიზნესში. თბ. 2022წ. 293
7. **პაპავა ვ**. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა - გლობალური რეალობა და მსოფლიო ეკონომიკის მოსალოდნელი გამოწვევები. თბ. 2016წ.
8. **სამადაშვილი უ**. კორონა-პანდემიის გავლენა მცირე ბინესზე საქართველოში: მდგომარეობა, გამოწვევები და შესაძლებლობები.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“. თბილისი, 2022.
9. **ღაღანიძე გ**. საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა. https://1tv.ge/video/saqartvelos-ekonomikashi-arsebuli-mdgomareoba/
10. **მურთაზ მაღრაძე, დემურ სიჭინავა** – კრიპტოვალუტა ბიტკოინის ეკოსისტემის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. თბ. 2022
11. Standing C. Internet Commerce Development Arteck house Inc., 2000.

დისერტაცია:

12. **ჯავახაძე დ**. ელექტრონული სერვისების როლი ბიზნესის განვითარებაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018.

ვებ - გვერდები:

13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-
14. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები. https://www.economy.ge/?page=ecoreview&s=39

აზერბაიჯანელი მოსახლეობის დამოკიდებულება შვილიანობისადმი (გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარის მაგალითზე)

ალინა ბაირამოვა

1990-ანი წლებში ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ საზოგადოების ტრანსფორმაციაც გამოიწვია. შეიცვალა დემოგრაფიული ვითარება პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნების უმრავლესობაში. შემცირდა შობადობა, ინტენსიური გახდა ემიგრაციული პროცესები, დამკვიდრება დაიწყო მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმმა. ამ მხრივ, არც საქართველო აღმოჩნდა გამონაკლისი. ხანგრძლივმა დეპოპულაციური პროცესის გამო ქვეყნის მოსახლეობამ აბსოლუტური კლება დაიწყო. არსებული ვითარების გამო გაეროს მოსახლეობის ფონდმა საქართველო „დემოგრაფიულად მომაკვდავ“ ქვეყნების სიაში შეიყვანა.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. აზერბაიჯანელი მოსახლეობა ქართველი მოსახლეობის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნოჯგუფია საქართველოში. 2014 წლის აღწერით, ის საქართველოს მოსახლეობის 6,1%-ია. ამ კონტინგენტს გასულ საუკუნეში, საქართველოს დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით, ბავშვთაშობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა. ჩვენი კვლევის მიზანია, შევისწავლოთ რამდენადაა შეცვლილი ეს მაჩვენებლები ამჟამად. ამისათვის ჩავატარეთ შერჩევითი სოციოლოგიური გამოკვლევა პირდაპირი გამოკითხვის საშუალებით, მარტივი შემთხვევითი შერჩევის წესით. კვლევის არეალად შეირჩა გარდაბნის რაიონის სოფელი ჯანდარა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს აზერბაიჯანული დიასპორა. მოსახლეობის ბოლო აღწერით ამ სოფლის მკვიდრთა რაოდენობა იყო 1468 კაცია. მათ შორის 14 წლის ასაკობრივი კონტინგენტის წილი მთელ მოსახლეობაში 22,2 % იყო. ამჟამად ამ სოფელში 1300-მდე კაცი ცხოვრობს.

კვლევისას გამოვიყენეთ დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ანკეტა, რომელიც შედგება 31 დახურული და ღია კითხვისაგან.გამოიკითხა 18-49 წლის 100 რესპონდენტი.

კვლევის შედეგები

2020 წლიდან დღემდე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებებში უკვე მოსახლეობის ნულოვანი მატება შეიმჩნევა. ასეთივე ვითარებაა სოფელ ჯანდარაშიც. 2014 წლის შემდეგ მოსახლეობა 170 კაცით შემცირდა. ბუნებრივია დაისვა კითხვა, რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა ამაზე: ემიგრაციამ და მისით გამოწვეულმა ბავშთაშობის შემცირებამ, თუ შვილიანობისადმი დამოკიდებულების ცვლილებამ? კვლევისას გამოიკითხა 43 მამაკაცი. და 57 ქალი. რესპონდენტთა 25%-ის განათლების დონე უმაღლესი ან დაუმთავრებელი უმაღლესია, ხოლო დანარჩენისა - საშუალო ზოგადი. ოჯახის საშუალო ზომა 6 კაცია.

შინამურნეობის შემოსავლების კვლევა, ყოველთვის პრობლემურია. ეს გამოწვეულია რესპონდენტთა მცდელობით, დამალონ რეალური შემოსავლები. ამიტომ ხშირად მინიმალურ შემოსავალს უთითებენ. ჩვენი კვლევით, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობის ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 1001-2000 ლარია, არანაკლები, ვიდრე საშუალოდ საქართველოს სოფლის მოსახლეობაში(1228ლარი). უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ კითხვაზე, „ოჯახის მთლიანი შემოსავალი რამდენად უზრუნველყოფს თქვენი ოჯახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას“, თითქმის ყველამ უპასუხა, რომ „მეტ-ნაკლებად“. თუმცა რესპონდენტების უმეტესობას მიაჩნია,რომ ოთხსულიანი ოჯახის ყოველთვიური საარსებო მინიმუმი 3000-3500 ლარი მაინც უნდა იყოს.

გამოკითხულთა ქორწინებითი მდგომარეობის შესწავლით გამოვლინდა, რომ 51 დაუქორწინებელია, 42 - დაქორწინებული, 5- ქვრივი და 2 - განქორწინებულია. დაქორწინებულთაგან 35% იმყოფება რელიგიურ ქორწინებაში, 10 % იურდიულში, 5-ს არ აქვს გაფორმებული და 50% ს კი ქორწინება, იურდიულადაც აქვს გაფორმებული და რელიგიურადაც.

დაახლოებით 20 წლის წინ, ამ სოფლის მოსახლეობისათვის, ქორწინების საუკეთესო ასაკად ქალისთვის 15-16, მამაკაცისთვის კი - 22-25 წელი ითვლებოდა. ადგილი ჰქონდა ნაადრევ ქორწინებებსაც. კვლევამ უჩვენა, რომ ქორწინების ასაკი გაზრდილია. რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ ამჟამად ქალის ქორწინების საუკეთესოა ასაკია 20-22, ხოლო მამაკაცისთვის 25-27 წელი.

შუა ასაკისანი გვიანი ქორწინების ძირითად მიზეზად უმუშევრობასა და ცუდ ეკონომიკურ პირობებს მიიჩნევენ, ხოლო ახალგაზრდები - განათლებას, სამსახურსა და კარიერას.

კვლევით გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობის მშობლებს უფრო მეტი შვილი ჰყავდათ, ვიდრე ჰყავთ მათ შვილებს, ან შეიძლება ჰყავდეთ მომავალში. კერძოდ, თუ 3 შვილი და მეტი ჰყავს მშობელთა 59%-ს. დაქორწინებული შვილების 70% და დაუქორწინებელთა 76% ერთს ან ორშვილს აჩენს, ან აპირებს გააჩინოს (ცხრილი1,2,3)

ცხრილი 1. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე:“
რამდენი შვილი ჰყავს (ჰყავდა) თქვენს მშობლებს?“(%)

ბავშვთა რაოდენობა	1 შვილი	2 შვილი	3 შვილი	4 შვილი	5 შვილი	6 და მეტი შვილი
რესპონდენტთა განაწილება პასუხების მიხედვით,%	5.0	36.0	35.0	12.0	5.0	7.0

წყარო: ცხრილი შედგენილია კვლევის პირველადი მასალების საფუძველზე

ცხრილი 2. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე:
„პირადად თქვენ რამდენი შვილის ყოლა გსურთ“ (%)

ბავშვთა რაოდენობა	1 შვილი	2 შვილი	3 შვილი	4 შვილი	5 შვილი	6 და მეტი შვილი
რესპონდენტთა განაწილება პასუხების მიხედვით,%	5.0	71.0	19.0	4.0	1.0	-

წყარო: ცხრილი შედეგენილია კვლევის პირველადი მასალების საფუძველზე

ცხრილი 3. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე:
„ამჟამად რამდენი შვილი გყავთ?“

ბავშვთა რაოდენობა	არცერთი შვილი	1 შვილი	2 შვილი	3 შვილი	4 შვილი	5+ შვილი
რესპონდენტთა წილი,%	58,0	6,0	23,0	7,0	4,0	2,0

წყარო: ცხრილი შედეგენილია კვლევის პირველადი მასალების საფუძველზე

სამი და მეტი ბავშვის გაჩენას გეგმავს რესპონდენტთა მხოლოდ 6% (ცხრილი 4). შესაბამისად, თეზისს „ოჯახს სამი შვილი მაინც უნდა ჰყავდეს, რესპონდენტთა უმრავლესობა არ დაეთანხმა.

ცხრილი 4. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე:“
კიდევ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ მომავალში?“

ბავშვთა რაოდენობა	არცერთი	1 შვილი	2 შვილი	3 შვილი	4 შვილი	5+შვილი
რესპონდენტთა წილი,%	37,0	4,0	53,0	2,0	-	4,0

წყარო: ცხრილი შედეგენილია კვლევის პირველადი მასალების საფუძველზე

შვილთა ოპტიმალურ რაოდენობად ძირითადად მიჩნეულია ორი ბავშვი (ცხრილი 5).

ცხრილი 5. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე:
თქვენი აზრით, რამდენია შვილთა ოპტიმალური რაოდენობა ოჯახში?“ (%)

ბავშვთა რაოდენობა	1	2	3	4	5	6 და მეტი
რესპონდენტთა წილი	-	63.0	37.0	-	-	-

წყარო: ცხრილი შედეგენილია კვლევის პირველადი მასალების საფუძველზე

ბავშვის სქესისადმი დამოკიდებულების შესწავლამ გამოავლინა, რომ თითქმის ყველა რესპონ-დენტისთვის 1-ლი და მე-2 შვილის გაჩენისას შვილის სქესს მნიშვნელობა აქვს. მძაფრად გამოიკვეთა ვაჟის ყოლის სურვილი.

რესპონდენტთა ღირებულებითი ორიენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ შუა ასაკის რეს-პონდენტებისთვის უმნიშვნელოვანესია ოჯახის შექმნა, შვილების ყოლა და განათლება, ახალგაზ-რდებისთვის - განათლება, კარიერა და პირადი დამოუკიდებლობა.

კითხვაზე: გამართლებულია თუ არა ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა? შუა ასაკის ადამიანები პასუხობდნენ, რომ ყოვლად გაუმართლებელია, ახალგაზრდებს კი მიაჩნიათ, რომ გამართლებულია, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ამისთვის ჯერ მზად არ არის. არავინ ეთანხმება ქორწინებამდელი სექსუალური ურთიერთობას და უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია მეუღლის სარწმუნოება. ამავე დროს რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ერთ-ერთი მეუღლის ხანგრძლივი ემიგრაცია გავლენას ახდენს ბავშვთა სასურველ რაოდენობაზე, რომ საეკლესიო ქორწინება იურდიულადა უნდა იყოს აღიარებული. აზრი შუაზე გაიყო შემდეგი მოსაზრებების ირგვლივ: „მისაღებია ქორწინებაში არმყოფი ქალის მიერ შვილის ხელოვნური განაყოფიერებით გაჩენა“ და „წყვილს შეუძლია ქორწინებისგარეშე იცხოვროს ერთად?“. ნახევარი არ დაეთანხმა და ნახევარს გაუჭირდა პასუხის გაცემა ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, „დასაშვებია ქორწინებაში არმყოფი ქალის მამაკაცთან სქესობრივი ურთიერთობა“.

დასკვნა

კვლევით დადგინდა, რომ სოფელ ჯანდარის მოსახლეობის დამოკიდებულება შვილიანობისადმი შეიცვალა პოსტსაბჭოთა პერიოდში. ის მიმართულია ორშვილიანი ოჯახების შექმნისაკენ. ეს კი გვაძლევის იმის მტკიცების საფუძველს, რომ აქ დასრულდა დემოგრაფიული გადასვლის პერიოდი. დამკვიდრდა შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმი. ბუნებრივია ამაზე გავლენა მოახდინა ემიგრაციამაც, თუმცა მიგვაჩნია, რომ განმსაზღვრელი ფაქტორია ღირებულებათა ორიენტაციის ცვლილება. ახალგაზრდობა ბევრად ლოიალურია ადრე ტაბუდადებული მოსაზრებების მიმართ. ოჯახის შექმნასა და შვილების ყოლაზე მეტად მათთვის უმთავრესია კარიერული წინსვლა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გომელაური ნ. (2020). დემოგრაფიული ქცევის მოდერნიზაცია და გადავადებული მშობლობა საქართველოში. წიგნში: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. თბილისი. გვ. 201-214
2. გუგუშვილი პ. (1985). მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა. მეცნიერება, თბილისი
3. თოთაძე ა. (2009). საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. უნივერსალი. თბილისი
4. ლორთქიფანიძე ვ. (2020). მიგრაციული პროცესები საქართველოში და ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა. წიგნში: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული.თბილისი. გვ. 243-263
5. მენაბდიშვილი ნ. (2020). ქორწინების თავისებურება ახალი საუკუნის საქართველოში. წიგნში: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. თბილისი. გვ. 233-242
6. მენაბდიშვილი ლ. (2019). საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობა: სოციალურ-დემოგრაფიული ნარკვევები. თბილისი
7. რეგიონული სტატისტიკა. Geostat.ge.
8. საქართველოს მოსახლეობის, 2002, 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. Geostat.ge.
9. სულაბერიძე ა. (2018). საქართველოს დემოგრაფიული მოდერნიზაცია. ნაწ.1. ზენაარი, თბილისი
10. ტუხაშვილი მ. (2017). ქ. რუსთავის როლი ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის ფორმირებაში. Gგლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. (შრომების კრებული). თბილისი. gv. 470-474

11. შელია მ. (2022). საქართველოს სტუდენტობა: სოციალურ-შრომით და დემოგრაფიულ პრიზმაში, უნი-ვერსალი, თბილისი.
12. შუშტაკაშვილი ვ. წიკლაური შ. (2014). შობადობა და რეპროდუქციული ქცევა საქართველოს ქალაქებში. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული.თბილისი. გვ.63-74.
13. წულაძე. გ. (2013).საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები(2015-2050წწ).
14. Shelia M.(2018). Reproductive Behavior of Students in Georgia. Демографія та соціальна економіка,
15. № 2 (33). https:// doi. org/10.15407/dse2018.02.094

მცირე ბიზნესის განვითარების გამოწვევები საქართველოში

ანი ბარამიძე

ნაშრომში გაანალიზებულია მცირე ბიზნესის განვითარების გამოწვევები საქართველოში.

საკვლევი თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები გადმოცემულია შესავალში, პირველ თავში კი განხილულია ტერმინოლოგიის (ბიზნესი, მეწარმეობა, მცირე მეწარმეობა) თეორიული ასპექტები, შემოთავაზებულიაამ განსაზღვრებისადმი მიდგომების ანალიზი, შესწავლილია მცირე ბიზნესის ევოლუცია, როლი, მნიშვნელობა და წარმოდგენილია მცირე მეწარმეობის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის მონაცემებს მცირე ბიზნესის განმარტების შესახებ.მაჩვენებლების ანალიზისას კი ვეყრდნობით მონაცემებს,რომელებიც ყოველწლიურად ახლდებაამ ვებ-გვერდებზე.

ასევე საუბარია ევროკავშირზეც. როგორ და რამდენ ტიპად განიხილავს ის მცირე ბიზნესს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური საიტის დახმარებით ამოღებულია ინფორმაცია ბიზნესის რაოდენობრივი პარამეტრებზე საქართველოში.

სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის ქმედითობა გამოკვლეულია მცირე მეწარმე ფიზიკური პირების ანკეტირების დახმარებით;კვლევის შედეგად შეფასებულია ზეგავლენის ის მასშტაბები, რომლებსაც აწყდებიან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები.

ნაშრომში დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია ძირითადი მიგნებები, გამოვლენილია გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას ბაზარი და ასევე გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები ბაზრის მონაწილე მხარეებისთვის.

ნაშრომში გაეცნობით მცირე ბიზნესის არსს, მის რაოდენობრივ და თვისებრივ პარამეტრებს, როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასევე შევეხებით მისი განვიტარების ძირითად გამოწვევებს საქართველოში.

1. თანამედროვე ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესი სცდება ვიწრო საწარმოო ან ეკონომიკური ეფექტიანობის ჩარჩოებს და უმნიშვნელოვანეს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. საქართველოში დღეს არსებული მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზად, სწორედ, მცირე ბიზნესის განვითარება გვევლინება.
2. მცირე ბიზნესს მიეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული რაოდენობრივი და თვისებრივი კრიტერიუმების (მაჩვენებლების) პირობებში. მსოფლიო ბანკის ჯგუფის კვლევების მიხედვით, მაჩვენებლების საერთო რიცხვი, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესი განისაზღვრება, 50-ს აღემატება (IFC, 2012). ამიტომ, მისი განსაზღვრება და კლასიფიკაცია განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. როგორც წესი, ყველაზე საერთო მაჩვენებლებს დასაქმებულების რაოდენობა და წლიური ბრუნვა წარმოადგენს. მაგალითად, აშშ-ში მცირე ბიზნესის რაოდენობრივი ინდიკატორები დარგების მიხედვით განისაზღვრება (მრეწველობაში 500-მდე, ხოლო საბითუმო ვაჭრობაში 100-მდე დასაქმებული და ა.შ.), მას მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (SBA) პერიოდულად განიხილავს და ამტკიცებს (U.S. Small Business Administration).
3. ევროკავშირი განიხილავს მცირე და საშუალო საწარმოების სამ ტიპს, ესენია:

1) მიკრო საწარმო - სადაც დასაქმებულია 1-დან 9-მდე ადამიანი და საქონელბრუნვის სწლიური მოცულობა არ აჭარბებს 2 მლნ. ევროს;
2) მცირე საწარმო - სადაც დასაქმებულია 10-დან 50-მდე ადამიანი და საქონელბრუნვის წლიური მოცულობა არ აჭარბებს 10 მლნ. ევროს;
3) საშუალო საწარმო - სადაც დასაქმებულია 50-დან 249-მდე ადამიანი და საქონელბრუნვის წლიური მოცულობა არ აჭარბებს 50 მლნ. ევროს.

4. საქართველოში მცირე ბიზნესის რაოდენობრივი ინდიკატორები ორი ასპექტით განისაზღვრება - სტატისტიკური და საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე.

ცხრილი. ბიზნესის რაოდენობრივი პარამეტრები საქართველოში

	დასაქმებულების რაოდენობა		**წლიური ბრუნვა**	
	სტატის-ტიკური მიზნებით	*საგადასახადო მიზნებით*	*სტატისტიკური მიზნებით*	*საგადასახადო მიზნებით*
მიკრო ბიზნესი		არ ჰყავს		≤30 000 ლარი
მცირე ბიზნესი	≤50		≤12000000 ლარი	≤500 000 ლარი
საშუალო ბიზნესი	≤250		≤60 000000 ლარი	

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მცირე ბიზნესის განსხვავებულ კრიტერიუმებს და აგრეთვე, განმარტავს მიკრო ბიზნესის ცნებას. მიკრობიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას, დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს. მიკრობიზნესი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან. მცირე ბიზნესის სტატუსი საგადასახადო მიზნებით ენიჭება მეწარმეებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი წლის განმავლობაში იქნება 500,000 ლარამდე. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება მინიმალური, ერთობლივი შემოსავლის 1%-იანი გადასახადით.

4. მცირე ბიზნესის როლი საზოგადოებაში:
   - პოლიტიკური სტაბილურობის ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფა;
   - ბაზარზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა; - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება წარმოადგენს საუკეთესო ინსტრუმენტს იმისათვის, რომ არ მოხდეს მონოპოლიების წარმოქმნა და ძალაუფლების კონცენტრირება მხოლოდ რამდენიმე სუბიექტის ხელში;
   - უმუშევრობის შემცირება - მცირე და საშუალო ბიზნესს მასტაბილიზებელი გავლენა აქვს შრომის ბაზარზე და კრიზისების დროს უფრო მეტ სამუშაო ადგილებს ქმნის, ვიდრე მსხვილი;
   - ინოვაციების დანერგვა - მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს თამაშობს ინოვაციურ პროცესებში. მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციების და გამოგონებების რიცხვი

ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 4-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე მსხვილ კორპორაციებში. მცირე საწარმოები ინოვაციურ პროცესში გვევლინებიან, ერთი მხრივ, ექსპერიმენტატორებად მსხვილი კომპანიებისათვის, მეორე მხრივ, ახალი პროდუქტების პიონერებად. უმეტეს შემთხვევაში ინოვაციური იდეების განხორციელება მცირე მასშტაბის ბიზნესით იწყება.

5. მცირე ბიზნესის **უპირატესობები**:
   - ✓ ბაზართან სიახლოვე;
   - ✓ თანამშრომლების ლოიალური დამოკიდებულება;
   - ✓ ცვალებად პირობებთან სწრაფი ადაპტაციის უნარი;
   - ✓ გადაწყვეტილებების მიღების, აღსრულების ოპერატიულობა და მოქნილობა;
   - ✓ შედარებით მცირე დანახარჯებით საქმიანობა;
   - ✓ სამეწარმეო იდეების რეალიზაციის დიდი შესაძლებლობები;
   - ✓ სასტარტო კაპიტალის შედარებით მცირე მოცულობა;
   - ✓ საკუთარი კაპიტალის მაღალი ბრუნვადობა;
   - ✓ საქმის წარმოების სიმარტივე და საგადასახადო შეღავათები.
6. მცირე ბიზნესის ნაკლოვანებები:
   - ✓ გაკოტრების რისკის მაღალი დონე;
   - ✓ საბაზრო პოზიციების ცვალებადობა;
   - ✓ მსხვილ კომპანიებზე დამოკიდებულება;
   - ✓ ნაკლოვანებები მართვაში;
   - ✓ გარემოს ცვალებადობაზე მაღალი დამოკიდებულება;
   - ✓ ფინანსური რესურსების მოზიდვის სირთულე და სხვა.

7. მცირე ბიზნესის როლი საქართველოს ეკონომიკაში



8. დასკვნა: მიუხედავად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით საქართველოში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისა, ბიზნესის ეს ფორმა კვლავ აწყდება სიძნელეებს რიგ სფეროებში, რაც ნეგატიურად აისახება მისი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის სრულყოფილ რეალიზაციაზე.

- გაუმჯობესებას საჭიროებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტები. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს არსებობა მართალია მნიშვნელოვანია ზოგადად ბიზნესის განვითარებისათვის, მაგრამ ის ნაკლებადაა ფოკუსირებული კონკრეტულად მცირე და საშუალო ბიზნესზე. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოც ძირითადად სტარტაპებსა და მაღალტექნოლოგიურ ბიზნესზე აკეთებს აქცენტს. ჩვენი აზრით, მცირე და საშუალო ბიზნესის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა უშუალოდ ამ სფეროზე ფოკუსირებული ინსტიტუციური წარმონაქმნების ფორმირება, როგორც ცენტრალურ ასევე რეგიონების დონეზე, რომელთა საქმიანობა გამყარებული იქნება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. ამის მაგალითები თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობს, იაპონიაში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო მეწარმეობის სააგენტო (Small and Medium Enterprise Agency – SMEA), რომელიც პასუხისმგებელია მთავრობის სტრატეგიის რეალიზაციაზე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სფეროში. ასევე იაპონიის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ცენტრები. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათ თანამშრომლობას, რაც მთელ რიგ ქვეყნებში შესაბამისი კანონმდებლობით არის სტიმულირებული და გამყარებული. მაგალითად „მცირე და საშუალო ბიზნესის თანამშრომლობის ორგანიზაციის კანონი."
- გამოწვევად რჩება ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. მაღალი საპროცენტო განაკვეთები და სესხის უზრუნველყოფის მკაცრი პირობები (დიდი გირაო, გარანტია), რასაც შედარებით განუვითარებელი არასაბანკო დაფინანსების სისტემა ემატება (OECD, European Union, 2016). მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალის ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო „უფასო ფული", რაც გრძელვადიანი იაფ კრედიტებზე ხელმისაწმვდომობის გაზრდას გულისხმობდა, ამ პრობლემის გადაჭრა მაინც ვერ მოხერხდა საქართველოში. საწყის ეტაპზე მთავრობა შეეცადა შეემცირებინა რეფინანსირების განაკვეთი, რასაც ლარის მკვეთრი გაუფასურება და ინფლაციური პროცესების გააქტიურება მოჰყვა, შედეგად კვლავ გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები, ასევე მთავრობა იძულებული გახდა გაემკაცრებინა პირობები სესხის გაცემაზე. თანამედროვე ეტაპზე სამთავრობო წრეებში უფრო აქტუალურია დავალიანების შემცირების პრობლემაზე საუბარი და შესაბამისი ზომების დაგეგმვა, ვიდრე ეგრედწოდებული „უფასო" ფულის პოლიტიკა, რაც ბუნებრივია მომავალში კიდევ უფრო შეამცირებს მცირე ბიზნესისათვის საბანკო სესხების ხელმისაწვდომობას. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს რომ, მცირე ბიზნესის დაფინანსების ძირითადი წყარო, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე არასაბანკო რესურსები წარმოადგენს, კერძოდ ვენჩურული და ანგელოზური დაფინანსება. სამწუხაროდ ეს ინსტიტუტები საქართველოში ვერ ვითარდება, რაც ზოგადად კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობით არის გამოწვეული. გარდა ამისა, საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, მიკრო და მცირე ბიზნესად მხოლოდ ინდივიდუალური საწარმოები განიხილება, ხოლო მათთვის ვენჩურული დაფინანსების მიღება ტექნიკურას შეუძლებელია, რადგან აღნიშნული სამართლებრივი ფორმა არ ითვალისწინებს წილის დათმობას.

- არსებითი დაბრკოლებაა სამეწარმეო უნარების ნაკლებობა, რაც გარკვეულწილად საბჭოთა მემკვიდრეობითაა გამოწვეული. დაბალია ბიზნესის დაგეგმვის და განვითარების, მარკეტინგის, სტრატეგიული, ოპერაციული მენეჯმენტისა და სხვა უნარებისა თუ ცოდნის დონე, რაც აუცილებელია წარმატებული საქმიანობისთვის (OECD, European Union, 2016). ამ პრბლემის გადასაწყვეტად ბევრი ღონისძიება დაიგეგმა საქართველოს მთავრობის მერ, თუმცა როდესაც საერთაშორისო გამოცდილებას გადავავლებთ თვალს და საქართველოს შევადარებთ, ერთ-ერთი მიმართულება, რომელის ათვისებაც არ ხდება და სამწუხაროდ არც იგეგმება, არის უკვე პენსიაზე გასული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების (მენეჯერები, ინჟინერები, მეცნიერები, ფინანსისტები და სხვა) რესურსის გამოყენება. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში შექმნილია საკონსულტაციო პუნქტები (Service Corps of Retired Executives), რომელსაც პენსიაზე გასული სპეციელისტები ემსახურებიან. მაგალითად აშშ-ში 389 ასეთი პუნკტია, რომელიც ყოველწლიურად 400 ათას კლიენტს ემსახურება.

1. მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება დაბალია, რისი ერთ-ერთი მიზეზი დაბალი მწარმოებლურობა და ინოვაციების ნაკლებობაა. მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური აქტივობა საკმაოდ დაბალია საქართველოში რეგიონის ქვეყნებთან შედარებითაც კი. ინოვაციებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს start-up-ების და მცირე და საშუალო კომპანიების განვითარებას - არასაკმარისია. ასევე დაბალია ინოვაციების კომერციალიზაციის და იდეების პროდუქტად გარდაქმნის მაჩვენებელი (OECD, European Union, 2016). გარდა ამისა, დღეისთვის, მთელი ქვეყნის ტერიტორია არ არის დაფარული მაღალსიჩქარანი ინტერნეტით. იმისათვის, რომ გაიზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური აქტივობა, აუცილებელია მივმართოთ მსოფლიოსი აპრობირებულ მექანიზმებს, როგორიცაა:
   - მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
   - რეალური საგადასახადო შეღავათების ამოქმედება დამწყები მცირე ინოვაციური საწარმოებისათვის;
   - ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კანონმდებლობის სრულყოფა;
   - ტექნოპარკების და ბიზნესინკუბატორების ქსელის განვითარება;
   - ინოვაციური კლასტერების განვითარება;
   - კერძო, სახელმწიფო და სამეცნიერო სექტორის თანამსრომლობის ფორმების დანერგვა (Шабуришвили, 2012).
2. დაბალია ქართული მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის დონე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოების მეოთხედი შემოსავლების 10-40%-ს საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდან იღებს. მათ მიერ ექსპორტილებული პროდუქცია მსოფლიო ექსპორტის 25-35%-ს შეადგენს, რომელიც განუხრელად იზრდება და დინამიკის ტემპებით დაახლოებით 2-2,2-ჯერ აღემატება მსხვილი კომპანიებისას. ეს მაშინ, როდესაც შრომის მწარმოებლურობა მსხბვილ ბიზნეში უფრო მაღალია.

საქართველოში ბევრი მცირე საწარმო აცნობიერებს საგარეო ბაზარზე გასვლის უპირატესობას, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებს ამას. საქმიანობის საზღვრებს გარეთ გაფართოებას ხელს უშლის შემდეგი ფაქტორები:

- შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე;
- შესაბამისად მომზადებული მმართველობითი პერსონალის დეფიციტი;

- უცხოური ბაზრის ათვისებასთან დაკავსირებული პრობლემები;
- საჭირო ტექნოლოგიური დონის არ არსებობა;
- მცირე საწარმოების თანამშრომლობის ფორმების (სავაჭრო პალატები, ასოციაციები) განუ-ვითარებლობა;
- საგარეო ბაზარზე ორიენტირებული სავაჭრო შუამავლების სიმცირე;
- დამატებული ღირებულების გლობალურ ჯაჭვში ჩართული ქართული მსხვილი კომპანიების სიმწირე;
- საზღვარგარეთ პოტენციური პარტნიორების არ ყოლა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური საიტი
2. მცირე ბიზნესის კონფერენცია (რედაქტირებული ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილის მიერ)
3. ეროვნული ბანკის ოფიციალური საიტი
4. ვებ-გვერდი „პალიტრას“ სტატიები

ოლიგოპოლია საქართველოს ფარმაცევტულ ბაზრებზე და სახელმწიფოს როლი მის რეგულირებაში

მარიამ ბასიაშვილი

თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა ყველაზე ეფექტიან საბაზრო სტრუქტურადაა მიჩნეული. თუმცა, როდესაც ქვეყანაში არაკონკურენტული გარემოა, მონოპოლიური ფირმები თუ ოლიგოპოლიური გაერთიანებები, ეგ.წ. კარტელები, საბაზრო ძალაუფლებას ხელთ იგდებენ და საკუთარი კეთილდღეობის ხარჯზე აზიანებენ როგორც ბაზარს, ისე საზოგადოებას. ჩვენი ნაშრომის საშუალებით შევეცადეთ დაგვედგინა საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე ოლიგოპოლიის არსებობა და ჯანმრთელობისათვის, ზოგჯერ სიცოცხლისათვის აუცილებელი პროდუქტების ხელმისაწვდომობის სიმწირე. სწორედ აღნიშნული უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად საქართველოს მთავრობა ფარმაცევტული ბაზრის რეგულირების მიმართულებით აქტიურად ატარებს რეფორმებს და ცდილობს კონკურენტული გარემოს შექმნას. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, შემდგომი მსჯელობა სწორედ საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის პრობლემებს შეეხება.

კვლევის მიზანია საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე სახელმწიფო რეგულირების ზემოქმედების შედეგების ანალიზი და საბაზრო სტრუქტურის ცვლილების განსაზღვრა.

მეთოდოლოგიური ჩარჩო: ნაშრომი მიეკუთვნება თეორიულ-მეცნიერული კვლევის მიმართულებას, რომლის საფუძვლად გამოდის თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ძირითადი დებულებები.

საკვლევი თემის ირგვლივ დამუშავებულია მრავალმხრივი ლიტერატურული წყარო, მათ შორის ქართველი მეცნიერ-პრაქტიკოსების ნაშრომები, ასევე ანალიტიკური ინფორმაცია, სამთავრობო რეგულაციები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ანგარიშები და დადგენილებები.

საკვანძო სიტყვები: *ფარმაცევტული ბაზარი, ოლიგოპოლია, მედიკამენტების იმპორტი, პრეპარატების გენერიკული დასახელება, ფასების ზედა ზღვარი.*

ოლიგოპოლია ბაზრის ეფექტიანობის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია, რომელიც დიდ დანაკარგებს იწვევს. სწორედ ამიტომ, ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის მცირე კვლევა, მისი საბაზრო სტრუქტურის დასადგენად.

კვლევა ჩატარდა ქვეყნის 4 მსხვილი სააფთიაქო ქსელის მიხედვით (იხ. ცხრილი 1), ესენია: ავერსი, პსპ, ჯიპისი, ფარმადეპო. ყველაზე გამოყენებადი მედიკამენტების ჯგუფებიდან შეირჩა შემდეგი კატეგორიები: ტკივილგამაყუჩებლები, ანტიჰისტამინები, ნევროლოგიური და გინეკოლოგიური პრეპარატები და გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები. ჩამოთვლილი ჯგუფებიდან შერჩევითობის პრინციპით არჩეულ მედიკამენტებზე დავადგინეთ როგორც საწყისი, ასევე ფასდაკლებული ფასები და მათზე დაკვირვების შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი: მედიკამენტებზე თავდაპირველი ფასები ზოგ შემთხვევაში იდენტურია, ზოგჯერ კი საკმაოდ მიახლოებული. ფასდაკლების ერთნაირი მექანიზმები უკვე ცალსახად ადასტურებს, რომ საქართველოს ფარმაცევტული ბაზარზე ოლიგოპოლიურ გარიგებებს აქვს ადგილი. რომ არა ფარული შეთანხმებები, სხვადასხვა კომპანიას შეუძლებელია ჰქონდეს ერთდროულად ერთი და იმავე პროდუქტზე მსგავსი ფასდაკლება.

ამრიგად, ჩატარებული მიმოხილვითი ხასიათის კვლევით დგინდება, რომ საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი, უდავოდ, ოლიგოპოლიური სტრუქტურის მქონეა, რასაც მოსახლეობისათვის არასასურველი შედეგები მოაქვს. დომინანტური მდგომარეობისა და საბაზრო ძალაუფლების აღნიშნული გამოვლინება ცალსახა დასტურია იმისა, რომ ბაზარი ყოველთვის სამართლიანად ვერ ფუნქციონირებს და ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია ეფექტიანობასა და სამართლიანობას შორის სწორი არჩევანის გასაკეთებლად. სწორედ სამართლიანობის მისაღწევადაა საჭირო ფარმაცევტული ბაზრსების მიმართულებით აქტიური მარეგულირებელი პოლიტიკის გატარება და მისი კონკურენტულ ფორმასთან მაქსიმალურად დაახლოება.

ფარმაცევტული ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მისი კონკურენტული სტრუქტურიდან გადახრით გამოწვეული მორალურ-მატერიალური პრობლემების აღმოსაფქვრელად საქართველოში გასული წლების განმავლობაში რამდენიმე ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა. მიღებულ იქნა ახალი რეგულაციები, შეიცვალა გარკვეული მიდგომები, რომელთა დადებითი და უარყოფითი შედეგებიც აისახა ბაზრის როგორც მიმდინარე მდგომარეობაზე, ისე მათი ეფექტების სამომავლო მასშტაბების პროგნოზშიც.

ის ფაქტი, რომ კონკურენციის გარეშე საბაზრო ეკონომიკა ვერ განვითარდება, არაერთხელ დადასტურებულა მსოფლიოს სხვდასხვა ქვეყნის მაგალითზე და ამის შესახებ ღვაწლმოსილი ეკონომისტებიც საურობდნენ. მაგალითად, ავსტრიელი ეკონომისტი იოზეფ შუმპეტერი წერდა, რომ კონკურენცია წარმოადგენს არა სტატიკურ მოვლენას, არამედ დინამიკურ და განვითარებად პროცესს, რომელიც, როგორც პროცესი, საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს.

ცხრილი 1

ფასწარმოქმნა საქართველოს სააფთიაქო ქსელებში

ჯგუფი	დასახელება	ავერსი		პსპ		ჯიპისი		ფარმადეპო	
		საწყისი	ფასდაკლებით	საწყისი	ფასდაკლებით	საწყისი	ფასდაკლებით	საწყისი	ფასდაკლებით
ტკივილგამაყუჩებელი	ციკლოფერონი	44.05	31.72	44.35	33.71	44.30	35.44	44.30	33.23
გულ-სისხლძარღვთა	კარდიომაგნილი 150მგ	12.91	9.30	12.51	9.37	13.00	9.88	13.00	9.75
გრიპი და გაციება	ტერაფლუ	24.14	17.32	24.06	16.19	22.27	16.68	22.27	16.44
ანტიჰისტამინი	ალერსეტი	33.28	23.96	33.61	24.20	33.50	21.78	33.50	21.78
გინეკოლოგია	მაილენი	36.38	24.65	37.13	27.85	37.13	24.50	37.22	24.56
ნევროლოგიური	ნოვარესტი	41.70	32.02	41.94	30.24	41.70	30.44	41.70	29.61

2021 წლისთვის კი მივიღეთ საქართველოს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის განვითარების 11 ეტაპი, რომლის ფორმირებაშიც ქვეყნის სხვადასხვა მარეგულირებელი ორგანო იყო ჩართული და ერთობლივი ძალისხმევით ცდილობდნენ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული დარგების პროტექციონიზმის პოლიტიკას ეკონომიკური თეორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მეცნიერები საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. რა თქმა უნდა, ხშირი და არარაციონალური ჩარევა ბაზრის დანაკარგებს იწვევს, რის გამოც ზემოთ ხსენებული მიდგომა ლიბერალისტების კრიტიკის საგანი ხდება. თუმცა, ეკონომიკაში სახელმწიფოს გარკვეული დონით ჩარევა მრავალ ასპექტს მოიცავს და ზოგჯერ შესაძლოა სახელმწიფოს ჩარევით გამოწვეული საერთო დანაკარგები გაცილებთ ნაკლები იყოს, ვიდრე ბაზრის კონკურენტული სტრუქტურიდან გადახრით. მოცემულ შემხვევაში, მონაცემთა შეზღუდულობის გამო ამ ეფექტების შედარება შეუძლებელია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, არსებობს მორალური ასპექტები, რომლებიც ეკონომიკურზე მაღლა დგას. სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელი მედიკამენტების ფასებით სპეკულირება კი, სადავოა რომელიმე ეთიკის ჩარჩოში თუ ჯდება.

იქიდან გამომდინარე, რომ წამლების ბაზრის სპეციფიკა სხვა ბაზრებისაგან განსხვავდება, ამ ბაზრის კონკურენტული გარემოს შეფასებაც განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. მედიკამენტებზე მოთხოვნა ყალიბდება არა უშუალოდ მომხმარებილისაგან (პაციენტისგან), როგორც ეს სხვა შემთხვევაშია, არამედ ჯერ მკურნალი ექიმის, მისი ობიექტური თუ ზოგჯერ სუბიექტური მოსაზრებით, შემდეგ კი ფარმაცევტის, ჩარევით. აღნიშნული მახასიათებლები კონკურენტული გარემოს შეფასებისას მოდელს ამხსნელი ცვლადებით ამდიდრებს და საერთო ჯამში მივდივართ იმ დასკვამდე, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მთავარი ინდიკატორი გახლავთ ბაზარზე არსებულ ურთიერთჩამნაცვლებელ მედიკამენტებს შორის კონკურენტლი წნეხის დონე, აღნიშნულია საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ „ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის“ 2021 წლის ანგარიშში

აღნიშნული მოცემულობის შესაცვლელად ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს კონკურენციის სააგენტო ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად ახორციელებს მთელ რიგ ცვლილებებს და აწესებს სხვადასხვა რეგულაციებს, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებები:

- თურქეთის ფარმაცევტული ბაზრის გახსნა;
- რეგულაცია მედიკამენტების გენერიკული დასახელებით გამოწერის შესახებ;
- რეფერენტული ფასების დაწესება.

შემდგომი მსჯელობაც სწორედ ზემოხსენებულ რეგულაციებს, მათ არსს და განხორციელებისას წარმოქმნილ დადებით და უარყოფით შედეგებს ეხება.

2022 წლის 17 იანვარს ხელი მოეწერა დადგენილებას „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ“, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობის 2009 წლის №188 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები და საქართველოში მედიკამენტების იმპორტიორი ქვეყნების სიას დაემატა თურქეთის რესპუბლიკა. ამან ხელმისაწვდომი გახადა ევროპულთან შედარებით იაფი თურქული წარმოების პრეპარატები.

თურქეთის ფარმაცევტული ბაზრის გახსნიდან მალევე ზოგიერთი მედიკამენტის ფასი 60-80%-ითაც კი შემცირდა, რამაც გამოიწვია სამომხმარებლო ნამეტის ზრდა და 2022 წლის სექტემბერში უკვე შეინიშნებოდა 80 მილიონიანი მომხმარებლის დანაზოგი. გძელვადიან პერსპექტივაში კი ნავარაუდებია ყოველწლიურად აღნიშნული მაჩვენებლი დაახლოებით 180-დან 200 მილიონმდე გაი-

ზარდოს. აღნიშნული პოლიტიკის თანმდევი ეფექტები უდიდეს გავლენას მოახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე,

როგორც აღვნიშნეთ, მედიკამენტებზე მოთხოვნა მხოლოდ მომხმარებლის მიერ განპირობებული არაა და ამ პროცესში როგორც ექიმი, ისე ფარმაცევტი უდიდეს როლს ასრულებს. არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ ხშირად მედიცინის მუშაკები განზრახ უნიშნავენ პაციენტებს ძვირადღირებულ მედიკამენტებს, რადგან ფარმაცევტული კომპანიებისაგან მატერიალური სარგებელი მიიღონ.

სწორედ აღნიშნულის თავიდან ასარიდებლად 2022 წლის 11 აპრილს საქართველოში ამოქმედდა რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, ექიმი ვალდებულია მედიკამენტები გენერიკული (საერთაშორისო) დასახელებით გამოწეროს. აფთიაქში მისულ მომხმარებელს კი ფარმაცევტი, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული, გენერიკული მედიკამენტების ეგ.წ. „პოზიტიური სიიდან“ სამ ყველაზე იაფიან წამალს შესთავაზებს, რის შედეგადა მოქალაქე თავად გადაწყვეტს რომელი მედიკამენტი შეიძინოს. ბუნებრივია, „პოზიტიურ სიაში“ შემავალ მედიკამენტებს ექნება, როგორც ხარისხის, ისე ბიოეკვივალენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ესე იგი მაქსიმალურად ურთიერჩანმაცვლებლები იქნება.

გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს აღსრულების კონტროლის სირთულეც. როგორც აღვნიშნეთ, ფარმაცევტმა სახელმწიფოს მიერ წინასწარ განსაზღვრული „პოზიტიური სიიდან“ უნდა შესთავაზოს მედიკამენტები, მაგრამ ჩნდება მოსაზრება, რომ შესაძლოა მათ საერთოდ უარი თქვან იაფი მედიკამენტების გაყიდვაზე, რა შემთხვევაშიც შემუშავებული კონცეფცია მთლიანად აზრს დაკარგავს.

2022 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი მედიკამენტებზე რეფერენტული ფასების დაწესების შესახებ, რომელიც 2023 წლის 15 თებერვალს ამოქმედდა და მოიცავს 1300-ზე მეტ ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტზე ფასების ზედა ზღვარის დაწესებას. აღნიშნული კანონი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის ზრდას ისახავდა მიზნად. წამლის ორიგინალისა და მისი გენერიკებისათვის განსხვავებული ფასი დადგინდა, რათა საერთაშორისო ბრენდების ინტერესი არ შელახულიყო. ფასების ზღვრის დაწესებით გამოწვეული ბაზრის დანაკარგები რომ გვერდზე გადავდოთ და დავუშვათ, რომ ამ პოლიტიკის შედეგად ბაზრის მაქსიმალური ეფექტიანობა მიგვეღო, პრობლემა ფარმაცევტული კომპანიების არაეთიკურ მიდგომაში გამოვლინდა, კერძოდ, სხვადასხვა სააფთიაქო ქსელებმა თურქეთიდან იმპორტირებული წამლების ფასი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი მედიკამენტების ფასს გაუტოლეს. ასეთი არაკეთილსინდისიერი მიდგომა საფრთხის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოების მხრიდან გატარებულ ღონისძიებებს და ფარმაცევტული კომპანიების სარგებელს ზრდის.

დასკვნა

ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა და ოლიგოპოლია იწვევს ისეთ უარყოფით ეკონომიკურ ეფექტებს, როგორიცაა:

- **წამლების მაღალი ფასი** - ოლიგოპოლიურმა ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს წამლების ფასების ზრდა შეზღუდული კონკურენციის გამო. როდესაც ფარმაცევტული კომპანიების მცირე რაოდენობა აკონტროლებს კონკრეტული წამლის ბაზარს, მათ შეუძლიათ ფასები უფრო მაღალ დონეზე დააწესონ. კონკურენტული ზეწოლის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს გაბერილი ფასები, შეამციროს ხელმისაწვდომობა.

- **შეზღუდული ინოვაცია** - ოლიგოპოლისტურ ფირმებს შეიძლება ჰქონდეთ ნაკლები სტიმული ინვესტირებაზე ახალი მედიკამენტების კვლევასა და განვითარებაში (R&D). შეზღუდული კონკურენციის პირობებში, ამ ფირმებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ბაზარზე დომინანტური პოზიცია ახალი ინოვაციების გარეშეც. ინოვაციის ნაკლებობამ კი შეიძლება ხელი შეუშალოს ახალი და უფრო ეფექტური მკურნალობის განვითარებას, შეზღუდოს სამედიცინო მიღწევები და პაციენტიების ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესაძლებლობები.
- **შემცირებული ხელმისაწვდომობა გენერიკებზე** - ოლიგოპოლიებმა შეიძლება შეაფერხოს გენერიკული მედიკამენტების ბაზარზე შესვლა. გენერიკული მედიკამენტები, როგორც წესი, უფრო ხელმისაწვდომი ალტერნატივაა ბრენდულ წამლებთან შედარებით, რაც უზრუნველყოფს პაციენტების და ჯანდაცვის სისტემების ხარჯების დაზოგვას. თუმცა, წამლების ოლიგოპოლიურ ბაზარზე დომინანტური ფირმები შეიძლება ჩაერთონ სტრატეგიებში, რათა შეაჩერონ ან დაბლოკონ გენერიკ კონკურენტების შესვლა, დაიცვან მათი ბაზრის წილი და გაახანგრძლივონ თავიანთი ბრენდირებული პროდუქტების ექსკლუზიურობა. ამ პრაქტიკამ შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლებისთვის წამლების უფრო მაღალი ფასები.
- **გამჭვირვალობის ნაკლებობა:** ოლიგოპოლისტურმა ქცევამ შეიძლება ხელი შეუწყოს წამლების ბაზარზე გამჭვირვალობის ნაკლებობას. ფასების სტრატეგიები და მოლაპარაკებები ფარმაცევტულ კომპანიებსა და შუამავლებს შორის, როგორიცაა სარგებლის მიმღები ფარმაცევტული მენეჯერები (Pharmacy Benefit Managers (PBMs) და სადაზღვევო კომპანიები, შეიძლება იყოს რთული და გაუმჭვირვალე.
- **შეთქმულების რისკი** - ზოგიერთ შემთხვევაში, ფარმაცევტული კომპანიებს, რომლებიც ოპერირებენ ოლიგოპოლიურ ბაზარზე, შეიძლება ჩაერთონ შეთქმულების პრაქტიკაში, როგორიცაა ფასების დაფიქსირება ან ბაზრის განაწილების შეთანხმებები. ამ უკანონო ქმედებებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს მომხმარებლებს ფასების ხელოვნურად გაბერვით და კონკურენციის შემცირებით. წამლების ბაზარზე ასეთი შეთქმულება შეიძლება განსაკუთრებით საზიანო იყოს, რადგან ის გავლენას ახდენს სასიცოცხლო მნიშვნელობის ჯანდაცვის სერვისებზე და მედიკამენტებზე, რომლებსაც ადამიანები უაღრესად მნიშვნელოვანია მათი კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხისთვის.
- **კვლევებისა და განვითარების შეზღუდვა** - ოლიგოპოლისტურ ფირმებს შეუძლიათ პრიორიტეტად მიიჩნიონ არსებული მედიკამენტების მცირედი გაუმჯობესების ვარიაციები, ვიდრე ინვესტირება უფრო სარისკო და ტრანსფორმაციულ კვლევებში, ბაზრის წილის შენარჩუნებისა და წარუმატებლობის თავიდან აცილების სურვილით. ამგვარმა მცდელობამ შესაძლოა შეანელოს სამედიცინო მეცნიერების პროგრესი და შეზღუდოს ინოვაციური მკურნალობის ხელმისაწვდომობა.

ამ ნეგატიური ეფექტების აღმოფხვრა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი ზომების ერთობლიობას, კონკურენციის ხელშეწყობას, გამჭვირვალობის გაზრდას და ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებს და პაციენტებისთვის ეფექტური მედიკამენტების ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შესაძლოა დავადასტუროთ, რომ საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი ნამდვილად ოლიგოპოლიური სტრუქტურიასაა. ასევე არსებობს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებელი ზომები, რომელთა გამოყენებაც ჯანსაღ კონკურენციას უწყობს ხელს და აუმჯობესებს ქვეყანის არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ მოსახლეობის მორალურ კეთილდღეობას. რეალურად ეს პროცესი საკმაოდ რთული, ხანგრძლივი და შრომატევადია, რომელიც პრობლემების ახალ-ახალ განშტოებებს გვიჩვენებს. ამიტომ საჭიროა მას-

ში ჩართული უწყებების კოორდინირებული მოქმედება, მიღწევადი მიზნების დასახვა და შედეგ-ების დეტალური ანალიზი, რათა ყოველ ახალ ეტაპზე ნათელი იყოს რა მიმართულებითაა საჭირო ყურადღების ფოკუსირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „განცხადება თურქული მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით“. (2023). https://www.moh.gov.ge/-ka/news/7338/gancxadeba-Turquli-medikamentebis-fasebTan-dakavSirebiT
2. „11 აპრილიდან რეცეპტის გამოწერა მხოლოდ გენერიკული დასახელებით მოხდება“ .(2022). https://www.moh.gov.ge/ka/news/6662/11-aprilidan-receptis-gamowera-mxolod-generikuli-dasaxelebiT-moxdeba11-aprilidan-receptis-gamowera-mxolod-generikuli-dasaxelebiT-moxdeba
3. „11 აპრილიდან რეცეპტის გამოწერა მხოლოდ გენერიკული დასახელებით მოხდება“.(2022). https://www.moh.gov.ge/ka/news/6664/11-aprilidan-receptis-gamowera-mxolod-generikuli-dasaxelebiT-moxdeba
4. „თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტები კვლავ იაფი იქნება“. (2022). https://www.moh.gov.ge/ka/news/6940/zurab-azaraSvili%3A-%E2%80%9ETurqeTidan-importirebuli-medika-mentebi-kvlav-iafi-iqneba%E2%80%9C
5. „თურქეთიდან იმპორტირებული წამლების შემენა 7 დიდ სააფთიაქო ქსელშია შესაძლებელი“. (2022). https://www.moh.gov.ge/ka/news/6695/TurqeTidan-importirebuli-wamlebis-SeZena-7-did-saafTiaqo-qselSia-SesaZlebeli
6. „თურქეთიდან წამლების იმპორტი, მოსახლეობას 200-მდე მედიკამენტზე ხარჯს შეუმცირებს“ http://exclusivenews.ge/post/283554
7. „თურქული ბაზრის გახსნის შემდეგ ქვეყანაში მედიკამენტების იმპორტი აქტიურად გრძელდება“. (2022) https://www.moh.gov.ge/ka/news/7007/Turquli-bazris-gaxsnis-Semdeg%2C-qveyanaSi-medikamentebis-Semotana-aqtiurad-grZeldeba
8. „მედიკამენტებზე რეფერენტული ფასების დაწესების შესახებ, საქართველოს პარლამენტმა, კანონ-პროექტი დაამტკიცა“ (2022). https://www.moh.gov.ge/ka/news/7215/medikamentebze-referentuli-fasebis-dawesebis-Sesaxeb%2C-saqarTvelos-parlamentma%2C-kanonproeqti-daamtkica
9. ზოიძე კ. და ზარქუა ჯ. (2022) „ექიმი წამალს ბრენდული დასახელებით ვეღარ დანიშნავს - რას შეცვლის ეს პრაქტიკა?“ https://netgazeti.ge/life/605680/
10. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო. (2021). „ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ანგარიში“. თბილისი.
11. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. (2023). „რეფერენტული ფასებით მედიკამენტების რეალიზაცია, აფთიაქებისთვის, სავალდებულო 15 თებერვლიდან იქნება“ (2023) https://www.moh.gov.ge/ka/news/7272/referentuli-fasebiT-medikamentebis-realizacia%2C-afTiaqebisTvis%2C-savaldebulo-15-Tebervlidan-iqneba
12. ფეტელავა ს. (2021 წელი). ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა საქართველოში, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“. №1, ტომი 16.
13. Шумпетер Й., Капитализм, социализм и демократия, М., "Экономика", 1995.

ახალგაზრდების დასაქმება და მისი გამოწვევები საქართველოში

ანი ბაშარაძე

დასაქმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორია და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა. ის უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანებთან, მათ შრომით საქმიანობასთან, მატერიალური და სულიერი დოვლათის შექმნასთან.

ახალგაზრდების დასაქმება მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა და 21-ე საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. ახალგაზრდების დასაქმება განსაკუთრებულ დახმარებასა და ხელშეწყობას მოითხოვს. ისინი მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ.

ახალგაზრდობა მნიშვნელოვანი ნაწილია ქვეყნის სამუშაო ძალისთვის და დიდ როლს ასრულებს მის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში. ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილის არსებობა ცვლის როგორც სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, ასევე სამუშაო ძალის კვალიფიციურ სამუშაო პოტენციალს.

აუცილებელია ისეთი მექანიზმების ჩამოყალიბება და მიზნების დასახვა სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თაოსნობით, რათა შემსუბუქდეს ახალგაზრდების წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემა თუ გამოწვევა.

ახალგაზრდების დასაქმების საკითხის განხილვა მოითხოვს უნიკალურ მიდგომას, რადგან ახალგაზრდები არიან საზოგადოების ყველაზე დინამიური სეგმენტი და მტკიცედ რეაგირებენ სოციალური უთანასწორობის ნებისმიერ ფორმაზე.

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები და თავისებურებები საქართველოში

დასაქმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორია და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა. დასაქმება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანებთან, მათ შრომით საქმიანობასთან, მატერიალური და სულიერი დოვლათის შექმნასთან.

XXI-ე საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ახალგაზრდების დასაქმება და მასთან არსებული სირთულეები. ახალგაზრდების უმუშევრობა აღიარებულია ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად და აქტუალურ გამოწვევად. სწორედ ის გვევლინება ქვეყნებში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად.

ახალგაზრდების დასაქმება განსაკუთრებულ დახმარებასა და ხელშეწყობას მოითხოვს. იგი მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისგან გამოირჩევა ჯანმრთელობით, განათლების მაღალი დონით, პროფესიული მომზადებით, მობილობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყველა ეს ფაქტორი განსაზღვრავს მათ ქცევას შრომის ბაზარზე.

შრომის ბაზრის მკვლევარები, დასაქმების სამსახურების ექსპერტები, პროფკავშირების წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სწორი პროფესიული ორიენტაცია და კადრების მომზადება, რეფორმები განათლების სფეროში.

უმუშევრების რიგებში ახალგაზრდებს დომინანტური წილი უკავიათ, რის გამოც იზრდება სოციალური რისკები, საფრთხე ექმნება ქვეყნის მომავალს. აგრეთვე უფასურდება ადამიანური კაპი-

ტალი, რომლის განვითარებაც ინვესტირებულია სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ. საზოგადოება კარგავს ეკონომიკურ დოვლათს, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა ახალგაზრდების ინტელექტურალური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით.

ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი შრომითი გამოცდილების უქონლობის, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნების გამო, შრომის ბაზარზე გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდება და უმუშევართა რიგებს ემატება. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდების დასაქმების საკითხისადმი მიდგომა განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმ სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგების გაცნობიერება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდობის დაუსაქმებლობამ. ხანგრძლივი და მასობრივი უმუშევრობა ახალგაზრდებში იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, საკუთარ შესაძლებლობებში ურწმუნოებას და სხვა ნეგატიურ შედეგებს.

ახალგაზრდობა შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილია. მათი რიცხოვნობა განსაზღვრავს ახალგაზრდების, როგორც სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის, დასაქმებას. ამ ფაქტორებს განეკუთვნება აგრეთვე ახალგაზრდობის წილი შრომისუნარიან მოსახლეობაში და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა.

ახალგაზრდების დასაქმებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები. ეკონომიკური განვითარების ტემპი, ინვესტიციური და ინოვაციური აქტიურობა საგრძნობლად ცვლის ახალგაზრდობის სამუშაო ძალაზე მოთხოვნას. მნიშვნელოვანია ასევე განათლების საკითხი. ახალგაზრდების უმრავლესობას აქვს მიღებული სერიოზული განათლება, ისინი მომზადებულნი არიან ინტელექტუალური საქმიანობისთვის და დიდი მოთხოვნებიც აქვთ სამუშაოს ხასიათის, შრომის პირობებისა და ანაზღაურების მიმართ.

საქართველოში უმუშევრობის პრობლემა ქრონიკულ ხასიათს ატარებს, არამარტო ახალგაზრდებში, არამედ ზრდასრული შრომისუნარიან მოსახლეობაში, ჯანსაღი და შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია სხვადასხვა მიზეზის გამო. მათგან ერთ-ერთ მიზეზს წარმადგენს მოუწესრიგებელი შრომის ბაზარი, რადგან არ არის განსაზღვრული თუ რა რაოდენობის კადრია რეალურად საჭირო ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის, რომელსაც ის რეალურად აითვისებს. ამასთანავე არ არის გამოკვლეული ეკონომიკის რომელ სექტორში რა კვლაფიკაციის სამუშაო ძალაა საჭირო შრომის ბაზარზე და რა დარგები შეიძლება გახდეს სამომავლოდ უფრო აქტუალური და მოთხოვადი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ძალიან შემაშფოთებელი ტენდენციაა ახალგაზრდებში ე.წ. შეუსაბამო სამუშაო ადგილების რიცხვის ზრდა. ისინი განაგრძობენ ისეთ პირობებში მუშაობას, რომელიც არასამართლიანია მათთვის და კვლავ რჩებიან ღარიბთა კატეგორიაში. დაბალი ხელფასების გარდა, ახალგაზრდები ხშირად მუშაობენ არაფორმალურ სექტორში, ნახევარ განაკვეთზე ან დროებით სამუშაოზე. მაგალითად, 2014 წლის ევროკავშირში ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ახალგაზრდების წილი ან დროებითი პოზიცია 29%-ი და 37%-ი იყო. მთელს მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ვერ პოულობს სამუშაოს. ბევრი მათგანი ოცნებობს საზღვარგარეთ წასვლაზე შემოსავლების ძიებაში. მსოფლიოში, ახალგაზრდების წილი 15-დან 20 წლამდე მზად არის მუდმივად დატოვოს საკუთარი ქვეყანა, მათი რიცხვი 20%-ია.

ახალგაზრდობა არის პერიოდი, როდესაც მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. მაგალითად, პროფესიის შერჩევა, ოჯახის შექმნა, მეგობრები, ცხოვრების გზების განსაზღვრა, საკუთარი სამყაროს შექმნა. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ახალგაზრდები ქვეყნის მომავალია. ამიტომ საჭიროა ახლაგაზრდების უნარების მაქსიმალური რეალიზაცია, ხელშეწყობა დასაქმებაში და

კარიერულ წინსვლაში, რათა თავიდან აცილებული იყოს უამრავი პრობლემა რაც ახლავს ახალგაზრდების დაუსაქმებლობას.

ახალგაზრდების სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

ახალგაზრდობა შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილია. ახალგაზრდობის უმუშევრობის მაღალი დონის გამო, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულია შრომითი საქმიანობა დაიწყოს არა იქ, სადაც სურვილი აქვთ, არამედ სადაც შეძლებენ სამუშაოს პოვნას, მათ შორის ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორშიც. საქართველოში უმუშევრობის დონე წლების განმავლობაში მაღალია, განსაკუთრებით 15-29 წლის ახალგაზრდებს შორის. ქვეყნის ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმადგენს ახალგაზრდების დასაქმება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. სახელმწიფოს სტრატეგიული მიმართულებიდან ერთ-ერთი უმუშევრობის დაძლევაა. სახელმწიფოს უმრავლესი ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმებში შედის მიზნები, ამოცანები და კონკრეტული აქტივობები, რომლითაც აღმოიფხვრება უმუშევრობა.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების, ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში, განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩინდა ზოგადად დასაქმების და კერძოდ, ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემები. სახელმწიფო ახალგაზრდობას განიხილავს, როგორც აქტიურ საზოგადოებრივ ძალას და სტრატეგიულ ადამიანურ რესურსს. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საქართველოში უმუშევართა დიდ ნაწილს სწორედ ახალგაზრდები წარმოადგენენ, ახალგაზრდები, რომლებიც მომავალ თაობად გვევლინებიან და რომელთა ხელშიც ჩვენი ქვეყნის მომავალია. ახალგაზრდების უმეტესობას 18-24 წლამდე სტუდენტები წარმოადგენენ. ამ ასაკის უმუშევართა რაოდენობა კი საკმაოდ დიდია, რადგან მათ არ აქვთ საკმარისი პროფესიული მომზადება და ისინი ბევრად გამოუცდელები არიან, ვიდრე შედარებით უფროსი ასაკის (24-29) მოსახლეობა. ასევე სტუდენტები ცდილობენ მუშაობის დაწყებას სწავლის პარალელურად და ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ სათანადო განათლების მიღებას, რადგანაც სამუშაო განაკვეთი საკმაოდ დიდია და უმეტესად სტუდენტებს დამსაქმებლისგან ხელშეწყობა არ აქვთ. ჩემი აზრით, ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია, მათი მხრიდან სამუშაოს ძიების ხანგრძლივი პროცესი. ვინაიდან საშუალო (20-24 წელი) და უფროსი (25-29 წელი) ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების მოთხოვნები საკმაოდ მაღალია სამუშაოს მიმართ, ვიდრე უმცროსი (20 წლამდე) ასაკის ახალგაზრდებისა. კვლევის თანახმად, ქართველი ახალგაზრედების დაახლოებით 40% პირველ სამსახურს სწავლის დასრულებიდან დაახლიებით 6 თვის შემდეგ იწყებს. გარდამავალი პერიოდი, სამუშაოს ძიების პროცესისა 1-დან 2 წლამდე მერყეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდებს სამუშაოს მოძებნისთვის მინიმუმ 2 წელი სჭირდებათ.

ერთ-ერთი კვლევა ასახელებს, დასაქმების ყველაზე დაბალ და მაღალ მაჩვენებლებს რეგიონების მიხედვით. მაღალმთიან რეგიონებში: რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოსა და ქვემო სვანეთში ყველაზე მეტი ახალგაზრდაა დაუსაქმებელი. დასაქმებული კი, ყველაზე მეტი თბილისში. ამასთან, დასაქმებულთა 43% უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, 38% კი პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული. კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი ახალგაზრდების მხოლოდ 1 პროცენტია მეწარმე, მაშინ როცა ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს მსგავსი მონაცემების ქვეყნებში მათი რაოდენობა 5%-ზე მეტია.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების უმუშევრობა მაღალია, მნიშვნელოვნად განსხვავდება უმუშევართა ხვედრითი წილი ასაკობრივ ჭრილში.



წყარო: http://geoeconomics.ge/?p=13123&fbclid=IwAR2bNL4HyfY6Hx7wyB0TsQoDcl5-Sb1lHKSXIH2-rSwPd7HFpf1Tvvl4O5ak

საქართველოში უმუშევრობის დონე წლების განმავლობაში მაღალია, განსაკუთრებით 15-24 წლის ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის დონე თითქმის ორჯერ უფრო მაღალია მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით და 27,8%-ს შეადგენს. გარდამავალ პერიოდში, რასაც თან ახლდა სისტემური კრიზისი ეკონომიკაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ბუნებრივია, რომ სახელმწიფო ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდების დასაქმების პრობლემას. გარკვეულწილად, აღნიშნული პრობლემის არასათანადოდ გაცნობიერებამაც განაპირობა ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე. განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ახალგაზრდების მდგომარეობა შრომის ბაზარზე, რომელთაც უმაღლესი განათლება მიიღეს. ერთ-ერთ განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფს სწორედ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები წარმოადგენენ. და, როგორც აღვნიშნე, მოსახლეობის ამ კატეგორიას მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, მომზადებულია ინტელექტუალური საქმიანობისთვის და დიდი მოთხოვნებიც აქვს სამუშაოს ხასიათის, შრომის პირობების და ანაზღაურების მიმართ.

ახალგაზრდების დასაქმების აქტიური პოლიტიკა

ახალგაზრდებს თავისი ფსიქოფიზიოლოგიური თვისებებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, უფროსი თაობისაგან განსხვავებით, სამუშაო ადგილისადმი სწრაფი და უმტკივნეული ადაპტაცია ახასიათებთ. ამიტომ ისინი აქტიურობით გამოირჩევიან შრომის ბაზარზე, ხშირ შემთხვევაში ათავსებენ სწავლას და მუშაობას. ახალგაზრდების დასაქმების სფეროში არსებული კრიზისული მდგომარეობის და მაღალი უმუშევროვის დაძლევა, სახელმწიფოს მხრიდან მასშტაბურ და გონივრულ ჩარევას მოითხოვს. სამომავლო პერსპექტივებისთვის საჭიროა გატარდეს ახალგაზ-

რდების ეფექტიანი და მოქნილი დასაქმების აქტიური პოლიტიკა, რომლის რეალიზაციას შესაფერისი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო ესაჭიროება.

ახალგაზრდების დასაქმების რეგულირებაში მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტი:

- შრომის ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა და პროგნოზირება
- სამუშაო ძალის ფორმირების განაწილებისა და გადანაწილების პროგნოზირება
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილებების ტენდენციების პროგნოზირება
- შრომის ბაზრის სტრუქტურის ცვლილების ანალიზი და პროგნოზი
- დასაქმების დინამიკის შესწავლა
- სამუშაო ადგილების სტრუქტურის და მათი ხარისხობრივი მახასიათებლების ანალიზი
- პროფორიენტაციის მიზნით ჩატარებული სამუშაოების ანალიზი
- დასაქმების სფეროში სოციალურ პარტნიორებს შორის საქმიანი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა.

ახალგაზრდობის დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების არსებობა მნიშვნელოვანია, რაც გამოიხატება უპირველეს ყოვლისა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობაში (სტაჟირება და პროფესიული პრაქტიკა, დროებითი დასაქმება სწავლის პერიოდში), ასევე სტრატეგიული ამოცანების სწორად განსაზღვრასა და გადაწყვეტაში. შრომის ბაზარზე დამკვიდრებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სტაჟირება. საქართველოში გავრცელებული ახალგაზრდების სტაჟირების სისტემა, მეტად შორსაა განვითარებულ ქვეყნების შესაბამისი სისტემისგან, რომელიც ცნობილია როგორც „შემოსავლის მიღება სწავლის პროცესში“. ის ახალგაზრდებს აძლევს დარგობრივი პრაქტიკის საწარმოში გავლის და ამასთან, ხელფასის მიღების შესაძლებლობას. საქართველოში ძალიან მცირეა იმ კომპანიათა რიცხვი, რომელიც თანახმაა ახალგაზრდების სტაჟირების პროგრამაში ჩართვაზე. რაც შეეხება უკვე არსებული წარმატებული კერძო ბიზნესკომპანიების მოთხოვნებს, აქ უკვე სხვა პრობლემები იჩენს თავს. აღნიშნული კომპანიები ძირითადად ვაკანსიებს აცხადებენ მაღალკვალიფიციური კანდიდატების მოსაზიდად. შესაბამისად, კურსდამთავრებულებს ნაკლები შანსი აქვთ სტაჟირება გაიარონ ამ კომპანიებში. უნდა აღნინიშნოს, რომ არსებობს სტაჟირების ისეთი პროგრამები, რომლებშიც კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ჩართვა. თუმცა, ასეთ პროგრამებს აცხადებენ შედარებით მცირე კომპანიები, ამასთან, ის არაანაზღაურებადია. ასეთ შემთხვევაში, ოჯახს უწევს სტაჟირებასთან დაკავშირებით მინიმალური ხარჯების დაფარვა. ახალგაზრდებში არსებული უმუშევრობის მაღალი დონის გადალახვისათვის საჭიროა სახელმწიფოებრივ დონეზე შემუშავდეს სპეციალური ადაპტაციის პროგრამები, რაც ახალგაზრდებს დაეხმარება სოციალურ-შრომითი ურთიერთობების ადეკვატურად აღქმასა და შრომის ბაზარზე ინტეგრაციის სირთულეების გადალახვის უნარების გამომუშავებაში. ასევე, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება - განხორციელებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

დასკვნა

უმუშევრობა ერთ-ერთი სერიოზული და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ახალგაზრდების უმუშევრობა, რადგან სწორედ მათ ხელშია ქვეყნის მომავალი. 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდები სტუდენტები არიან, რომლებმაც დაამთავრეს ან ამთავრებენ უნივერსიტეტს. სტუდენტები წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ ჯგუფს, რადგან არ გააჩნიათ საკმარისი პროფესიული მომზადება. 25-დან 29 წლამდე ახალგაზრდებს, ძირითადად, უკვე აქვთ გაკეთებული

პროფესიული არჩევანი, მათ იციან რა უნდათ, უმრავლესობას საკუთარი ოჯახიც ჰყავს და საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს აყენებენ შემოთავაზებულ სამუშაოს.

ნაშრომიდან ასევე კარგად იკვეთება ის ფაქტი, რომ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებსაც კი არ ეძლევათ პროფესიის შესაბამის სამუშაოზე დასაქმების შესაძლებლობა. ამით კიდევ ერთ პრობლემას ესმევა ხაზი, რაც არანაკლებ საყურადღებოა.

სახელმწიფოს მხრიდან კი საჭიროა ახალგაზრდების განათლებისა და ღირსეული დასაქმებისთვის ნორმატიული ბაზის სრულყოფა. საკმაოდ მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დამსაქმებლის მხრიდან არაკვალიფიციურ დასაქმებულს მისცეს კარიერულად განვითარების შესაძლებლობა. ამაში კი, ჩემი აზრით, დიდ როლს თამაშობს, თუნდაც გამოუცდელი სტუდენტის სამსახურში აყვანა.

ვფიქრობ, ასევე საკმაოდ დადებით შედეგს გამოიღებს სახელმწიფოს მხრიდან შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება. ამით შეძლებს გაიგოს თუ რა პრობლემების წინაშე დგას შრომის ბაზარი და შეეცდება ამ პრობლემების აღმოფხვრას. ასევე ხარისხიანი განათლება – სამართლიანი და ადეკვატური დაფინანსების სისტემების არსებობა: აუცილებელია დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობის ზრდა, რაშიც სუბსიდირებული დაფინანსების სისტემა დაგვეხმარება. უნდა გაიზარდოს დაფინანსება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რათა ახალგაზრდებმა რომლებიც ეუფლებიან კონკრეტულ ხელობას, შეძლონ პრაქტიკაში მათი ცოდნის ეფექტური გამოყენება. ამრიგად, ვხედავთ, რომ ახალგაზრდების დასაქმება, მართლაც, დიდი გამოწვევების წინაშე დგას, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც. არაეფექტიანი დასაქმების პოლიტიკა, არახელსაყრელი პირობები და რიგი სხვა მიზეზი ხელს უწყობს ახალგაზრდების უმუშევრობის ზრდას. ეს ნეგატიურად აისახება მათზე, ვის ხელშიც ჩვენი ქვეყნის მომავალია. ამიტომ, ვფიქრობ, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად იზრუნოს ჩვენს მომავალზე და ახალგაზრდებს შეუქმნას ისეთი პირობები, რომ მათ არ მოუწიოს წასვლა საზღვარგარეთ და დასაქმება ჩრდილოვან სექტორებში, ასევე მათ ჰქონდეთ მიღებული განათლების შესაბამისი სამსახური და უზრუნველყოფილნი იყონ ღირსეული შემოსავლით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://geoeconomics.ge/?p=13123&fbclid=IwAR3ANDnKSvPC7rLqw-BHhPIGCRrS_rK-U-cdxKFG9w_7byeLr-Sr2EJKSnKI
2. https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/538/Youth%20unemployment%20in%20Georgia%20and%20the%20ways%20for%20its%20reduction.pdf?sequence=1&isAllowed=y
3. samagistro lashkhi ana.pdf (openscience.ge)
4. დასაქმება და უმუშევრობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

ხელოვნური ინტელექტის გავლენა ბიზნესზე

ანასტასია ბახია

ტექნოლოგიურმა განვითარებამ არსებითად გაზარდა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სერვისების შექმნისთვის საჭირო ტექნიკური თუ პროგრამული საშუალებების ხელმისაწვდომობა. ხელოვნური ინტელექტი ბიზნესებს ეხმარება გაცილებით მარტივად და ეფექტურად მიაღწიონ შედეგებს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რა გავლენას ახდენს ხელოვნური ინტელექტი ბიზნეს პროცესების მენეჯმენტსა და მომსახურების ხარისხზე და განვითარების რომელ საფეხურზეა ხელოვნური ინტელექტი საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *ხელოვნური ინტელექტი, ბიზნესი, ტექნოლოგია, მომსახურება, ჩატბოტი, მანქანური სწავლება*

დღევანდელი მსოფლიო ხელოვნური ინტელექტის გარეშე წარმოუდგენელია. მას იყენებს თითქმის ყველა წამყვანი კომპანია, იქნება ეს "GOOGLE" თუ "SAMSUNG" სწორედ ხელოვნური ინტელექტი გვეხმარება ინტერნეტში ძებნის დროს თუ სმარტფონით სურათების გადაღებისას. ხელოვნური ინტელექტის გარეშე ვერც ერთი თანამედროვე ელექტრონული დანადგარი ვერ იმუშავებს.თანამედროვე ციფრულ სამყაროში ხელოვნური ინტელექტი დინამიკურად ვითარდება. მუდმივად იქმნება ახალი პროგრამები და ციფრული ხელსაწყოები, რომლებითაც მომხმარებელი სწრაფად იღებს შედეგებს.

რა არის ხელოვნური ინტელექტი?

1955 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ მაკარტმა პირველად გამოიყენა ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“. მან ეს უკანასკნელი განმარტა, როგორც პროგრამა ან კომპიუტერი, რომელსაც შეუძლია იაზროვნოს, როგორც ადამიანმა და მიიღოს ლოგიკური გადაწყვეტილებები. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ახალ დარგს, რომელსაც განვითარების ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და შეუძლია მნიშვნელოვნად დაეხმაროს კაცობრიობას განვითარებაში. AI აპლიკაციები და მათი სარგებელი სულ უფრო პოპულარული ხდება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ბიზნესშიც. ამას ადასტურებს ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდა 3000-მდე ბიზნეს-აღმასრულებელი, მენეჯერი და ანალიტიკოსი 112 ქვეყნის 21 ინდუსტრიიდან. რესპოდენტთა 84%-მა ხელოვნური ინტელექტი კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნების წყაროდ მიიჩნია, 83%-მა – საკუთარი ბიზნესის სტრატეგიულ პრიორიტეტად, ხოლო 75%-მა ახალ ბიზნეს-წამოწყებებში დამხმარე ფაქტორად.

ხელოვნური ინტელექტის როლი ბიზნეს პროცესების მენეჯმენტში

ბიზნეს პროცესების მენეჯმენტი (BPM) არის სისტემური სტრატეგია, რომელიც ეხმარება ბიზნესს შექმნას ეფექტური პროცესების ჯაჭვი. ის ეხმარება ორგანიზაციებს მუდმივად ცვალებად ბიზნეს გარემოსთან ადაპტაციაში.

ციფრული ტრანსფორმაცია დიდ როლს თამაშობს ბიზნეს პროცესების განვითარებაში, თავის მხრივ ხელოვნური ინტელექტი (AI) ამ გარდაქმნის განუყოფელი ნაწილი ხდება. ხელოვნური ინტელექტი ბევრი მიმართულებით ახდენს ბიზნეს გარემოს ტრანსფორმაციას, მათ შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ოთხი:

განმეორებითი პროცესების ავტომატიზაცია

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიმართულება სწორედ განმეორებითი ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციაა. RPA, ასევე ცნობილი, როგორც რობოტიზებული პროცესების ავტომატიზაცია, არის პროგრამული გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება მანქანურ სწავლებასა და ხელოვნურ ინტელექტს, საშუალებას იძლევა ადამიანური ჩარევის გარეშე შესრულდეს დიდი რაოდენობით განმეორებითი პროცესები ავტომატურად, გამართულად და მაქსიმალური სიზუსტით.

წინასწარი ანალიზი

ხელოვნური ინტელექტის უნიკალურ მახასიათებლად ითვლება, რომ ის შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა წყაროდან შეგროვებული მონაცემების შესასწავლად, ანალიზის გასაკეთებლად და მომავალი პროცესების პროგნოზირებისთვის. ბიზნესი იყენებს ამ შესაძლებლობას სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ისეთი მონაცემების დანახვა და ანალიზი, რასაც ადამიანის თვალი ვერ ამჩნევს. მაგალითად, მომხმარებელთა ონლაინ აქტივობებისა და ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებულად თავმოყრა შემდგომი მარკეტინგული აქტივობებისთვის.

მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა

იყო დრო, როდესაც ხელოვნური ინტელექტისა და ბიზნეს პროცესების გამარტივების მთავარი მამოძრავებელი მოტივი იყო ყოველდღიურ საქმიანობაში ეფექტიანობის ზრდა. დღევანდელ რეალობაში აქცენტები კეთდება მომხმარებელთა კმაყოფილებაზე. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ბიზნეს პროცესების მენეჯმენტს ხელი მიუწვდება ისეთ მონაცემებზე, რომლებიც ზუსტად აღწერენ მომხმარებელთა ქცევასა და მათ შთაბეჭდილებებს მიღებული მომსახურების შემდეგ. ჩატბოტებისა და მსგავსი ტექნიკების გამოყენება არის ამის საუკეთესო მაგალითი. ეს ქმნის ერთგვარ პლატფორმას მომხმარებელთან მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და მათი ლოიალურობის ზრდისთვის.

გადაწყვეტილების მიღების გამარტივება

ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ შედეგად მოგვცა მანქანური სწავლების ალგორითმები, როგორიცაა მაგალითად გადაწყვეტილების ხეები და ნერვული ქსელები. ეს ალგორითმები ეხმარება მენეჯერებსა და ბიზნესის მფლობელებს, გადაწყვიტონ ყოველდღიური პრობლემები და მიიღონ გადაწყვეტილებები, როგორც მიმდინარე საკითხებზე, ასევე გრძელვადიანი პერიოდის გათვალისწინებით. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მარტივ მოდელად შე-

იძლება წარმოვიდგინოთ, მაგალითად, კომპანიამ უნდა გაუგზავნოს მომხმარებელს სარეკომენდაციო მეილი თუ საჭიროა ზარის განხორციელება.

ჩატბოტები

ხელოვნური ინტელექტი (AI), ღრმა სწავლება (DL) და მანქანური დასწავლა (ML) არის ტერმინები, რომლებიც განსაზღვრავს მოწინავე ტექნოლოგიურ სისტემებსა და კონცეფციებს. ეს კონცეფციები კი ახდენენ რევოლუციას მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესში. ინოვაციები მოიცავს როგორც საწარმოების ოპერაციებს, სტრატეგიებს, ასევე სამუშაო პროცესებსა და პროექტებს. ამ ფაქტორების გასაუმჯობესებლად, ახლა ბიზნესი ხელოვნური ინტელექტის მქონე ჩატბოტების გამოყენებაზე აქტიურად გადადის.

ჩატბოტები, ან უბრალოდ ბოტები, არიან პროგრამული უზრუნველყოფის რობოტები, რომლებიც მოქმედებენ როგორც ადამიანი (ადამიანის მიმსგავსებულად) და ამასთან, დავალებების ავტომატიზირებას ახდენენ. ეს ზრდის ოპერატიულ ეფექტურობას, რაც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც მომსახურებაში, ასევე მონაცემების დამუშავებასა და გაანალიზებაში.

ამჟამად, ბიზნესის თითქმის ყველა სექტორი იყენებს ჩატბოტების უპირატესობებს. ეს ყველაფერი კი მომხმარებლების გამოცდილების გასაუმჯობესებლად. ამავე კონტექსტში, შეიძლება ითქვას, რომ ბოტები გახდნენ მომხმარებელთა მომსახურების ავტომატიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ერთ-ერთი ასეთი სივრცე, რომელიც ხელოვნური ინტელექტის მსგავს პოტენციალს იყენებს, არის ფინანსური ინდუსტრია. რობო-მრჩევლებისა და პროგნოზირების ანალიზებიდან, მექანიკური პროცესების სისტემურ ავტომატიზაციამდე, ფინანსური ინდუსტრია ყოველდღე უფრო და უფრო სწრაფად გადადის.

ხელოვნური ინტელექტის მქონე ჩატბოტები აწარმოებენ პერსონალურ ბანკინგს, აანალიზებენ ფინანსურ ბაზარს, უზრუნველყოფენ საბანკო სისტემებს და ავტომატიზირებენ ფინანსთა დეპარტამენტის სამუშაო პროცესებს. მეტიც, ისინი ნაწილობრივ კომპანიის აქტივებისა და ინვესტიციების ანალიზსაც კი ახერხებენ.საბანკო და საფინანსო ბიზნესში ცოცხალი ჩეთის პროგრამული უზრუნველყოფის პოპულარობის ზრდასთან ერთად, ჩატბოტები ბუნებრივი მოვლენაა. ისინი მომხმარებელს ფინანსური ტრანზაქციის განხორციელებაში ეხმარებიან და ხშირად დასმულ შეკითხვებზე პასუხობენ. მომხმარებლები იღებენ სასარგებლო, სწრაფ მომსახურებას დღის ნებისმიერ მონაკვეთში, რაც ხელს უწყობს ბიზნესის და მომხმარებლის კომუნიკაციას. მსგავს ჩატბოტებს კიდევ უფრო დიდი პოტენციალი აქვთ. მათ არა მხოლოდ ამ სფეროებში შეუძლიათ მომხმარებელს გამოადგნენ, არამედ შეუძლიათ ფულის მართვაშიც დაგვეხმარონ. მომავალში ისინი ადამიანებს მომსახურების სრულ პაკეტს შესთავაზებენ, როგორიცაა, ტრანზაქციების განხორციელება, ბიუჯეტის მენეჯმენტი და აქტივების მართვა. ბოტები ამას განახორციელებენ ხარჯვის სქემების ანალიზით და ბანკის ბალანსის მონიტორინგით. ისინი ავტომატურად გამოთვლიან, თუ რა თანხის გადადება შეგიძლიათ და მას შემნახველ ანგარიშზე გადარიცხავენ.

რაც შეეხება პერსპექტივებს, არის მოლოდინები, რომ მსგავსი ჩატბოტები მთელ ფინანსურ მოძრაობებს ავტომატიზირებულს გახდიან. თუმცა, რა თქმა უნდა, ადამიანების მეთვალყურეობის ქვეშ. ამის გარდა, ფინანსური ინდუსტრიების თანამშრომლები გათავისუფლდებიან ყველანაირი რუტინული სამუშაოსგან და ბევრად უფრო რთულ და კრეატიულ სამუშაოებზე გადაერთვებიან. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო ინდუსტრია მხოლოდ ახლა იწყებს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენებას. ეს პოტენციალი კი უსაზღვროა.

ხელოვნური ინტელექტი საქართველოში

საქართველოს ბაზარზე არაერთი კომპანია გამოჩნდა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის დანერგვას და მისი საშუალებით ბიზნესის ეფექტურობის გაზრდას და პროცესების ოპტიმიზაციას უწყობს ხელს. ასევე გამოჩნდნენ ის კომპანიებიც, რომლებსაც ხელოვნური ინტელექტის დანერგვა საკუთარ ბიზნესებშიც სურთ. საქართველოში დაფუძნებული, თუმცა საქართველოს ბაზარზე ახლახანს შემოსული კომპანია - MaxinAI და მისი თანამშრომლობა ისეთ კომპანიებთან, როგორებიც არიან Phubber, Liberty Bank ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენენ. MaxinAI- 2017 წლიდან უზრუნველყოფს ბაზარზე მაღალ ტექნოლოგიური და ინოვაციური მიდგომების დანერგვას ხელოვნური ინტელექტისა და "Big Data" მიმართულებით, რაც სხვადასხვა კომპანიებს კომპლექსური საოპერაციო საკითხების მარტივად გადაჭრაში ეხმარებათ. მათი მიზანი სწორედ მსოფლიო დონის სერვისის მიწოდებაა, რასაც ისინი საუკეთესო დეველოპერებისა და ტექნიკური პერსონალის დახმარებით აღწევენ.

MaxinAI-სთან ერთად, ლიბერთი ბანკი შეძლებს საკუთარი ვიდეო ანალიტიკისა და „ღრმა სწავლების“ საშუალებით დაადგინოს პიკის საათები საკუთარ ფილიალებში, განსაზღვროს და გაანალიზოს მომხმარებელთა გამოცდილება და მომსახურების დრო, გაზომოს მომხმარებელთა კმაყოფილება და საერთო ჯამში, აამაღლოს როგორც მომსახურების ხარისხი, ასევე თითოეული დასაქმებულის სამუშაოს შესრულებაც. საჭირო მონაცემებსა და მათ სათანადო ანალიზს უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლია ნებისმიერი კომპანიისთვის და ეს თანამშრომლობა ამის დასტური იქნება.

პროცესების მაქსიმალური გაციფრულება, მასშტაბების ზრდა, ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება - ეს ის მიმართულებებია, რომელსაც MaxinAI-სა და Phubber-ის თანამშრომლობა ემსახურება. მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ხარჯზე, კომპანია შეძლებს პროდუქტების კატეგორიზაციის ხელშეწყობას, ასევე პლატფორმაზე პროდუქტის დამატებისას მომხმარებელს აღარ მოუწევს მისი მახასიათებლების ხელით შეყვანა - ამას მანქანური სწავლების საშუალებით, თავად პროგრამა განახორციელებს. დღესდღეობით, პერსონალიზაცია და თითოეულ მომხმარებელზე მორგებული შეთავაზებები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ბიზნესის წარმატებაში, ამიტომაც MaxinAI-სთან ერთად, კომპანია მაქსიმალურად ზუსტი რეკომენდაციების შეთავაზებას შეძლებს მომხმარებლისთვის. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ყველაფერი არ იქნება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხელოვნური ინტელექტის განმავითარებელი კომპანია MaxinAI, პროგრამული უზრუნველყოფის ამერიკული გიგანტის - Salesforce-ის პარტნიორიც გახდა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით CRM (მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა) პლატფორმების განვითარებით არის ცნობილი.

რასაკვირველია, ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოში MaxinAI-ის მიერ ამ მიმართულების განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას.

ხელოვნური ინტელექტი უკვე ყველგან ფიგურირებს და მისი გამართულად მუშაობა ზღვა მონაცემების შეგროვებასა და შენახვაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ამას უზარმაზარი ძალისხმევა და რესურსები სჭირდება. საბედნიეროდ, საქართველოშიც გამოინახა დაინტერესება ამ სფეროს განსავითარებლად. 2019 წელს საქართველოში ხელოვნური ინტელექტის ბიზნეს ასოციაცია დაარსდა, რომელიც დღემდე აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას და ხელს უწყობს მის განვითარებას. ხელოვნური ინტელექტის ბიზნეს ასოციაციის პირველ და მთავარ მისიას წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის დანერგვის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა კერძო სექტორში, ისევე როგორც ბიზნესს, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის დიალოგის წამოწყებისა და წარმოების უზრუნველყოფა. ასოციაციის მიზანია: ხელოვნური ინტელექტის შესახებ

ცნობადობის გაზრდა კერძო სექტორში, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევის წარმოება, ნიჭიერი ადამიანების მოძიება, რეკრუტირება ან გადამზადება, სახელმწიფოსთვის საკანონდებლო ბაზის ფორმულირებაში დახმარების უზრუნველყოფა, სხვადასხვა ინდუსტრიებში ბიზნეს ოპერაციების ტრანსფორმაციის ქეისების შექმნა და გაზიარება ტრადიციული მეთოდებიდან, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამდე.

მარკეტინგული და ბიზნეს პროცესების გაციფრულება, ელექტრონული კომერციის განვითარება, მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესება და ხარისხის ამაღლება - ეს ძალიან მცირე ჩამონათვალია იმ მიმართულებებისა, რომლებთანაც ხელოვნური ინტელექტის ეფექტურ ინტეგრაციას არნახული შედეგების მოტანა შეუძლია.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ადამიანის შესაძლებლობები დღითიდღე უმჯობესდება, მსუბუქდება ფიზიკური საკითხები და ვითარდება ინტელექტუალური სფეროები. კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნების, ბიზნესის მართვის გამარტივებისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებისთვის კარგი იარაღია ხელოვნური ინტელექტის დანერგვა და გამოყენება ბიზნესში. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საშუალებას იძლევა, რომ გამარტივდეს გადაწყვეტილებების მიღება, წინასწარი ანალიზი და ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია, ამაღლდეს მომხმარებელთა კმაყოფილება, ხელი შეეწყოს პროდუქციის კატეგორიზაციას და პერსონალიზაციის საფუძველზე გაიცეს თითოეულ მომხმარებელზე მორგებული რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში - კანონმდებლობა და პრაქტიკა - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2021წელი; https://idfi.ge/ge/artificial%20intelligence_international_tendencies_and_georgia
2. რა არის ხელოვნური ინტელექტი?- ISO Consulting, 2019 წელი; https://www.isoconsulting.ge
3. ხელოვნური ინტელექტი და მისი მნიშვნელობა - 2017 წელი; http://business.org.ge/
4. ხელოვნური ინტელექტის როლი ბიზნეს პროცესების მენეჯმენტში - Nexia TA; 2021 წელი; https://www.nexia.ge
5. როგორ ეხმარება MAXINAI ქართულ კომპანიებს ხელოვნური ინტელექტის დანერგვაში - DGTL AGENCY, 2021 წელი; https://digitalnews.ge/ge/article/ciphruli-marketingi/270-rogor-exmareba-maxinai-qartul-kompaniebs-xelovnuri-inteleqtis-danergvashi
6. https://www.aigeorgia.ge/
7. AI Bots revolutionizing the finance and banking space (2021) - https://www.fintechnews.org/ai-bots-revolutionizing-the-finance-and-banking-space/

საქართველოს ექსპორტის გამოწვევები

მირიან ბლუაშვილი

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ქვეყნებს შორის ვაჭრობას, რომლის წესებიც სხვადასხვა დონეზე სხვადასხვაგვარად რეგულირდება, მაგალითად არსებობს მრავალი რეგიონალური შეთანმეგები ქვენებს შორის რათა წაახალისონ ერთმანეთში ვაჭრობა, რეგიონალურის გარდა არსებობენ სხვადასხვა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციები რომლებიც ორიენტირებულია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებაზე.

ქვეყნებს შორის საწარმოო რესურსებისა თუ პროდუქტების გაცვლა ექსპორტ იმპორტის საშუალებით ხორციელდება, უმრავლესი მათგანი ცდილობს მიაღწიოს საგარეო ვაჭრობის დადებით სალდოს, რაც ქვეყნის სტაბილურ განვითარებას მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს.

ხშირია შემთხვევები როდესაც მთავრობები იმპორტის რეგულირებას ცდილობენ ამ გზით ადგილობრივი წარმოების დაცვასა და სხვადასხვა ოპერატიული თუ სტრატეგიული მიზნების მიღწევას, ხოლო ექსპორტი ცალსახად დადებით ჭრილშია განხილული და მის რეგულირებაზე პრაქტიკულად არანაირ ღონისძიებებს არ ატარებენ, რაც ახსნილია როგორც დადებითი სავაჭრო სალდოს მიღწევისათვის აუცილებელი წინაპირობა, ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს მთავრობა წარმოადგენს.

საქართველოს ექსპორტის გამოწვევები

ცხადია განვითარებული ქვეყნებისთვის ზემოთხსენებული მიდგომა მათი საექსპორტო პროდუქციის ტიპებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას სრულიად გამართლებულია, თუმცა რამდენად გამართლებულია ის საქართველოს მსგავსი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვენისთვის, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი სამსჯელო საკითხია.

თუ განვიხილავთ საქართველოს 2022 წლის 11 თვის საექსპორტო 10 უმსხვილეს პროდუქტს, საკითხის მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით.

ცხრილი N1

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები საქართველოს ადგილობრივ ექსპორტში

საქონლის დასახელება	ათასი აშშ დოლარი	წილი (%)
სპილენძის მადნები და კონცენტრანტები	932 894,1	27,4
ფეროშენადნობები	448 304,6	13,2
აზოტოვანი სასუქები	249 137,8	7,3
ყურძნის ნატურალური ღვინოები	231 896,9	6,8

მინერალური და მტკნარი წყლები	103 389,3	3,0
სპირტიანი სასმელები	95 150,8	2,8
თხილი და სხვა კაკალი	86 324,4	2,5
ელექტროენერგია	84 338,9	2,5
ძვირფასი ლითონები	78 561,8	2,3
სხვადასხვა სახის წყლები	76 042,5	2,2
დანარჩენი საქონელი	1 020 224,8	30,0

https://www.geostat.ge

ცხრილიდან ჩანს რომ 10 უმსხვლესი საქონლის წილი საექსპორტო პროდუქციაში 70%-ია, აქედან 55,1% მოდის სხვადასხვა მასალასა და ნედლეულზე რომელიც არ წარმოადგენს საბოლოო პროდუქტს და პრაქტიკულად სრულად შეიძლება ჩაითვალოს სიღარიბის ექსპორტად შესაბამისად პროდუქტის პოტენციალის მინიმალურ დამატებით ღირებულებას ქმნის ქვეყნის შიგნით.

ცხრილი N2

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები იაპონიის ექსპორტში

საქონლის დასახელება	მლრდ აშშ დოლარი	წილი %
მანქანები და კომპიუტერები	142	19
მანქანები	135,4	18,1
ელექტრო მოწყობილებები	113,4	15,2
სამედიცინო აპარატურა	38,8	5,2
რკინა ფოლადი	35,1	4,7
პლასტმასის ნაწარმი	27	3,65
მინერალური საწვავი	18,2	2,4
ძვირფასი ქვები	17,5	2,3
ო0რგანული ქიმიკატები	17,3	2,3
სხვა ქიმიური საქონელი	14,3	1,9

Japans ekonomi skakar – det här behöver du veta

შედარებისთვის თუ განვიხილავთ ისეთი განვითარებული ქვენის ექსპორტს როგორიც იაპონიაა, სადაც უმსხვილეს საექსპორტო 10 პროდუქტს, მთლიანი ექსპორტის 75% უჭირავს საიდანაც საბოლოო პროდუქტზე 64% უჭირავს. (უნდა აღინიშნოს ისიც რომ დარჩენილი 11% შუალედური წარმოების საქონელია და რაღაც დონეზე გადამუშავებილია) ცხადია იაპონიასთან შედარება მისი სა-

წარმოო და საბაზრო ტრადიციებიდან გამომდინარე შეიძლება არალერევანტულად ჩაითვალოს, მაგრამ როგორც მიზნის საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია და გვიჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია საექსპორტო პოლიტიკის გადახედვა და რეფორმირება საქართველოში.

თუ გავითვალისწინებთ რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად მიმდინარე უმუშევრობა 17,3%-ია[1], რაც რესურსების სათანადო ათვისების არამარტო კარგ წინაპირობას არამედ აუცილებლობასაც წარმოადგენს. დამატებით აღსანიშნავია ისიც რომ მუშახელის მნიშვნელოვან ნაწილს საკმაო გამოცდილება აქვს სწორედ აღნიშნული პროდუქციის გადამამუშავებელ მრეწველობაში, მაგალითად მეტალურგიასა და სოფლის მეურნეობაში და მათი გადამზადების შედეგად მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობის მიღწევაც შეიძლება უკვე საბოლოო პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კიდევ ერთი და უმნიშვნელოვანესი საწარმოო რესურსის, ცოცხალი ძალისა და მისი თანმდევი ცოდნის „ექსპორტი" რომელიც ცხადია ცალკე ეკონომიკური თუ პოლიტიკური კატეგორიაა, თუმცა როგორც საწარმოო რესურსი ჩვენს თემასთან მყარ კორელაციაშია, რაც მოქმედი ეკონომიკური სისტემის ნაკლოვანების როგორც შედეგს ასევე მიზეზს წარმოადგენდეს.

სიღარიბის ექსპორტისადმი ყურადღების გამახვილება, უპირველესად მთავრობის შესაბამის პოლიტიკას საჭიროებს, რათა რაც შეიძლება მეტი დამატებითი ღირებულება შეიქმნას ქვეყანაში რომელიც თავისმხრივ გრძელვადიან სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს. ცხადია თანამედროვე გლობალურ გარემოში საქართველოს მსგავსი ქვეყნისათვის, საბოლოო პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მიღწევა მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული, მითუმეტეს იმ პირობებში როდესაც აღნიშნულ ბაზარზე უკვე დომინირებენ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები. ცხადია თანამედროვე გლობალიზაციის ტენდენციები მრავალ შესაძლებლობებსაც გვაძლევს, დღეისათვის მნიშვნელოვნადაა გაზრდილი კაპიტალისა და ცოდნის მობილობა მსოფლიოში, რაც უდიდეს შესაძლებობას იძლევა შესაბამის დარგებში მოზ https://www.geostat.ge

იდული იქნეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ან უკეთეს შემთხვევაში მოხდეს ადგილობრივი ბიზნესის დაინტერესება გადამამუშავებელ მრეწველობაში ინვესტირებისაკენ.

დასკვნა

მსოფლიოში დღეს არსებული ეკონომიკური სისტემის პირობებში საქართველოს მსგავსი ქვეყანა ცხადია უნდა იყოს მორგებული საერთაშორისო ვაჭრობის წესებსა თუ პირობებს და შესაბამისად მთავრობის პირდაპირი ჩარევა გაუმართლებელი და არაეფექტიანიც იქნება, მისი როლი სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა საკითხებს უნდა მოიცავდეს შექმნილი უნდა იყოს სტაბილური, გრძელვადიანი განვითარების საინვესტიციო გარემო, როგორც ადგოლობრივი ინვესტორებისათვის ასევე უცხოელებისათვის, ამ მხრივ დადებითი ეფექტის მომტანი შეიძლება გახდეს ფინანსური ბაზრების განვითარება, რაც თავისმხრივ საქართველოში საინვესტიციო რისკებს შეამცირებს და პორტფელური ინვესტიციების ზრდას გამოიწვევს მათშორის ჩვენთვის სამიზნე სექტორებში,

მთავრობის როლი ასევე შეიძლება მოიაზრებდეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრადსა და მეცნიერების განვითარებაში რის გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელია როგორც მიკრო დონეზე სხვადასხვა დარგის ასევე მთლიანი ეკონომიკის განვითარება.

[1] https://www.geostat.ge

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://translate.google.com/translate?hl=en&sl=ka&u=https://www.geostat.ge/&prev=search&pto=aue
2. https://www.geostat.ge
3. BM.GE - ახალი ამბები, ბიზნეს ... /ka
4. Japans ekonomi skakar – det här behöver du veta
5. IMF Says Global Economic Outlook Getting 'Gloomier', Risks.

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მართვის ეკონომიკური მექანიზმები

მარიკა გაბელია

სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში არის მეტად სპეციფიკური საკითხი, რომლის დროსაც სრულიად იცვლება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა.ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს დადებითი ან უარყოფითი შედეგი,რაც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მის განვითარებულობაზე და კიდევ ბევრ საკითხებზე. სახელმწიფოს ჩართულობა ეკონომიკაში, შეიძლება გამოხატული იყოს იმპორტირებულ საქონელზე ტარიფებისა და ქვოტების დაწესებით, რომელიც წარმოადგენს ამ თემაში ანალიზის საკითხს. ამგვარ ჩართულობას ეკონომიკაში იყენებს უამრავი ქვეყანა და მას ჰყავს, როგორც თანამოაზრეები,ისე მოწინააღმდეგეებიც. ამ თემაზე მსჯელობები და განხილვები მუდამ იყო აქტუალური და შესაბამისად ის მას არც ახლა კარგავს.მაშასადამე, ეკონომისტების აზრთა სხვადასხვაობა დაწესებულ/დასაწესებელ ტარიფებსა და კვოტებზე გვაწვდის მთელ რიგ ინფორმაციას მისი დაწესების მიზეზებზე,პროცესებსა და შედეგებზე.

სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ სისტემაში მოხდა პრაქტიკულად მას შემდეგ,რაც გამოჩნდა, მისი მაქსიმალური სოციალური ორგანიზაცია. მერკანტილიზმი XV-XVII საუკუნეების ეკონომისტების შეხედულებების სისტემაა, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფოს აქტიურ ჩარევაზე ეკონომიკურ საქმიანობაში.მათთვის მნიშვნელოვანი იყო: 1) აქტიური სავაჭრო ბალანსის შენარჩუნება 2) ქვეყანაში ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების მოზიდვა, სარგებლის აღიარება მისი კეთილდღეობის გაზრდის მიზნით, 3) ფული, რომელიც ვაჭრობის სტიმულია, რადგან ითვლება, რომ ფულის მასის ზრდა ზრდის სასაქონლო მასის მოცულობას 4) შეზღუდვა ფუფუნების საგნების ექსპორტისა,რადგან ის იწვევს ქვეყნიდან სიმდიდრის გაჟონვას.

მერკანტილიზმის ეპოქა სწორად სახელმწიფოს გადაჭარბებული ჩარევით გამოირჩეოდა,რომელიც შემდეგ კლასიკურმა ეკონომიკოსებმა დაგმეს.

კლასიკოსების წინააღმდეგობის მოუხედავად მე-19 საუკუნეში სახელმწიფოს სურს ჩაერიოს ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტში. ინდუსტრალიზაციის გავლენის გამო მთავრობებს მოუწიათ ჩარევა მუშათა საშინელი სამუშაო პირობების გამო.

მიკრო დონეზე სახელმწიფოს ჩართულობა გამოიხატება ფასებზე ზედა და ქვედა ზღვარის დაწესებით,რომელთა საშედეგო სუბიექტები არიან მომხმარებლები და მწარმოებლები.მათი ნამეტები იცვლება სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით.

მაკროეკონომიკის დონეზე კი, როდესაც ეკონომიკა არის ღია, ერთ-ერთი საშუალება სახელმწიფოს ჩართვის ეკონომიკაში არის იმპორტირებულ საქონელზე ტარიფის ან კვოტის დაწესება,რომელითაც სარგებლიანობას მიიღებს ადგილობრივი მწარმოებელი, რომელსაც სურს საკუთარი საქონლის უფრო მეტად რეალიზაცია.შესაბამისად,ადგილობრივი წარმოების წინ წამოწევა არის მთვარი მიზეზი,რომელიც იწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე უცხოური საქონლის შემოტანის შემცირებას.

იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების პირდაპირი ადმინისტრაციული ფორმაა და მისი მიზანია ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა. იგი იძლევა დეფიციტური ვალუტის ეკონომიის,მისი საწარმოო მიზნებით გამოყენების საშუალებას.

საიმპორტო კვოტა არასატარიფო ბარიერების სახეებიდან ყველაზე გავრცელებულია, რომელიც გულისხმობს უცხოური პროდუქციის მოცულობის რაოდენობრივ შეზღუდვას.

ვაჭრობა მომსახურების სფეროში არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქვეყნის ეკონომიკური სიჯანსაღისთვის.საერთაშორისო იდეების, უნარების მიმოცვლა არქიტექტურიდან,ლოჯისტიკიდან და ტელეკომუნიკაციებიდან, რომელიც არის გლობალური ექსპორტის ნახევრისა და 2/3 მსოფლიოს მშპ-ის. ამ მიზეზით, ისინი დაუცველები არიან პოლიტიკური მანიპულაციის მიმართ. არასატარიფო ბარიერების საფრთხე, რომელიც მოიცავს კვოტებს იმპორტსა და სუბსიდიებზე, რათა ადგილობრივი მწარმოებლები უფრო კონკურენტუნარიანები გახადონ, ვიდრე უცხოური იმპორტი.

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, საგარეო სავაჭრო ოპერაციების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმებს მთელი რიგი მახასიათებლები აქვთ, რომლებიც ძირითადად განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკასა და ვაჭრობაში მიმდინარე გლობალური პროცესებით. ისინი ეფუძნება საგარეო სავაჭრო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ერთიან მეთოდებს, კონკრეტული ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.ეს მეთოდები კომპლექსური ხასიათისაა და ეფუძნება საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ძირითად ხელშეკრულებებს, მსოფლიო ანტიდემპინგურ კოდექსს, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა, ჰარმონიზაციის კონვენციასა და ა.შ.

საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს ჩარევის მიზეზები

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ სახელმწიფო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია ყველა ქვეყნისთვის.უნდა ვითვალისწინებდეთ იმასაც, რომ მისი როლი სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში,-მათი მსგავსების მიუხედავად არ არის იგივე.

ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მარეგულირებელი იყო და არის ბაზარი.თუმცა, აღსანიშნავია,რომ ბაზარს არ აქვს სრული დამოუკიდებლობა და არ შეუძლია თავად მოაგვაროს ეროვნული ეკონომიკური პრობლემები,ამიტომაც საჭიროა სახელმწიფოს რეგულირების ჩართულობა.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებით ყველაზე მეტად დაინტერესებულია კერძო სექტორები.ეს გამოწვეულია წარმოებისა და კაპიტალის მზარდი კონცენტრაციით,ასევე საბაზრო ეკონომიკის შიდა წინააღმდეგობების გამწვავებით.ამასთანავე, ის შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო კონკურენციის გაზრდასაც.სწორედ საერთაშორისო კონკურენცია წარმოადგენს მთავარ მიზეზს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩართულობას, რადგან ძირითად შემთხვევაში ადგილობრივი მეწარმეები იძულებულნი ხდებიან მიმართონ სახელმწიფოს მხარდასაჭერად და დასაცავად.

ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე ტექნიკური პროგრესის ნაყოფის განაწილება: ამ მხრივ სახელმწიფოს მოთხოვნილება მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ სიმდიდრის სოციალური და ტერიტორიული კონცენტრაციის თანდაყოლილ ტენდენციას.მექანიზმები თავისთავად ხაზს უსვამენ უთანასწორობას და ამიტომ მოითხოვს მარეგულირებელ ჩარევას იმ ტენდენციების საწინააღმდეგოდ,რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას განვითარების უწყვეტობას.

მაშასადამე, სახელმწიფოს რეგულირების მიზეზებია:

1. საერთაშორისო კონკურენციის არსებობა
2. მონოპოლიზაციის ტენდენცია
3. სამეცნიერო,ტექნოლოგიური პროგრესი
4. ბაზარზე უარყოფითი ზემოქმედებების გაჩენა (სიღარიბე, გარემოსდაცვითი პრობლემები და სხვა)
5. წარმოების კერძო და საზოგადოებრივი ხასიათის არსებობა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა

საქართველოს მთვარობის მიერ განხორციელებულ იქნა,როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეს აქვს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა,რომელიც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმს და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე. საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. აღარ არსებობს სეზონური ტარიფები.იმპორტირებულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 28-ე თავის შესახებ.

პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე.საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციატ განზოგადოებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: აშშ, იაპონია და კანადა.

თავისუფალი ვაჭრობა გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეების შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადებისგან, გარდა გამონაკლისებისა. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობა აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, თურქეთთან და ევროკავშირთთან.

ნახაზი- 1



წყარო: იმპორტი ქვეყნის ჯგუფების მიხედვით-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, დიაგრამაზე ნაჩვენებია იმ ქვეყნების წილი საიმპორტო ვაჭრობაში, რომლებსაც აქვთ თავისუფალი ვაჭრობა საქართველოსთან და არ არიან ტარიფებისა თუ კვოტების დაწესების რისკის ქვეშ საიმპორტო საქონელზე.

ნახაზი-2



წყარო: იმპორტი სასაქონლე პოზიციების მიხედვით-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

აღნიშნულ დიაგრამაზე გამოსახულია საიმპორტო საქონლის ის ნაწილი, რომლის ქვეყნის ტერიტორიაზე აქტიურად შემოდის და კონკურენციას უწევს ადგილობრივ საქონელს (ნაწილს). აქედან გამომდინარე უკვე შეგვიძლია გარკვეული შედეგების მიღებაზე ვიფიქროთ და ჩამოვაყალიბოთ მისი ზოგადი სახე.

შედეგები

მას შემდეგ რაც, ადგილობრივი მწარმოებლები დახმარებას სთხოვენ სახელმწიფოს ჩაერთონ ეკონომიკურ პროცესებში, კერძოდ კი ბაზრის დარეგულირებაში, სახელმწიფო დააწესებს ტარიფებს ან კვოტებს იმპორტირებულ საქონელზე, რაც გამოიწვევს იმპორტირებული საქონლის ფასის ზრდას. შესაბამისად ადგილობრივ მწარმოებლებს ეძლევათ შესაძლებლობა გაყიდონ საკუთარი საქონელი იმპორტირებულ საქონელზე უფრო იაფად და მეტი რაოდენობით, ვინაიდან ადამიანის მოთხოვნა საქონელზე არის ელასტიკური ან არაელასტიკური, ძვირიანი პროდუქტის ჩამნაცვლებ-

ლის არსებობის შემთხვევაში ადგილობრივები შეიძენენ ადგილობრივ საქონელს, რაც მომგებიანი აღმოჩნდება მწარმოებლებისთვის.

თუმცა, ეს პროცესი არ გაგრძელდება ხანგრძლივად,მას აქვს მოკლევადიანი ეფექტი, ვინაიდან ადგილობრივი მწარმოებელი მაინც შეეცდება გაზარდოს საკუთარ საქონელზე ფასი და გაუტოლოს იგი იმპორტირებულს. ამის მთავარი მიზეზი კი გახლავთ მოგების უფრო მეტად გაზრდის სურვილი.

შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ანალიზი: როდესაც სახელმწიფო ჩაერევა ეკონომიკაში და შეზღუდავს იმპორტს, უცხოური საქონლის ფასი ადგილობრივ ბაზრებზე გაძვირდება, რომელსაც მალევე მოჰყვება ადგილობრივი საქონლის ფასის ზრდაც.

აშშ-სა და იაპონიის მაგალითი

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ეკონომიკების სიდიდე განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული პროცესების შედეგებს, შესაბამისად მსგავსი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ ორი უდიდესი ეკონომიკის მქონე განვითარებულ ქვეყნებზე, რომლებიც იყენებენ ტარიფებსა და კვოტებს. ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის, შეერთებულ შტატებში ვაჭრობის შეზღუდვის მსურველები პოლიტიკურად უფრო ეფექტურები არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც ვაჭრობის გაფართოებას ითხოვენ. როგორც წესი, ვინც ნებისმიერი კონკრეტული პროდუქტის ვაჭრობის შედეგად იღებს მოგებას, გაცილებით ნაკლებად კონცენტრირებული, ინფორმირებული და ორგანიზებულია, ვიდრე ისინი,ვინც ზარალდებიან.

ამ კონტრასტის კარგი მაგალითია აშშ-ის შაქრის წარმოება. მრავალი წელია აშშ-ს შაქრის შეზღუდული იმპორტი აქვს; გასული 25 წლის განმავლობაში შაქრის საშუალო ფასი შეერთებული შტატების ბაზარზე ორჯერ მეტი იყო მსოფლიო ბაზრის საშუალო ფასთან შედარებით. 2000 წლის აშშ-ის მთავარი საანგარიშო პალატის კვლევამ დაადგინა, რომ იმპორტის შეზღუდვებმა და მასთან დაკავშირებულმა მაღალმა ფასმა აშშ ის მომხმარებლებისთვის 2$ მლდ ზარალი შეადგინა. 2013 განმეორებით ჩატარებულმა ამ კვლევამ უჩვენა, რომ ზარალი 3 $მლდ გაიზარდა, ეს ყოველ კაცზე, ქალზე და ბავშვზე წლიურად 10 $ ნიშნავს. შაქრის მწარმოებლების მოგება მნიშვნელოვნად მცირეა, რადგან იმპორტის შეზღუდვები, აგრეთვე წარმოშობს დისბალანსს შაქრის ბაზარზე და უცხოელი მწარმოებლები, რომელთაც მოპოვებული აქვთ უფლება მიჰყიდონ შაქარი აშშ-ს, ინარჩუნებენ სხვაობას აშშ-ის მაღალ და მსოფლიოს დაბალ ფასებს შორის.

შაქრის იმ მწარმოებლების მდგომარეობა, ვინც დაზარალდებოდა ვაჭრობის გაზრდით, საკმაოდ განსხვავებულია. მაღალი მოგება იმპორტის კვოტიდან უმეტესად კონცენტრირებულია მცირე რაოდენობის მწარმოებლებზე (შაქრის ლერწმის მფლობელებზე).

განვიხილოთ იაპონიის ბრინჯის პოლიტიკის გავლენა.იაპონია ბრინჯის მხოლოდ მცირე მოცულობის იმპორტის ნებართვას იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ მიწის დეფიციტურობის გამო, ამ ქვეყანაში ბრინჯის წარმოება გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატების ჩათვლით). ჩნდება კითხვა: ექნება თუ არა იაპონიას ცხოვრების უფრო მაღალი დონე, თუ ბრინჯის თავისუფალ იმპორტს დაუშვებდა? იაპონელი ბრინჯის ფერმერები თავისუფალი ვაჭრობის შედეგად, სავარაუდოთ, დაზარალდებოდნენ, იმპორტის დაშვების შემდეგ გამოთავისუფლებული ფერმერები, ალბათ, წარმოების სხვა სფეროში იპოვიდნენ სამუშაოს, მაგრამ საქმიანობის შეცვლა, სავარაუდოთ, ხარჯიანი და ნაკლებად მოხერხებული იქნებოდა მათთვის: ბრინჯის წარმოებისთვის განვითარებული უნარები შესაძლოა, ახალ საქმიანობაში არ გამოდგომოდათ.უფრო მე-

ტიც, ფერმერების მფლობელობაში არსებული მიწის ღირებულება ბრინჯის ფასთან ერთად დაეცემოდა. გასაკვირი არ არის, რომ იაპონელი ბრინჯის ფერმერები ძლიერ ეწინააღმდეგებიან ბრინჯით თავისუფალ ვაჭრობას და მათ ორგანიზებულ პოლიტიკურ ოპოზიციას უფრო ითვალისწინებენ-,ვიდრე პოტენციურ მოგებას ვაჭრობიდან მთლიანად ქვეყნისთვის.

დასკვნა და შეჯამება

შესაბამისად განხილული თემის გარშემო შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, სახელმწიფო უნდა ერეოდეს თუ არა ეკონომიკაში. ქვეყნის განვითარებულობისა და ეკონომიკური სიდიდის მიხედვით განისაზღვრება პროცესები წარიმართება დადებითად თუ უარყოფითად,თუმცა უარყოფითი დამოკიდებულება უფრო მოსალოდნელია, ვიდრე დადებითი.

ჩვენ გავიგეთ თუ რომელი სუბიექტი იგებს და რომელი აგებს ამ პოლიტიკით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დაზარალებულები არიან მყიდველები, რომლებსაც უწევთ ბაზარზე არსებული მაღალი ფასების გადახდა, ვინაიდან გაძვირებულია როგორც იმპორტირებული, ისე ადგილობრივი საქონელიც. განვითარებადი ქვეყნის სახელმწიფოს, ისეთი როგორიც საქართველოა, ვერ შეძლებს დიდხანს შეინარჩუნოს ტარიფებისა და კვოტების დაწესების შეზღუდვები, ვინაიდან ქვეყნის მცირე ეკონომიკა ვერ შეინარჩუნებს წონასწორობას და ბაზრის ყველა სუბიექტი დაზარალდება.რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს მათ აქვთ იმის შესაძლებლობა თვალი დახუჭონ დანაკარგებზე,რომელიც არც თუ ისე დიდია და მხარში დაუდგნენ ადგილობრივ მწარმოებლებსა თუ ფერმერებს, ამის აშკარა მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია.

ეკონომისტთა ნაწილის აზრით ნებისმიერი სახის ჩარევა არის მიუღებელი, რომლის **შედეგებიც იქნება საზიანო ქვეყნისთვის, ვინაიდან ბაზარზე წარმოიქმნება დიდი დაპირისპირება. ნაწილი კი თვლის, რომ „უხილავი ხელი“ თავისით დაარეგულირებს** ბაზარს, თუმცა ყველა უნდა თანხმდებოდეს იმაზე, რომ ქვეყნის განვითარების დონე და ეკონომიკური სიდიდე გადამწყვეტია.

მაშასადამე, საბოლოო დასკვნად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ საკითხებში იქნება ეს მაკრო თუ მიკრო დონეზე სხვადასხვა შედეგს იძლევა ქვეყნების მიხედვით. საქართველოსთვის რთული იქნება ამ პროცესებში ჩართულობა, განვითარებული ქვეყნებისთვის კი მეტად იოლი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (economy.ge)
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: იმპორტი ქვეყნების მიხედვით
4. იმპორტი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)
5. ჯემალ ხარიტონაშვილი.ეკონომიკური აზრის ისტორია (2019):მერკანტილიზმი გვ;52
6. Bizness media Georgia: სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარებაში
7. სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარებაში | BM.GE

   scsisantarget: სახელმწიფოს ჩართვის თეორია ეკონომიკურ თეორიაში
8. სახელმწიფოს ჩარევის თეორია ეკონომიკაში • gestiopolis (iscsisantarget.com)
9. 6.Krugman et al. International economics theory and policy(2017): შემოსავლის განაწილება და ვაჭრობის პოლიტიკა გვ: 70 გვ; 52
10. These 3 charts show how international trade works - and the current state it’s in.(2021)world economic forum. This is the current state of global trade | World Economic Forum (weforum.org)
11. 8.Studref-Механизмы государственного регулирования внешней торговли(2017)
12. Механизмы государственного регулирования внешней торговли - Международный бизнес в отраслях нефтегазового комплекса (studref.com)
13. Государственное регулирование экономики (2023)
14. Государственное регулирование экономики – Википедия (wikipedia.org)
15. Международная торговля(2022)
16. ru.wikipedia.org/wiki/Международная_торговля#Меркантилизм

მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ლუკა გაგუა

კვლევის მიზანია გავარკვიოთ მცირე და საშუალო ბიზნესის დღევანდელი მდგომარეობა და სამომავლო განვითარების პერსპექტივები საქართველოში, მათი ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი ასპექტების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდისა და მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ყველაზე დინამიკური საშუალებაა. მცირე ბიზნესის განვითარებისთვის ხელშეწყობით იქმნება ადამიანთა კეთილდღეობის სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური პირობები. ნაშრომის თეორიულ - მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სხვადასხვა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, ქართული და უცხოური სტატისტიკური მონაცემები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. სტატიის ძირითად ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის დეკლარირებული მონაცემები ბიზნესის ფორმების მიხედვით ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორიცაა: დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებულთა რაოდენობა, დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება. სტატიის ბოლოს წარმოდგენილია ავტორის დასკვნები მოცემულ საკითხზე.

საკვანძო სიტყვები: *მცირე და საშუალო ბიზნესი, ბიზნესსექტორი, მეწარმეობა.*

მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (SMEს) თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ხერხემალია, ამიტომ სახელმწიფოსთვის მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობა ყოველთვის აქტუალურია ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმის, თუ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესში.

SME-ს პირველი განმარტება შემუშავებული იქნა გაერთიანებულ სამეფოში ბოლტონის კომიტეტის მიერ (1971 წ.). გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ დააფინანსა კვლევითი პროექტი, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა მცირე ბიზნესის სექტორის და მისი შესაძლებლობების შესწავლა იმ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან მიმართებაში, რომელიც პრივატიზაციას და დეინდუსტრიალიზაციას უკავშირდებოდა. [9]

მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფი განვითრება ევროპის ქვეყნებში გვიჩვენებს ეკონომიკის ამ სეგმენტის რეალურ შესაძლებლობებს, როგორიცაა მაღალი კონკურენციის პირობებში მოქნილობა, ბაზრის მოთხოვნებზე მყისიერი რეაგირება, ინოვაციური საქმიანობის დანერგვის მიმართულებით სწრაფი ადაპტაცია, ნაკლები დანახარჯები სიახლეებზე, წარმოების ტექნიკური გადაიარაღება და ამ მიზნის მისაღწევად ნაკლები კაპიტალდაბანდებების გამოყენება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე ბიზნესის ფუნქცია ინოვაციური აქტივობების დაჩქარებაში. ინოვაციურობა მეწარმეობისათის შინაგანი მდგომარეობაა, თუმცა განსაკუთრებული მოტივაციით იგი მცირე ბიზნესში ვლინდება. „ამერიკელი ეკონომისტების გაანგარიშებით, ინოვაციების შექმნაზე ერთ მეცნიერზე და ინჟინერზე მცირე ფირმაში 4-ჯერ ნაკლები დანახარჯები მოდის, ვიდრე საშუალო საწარმოზე“. [3]

საქართველოში მცირე ბიზნესის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესებში საოჯახო ტრადიციული საქმიანობის გამოცდილების პოპულარიზაცია და დანერგვა. აგრეთვე მნიშვნელოვანია საქართველოს მცირე ბიზნესში ევროკავშირის გამოცდილების დანერგვა და ადაპ-

ტაცია, ადგილობრივი და უცხოელი მცირე მეწარმეების თანამშრომლობა და კორდინაცია. მცირე ბიზნესისთვის ერთდერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კვალიფიციური კადრებით სისტემის უზრუნველყოფა. ეს ბიზნესი საჭიროებს პროფესიული ცოდნით აღჭურვილ კადრებს და კვალიფიციურ კონსულტაციებს. დღეს, ბიზნესს უწევს ძლიერ კონკურენტულ გარემოში ოპერირება, ამიტომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, აღწევს თუ არა ის დასახულ მიზნებს და რესურსებს როგორ იყენებს. ინოვაციებს შეუძლია გაზარდოს ფირმის ეფექტიანობა მწარმოებლურობის ზრდით და დანახარჯების შემცირების კუთხით. მცირე და საშუალო ზომის ფირმებს საციცოხლოდ ესაჭიროება ისეთი ინოვაციების დანერგვა, რომელიც გაზრდის მათ ეფექტიანობას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. სულ უფრო მზარდი კონკურენციის და რესურსების შეზღუდულობის პირობებში ფირმებს, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ზომის ფირმებს ესაჭროებათ ახალი ტექნოლოგიები, რათა გაუმკლავდნენ საბაზრო სირთულეებს, კერძოდ, მსხვილი ფირმების კონკურენციას და სხვა საბაზრო სირთულეებს და დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნილებები.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრების ტენდენციები

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები, დანია და ნიდერლანდები, ტრადიციულად, აგრარულლი მიმართულების არიან, ამიტომ ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის საწარმოების მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პრაქტიკა მოწმობს, რომ ევროპის ქვეყნებში მცირე ბიზნესი ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას, „აიძულებს“ მსხვილ კომპანიებს, მუდმივად იზრუნონ ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და წარმოებული პროდუქციის (საქონლის, მომსახურების, შესრულებული სამუშაოს) ხარისხის გაუმჯობესებაზე. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებულ საქმიანობაზე პირდაპირაა დამოკიდებული მთელი ეკონომიკის ეფექტიანობა. სწორედ ამიტომ ევროკავშირი ახორციელებს მცირე ბიზნესის მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერის ისეთ პოლიტიკას, რომლის მთავარი მიზანია სახელმწიფოსა და ბიზნესის ინტერესების დაბალანსება, სამეწარმეო საქმიანობისთვის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა. მხარდაჭერის ერთიანი პოლიტიკის უპირატესი პრიორიტეტია მცირე ბიზნესის სფეროში ინოვაციების დანერგვა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ წინსვლასა და „საშუალო კლასის“, როგორც საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობაში მნიშვნელოვანი ფაქტორის, ჩამოყალიბებას. განზოგადებულად, შეიძლება ითქვას, რომ ევროსივრცეში იდენტურია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, განსხვავებულია მხოლოდ ცალკეული ქვეყნის ორგანიზაციული და საწარმოების მხარდაჭერის ფორმები. ევროკავშირის სტრუქტურების გარდა, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას დამოუკიდებლად ახორციელებს ევროპის ცალკეული ქვეყნის ხელისუფლებაც. ამ პროცესში ჩართულია კერძო ინიციატივები და მსხვილი ბიზნესიც, რაც ერთობლიობაში დამატებითი, შედეგზე ორიენტირებული, მძლავრი სტიმულია ეკონომიკის აღმასვლისთვის. ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესისადმი ასეთი პოლიტიკის განხორციელება ემსახურება ეროვნული მცირე საწარმოების საერთაშორისო კონკურენციის განვითარებას; ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მცირე საწარმოების ეკონომიკური ზრდას; უცხოური ინვესტიციების მოზიდვას; ინოვაციურ საქმიანობას; ტექნოლოგიებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, ახალი კონკურენტული ინდუსტრიების შექმნის და, ასევე, არსებულის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. [7] „აწარმოე საქართველოში“: პროგრამა ითვალის-

წინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით.

ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის მართვაში ხელშეწყობის თვალსაზრისით. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების არსებული პოლიტიკის სრულყოფა. მთავრობის ხელშეწყობის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა საქართველოში მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების (მსს) განვითარების მხარდაჭერის არსებული გარემო. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა მთავრობის მიერ შემუშავებულმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიამ „საქართველო 2022“ და 2015-2022 წლებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარების პრიორიტეტებმა. მათში ნაჩვენებია მსს-ის საქმიანობის გაფართოებისთვის განკუთვნილი მთავრობის ქმედებები, კონკრეტულად, საქართველოს მეწარმეობის განვითარების ღონისძიებები.

დღეს მცირე და საშუალო საწამოთა საწარმოო სიმძლავრეები და ტექნოლოგიები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს საქართველოში. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით სავალალოა ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილების დარგში, სადაც ტექნოლოგიები საჭიროებს მოდერნიზაციას[9].

მცირე და საშუალო მეწარმეობის სფეროში განსაკუთრებით მაღალია ტრანსაქციული ხარჯები. ინფრასტრუქტურა, ქალაქთან შედარებით, ნაკლებად განვითარებულია და ძვირი ჯდება აგროსამრეწველო ქსელის შენახვა. გაცილებით რთულია ამ სფეროში სესხების მიღება[9].

საწარმოთა სტატისტიკურ მაჩვენებელთა დინამიკური ანალიზი საქართველოში

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან სახელმწიფო, მცირე და საშუალო მეწარმეები, მსხვილი ბიზნესი, მუნიციპალიტეტები, ასოციაციები და სხვ. თითოეულ მათგანს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, მის ჩართვას ღირებულებათა შექმნის ქსელში, იზრუნოს ღირებულების ზრდის ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრასა და სტაბილურობის გაძლიერებაზე. საქართველოში არსებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ბრუნვის დინამიკა მოცემულია 1-ელ ცხრილში. მასში ასახულია საქართველოში 2015–2022 წლებში საწარმოთა ზომის მიხედვით წლიური ბრუნვა.

ცხრილი 1

საქართველოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების
ბრუნვა 2015–2022წლებში (მლნ ლარი)

წელი და კვარტალი		საშუალო საწარმოები	მცირე საწარმოები
2015	…	13,294.6	19,018.7
2016	…	14,039.1	21,786.4
2017	…	16,568.3	22,970.7

2018	…	18,543.2	25,179.1
2019	…	21,065.5	27,454.2
2020	…	20,484.6	27,169.3
2021	…	24,350.3	27,818.7
2022	I	5,820.0	7,151.7
	II	7,276.0	8,781.4
	III	7,849.6	10,348.1
	IV	8,072.8	11,561.5

წყარო: https://www.geostat.ge

1-ლ ცხრილში კარგად ჩანს, რომ 2015–2019 პერიოდში მცირედი ცვლილება შეინიშნება მცირე საწარმოთა ბრუნვაში. 2020 წელს მცირედ შემცირდა, ხოლო 2021 წლიდან კვლავ ზრდადი ტენდენ-ცია გვაქვს. რაც შეეხება საშუალო საწარმოთა ბრუნვას 2015–2019 პერიოდში ზრდადი ტენდენციაა, თუმცა 2020 წელს საწარმოთა ბრუნვა შემცირებულია 0,580.9 მლნ ლარით 2019 წელთან შედარებით. შემდეგ, 2021 წელს საშუალო საწარმოთ ბრუნვა კვლავ იზრდება 3,865.7 მლნ ლარით 2020 წელთან შედარებით და ინარჩუნებს ტენდენციას 2022 წელსაც.

ცხრილი 2

საქართველოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების
მიერ პროდუქციის რეალიზება 2015–2022 წლებში (მლნ ლარი)

წელი და კვარტალი		საშუალო საწარმოები	მცირე საწარმოები
2015	…	7,873.5	9,600.4
2016	…	8,573.9	11,381.4
2017	…	9,719.2	12,892.9
2018	…	11,082.5	13,723.3
2019	…	12,535.6	15,193.3
2020	…	12,542.3	15,042.8
2021	…	14,085.7	16,539.1
2022	I	3,293.6	3,876.8
	II	3,872.0	4,695.6

	III	4,522.2	5,693.8
	IV	4,714.2	6,447.9

წყარო: https://www.geostat.ge

როგორც ცნობილია, საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარჯზე ხდება საწარმოს ბრუნვა. მე-2 ცხრილში აღწერილია 2015-2022 წლებში საწარმოთა ზომის მიხედვით გამოშვებული პროდუქცია. 2015-2019 პერიოდში ზრდადია მცირე საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია, ხოლო 2020 წელს 0,150.5 მლნ ლარით მცირდება 2019 წელთან შედარებით. ამის მიზეზი, შეიძლება ითქვას იყო, COVID-19 დროს შეზღუდული რეგულაციები, რის შედეგადაც ზოგიერთი საწარმო დაიხურა ზოგს კი ფუნქციონირება შეუნელდა. შემდეგ, ისევ ზრდადია მცირე საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია. რაც შეეხება საშუალო საწარმოს 2015-2022 პერიოდში მუდმივად იზრდება მის მიერ წარმოებული პროდუქცია.

ცხრილი 3

საქართველოში მცირე და საშუალო ზომის
საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 2015–2022 (კაცი)

წელი და კვარტალი		საშუალო საწარმოები	მცირე საწარმოები
2015	…	137,171	290,982
2016	…	142,447	306,543
2017	…	145,463	329,112
2018	…	160,095	330,803
2019	…	152,516	339,152
2020	…	152,458	289,706
2021	…	146,950	313,125
2022	I	137,934	249,020
	II	140,160	262,018
	III	162,688	255,185
	IV	161,853	269,828

წყარო: https://www.geostat.ge

ცხადია, თუ საწარმოში არ იქნებიან თანამშრომლები, საწარმო პროდუქციის რეალიზაციას ვერ მოახდენს, შესაბამისად, არც ბრუნვა იქნება. მოცემულ მე-3 ცხრილში ასახულია დასაქმებულთა რაოდენობა მცირე და საშუალო საწარმოებში 2015-2022 პერიოდში. მცირე საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა პერიოდულად მატულობს 2015-2019 პერიოდში. 2020 წელს 49,446 კაცით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. შემდეგ 2021 წელს კვლავ იმატებს 2022 წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა, თუმცა 2019 წელთან შედარებით 26,027 კაცით მცირეა. მე-3 ცხრილიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ 2015-2022 პერიოდში მცირე საწარმოში დასაქმებულთა მაღლი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2019 წელს რომელიც არის 339,152 კაცი. რაც შეეხება საშუალო საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობას 2015-2018 პერიოდში ზრდადია. შემდეგ კი 2019-2022 პერიოდში მცირედით იკლებს დასაქმებულთა რაოდენობა. დასაქმებულთა რაოდენობა კვლავ იმატებს 2022 წელის II-კვარტალიდან.

ცხრილი 4

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებში
დაქირავებულთა რაოდენობა 2015-2023 წლებში (კაცი)

წელი და კვარტალი		საშუალო საწარმოები	მცირე საწარმოები
2015	…	136,619	249,416
2016	…	142,120	260,263
2017	…	144,990	274,203
2018	…	159,299	276,969
2019	…	152,249	284,685
2020	…	152,205	242,515
2021	…	146,841	257,068
2022	I	137,667	212,858
	II	139,818	223,907
	III	162,397	216,345
	IV	161,301	228,988

წყარო: https://www.geostat.ge

საწარმომ უნდა დაიქირაოს თანამშრომლები, რათა იარსებოს. მე-4 ცხრილში ნაჩვენებია მცირე და საშუალო საწარმოს მიერ დაქირავებულთა რაოდენობა 2015-2022 პერიოდში. თვალსაჩინოა, რომ მცირე საწარმოს მიერ დაქირავებულთა რაოდენობა შედარებით მეტია, ვიდრე საშუალო საწარმოს მიერ. როგორც ვხედავთ, მცირე საწარმოს მიერ დაქირავებულთა რაოდენობა 2019 წელს გაიზარდა

35,269 კაცით, 2015 წელთან შედარებით. ყველაზე მეტი დასაქმებულთა რაოდენობა დაფიქსირდა 2019 წელს. რაც შეეხება, საშუალო საწარმოს მიერ დაქირავებულთა რაოდენობას 2015-2018 პერიოდში იზრდება, შემდეგ კი საგრძნობლად მცირდება. საშუალო საწარმოში დაქირავებულთა რაოდენობის ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა 2018 წელს, რომელიც შეადგენს 159,299 კაცს.

ცხრილი 5

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა
საშუალო თვიური ანაზღაურება 2015–2022 წლებში (მლნ ლარი)

წელიდა	კვარტალი	საშუალო საწარმოები	მცირე საწარმოები
2015	…	1,030.5	659.0
2016	…	1,085.9	697.7
2017	…	1,196.9	776.1
2018	…	1,276.3	892.4
2019	…	1,416.8	893.5
2020	…	1,419.6	991.6
2021	...	1,616.9	1,008.4
2022	I	1,776.5	1,170.9
	II	1,920.6	1,320.8
	III	1,955.2	1,420.4
	IV	2,165.3	1,602.1

წყარო: https://www.geostat.ge

საწარმოში მომუშავე თანამშრომლებს თუ არ ექნებათ შესაბამისი ანაზღურება, საწარმოს დატოვებენ. მე-5 ცხრილში აღნიშნულია მცირე და საშუალო ბიზნესში მომუშავეთ საშუალო თვიური ანაზღაურება ლარებში. 2015-2022 პერიოდში პირველ რიგში, ადვილად შესამჩნევია, რომ საშუალო საწარმოში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღურება თვალსაჩინოდ მეტია, მცირე საწარმოსთან შედარებით. მცირე საწარმოში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება მინიმალურია 2015 წელს, რომელიც 659.0 ლარს შეადგენს. შემდეგ კი პერიოდულად იზრდება მათი ანაზღაურება და მაქსიმალურ მნიშვნელობას ღებულობს 2022 წელის IV კვარტალში, რომელიც არის 1,602.1 ლარი. საშუალო საწარმოში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება მინიმალურ მნიშვნელობას ღებულობს 2015 წელს, რომელიც 1,030.5 ლარია, ხოლო მაქსიმალური, 2022 წლის IV კვარტალში – 2,165.3 ლარი. 2015-2022 პერიოდში როგორც მცირე საწარმოში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება პერიოდულად იზრდება, ანალოგიურად ხდება საშუალო ბიზნესში.

დასკვნა და რეკომენდაციები

სიღარიბის დამარცხების ერთადერი წყაროა მცირე და საშუალო მეწარმოების განვითარება და მას ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას. როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ისე მსოფლიო ბანკი მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ საქართველოს. კომერციული ბანკების მეშვეობით მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების გაზრდა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნესგარემო, შემცირებულია ადმინისტრაციული ბარიერები და გაუმჯობესებულია სახელმწიფო სერვისები.

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს კარგად ესმით ის, რომ კონკურენტუნარიანობის ზრდა პირდაპირპროპორცულია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვასთან, თუმცა პრობლემები, რის წინაშეც ისინი დგანან, მათ საშუალებას არ აძლევს კომპანიაში ახალი ტექნოლოგიები დროულად და ხარისხიანად დანერგონ. სხვადასხვა წყაროს ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოიკვეთა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ტექნოლოგიების ბიზნესპროცესებში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა და ხერხები, რომლის გამოყენებითაც უნდა მოხდეს დანერგილი ტექნოლოგიების ინტეგრაცია და შემდეგ კომერციალიზაცია.

მიზანშეწონილია, მომავალში მცირე ბიზნესის მხარდაჭერით და განათლების სამინისტროს ხელშეწყობით პროფესიულ სასწავლებლებში გაძლიერდეს მოთხოვნად სპეციალობაზე კადრების მომზადება, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს, სათანადო ცოდნით აღჭურვილ სპეციალისტებით, ეკონომიკის ამ მნიშვნელოვანი სეგმენტის დაკომპლექტებას.

დღესდღეობით, კონკურენციის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესებს უწევთ დაბალ მარჟასა და ფასებზე მუშაობა, ამიტომ მუდამ ეძებენ ამ პრობლემების გამოსწორების გზებს ინოვაციების დახმარებით. თუმცა, ინოვაცია რაღაც ეტაპზე სიახლე აღარ არის. ამის გათვალისწინებით კომპანიებმა ხშირად უნდა შესთავაზონ მომხმარებლებს ახალი, კონკურენტებისგან განსხვავებული პროდუქტები და სერვისები. ხშირ შემთხვევაში ახალი პროდუქტების შეთავაზება მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის პრობლემურია, რადგან შექმნის პროცესი მოიცავს პროტოტიპირებას, ტესტირებას, შედეგებისა და ბაზრის შესწავლას. საჭიროა საწარმოთა ინოვაციური აქტივობების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, პირველ რიგში, მეწარმეების ცოდნის და ინფორმირებულობის გაზრდით ტექნოლოგიების აუცილებლობის შესახებ და მეორე რიგში მათი საქმიანობაში ინოვაციების დანერგვის ფინანსური მარდაჭერით.

მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, მათი ბიზნესის განვითარებისა და სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არსებული ბიზნესმოდელის ინოვაცია და მართვის ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, თუმცა დღესდღეობით საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესები ნაკლებად იცნობენ და იყენებენ მართვის თანამედროვე მეთოდოლოგიებს.

კრიზისისა და კრიზისის შემდგომი პერიოდის სოციალურად ორიენტირებული ფინანსური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის გრძელვადიანი მდგრადობის გარანტიას, ასევე ზრდის კომპანიის მოგებას და დამატებით თანხებს გამოყოფს თანამშრომლებისთვის. მაგ., კომუნალური გადასახადების დაზოგვა შეიძლება დაურიგდეს თანამშრომლებს დისტანციური მუშაობის რეჟიმის ორგანიზებასთან დაკავშირებული გაზრდილი გადასახადების დასაფარავად.

მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, რადგან ზოგიერთ ქვეყანას მაღალი ეკონომიკა აქვს შემუშავებული, შესაბამისად უმუშევრობის დონე დაბალია. ხოლო ისეთ ქვეყნებში სადაც ეკონომიკა არ არის განვითარებული მაღალი უმუშევრობის დონე ფიქსირდება, მაგრამ ბიზნეს სექტორის ძირითადი ნაწილის დასაქმებულთა რაოდენობა მცირე და საშუალო სექტორზე მოდის, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ სექტორის განვითარება და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დიდებულაძე, თ. (2019) ინოვაციების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესის მწარმოებლურობაზე. https://openscience.ge/bitstream/1/609/1/didbulidze%20tornike.pdf
2. ერქომაიშვილი გ. ბიზნესი: ფირმის ეკონომიკა. თბ., 2007, გვ.25.
3. კურდღელია, ნ. (2020) მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამები ევროკავშირის ქვეყნებში. file:///C:/Users/user/Downloads/admin,+84-91%20(3).pdf
4. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის https://www.gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf
5. სახელმძღვანელო მითითებები და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერგიის მოწყობილოების მიწოდებაში https://unece.org/sites/default/files/2021-04/Report_COVID-19_GEORG_08_April_2021_Tbilisi.pdf
6. %20info@geostat.ge https://www.geostat.ge
7. info@enterprise.gov.ge https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka
8. http://geoeconomics.ge
9. http://www.conferenceconomics.tsu.ge

პოსტპანდემიური პერიოდის გამოწვევები საქართველოში: ბიზნეს სექტორის განვითარების შესაძლებლობები და მისი სრულყოფის გზები

ელენე გარდავა

კორონავირუსის პანდემიის წნეხი მრავალწახნაგოვანია. ვერცერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო, გაქცეოდა ან თავიდან აეცილებინა ახალი რეალობის უარყოფითი შედეგები,გამონაკლისი არც საქართველოა.პოსტპანდემიურ პერიოდში გამწვავებები და სავარაუდო მოლოდინები განსხვავებულია, ძირითადად, ეკონომიკური ზეგავლენა ქვეყნებზე შემდეგი ლოგიკით განვითარდა: მთავარ ეკონომიკურ დარტყმები მიიღო იმ ქვეყნებმა, რომლებშიც COVID-19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა, აგრეთვე იმ ქვეყნებმა, რომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ტურიზმზე, ნავთობისა და სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის იმპორტზე. ნეგატიურ გვერდით ეფექტებს ეკონომიკის სექტორები სხვადასხვა სიძლიერით და ინტენსივობით გრძნობენ,რასაც მათი ქვეყნის კონიუქტურული მდგომარეობა განსაზღვრავს.საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორში კერძო ინიციატივების გამოჩენა და თვითორგანიზება ახალი ტიპის სერვისებისა და პროდუქტების შემუშავებისათვის, რომლებიც პოსტპანდემიურ პრობლემებსა და გამოწვევებს მაქსიმალურად უპასუხებს.მკაცრმა ეკონომიკურმა შეზღუდვებმა, ჩაკეტილმა საზღვრებმა და შემცირებულმა გზავნილებმა ქართველი მომხმარებლის ეკონომიკური შესაძლებლობები საგრძნობლად შეამცირა. შესაბამისად, ბიზნესი უნდა ეცადოს ადაპტირდეს არსებულ მოცემულობებზე და სწორად განსაზღვროს საწარმოო შესაძლებლობის საზღვრები.

საკვანძო სიტყვები: *პოსტპანდემიური გამოწვევები, ბიზნეს სექტორი, გლობალური ბიზნესი, ელექტრონული კომერცია, ციფრული ტექნოლოგიები,ანტიკრისზისული გეგმა.*

მთავრობის მიერ მიღებული ადრეულიზომები, რომელთა შედეგადაც ქვეყანა თითქმის სრულად ჩაიკეტა, წარმატებული აღმოჩნდა ინფექციის გავრცელების დაბალი დონის შენარჩუნებაში. თუმცა, ეკონომიკისთვის მიყენებული ზიანი, ლოკდაუნსა და საგარეო შოკებთან ერთად, ძალიან დიდია: მეორე კვარტალში 12.6%-იანი უარყოფითი ზრდა აღინიშნა, ხოლო 6 თვის საშუალო ზრდა -5.8% იყო. პანდემიის შედეგად შექმნილი სიტუაცია კომპანიებზე უმეტესად გაყიდვების, შეკვეთებისა და მოთხოვნის შემცირებით აისახა. კითხვაზე „როგორ აისახა პანდემიის შედეგები თქვენს ბიზნეს-საქმიანობაზე“ რესპონდენტთა გამოკითხვამ აჩვენა შემდეგი პროცენტული მაჩვენებლები,-რომლებიც გრაფიკული სახითაა წარმოდგენილი.

დიაგრამა 1

რეგიონების მიხედვით გავლენის ხარისხი არსებითად არ განსხვავდება (დიაგრამა 2), თუმცა რაც უფრო მცირეა ბიზნესის ზომა მით უფრო დიდი გავლენა აქვს პანდემიას მასზე. ყველაზე ნაკლებად მსხვილი კომპანიები დაზარალდნენ,ყველაზე მეტად კი თვითდასაქმებულები,მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები.

დიაგრამა 2



ამასთან ერთად საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, 2020 წლის თებერვლის თვეში უკვე შემცირდა საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 0.7%-ით წინა წლის იმავე თვის მაჩვენებელთან შედარებით.ტურისტების შემცირება ასევე აისახება სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვაზე, საავიაციო კომპანიების შემოსავლებზე და ა.შ. ამ ბიზნესებზე ზეგავლენას მოახდენს არა მხოლოდ ტურისტების შემცირება, არამედ სხვადასხვა შეზღუდვები, რომლებიც დისტანცირების დაცვას ისახავდა მიზნად. ეკონომიკური გავლენის მასშტაბის შესაფასებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ მაგალითად ტურიზმის სფეროში, 2018 წლის ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში 44 000 ადამიანია დასაქმებული; ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის მცირე ბიზნესის სფეროში ჩართულია 187,6 ათასი ადამიანი და ა.შ. მიუხედავად გლობალური ეკონომიკური კრიზისა პანდემიით განპირობებული გამოწვევები და სირთულეები შეიძლება გადაიქცეს რეალურ შესაძლებლობებად და განვითარების დამაჩქარებლად მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარებისათვის. მიმდინარე ეტაპზე ქვეყნებს ეძლევათ ახალი შესაძლებლობები, რათა პირველი შემსრულებლები გახდნენ ბიზნესის კეთების კუთხით და არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მოდერნიზების თვალსაზრისით-რეფორმატორები, ამასთან ყურადღების ცენტრში მოაქციონ მანამდე უგულველყოფილი აქტუალური პრობლემები და გადასაჭრელი საკითხები. განახლებული ბიზნეს-გარემოსთვის, სისწრაფე იმაზე მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ეს აქამდე იყო. ტრანსფორმაციისთვის ბრძოლა უკვე დაწყებულია.

2023 წელს პოსტპანდემიურ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცს ისეთი სფეროების განვითარებას, როგორიცაა ელექტრონული მოწყობილობების და პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება, რომლებიც სარგებელს დისტანციური მუშაობის გაზრდილი ტენდენციიდან მიიღებენ. სამუშაო პროცესების გაციფრულება კი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია გლობალურ პოსტპანდემიურ ბიზნესში. კრიზისულ ვითარებაში ბიზნესს გადარჩენის მხოლოდ ერთი გზა აქვს - ეს სწრაფი რეაგირების და გადაწყობის უნარია, რაც დღეს ბიზნესის გაციფრულების გარეშე შეუძლებელია. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ახდენს ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციას, კომპანიის პროდუქტიულობის გაზრდას და მომხმარებელთა ურთიერთქმედების გაუმჯობესებას.რაც

უფრო მალე მიხვდება ბიზნესი გაციფრულების აუცილებლობას მით უფრო სწრაფად შევძლებთ წინ სვლას და საკუთარი პროდუქციის/მომსახურების გაუმჯობესებას. სწორედ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიური გარღვევას გლობალურ ეკონომიკაში. კომპანიებს, რომლებიც არ დაიწყებენ გაცირფულებას დღესვე შეექმნებათ უამრავი პრობლემა ბაზარზე პოზიციების შესანარჩუნებლად, რადგან ისინი ვერ გაუწევენ კონკურენციას უკვე გაციფრულებული კომპანიებს და ბაზარზე წარმოქმნილ ახალ გამოწვევებს. ეს პროცესი გადარჩენისთვის ბრძოლის დარვინისეული თეორიის მსგავსად მოქმედებს.

ბიზნესის მიერ კარანტინის პირობებთან ადაპტაციამ, ბევრი ისეთი ფუნქცია, რომელიც პირისპირ ხორციელდებოდა დისტანციურად ინტერნეტ სივრცეში გადაიტანა. ამ ცვლილებამ დრამატულად დააჩქარა ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი ბიზნესმოდელების დანერგვა. ისეთმა ტენდენციებმა, როგორიცაა ელექტრონული კომერცია, დისტანციური მუშაობა, მობილ-ბანკით გადახდები, სახლში მიწოდების სერვისები (Glovo,Wolt და სხვა), რომელმაც შექმნა შესაძლებლობები შემუშავდეს ახალი, დამატებითი ღირებულების შემქმნელი სერვისები. მიუხედავად ამისა, ეს მიდგომები უფრო მნიშვნელოვან ადგილს შეინარჩუნებენ ბიზნეს სექტორის ფუნქციონირებაში, ვიდრე ეს პანდემიის დადგომამდე იყო. წინასწარი კლვევების მიხედვით, ელექტრონული კომერციის გავრცელება 2023 წლის ბოლოსთვის ორჯერ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ეს COVID-ამდე პერიოდში იყო. გარდა ამისა, გამოკითხული ტოპ-მენეჯერების 50-დან 75%-მდე გეგმავს, რომ დასაქმებულებს მუდმივად შეუნარჩუნოს დისტანციურად მუშაობის არჩევანი. გაციფრულება პასუხობს პანდემიის შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნებს, ვინაიდან მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება ინფორმაციის მოგროვება და მართვა, მაგალითად ისეთი მეთოდების გამოყენებით როგორიც არის ხელოვნური ინტელექტი, საოპერაციო სისტემების ინტეგრაცია და ა.შ. COVID-მა ასევე ავტომატიზაციის პროცესის დაჩქარებაც გამოიწვია, რაც ციფრული ტექნოლოგიების კიდევ უფრო მასშტაბურად გავრცელებას შეუწყობს ხელს. მაგალითად საქართველოს ბანკმა პოსტპანდემიურ პერიოდში აქტიურად დაიწყო ახალ პლატფორმაზე მუშაობა-API.bog.ge. ეს არის პლატფორმა საბანკო სერვისების ინტეგრაციისთვის, რომელიც ბიზნესებს საშუალებას აძლევს, მათი ციფრული პროდუქტების არსენალი გაამდიდრონ ონლაინ გადახდებით, განვადებით, შეძლონ ბიზნესის ინტერნეტბანკის ინტეგრაცია და მიიღონ წვდომა საბანკო ანგარიშებზე.

საწარმოთა მიერსაწარმოთა მიერ დანადგარების, მოწყობილობების ან პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, ზრდის ტენდენცია მოცემულია ცხრილში, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ეკუთვნის:

ცხრილი 1

	2020	2021
დაფუძნებული იგივე ან გაუმჯობესებულ ტექნოლოგიაზე, რაც უკვე გამოიყენებოდა მანამდე საწარმოში	66.6%	71.6%
დაფუძნებული ახალ ტექნოლოგიაზე, რომელიც არ გამოიყენებოდა მანამდე საწარმოში	33.4%	28.4%

საწარმოთა განაწილება შეძენილი ტექნოლოგიის კატეგორიების მიხედვით

	2020	2021
დაფუძნებული მხოლოდ იგივე ან გაუმჯობესებულ ტექნოლოგიაზე, რაც უკვე გამოიყენებოდა მანამდე საწარმოში	5.6%	5.8%
დაფუძნებული მხოლოდ ახალ ტექნოლოგიაზე, რომელიც არ გამოიყენებოდა მანამდე საწარმოში	1.5%	1.0%
დაფუძნებული ორივე ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიაზე	2.7%	2.2%
არ შეუძენიათ	90.3%	91.1%
სულ	**100.0%**	**100.0%**

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს, მის მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, გააჩნია რიგი უპირატესობებისა, კერძოდ: გეოპოლიტიკური მდებარეობა, ბიზნესის კეთების სიმარტივე, გამჭვირვალე და ლიბერალური საგადასახადო სისტემა, მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან, ჩინეთთან, თურქეთთან, რუსეთთან და სხვა სავაჭრო პარტნიორებთან), COVID-ზე წარმატებული რეაგირება, რაც მას აძლევს შესაძლებლობას გახდეს რეგიონული საინვესტიციო, სავაჭრო და ლოჯისტიკური ჰაბი. ეს ის შესაძლებლობები და უპირატესობებია, რომლებიც საქართველომ მცირე ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური პროგრესისათვის უნდა გამოიყენოს.

საქართველოში კერძო ბიზნესის სტრუქტურა მრავალფეროვანია, მრავალი სეგმენტი ჯერ კიდევ ახალია და მცირე მასშტაბის. საჭიროა მოქნილი პოლიტიკის სწრაფად შემუშავების აუცილებლობა და ძირითადი სეგმენტის გამორჩევა, რომელსაც მოკლე ვადაში მაქსიმალური შედეგის მოტანის პოტენციალი გააჩნია:

ფარმაცევტული და პირადი ჰიგიენის საშუალებები: ფარმაცევტულმა და პირადი ჰიგიენის საშუალებებმა 2019 წელს საქართველოს ექსპორტის 6% შეადგინა და ადგილობრივი მოხმარების იმპორტის მესამე უმსხვილეს კატეგორიაში მოხვდა სპილენძისა და ნავთობპროდუქტების შემდეგ. ადგილობრივი ინდუსტრია მოიცავს მცირე ბიზნესის მწარმოებლების მზარდ და მრავალფეროვან ჯგუფს, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან უპატენტო მედიკამენტების, მცენარეული მედიკამენტების, პარფიუმერული და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებაში. COVID-19-მა ნოყიერი ნიადაგი შექმნა ფარმაცევტული დარგის განვითარებისთვის. პანდემიის განმავლობაში მოთხოვნა ფარმაცევტულ პროდუქციაზე შენარჩუნდა და სავარაუდოდ ეს ტენდენცია პოსტპანდემიურ პერიოდშიც გაგრძელდება, ვინაიდან გაიზრდება ყურადღება პირადი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სერვისების მაქსიმალურად გამოყენებაზე.

საკვები და სასმელი პროდუქტები: სასმელები და ალკოჰოლური სასმელები უკვე წარმოადგენენ საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს საექსპორტო პროდუქციას და მცირე ბიზნესის წარმოების სეგმენტებს, რომლებმაც 2019 წლის შიდა წარმოების ექსპორტის 20%-ს შეადგინეს. ქართული ღვინის მზარდი პოპულარობა და პანდემიის პერიოდში საკვები და სასმელი პროდუქტების მოხმარების დონის შენარჩუნება, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ სეგმენტებს გაფართოების პოტენციალი აქვთ და მათი საშუალებით შესაძლებელია სხვა, შედარებით მცირე ზომის მზა და დამუშავებული საკვები პროდუქტების სეგმენტების განვითარება.

სამშენებლო და საგზაო მასალების წარმოება: საქართველო მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან მკაცრი კონკურენციის პირობებში იმყოფება დაბალი ღირებულების სამშენებლო მასალების წარმოების მხრივ, ქვეყანაში არსებობს ადგილობრივი მწარმოებლების ნიშა, რომლებიც ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებს ემსახურებიან სხვადასხვა სამშენებლო პროდუქციით და მასალებით, მათ შორის გზების მშენებლობისთვის საჭირო მასალებით და ბოჭკოთი, ხის მასალებით და მოწყობილობებით. ინვესტიციები ინფრასტრუქტურის სფეროში, როგორც ჩანს, ცენტრალურ როლს ასრულებს COVID-19-ის აღდგენის გეგმებში მთელს მსოფლიოში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოშიც.

Covid-19-მა და მასთან დაკავშირებულმა გამოწვევებმა გამოკვეთა მთავარი ანტიკრიზისული გეგმები, რომელთაგან აღსანიშნავია: სოფლის მეურნეობის (მცირე ბიზნესის) ანტიკრიზისული გეგმა, განათლების ანტიკრიზისული გეგმა და ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა.

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა: პანდემიის საპასუხოდ შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა - ფერმერების დახმარების უპრეცედენტო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლისთვის გათვალისწინებულია ფინანსური და

ტექნიკური მხარდაჭერა. აღნიშნული მიზნებისთვის მოხდა 300 მლნ. ლარის (საბანკო სექტორის მიერ გაცემული 50 მლნ. ლარი სასესხო პორტფელის ჩათვლით) ღირებულების მხარდაჭერის პაკეტის ფორმირება. ასევე ფერმერებს სრულად ჩამოეწერებათ 8 მლნ. ლარის ოდენობის ის დავალიანებები, რომლებიც სამელიორაციო მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო 2012-2019 წლებში დაუგროვდათ. განახლდა „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა", რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის და ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემის შესყიდვა/მონტაჟის თანადაფინანსებას. სოფლის ბაზრისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაჩქარდება მიწის სისტემური რეგისტრაცია. ამ პროცესებმა გაზარდა დასაქმებულთა მოტივაცია და გამოწვევებთან ადაპტირების სურვილი.

ბიზნესზე ზრუნვა: მოქალაქეებზე ზრუნვის გეგმის პირველი ეტაპის მსგავსად, ბიზნესზე ზრუნვის გეგმის პირველი ეტაპი მოიცავდა გადაუდებელ ღონისძიებებს, პანდემიით გამოწვეული პირველადი ნეგატიური ეფექტების შესამსუბუქებლად. გადასახადი გადაუვადდა 6000-ზე მეტ ეკონომიკურ სუბიექტს. იურიდიულ პირებს, რომლებსაც შეექმნა საბანკო სესხის მომსახურების პრობლემა, შესაძლებლობა მიეცათ მოახდინონ სესხის გამარტივებული რესტრუქტურიზაცია - შესაძლებლობით უკვე ისარგებლა 7 000 იურიდიულმა პირმა. გარდა ამისა, ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის საფინანსო სექტორზე პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შერბილებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა დროებითი საზედამხედველო გეგმა და გაატარა მნიშვნელოვანი ფულად-საკრედიტო ღონისძიებები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკის და სხვა წამყვანი ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციებთან. შეიძლება ითქვას,რომ საქართველოს ანტიკრიზისული პოლიტიკა არ ჩამორჩებოდა განვითარებული ქვეყნების მოდელს,ამ მხრივ საქართველოს გლობალურ ჭრილში აუმაღლდა რეპუტაციის,სანდოობისა და სტაბილურობის სტატუსი. ეს კი მის წმინდა ექსპორტსა(NX) და საერთაშორისო ჩართულობაზე დადებითად იმოქმედებს.

დასკვნა და რეკომენდაცია: COVID-19 პანდემიით განპირობებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ცხადყო, მიუხედავად ეკონომიკური აქტივობის შემცირებისა 2020-2022 წლებში, საქართველოში წარმოება კარგად გაუმკლავდა სირთულეებს და ასევე მომსახურების სექტორი. მნიშვნელოვანია COVID-19-ის პანდემიის შედეგად წარმოშობილი შესაძლებლობის გამოყენება და ინვესტიციების დაბანდება საქართველოს ინდუსტრიული ბაზის გაფართოებაში და ინფრასტრუქტურაში, რათა საქართველოს ეკონომიკამ და ბიზნეს სექტორმა უკეთ შეძლოს მომავალი კრიზისების მართვა და რეგულაციები, საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირება და მდგრადობის შენარჩუნება. უპირატესობა მიენიჭება მას, ვინც სწორ, მოქნილ გადაწყვეტილებებს მიიღებს მაქსიმალურად მცირე დროში. თუმცა, ამავე დროს აუცილებელია, რომ ბიზნესებმა სწორად მოახერხონ საკუთარი მომხმარებლების საჭიროებების გააზრება. მნიშვნელოვანია დეტალურად და სიღრმისეულად შეაფასონ ის, თუ რა ზომისა და ფორმის ზიანი მიიღო მათმა მომხმარებელმა პანდემიის შედეგად. იდენტიფიცირების შემდეგ კი აუცილებელია ისეთი პროდუქტის, სერვისის თუ ფორმატის შეთავაზება, რომელიც განსხვავებული იქნება კონკურენტებისაგან. სწორედ სხვა მიმწოდებლებისგან განსხვავებულობა იქნება პოსტ-პანდემიურ გარემოში განვითარების,შემოსავლის მოზიდვის მთავარი გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, პოსტ-COVID-19 ის ეკონომიკური პოლიტიკა, 2020, 31 აგვისტო;
2. „პრაის უოთერ ჰაუს კუპერსი“ (PWC), “ქართული ბიზნესი COVID-19 პანდემიის პირისპირ,” 2020 წლის ივნისი.
3. ლ.ხიხაძე. „COVID-19 პანდემიით გამოწვეული ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვში ინტეგრირებისათვის,'' საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებულში „COVID- 19 პანდემია და ეკონომიკა'', თსუ, 2021 5-6 თებერვალი
4. 4.Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში 2022,სექტემბერი
5. პანდემიის გავლენის შეფასება შესაფუთი მასალების მიწოდების ჯაჭვის საწარმოებზე 2022,ივნისი
6. 6.EPRC კოვიდ-19 პანდემია გავლენა საქართველოსა და მსოფლიოზე 2020,სექტემბერი
7. 7.Georgia-FORBES პოსტ-პანდემიური გზამკვლევი ბიზნესისთვის 2020,აგვისტო
8. https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf
9. https://www.forbeswoman.ge/post/ormotsadze
10. https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_pov_covid_packaging_business_survey_geo.pdf
11. https://www.geostat.ge/ka

ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში

გულიკო გელაშვილი

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოში ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და სხვა სახის ძალადობის სტატისტიკური ანალიზი. კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს: სტატისტიკური დაჯგუფების, შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის, ასევე მონაცემთა პრეზენტირების მეთოდებს.

ანალიზის პროცესში გაანგარიშებული იქნა მრავალი რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელთა სტატისტიკური შეფასების საფუძველზეც დადგენილი იქნა ქალებზე სხვადასხვა სახის ძალადობის სიხშირე და მასშტაბი, ასევე მოძალადე პირთა კატეგორიები, როგორიცაა: მეუღლე ან პარტნიორი, არაპარტნიორი და სხვ.

შესაბამისი ინსტიტუციების მიერ კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს პრევენციის მიზნებით, რაც ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: *ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, სტატისტიკური ანალიზი.*

1. შესავალი

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება, ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა (ჩიტაშვილი და სხვ., 2010). ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის სახეებიდან ყველაზე ხშირია: ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა.

- ფიზიკური ძალადობა გულისხმობს: ცემას, წამებას, ჯანმრთელობის დაზიანებას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას, ან სხვა ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ დაზიანებას.
- ფსიქოლოგიური ძალადობა გულისხმობს: შეურაცხყოფის მიყენებას, შანტაჟს, დამცირებას, მუქარას.
- სექსუალური ძალადობა გულისხმობს: მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, სქესობრივი კავშირის დამყარებას, ან გარყვნილ ქმედებას არასრულწლოვანის მიმართ.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის და აღკვეთის მიზნით ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ, სამოქალაქო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს. მოძალადის მხრიდან გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის ან აღკვეთის მიზნით ხორციელდება შემაკავებელი, ან დამცავი ორდერების გამოცემა (იხ. 6).

ძალადობის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს, რომელთგან ყველაზე გავრცელებულია: უმუშევრობა და სიღარიბე, ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე, მშობლები, რომლებმაც წარსულში განიცადეს ძალადობა, კულტურის ზეგავლენა ოჯახში მამაკაცის დომინანტურობასთან დაკავშირებით (ჩიტაშვილი და სხვ., 2010). ბოლო პერიოდში კი, ძალადობის გახშირებაზე დიდი ზეგავლენა იქონია გლობალურმა COVID-19 პანდემიამ.

ახალი კორონავირუსის მასობრივი გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და ბევრი შეზღუდვა თუ აკრძალვა დაწესდა. ამ მდგომარეობამ ხელი შეუწყო ოჯახში ან/და ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებას.

კვლევის პროცესში, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მოვახდინეთ ბოლო წლებში დაფიქსირებული ძალადობის მაჩვენებელთა გაანგარიშება წლების, თვეებისა და ქალთა ასაკობრივი ჭრილის მიხედვით, მათი შედარება და შეფასება, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როდესაც ვართ ძალადობის მსხვერპლი, ან გვსმენია მის შესახებ.

2. ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების სტატისტიკა

ქალების მიმართ ძალადობის, მათ შორის, მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის, ორსულობის დროს ძალადობის, სექსუალური შევიწროების, ადევნების, ბავშვობაში გადატანილი ძალადობის შემთხვევები, სამწუხაროდ, მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც, ერთეული შემთხვევები არ არის. სწორედ ამის გამო, ამ მოვლენის სტატისტიკური კვლევების ჩატარება გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ასეთი კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე, აღნიშნული ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს ეხმარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ისეთი სპეციალიზებული მომსახურებების დანერგვაში, როგორიცაა: სახელმწიფო თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები, ცხელი ხაზი და ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამა მოძალადეთათვის და სხვ. (იხ. 7).

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობას ნათლად ახასიათებს ქვემოთ მოტანილი მონაცემები (იხ. დიაგრამა 1), რომლებიც ასახავს 15-64 წლის ასაკის ქალების პროცენტულ მაჩვენებელს, რომელთაც სიცოცხლის მანძილზე განუცდიათ სექსუალური ძალადობა.

დიაგრამა 1:

ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც
სიცოცხლის მანძილზე განუცდიათ სხვადასხვა სახის სექსუალური ძალადობა



აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში, 2018 წელთან შედარებით, რაც დაემთხვა პანდემიის პერიოდს, საგრძნობლად გაიზარდა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები. ქვემოთ მოტანილი მონაცემები (დიაგრამა 2) ადასტურებს პანდემიის გავლენას ძალადობის გახშირებასთან დაკავშირებით.

დიაგრამა 2:

ქალთა მიმართ განხორციელებული
ძალადობის ფაქტები 2018-2020 წლებში



როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, საანალიზო პერიოდში, ანუ 2018-2020 წლებში, ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მისი სიდიდე მაქსიმალური იყო 2020 წლის აგვისტოში. 2018 წლის აგვისტოსთან შედარებით, აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 287 ერთეული, ანუ 42.5 პროცენტით მეტი. ასევე, 2020 წლის თვეების მიხედვით, ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების რაოდენობას ნათლად გამოხატული ზრდის ტენდენცია ახასიათებს. 2019 წელს ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა მარტისა და ივნისის თვეებში, შესაბამისად, 958 და 960 (იხ. 8).

შესაბამისად, პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა 112-ის აპლიკაციის გამოყენების შემთხვევებმაც, განსაკუთრებით 2020 წლის აპრილში, რომელთა რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე ჯამურად იმავე წლის შვიდ თვეში ერთად აღებული (იხ. დიაგრამა 3):

დიაგრამა 3:

112-ის მობილური აპლიკაციის ჩამოტვირთვის სტატისტიკური მონაცემები
(იანვარი-აგვისტო, 2020)



სტატისტიკური კვლევებით დადგინდა, რომ საქართველოში ოჯახში ძალადობის შემთხვევების რაოდენობა, ქურდობის შემდეგ, მეორე ადგილზეა (იხ. 2).

დიაგრამა 4:

ძალადობის მუხლით აღძრული
საქმეების რაოდენობა 2019-2021 წლებში

როგორც კომბინაციური დიაგრამა 4-დან ჩანს, 2020 წელს ოჯახში ძალადობის მუხლით აღძრული საქმეების რაოდენობა პრეპანდემიურ, ანუ 2019 წელთან შედარებით, 337 ერთეულით, ანუ 7 პროცენტით გაიზარდა. თუმცა, პოზიტიური ფაქტია ის, რომ 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია როგორც წინა 2020, ისე 2019 წელთან შედარებითაც (იხ. 5).

3. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ღონისძიებები

ქალთა მიმართ ძალადობის მხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია სახელმწიფო თავშესაფარი, სადაც ხდება მსხვერპლის ფსიქოლოგიურდსოციალური რეაბილიტაცია, იურიდიული და სამედიცინო დახმარება. მე-5 დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემები კარგად აჩვენებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზის 2019-2020 წლების სტატისტიკას.

დიაგრამა 5:

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში
ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზის სტატისტიკა





2020 წელს წინა, 2019 წელთან შედარებით, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მიმართვიანობა ცხელ ხაზზე 116 006, გაიზარდა 31%-ით. ეს მიუთითებს ქალების მხრიდან ძალადობის გამჟღავნების შიშის მნიშვნელოვანი ზომით დაძლევაზე.

საქართველოში არსებობს კრიზისული ცენტრი – ქალთა მიმართ ძალადობის/სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება ფსიქოლოგიურდსოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას (ხარშილაძე, 2019).

დიაგრამა 6:

ცხელ ხაზზე განხორციელებული ზარები,
ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე



საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ითვალისწინებს სისხლის-სამართლებრივ, სამოქალაქო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს.

სისხლის-სამართლებრივი მექანიზმები ითვალისწინებს სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყებას მოძალადის მიმართ ძალადობის სავარაუდო ფაქტზე, რასაც შედეგად შესაძლოა მოჰყვეს პატიმრობა.

სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები გულისხმობს მსხვერპლის უფლებას მოითხოვოს ძალადობის შედეგად მოძალადის მიერ მისთვის მიყენებული მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმები ითვალისწინებს მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვას ან აკრძალვას, რაც ხორციელდება შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემით.

მიუხედავად აღნიშნულისა, არის შემთხვევები, როცა ქალთა მიმართ ძალადობა არაადეკვატურად ფასდება საზოგადოების, მათ შორის ქალთა მხრიდან. საზოგადოება ნაკლებად არის გათვით-

ცნობიერებული სახელმწიფოს პოლიტიკაში ამგვარი ძალადობის მიმართ, არასაკმარისად იცნობენ თავიანთ უფლებებს აღნიშნულთან მიმართებაში (Abesadze et al, 2019).

დიაგრამა 7:

ქალთა პროცენტული წილი, ვინც ამართლებს
ქალთა მიმართ ძალადობას, ასაკობრივი ჭრილის მიხედვით



გამოკითხული ქალების 23-მა და კაცების 17-მა პროცენტმა დაადასტურა, რომ უგრძვნია ან სმენია პანდემიის დროს ოჯახში ძალადობის მაჩვენებლის გაზრდის შესახებ. ამავდროულად, ქალების 40%-მა განაცხადა, რომ იცის ფსიქოლოგიური დახმარების მომსახურების შესახებ, მაგრამ თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების შესახებ სამი ქალიდან მხოლოდ ერთს სმენია. კაცების შემთხვევაში, ცნობიერება კიდევ უფრო დაბალია. ამ სერვისებზე ცოტა რამ იციან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა და ადამიანებმა, რომლებსაც შედარებით დაბალი განათლება არ აქვთ (იხ. 9).

4. დასკვნა

ძალადობის შედეგები ისევე არაერთგვაროვანია, როგორც მისი გამომწვევი მიზეზები, ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება – მისი უფლებები (ბედნიერების, სამართლიანობის, თავისუფლების უფლება), რაც ადამიანს დაბადებისთანავე აქვს.

საქართველოს კანონმდებლობა მუშაობს ყოველდღიურ რეჟიმში ძალადობის აღსაკვეთად და ამისთვის სხვადასხვა მეთოდს მიმართავს, მათ შორისაა ცხელი ხაზი (116 006), 112-ის აპლიკაცია და სხვ. სამწუხაროდ, გახშირებულია მოძალადეებისა და მსხვერპლის მომრავლებული შემთხვევები, მატულობს ყოფილი ქმრებისგან ცოლის მკვლელობის, ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობის ფაქტები. გარდა ფიზიკური ძალადობისა, ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებიც. საქართველოში ქალები, პირველ რიგში, უდიდესი ძალადობის რისკის ქვეშ არიან კაცი ინტიმური პარტნიორების მხრიდან.

რა თქმა უნდა, ძნელია უმოკლეს დროში ქვეყანამ შეძლოს ფორსირებული ტემპით ძალადობის პრევენცია. განსაკუთრებული როლი ახალგაზრდობამ უნდა შეასრულოს, ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის თვითშეგნების გაზრდას, რათა იფიქროს და გადაჭრას ისეთი მწვავე საკითხები, როგორიცაა: გენდერული უთანასწორობა, გენდერული ნიშნით ძალადობა, ბავშვთა და ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა და ა. შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abesadze N., Paresashvili N., Kinkladze R. (2019). Are Women's Rights Protected in Georgia? Statistics and Reality. International Journal „Open Economics", 2, s. 124-138.
2. ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური კვლევა საქართველოში. UN Women 2018. https://www.geostat.ge/media/26060/National-VAW-Study-Report-Geo.pdf
3. ჩიტაშვილი მ., ჯავახიშვილი მ., არუთინოვი ა., წულაძე ლ. და ჩაჩანიძე ს. (2010). ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში. UNFPA საქართველო.
4. ხარშილაძე ნ. (2019). ოჯახში ძალადობის პრევენცია და მოძალადის რეაბილიტაცია. https://openscience.ge/bitstream/1/1085/1/samagistro%20kharshiladze.pdf
5. ინფორმაციული ბლოგი ძალადობაზე: https://safarigeorgia.wordpress.com/?archives-list&archives-type=months
6. იურიდიული დახმარების სამსახურის ვებ გვერდი: https://legalaid.ge/ka
7. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი: https://idfi.ge/ge
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge
9. ქალთა საინფორმაციო ცენტრი: http://wicge.org/home.php?cat=1&sub=1&mode=all&lang=en

კიბერუსაფრთხოების ადმინისტრირების თანამედროვე გამოწვევები

სერგო გუგუჩია

თანამედროვე სამყაროში, ბიზნესს მზარდ კიბერ საფრთხეებთან უწევს გამკლავება. რეფერატში წარმოდგენილი მასალა, იძლევა ამ საფრთხეების იდენტიფიცირების საშუალებას და გვაცნობს თუ რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლიათ სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს. თემაში ასევე წარმოდგენილია კიბერთავდასხმების მაგალითები, რომელთა დახმარებითაც შეგვიძლია გავიგოთ თუ რა ფორმა შეიძლება მიიღოს კიბერთავდასხმამ და რა ზიანს აყენებს ის კომპანიების ან სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობას, რა ზომების მიღება შეუძლიათ მათ, როგორც ინდივიდუალურად ისე ერთიანი ძალისხმევის შედეგად. ასევე განხილულია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები და მათი ძალისხმევის შედეგები. იმისათვის, რომ უკეთ გაგვეგო, თუ რა მდომარეობაა კიბერუსაფრთხოების მხრივ საქართველოში და ქართულ ბაზარზე არსებულ კომპანიებში, ჩავატარეთ კვლევა, რომელმაც უფრო ზუსტი და ფართო წარმოდგენა შექმნა არსებული საკითხის შესახებ. ჩემი აზრით აღნიშნული თემა ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც თანამედროვე ეკონომიკური და ბიზნეს სივრცისათვის, ასევე სახელმწიფო და სამართლებრივი ინსტიტუციებისათვის, ვინაიდან ციფრული სფერო ერთ-ერთი სწრაფად მზარდი დარგია და აუცილებელია მისი გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა და ინტენსიური მონიტორინგი.წარმოდგენილი მასალა დაფუძნებულია, როგოც პირველად, ისე მეორად წყაროებზე.

საკვანძო სიტყვები: *კიბერუსაფრთხოება, კიბერთავდასხმა, მონაცემთა დაცვა, ციფრული ტექნოლოგია, ინოვაცია, ბიზნესის წარმოების რისკები.*

ციფრულ საუკუნეში ბიზნესი სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე, ვინაიდან საქმიანობისა და მომსახურების ძირითადი ნაწილი სხვადასხვა ციფრული პროგრამების გამოყენებით ხორციელდება. კომპანიებში მიმდინარე ბიზნეს პროცესები რთული და ხანგრძლივ ვადიანია, რაც საბოლოო ჯამში ინფორმაციის შეგროვებას, შემდგომში კი ამ ინფრომაციის საკუთარი ბიზნეს ინტერესების შესაბამისად გამოყენებას ისახავს მიზნად. ციფრულმა ტექნოლოგიებმა საქმიანობის სწრაფ წარმართვას, აუტომატიზაციას და ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი, შეამცირა სხვადასხვა მომსახურებაზე გაწეული დანახარჯებისა და დროის რაოდენობა, ხელი შეუწყო თანამშრომლების პროდუქტიულობის ზრდას, უფრო მარტივი და კომფორტული გახადა მომხმარებლებთან ურთიერთობა, შეამცირა ინფრომაციის შეგროვებაზე დახარჯული თანხების რაოდენობა და კომპანიებს საშუალება მისცა გაეფართოვებინათ საძიებო მასშტაბები, ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ციფრულ ერაში საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია უფრო მარტივი გახდა და უკვე მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდანაა შესაძლებელი მომხმარებელთან ან ბიზნესპარტნიორთან დაკავშირება. აღნიშნულ სიკეთეებთან ერთად თავი იჩინა ისეთმა პრობლემებმა როგორიცაა კიბერუსაფრთოება და კიბერთავდასხმები. სამწუხაროდ მსოფლიო ეკონომიკურ და ბიზნეს სივრცეში და არამხოლოდ, საკმაოდ გავრცელებულია ინფრომაციის მოპოვების ან სხვა კონკურენტების საქმიანობის შეფერხების არალეგალური გზები.

კიბერუსაფრთხოების ადმინისტრირების არსი

კიბერუსაფთხოება 1943 წლიდან, პირველი კომპიუტერის გამოგონებიდან 20 წლის შემდეგ გახდა აქტუალური. იმ პერიოდისათვის მხოლოდ ადამნიანთა მცირე ჯგუფს ჰქონდა წვდომა ამ უზარმაზარ ელექტრონულ მოწყობილობასთან და მხოლოდ მათ იცოდნენ თუ როგორ უნდა აემუშავებინათ ის. 90-იან წლებში მსოფლიო ონლაინ სისტემაში ჩაება, რამაც ხელი შეუწყო ამ საკითხისადმი ინტერესის გაღრმავებას. შეიქმნა უამრავი ვირუსი, რაც ხელს უშლიდა პროგრამების გამართულ ფუნქციონირებას და საბოლოო ჯამში საჭირო გახდა ანტივირუსების შექმნა. ეს კი პრიველი, წინგადადგმული ნაბიჯი გახდა კიბერუსაფრთხოების დასაცავად.[1]

როგორც უკვე აღვნიშნე, კომპანიები თავიანთ ძირითად საქმიანობას კომპიუტერული მოწყობილობების საშუალებით ახორციელებენ, შესაბამისად მათთვის მნიშვნელოვანია საკუთარი ინფორმაციისა და ციფრული ინფრასტრუქტურის დაცვა გარეშე შემოტევებისაგან. კიბერთავდასხმებს შეუძლიათ დიდი ზიანი მიაყენონ როგორც კომპანიებს ასევე ქვეყნების ეკონომიკას. კიბერთავდასხმა, ეს არის ერთი ან რამდენიმე კომპიუტერის ოგანიზებული შეტევა, რომელიც ხორციელდება ერთ ან რამდენიმე კომპიუტერულ მოწყობილობასა და სისტემაზე. ის მიზნად ისახავს სენსიტიური ინფორმაციის მოპარვას ან სისტემის შეფერხებასა და გათიშვას. კიბერუსაფრთხოებას შეიძლება ჰქონდეს, როგორც გარე საფრთხეები ისე შიდა საფრთხეები. კომპანიის კიბერუსაფრთხოების გარე საფრთხეს წარმოადგენენ ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები და პროფესიონალი ან მოყვარული ჰაკერები, რომლებიც შესაძლებელია რომელიმე სახელმწიფოს მიერ იყვნენ დაფინანსებულნი. შიდა საფრთხეს კი წარმოადგენენ კომპანიის თანამშრომლები, პარტნიორები და მომხმარებლები, რომლებიც კომპანიის ინფრასტრუქტურასა და ინფორმაციას არაკეთილსინდისიერად, ბოროტი მიზნებისთვის იყენებენ. კიბერთავდასხმების სამიზნეს წარმოადგენს, ბიზნეს ფინანსური მონაცემები, მომხმარებელტა პირადი და ფინანსური ინფორმაცია,კომპანიის ინტელექტუალური საკუთრება, IT ინფრასტრუქტურა და ინფრომაცია და სახელმწიფო ინსტიტუციები.[2]

კიბერთავდასხმებს კომპანიისთვის დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ. ისინი ზრდიან კომპანიის მიერ კიბერუსაფრთხოებაზე დახარჯულ ხარჯებს, თუ კომპანია დაკავებულია მნშვნელოვანი ინფრომაციის მოპოვება-დამუშავებით, ის უფრო ხშირად გახდება კიბერთავდასხმების სამიზნე და შესაბამისად მას მოუწევს უფრო მეტი ძალისხმევის გამოჩენა და მეტი რესურსის დახარჯვა. თავდასხმების დიაგნოსტიკა, მომხმარებლების ინფორმირება და დაზარალებული მხარეებისთვის დახმარების აღმოჩენა ის ფაქტორებია, რომლებიც დანახარჯების ზრდას უწყობენ ხელს. გარდა ამისა შესაძლებელია კომპანიის სამუშაო სისტემის ფუნქციური შეფერხება ან კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციის დაზიანება-განადგურება, რამაც კომპანიას სერიოზული ფინანსური ზარალი შეიძლება მიაყენოს. ასეთი შეფერხება განსაკთრებით საზიანოა ისეთი კომპანიებისთვის, რომლებიც თავიან საქმიანობას საერთაშორისო ქსელში ახორციელებენ, სადაც საკომუნიკაციო ჯაჭვის მცირედი შეფერხაბც კი კომპანიის საქმიანობის სრულ პარალიზებას გამოიწვევს. გარდა ფინანსური ზარალისა, კიბერთავდასმები ზიანს აყენებენ კომპანიის რეპუტაციას. კიბერთავდასმებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ კომპანიისა და მომხმარებლის ურთიერთობებზე. თუ მომხმარებლისთვის ცნობილი გახდა, რომ რომელიმე კომპანია ვერ ახერხებს მათ ხელთ არსებული პირადი მონაცემების დაცვას მესამე მხარისაგან, ისინი ავტომატურად კარგავენ ნდობას ამ კომპანიისადმი, რაც საბოლოო ჯამში კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობისა და ფინანსური რესურსების

[1] Rooney, Anne. Computer Science and IT: Investigating a Cyber Attack. Vereinigtes Königreich: Raintree Publishers, 2014. (p.10)

[2] Geers, Kenneth. Strategic Cyber Security. Estonia: NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence, 2011. (p.138-139, 137)

შემცირებას იწვევს. კომპანიების მხრიდან კიბერუსაფრთხოების უგლვებელყოფამ შეიძლება კომპანიები სამართლებრივ პასუხისმგებლობამდეც მიიყვანოს.[1]

კიბერუსაფრთხოება და ბიზნესის გამოწვევები

კიბერთავდასხმების სამიზნე შეიძლება გახდეს ნებისმიერი კომპანია ან ინსტიტუცია. გასული წლებში მსოფლიოში დაფიქსირდა რამდენიმე მასშტაბური კიბერთავდასხმა ისეთ გლობალურ კომპანიებზე, როგორებიცაა Microsoft და Colonial Pipeline.

2017 წელს ადგილი ჰქონდა კიბერთავდასხმას, მსოფლიოს 150 ქვეყნის მასშტაბით, რომელიც განხორციელდა ვირუსული პროდუქტის WannaCry-ის საშუალებით. კიბერთავდასხმის სამიზნე გახდა ციფრული გიგანტი Microsoft, კერძოდ კი მისი 200 000-მდე მომხმარებელი, რომლებსაც საკუთარ კომპიუტერულ ტექნიკაზე წვდომა შეეზღუდათ.[2] ყველაზე დიდი ზიანი მიადგა ინგლისის ეროვნული ჯანდაცვის სისტემას, რამაც ხელი შეუშალა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებს საქმიანობასი და შეაფერხა სამედიცინო მომსახურების მიღება. აღნიშნულიმა შეფერხებამ ინგლისის ჯანდაცვის სისტემას 35 მილიონი ფუნტის ოდენობის ზარალი მიაყენა.[3]

პირველი ნაბიჯი, რომელიც Microsoft-მა გადადგა იყო მომხმარებლების ინფორმირება არსებული პრობლემის შესახებ და ინსტრუქციების მიწოდება ვირუსის თავიდან აცილებისათვის, შემდგომში მოხდა პრობლემის პროგრამული აღმოფხვრა და ინფორმაცია მიეწოდა ფედერალურ ბიუროს, რის შემდეგაც მოხდა სამართლებრივი რეაგირება.[4]

მეორე თავდასხმა განხორციელდა ამერიკის კოლონიურ მილსადენზე, რომელიც ამერიკის უმსხვილესი ნავთობის სატრანზიტო სისტემაა. ეს კიბერთავდასხმა ამერიკის ისტორიაში უდიდესი თავდასხმა იყო სახელმწიფო კრიტიკულ სისტემაზე, რამაც მილსადენის რამდენიმე დღით გათიშვა გამოიწვია. ზიანი მიადგა სხვადასხვა ინდუსტრიასა და ბიზნესს. შეზღუდულმა საწვავის რაოდენობამ შეაფერხა ავიაკომპანიების საქმიანობა, მოსახელობაში გამოიწვია პანიკა და საწვავისა და პროდუქტის დიდი რაოდენობით მომარაგება.[5] საბოლოო ჯამში ჰაკერებმა დიდი რაოდენობით პირადი მონაცემების მოპარვა შეძლეს და გამოსასყიდის სახით 4.4 მილიონი აშშ დოლარი მიიღეს, რომლის დაბრუნებაც შემდეგ სახელმწიფომ შეძლო, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნესისათვის მიყენებული ზიანი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე გამოსასყიდის ოდენობა, ვკითხულობთ CNN-ის ბიზნესისა და ტექნოლოგიების შესახებ რეპორტიორის, ბრაიენ ფუნგის სტატიაში.[6]

როგორც უკვე ავღნიშნე კიბერ თავდასხმების სამიზნე შესაძლებელია გახდეს სამტავრობო ინსტიტუციების, ერთ-ერთი თავდასხმა განხორციელდა 2016 წელს, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოზე. ეს თავდასხმა Shadow Brokers Leak ის სახელითაა ცნობილი. თავდასხმის შედეგად ჰაკერებს წვდომა ჰქონდათ საიდუმლო ინფორმაციასთან და შესაძლებელი გახადეს სისტემაში

---

[1] Kshetri, Nir. The Global Cybercrime Industry: Economic, Institutional and Strategic Perspectives. Deutschland: Springer Berlin Heidelberg, 2010. (p.155-156)

[2] Ryan, Matthew. Ransomware Revolution: The Rise of a Prodigious Cyber Threat. Deutschland: Springer International Publishing, 2021. (p.73)

[3] Ryan, Matthew. Ransomware Revolution: The Rise of a Prodigious Cyber Threat. Deutschland: Springer International Publishing, 2021. (P.101)

[4] Ryan, Matthew. Ransomware Revolution: The Rise of a Prodigious Cyber Threat. Deutschland: Springer International Publishing, 2021. (P26-27, 86)

[5] Lohrmann, Daniel., Tan, Shamane. Cyber Mayday and the Day After: A Leader's Guide to Preparing, Managing, and Recovering from Inevitable Business Disruptions. United Kingdom: Wiley, 2021. (159-160)

[6] Brian Fung: Colonial Pipeline says ransomware attack also led to personal information being stolen. https://cnn.it/44TjQCV (14.05.2023)

ყველანაირი არაავტორიზებული შეღწევა, გარდა ამისა შეაჩერეს რამდენიმე პროგრამის ფუნქციონირება და გაავრცელეს არასწორი ინფორმაციები კომპანიებისა და ფინანსური ინსტიტუციების შესახებ.[1]

მოცემული ინფორმაცია ცხადჰყოფს თუ რამდენად მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავება, როგორც ბიზნეს სექტორისთვის ისე სახელმწიფოსთვის. თითოეულ ამ სუბიექტს შეუძლია როგორც ინდივიდუალური, ისე ერთობლივი ნაბიჯების გადადგმა კიბერთავდასხმების პრევენციისათვის. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს უფრო მეტი რესურსი და ბერკეტი გააჩნია კიბერთავდასხმების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ბიზნესმა თავისი მხრიდან არანაირი ნაბიჯი არ გადადგას, პირიქით, ეს უნდა იყო ერთობლივი ძალისხმევისა და რესურსების გადანაწილების შედეგი. პირველ რიგში კომპანიებმა ინფორმაციის შესანახად და გადასამუშავებლად უნდა გამოიყენონ ისეთი პროგრამები, რომლებიც კარგად იქნებიან დაცული მესამე მხარისაგან, უნდა უზრუნველყონ პროგრამის გამართული მუშაობა და ხშირი კონტროლი. კომპანიების კიბერუსაფრთხოების დაცვაზე დიდ გავლენას ახდენენ თვით კომპანიის თანამშრომლები, შესაბამისად ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება კიბერთავდასხმებისა და კიბერუსაფრთხოების შესახებ. მათ უნდა იცოდნენ თუ როგორ შეადგინონ პაროლები და დაიცვან კომპანიის ხელთ არსებული ან მათი პირადი ინფორმაცია და როგორ შეუშალონ ხელი ინფორმაციის სოციალურ ქსელებში გავრცელებას.[2]

კიბერუსაფრთხოება და სახელმწიფოს გამოწვევები

სახემწიფო თავის მხრივ ვალდებულია შექმნას ყველანაირი ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ მოქალაქეებისა და არამარტო მოქალაქეების, არამედ სახელმწიო ინსტიტუტებისა და კომპანიების მონაცემები იყოს დაცული და არ მოხდეს მესამე მხარის მიერ მათი არაკანონიერი მოპოვება და გავრცელება. პირველი რისი გაკეთებას სახელმწიფოს შეუძლია არის საკანონმდებლო ზომების მიღება და კიბერუსაფრთხოების რეგულირება. ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ რეგულაციების მიღება. გარდა ამისა საჭიროა საჯარო და კერძო სექტორს შორის მჭიდრო კავშირის წარმოშობა, ინფრომაციებისა და ტექნოლოგიების გაზიარება სადაც ჩართულნი იქნებია სამთავრობო ინსტიტუციები და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები და ერთმანეთ გაუზიარებენ ინფორმაციასა და ცოდნას. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოსახლეობამ უნდა იცოდეს თუ რას წარმოადგენს კიბერუსაფრთხოება და როგორ შეიძლება კიბერთავდასხმებისაგან თავის დაცვა. რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლიათ მათ, როგორც მოქალაეებს კიბერტავდასხმების დავიდან ასაცილებლად და ვის შეუძლიათ მიმართონ პრობლემების შემთხვევაში. სახელმწიფომ უნდა გასცეს დაფინანსებები სხვადასხვა კვლევებისა და განვითარებისათვის, განსაკუტრებით მცირე ბიზნეს სექტორისათვის, რომლებსაც არ აქვთ საჭირო გამოცდილება და რესურსები. ასევე აუციელბელია ერთიანი სისტემის შექმნა, სადაც მოხდება ხარვეზების აღწერა და მონიტორინგი და სახელმწიფოსა და ბიზნესს ექნებათ საშუალება სწრაფად მიაწოდონ და მიიღონ ინფორმაცია ერთმანეთისაგან. გარდა მიკრო დონისა, აუცილებელია თანამშრობლობა მაკრო დონეზე, ქვეყნები ორიენტირებულნი უნდა იყვნენ თანამშრომ-

[1] Mathew J. Schwartz: Report: Shadow Brokers Leaks Trace to NSA Insider. https://rb.gy/36am4 (14.05.2023)

[2] Arnold, Rob. Cybersecurity: A Business Solution: An executive perspective on managing cyber risk. USA: Threat Sketch, LLC, 2017. (p.45-46, 64, 51)

ლობაზე, ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებაზე, პრობლემების ძიებასა და აღმოფხვრაზე და რაც მთავარია საკითხის კვლევაზე და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.[1]

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფაში მოწინავე პოზიციები უკავიათ ამერიკას, ისრაელს, გერმანიას, სინგაპურს და ესტონეთს.

ამერიკის შეერთებული შტატები კიბერუსაფთხოების საკითხში უდავოდ პირველ ადგილს იკავებს, ვინაიდან ქვეყანაში შექმნილია ყველანაირი ტექნოლოგიური თუ სამართლებრივი გარემო კიბერუსაფთხოების დასაცავად. ამერიკის შეერთებულ შტატებში უამრავი გლობალური ტექნოლოგიური კონცერნია თავმოყრილი, რომლებსაც ტექნოლოგიებისა და პროგრამების ფართო სპექტრთან აქვთ წვდომა. გარდა კომპანიებისა, ამერიკის მთავრობის ინიციატივებიც დიდ გავლენას ახდენენ კიბერუსაფრთხოების გაძლიერებაზე. ისეთი სამთავრობო ინსტიტუციები, როგორიცაა ფედერალური უსაფრთხოების სამსახური, ფედერალური საგამოძიებო სამსახური და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ერთიანი ძალისხმევით მუშაობენ კიბერთავდასხმების მოსაგერიებლად და მათგან მიყენებული ზარალის შესამცირებლად. ამერიკის ტავრობა კი თავის მხრივ არ იშურებს ივესტიციებს ტექნოლოგიების განვითარებასა და სპეციალისტების მომზადებისთვის. ამასთანავე მიღებულია მკაცრი ზომები პირადი მონაცემებისა და ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად.

აღსანიშნავია კერძო და საჯარო სექტორის ურთიერთანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. ურთიერთ თანამშრომლობის ეს ფორმა იძლევა მოსახლეობის სწრაფი ინფორმირების და მათი ცნობიერების ამაღლების საშუალებას.[2]

განვიხილოთ ესტონეთის მაგალითიც, ქვეყნის რომლის რესურსები და შესაძლებლობები ამერიკის შეერთებული შტატებისას რამდენჯერმე ჩამორჩება. ესტონეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო ელექტრონული მთავრობის შექმნა, რაც იმას გულისხმობს, სახელმწიფო სერვისების გაცემა ელექტრონულად ხორციელდება და მისი მიღება სახლიდან გაუსვლელადაც კია შესაძლებელი. აღნიშნულმა ცვლილებამ ხელი შეუწყო მონაცემების მარტივ და სწრაფ დამუშავებას და ისინი მესამე მხარისაგან უფრო დაცული გახადა. 2007 წელს ესტონეთის სამთავრობო და საფინანსო ინსტიტუტებზე განხორციელებული კიბერთავდასხმა, გახდა ის ფაქტორი, რომელმაც ბიძგი მისცა ესტონეთის კიბერთავდაცვის გაძლიერებას. ესტონეთმა აღიარა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის გაზიარება და ის შეუერთდა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებთანაც თანამშრომლობით მან ხელი შეუწყო ქვეყანაში ინფორმაციის შემოდინებას და თავდაცვისუნარიანობის გაზრდას. ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა კი მოსახელობის ნდობის მოპოვება იყო, ეს ყველაფერი კი მან ინფორმაციის სწორი და დროული მიწოდებით შეძლო.[3]

საქართველო და კიბერუსაფთხოების გამოწვევები

კიბერუსაფრთხოების საკითხებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საქართველოც. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველო არაერთხელ გამხდარა კიბერთავდასხმების სამიზნე, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ და ფინანსურ ინფრასტრუქტურას. აქიდან გამომდინარე ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში, გააღრმავა ურთიეთრობები ნატოს კორპორაციული კიბერუსაფრთხოების სამსახურთან, რამაც ხელი შეუწყო სპეციალისტების გადამზადებას ტექნოლოგიური

[1] Cybersecurity: Public Sector Threats and Responses. Ukraine: CRC Press, 2011. (p.16,20,14)

[2] The Cybersecurity Partnership Between the Private Sector and Our Government: Protecting Our National and Economic Security: March 7, 2013. USA: U.S. Government Printing Office, 2014. (15.05.2023) (P4-6,14-15)

[3] Obi, T.., Iwasaki, N.. A Decade of World E-Government Rankings. Netherlands: IOS Press, 2015. (p.59-61)

უსაფრთხოების საკითხებში და აამაღლა ინფორმაციული მზადყოფნის დონე. საქართველომ დიდი ინვესტიცია ჩადო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოწყობაში, დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკები და ჩამოყალიბდა ტექნოლოგიური უსაფრთხოების ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია მონაცემთა შეგროვებასა და ტექნოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. [1]

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ თუ რამდენად მნიშვნელოვანია კომპანიის მიერ ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაში დროული და სწორი ინვესტირება. კიბერთავდასხმების ძირითად შედეგს წარმოადგენს მონაცემებ ის მოპარვა და კომპანიისთვსი ან ინსტიტუციისთვის ფინანსური ზარალის მიყენება. კიბერტავდასხმის შედეგად ქსელის გათიშვა კომპანიებს საათში საშუალოდ 140 000 დოლარი უჯდებათ, ეს თანხა კი ცვალებადია და დამოკიდებულია კომპანიის საქმიანობასა და მასშტაბებზე. ზარალი გაცილებით დიდია ფინანსური კომპანიებისა და ინსტიტუტების შემთხვევაში, სადაც ფინანსურ ზარალს შეიძლება დომინოს ეფექტი მოყვეს, თუ რომელიმე ინსტიტუტს მიადგება ზიანი, ის ავტომატურად აზარალებს სხვა კომპანიებსაც და შესაძლებელია გავლენა იქონიოს როგორც ცალკეული ქვეყნების ისე მსოფლიო ეკონომიკაზე. საერთაშორისო საბანკო, სავალუტო და სააქციო სისტემა დამოკიდებულია ინფორმაციის ინტენსიურ გაცვლაზე და ამ საინფორმაციო ჯაჭვის შეფერხებამ ან ხანგრძლივმა გათიშვამ შეიძლება საფინანსო სისტემის კოლაფსი გამოიწვიოს.[2]

კვლევა: კიბერუსაფრთხოების გამოწვევები და ბიზნესი

იმისათვის, რომ უკეთ გაგვეგო თუ რა მდგომარეობაა საქართველოში კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით ინფორმირებულობის შესახებ ჩავატარე რაოდენობრივი კვლევა Google Forms-ის საშუალებით, სადაც დასმული იყო რამდენიმე შეკითხვა პირადი გამოცდილებისა და ცოდნის შესახებს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კომპანიის დაბალი და საშალო რგოლის 56-მა მენეჯერმა. (22 საშუალო რგოლის მენეჯერი, 34 დაბალი რგოლის მენეჯერი.)



გრაფიკი 1.1

პირველი შეკითხვის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რამდენად ხშირად ხდება კომპანიის მიერ კიბერუსაფრთხოების რისკების შეფასება და პრევენციული ნაბიჯების გადადგმა, რაზეც გამოკითხულთა 54% პროცენტმა უპასუხა (გრაფიკი 1.1), რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ კომპანიები არ აწარმოებენ თანმშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის ინფორმაციის გაცვლის კამპანიებს, თანამშრომლებს წარმოდგენა არ აქვთ თუ რა ზომებს იღებს კომპანია მათი ან მომხმარებლის ინფორმაციის დაცულობის უზრუნველსაყოფად.

[1] Natalia Spînu: Georgia Cybersecurity Governance Assessment. https://rb.gy/0slkj (15.05.2023)

[2] Kaffenberger, Lincoln., Kopp, Emanuel., Wilson, Christopher. Cyber Risk, Market Failures, and Financial Stability. USA: INTERNATIONAL MONETARY FUND, 2017. (p.3-9)

33% ის აზრით კი კომპანია რეგულარულად ან წელიწადში ერთხელ მაინც ახდენს რისკების შეფასებას და იღებს პრევენციულ ზომებს.



გრაფიკი 1.2

შემდეგ კითხვაზე, (გრაფიკი 1.2) თუ რამდენად კომპეტენტურია კომპანია კიბერთავდასხმების თავიდან აცილების საკითხში 48% გვპასუხობს რომ ინფორმაციას არ ფლობს, 30% ის აზრით კი კომპანია, რომელშიც ისინი მუშაობენ საკმაოდ კომპეტენტურია ამ საკითხში.



გრაფიკი 1.3

გამოკითხულთა 50% ამბობს (გრაფიკი 1.3), რომ კომპანიას გასული წლების განმალობაში საერთოდ არ ჩაუტარებია ტრენინგი კიბერუსაფრთხოების შესახებ, რაც იმის მანიშნებელია, რომ კომპანია ან საერთოდ არ ხარჯავს, ან მცირე რაოდენობით ხარჯავს ფინანსურ რესურსებს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისათვის. 30% ის აზრით კი კომპანიამ რამდენიმეჯერ ჩაატარა ტრენინგი.

გრაფიკი 1.4

გამოკითხულთა დაახლოებით 80% (გრაფიკი 1.4) წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაინც ცვლის მომხმარებლის პაროლს სოციალურ ქსელებში, ხოლო 90% მდე (გრაფიკი 1.5) იყენებს მომხმარებლის ორმაგი ავტორიზაციის ფუნქციებს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და მიუთითებს იმაზე, რომ პირადი მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.





გრაფიკი 1.5

გრაფიკი 1.6

გამოკითხულთა 37% კი (გრაფიკი 1.6) ამბობს, რომ ერთხელ მაინც გამხდარა კიბერთაღლითობის მსხვერპლი.



გრაფიკი 1.7

91% ის აზრით (გრაფიკი 1.7) ელექტრონული მტავრობის შექმნის იდეა მნიშვნელოვანია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოსახლეობის სურვილს, ჰქონდეტ გამარტივებული სახელმწიფო სერვისები. ამით ისინი ნდობას უცხადებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და სჯერათ, რომ დღეს არსებული პროგრამები, ტექნოლოგიური რესურსები და ცოდნა იძლევა იმის საშუალებას, რომ მონაცემები იყოს დაცული და მათ სხვადასხვა მომსახურების ირება მარტივად და სწრაფად შეეძლოთ.



გრაფიკი 1.8

გამოკითხულთა დაახლოებით 60% ის თანახმად (გრაფიკი 1.8), მათ არ სმენიათ არაფერი სამი ყველაზე მასშტაბიანი კიბერთავდასხმის შესახებ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იმ ინფორმაციის რაოდენობა, რომლებსაც მოქალქეები იმ პერიოდისათვის იღებდნენ არ იყო საკმარისი ან მათ ამ საკითხის მიმართ არ ჰქონდათ არანაირი ინტერესი. თითქმის 30% კი ამბობს, რომ მათ სმენიათ კიბერთავდასხმა WannaCry-ს შესახებ, რაც ჩემი აზრით გამოწვეულია იმით რომ, იმ პერიოდში მსგავსი მასშტაბის კიბერთავდასხმა პირველი იყო და რთული იყო ამ ინფორმცაიისავის გვერდი აგვევლო.

დასკვნა

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია და მაგალითები ცხადყოფენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების საკითხი თანამედროვე საზოგადოებისათვის. თითოეული სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეებისა პირადი მონაცემების დაცულობა და ხელი შეუწყოს ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებას, გარდა ამისა აუცილებელია თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე, რათა მოხდეს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. თანამშრომლობა და ერთობლივი მუშაობა აუცილებელია სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს შორის, ვინაიდან ბიზნეს სექტორი არის ის ზირითადი ძალა, რომელიც ქვეყანაში ქმნის რესურსებს ეკონომიკური განვითარებისა და ზრდისათვის.

საქართველოში არსებული პრაქტიკისა და კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა საკმაოდ კარგია. სახელმწიფო კარგად ართმევს თავს კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობასა და ცნობიერების ამაღლებას სესაძლო რისკებისა და შედეგების შესახებ. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ კომპანიების უმეტესობა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს კიბერუსაფრთხოებას და რიკსების შემცირებას, შესაბამისაც აუცილებელია სახელმწიფოსა და კომპანიების მხრიდან დამატებითი კამპანიების გატარება, რათა მოხდეს თანამშრომლების გადამზადება და ცნობიერების ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნი:

1. Arnold, Rob. Cybersecurity: A Business Solution: An executive perspective on managing cyber risk. USA: Threat Sketch, LLC, 2017. (p.45-46, 64, 51)
2. Cybersecurity: Public Sector Threats and Responses. Ukraine: CRC Press, 2011. (p.16,20,14)
3. Geers, Kenneth. Strategic Cyber Security. Estonia: NATO Cooperative Cyber Defense Centre of Excellence, 2011. (p.138-139, 137)
4. Kaffenberger, Lincoln., Emanuel., Wilson, Christopher. Cyber Risk, Market Failures, and Financial Stability. USA: INTERNATIONAL MONETARY FUND, 2017. (p.3-9)
5. Kshetri, Nir. The Global Cybercrime Industry: Economic, Institutional and Strategic Perspectives. Deutschland: Springer Berlin Heidelberg, 2010. (p.155-156)
6. Lohrmann, Daniel., Tan, Shamane. Cyber Mayday and the Day After: A Leader's Guide to Preparing, Managing, and Recovering from Inevitable Business Disruptions. United Kingdom: Wiley, 2021. (159-160)
7. Obi, T.., Iwasaki, N. A Decade of World E-Government Rankings. Netherlands: IOS Press, 2015. (p.59-61)
8. Rooney, Anne. Computer Science and IT: Investigating a Cyber Attack. United Kingdom: Raintree Publishers, 2014. (p.10)
9. Ryan, Matthew. Ransomware Revolution: The Rise of a Prodigious Cyber Threat. Germany: Springer International Publishing, 2021. (p.73)
10. Ryan, Matthew. Ransomware Revolution: The Rise of a Prodigious Cyber Threat. Germany: Springer International Publishing, 2021. (P26-27, 86)
11. Ryan, Matthew. Ransomware Revolution: The Rise of a Prodigious Cyber Threat. Germany: Springer International Publishing, 2021. (P.101)

სტატია ინტერნეტში:

1. Brian Fung: Colonial Pipeline says ransomware attack also led to personal information being stolen. https://cnn.it/44TjQCV (14.05.2023)
2. Mathew J. Schwartz: Report: Shadow Brokers Leaks Trace to NSA Insider. https://rb.gy/36am4 (14.05.2023)
3. Natalia Spînu: Georgia Cybersecurity Governance Assessment. https://rb.gy/0slkj (15.05.2023)

სამართლებრივი აქტი:

1. The Cybersecurity Partnership Between the Private Sector and Our Government: Protecting Our National and Economic Security : March 7, 2013. USA: U.S. Government Printing Office, 2014. (P4-6,14-15)

თვითღირებულების ანალიზის შედეგები საანალიზო საწარმოებში

ლევან გურაშვილი

ნაშრომის მიზანია საანალიზო საწარმოთა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების ცვლილების შეფასება და ანალიზი. პასუხი გაეცეს კითხვას, რა შედის დანახარჯებში.

კვლევის საგანია საანალიზო საწარმოთა დანახარჯები.

კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა საქართველოში არსებული საწარმოები: შპს „იფქლი“ და შპს „იფქლი დიღომი“.

ნაშრომის დასკვნაში გადმოცემულია საანალიზო საწარმოთა ფინანსური შედეგები, მოგების მარჟისა და ფას ნამატის განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: *თვითღირებულება, მეთოდები.*

შესავალი

თითოეული საწარმოს მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თვითღირებულების განსაზღვრა, რათა შემდგომში მასზე დაყრდნობით განისაზღვროს ის რიგი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მოგების სიდიდეზე.

პირველ რიგში, აუცილებელია, განვმარტოთ თუ რას ნიშნავს თვითღირებულება?

თვითღირებულება არის პროდუქტის ან მომსახურების წარმოებაზე გაწეული შრომითი, მატერიალური და ფინანსური დანახარჯების ჯამის გამოხატულება ფულად ერთეულში.

მასში შემავალი დანახარჯებია: პირდაპირი შრომითი ხარჯი, პირდაპირი მასალი ხარჯი და საწარმოო ზედნადები ხარჯები.

წინამდებარე ანალიზისათვის შერჩეულ იქნა შპს „იფქლი“ და შპს „იფქლი დიღომი“, რომლებიც ერთმანეთის უშუალო კონკურენტებს წარმოადგენენ.

შპს „იფქლი“ ბაზარზე 2006 წლის 24 თებერვალს გამოჩნდა, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: პურ-პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია, არა ხანგძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება, ორცხობილას, მშრალი ნამცხვრებისა და ხანგძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება. კომპანიის პროდუქცია იყიდება მთლიანი საქართველოს მასშტაბით. დიდი კონკურენციის პირობებში შპს „იფქლი“ მაინც ინარჩუნებს ლიდერობას ბაზარზე.

შპს „იფქლი დიღომი“ 2005 წლის 5 დეკემბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით. მისი ძირითადი საქმიანობაა : პურის წარმოება, არა ხანგძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება, საბითუმო ვაჭრობა შოკოლადითა და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით.

1. თვითღირებულების ანალიზი სახეების მიხედვით

წარმოების დანახარჯების სხვადასხვა დონეზე განისაზღვრება, თვითღირებულების შემდეგი სახეები:

- ძირითადი თვითღირებულება;
- საწარმოო თვითღირებულება;

- სრული თვითღირებულება.

პირველ რიგში, განხილულ იქნება სრული შემოსავლების ანგარიშგების ამონარიდი საანალიზო საწარმოებში 2019-2021 წლების განმავლობაში (იხ. ცხრილი 1.1).

ცხრილი 1.1 ამონარიდი სრული შემოსავლის
ანგარიშგებიდან საანალიზო საწარმოებში (ათ. ლარებში)

მაჩვენებლები	2018	2019	2020	2021
1. ამონაგები				
შპს იფქლი	33 165	42 357	45 613	61 676
შპს იფქლი დიღომი	24 702	31 294	32 652	44 085
2. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება				
შპს იფქლი	17 361	25 970	29 327	39 005
შპს იფქლი დიღომი	15 993	20 383	21 407	30 091
3. რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები				
შპს იფქლი	2 197	1 588	1 826	2 624
შპს იფქლი დიღომი	1 148	1 445	1 641	2 256
4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები				
შპს იფქლი	1 002	1 386	1 659	2 201
შპს იფქლი დიღომი	577	1 365	1 345	1 417

მოცემული მონაცემების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ შპს „იფქლის“ ამონაგები ყოველი წლის მიხედვით აღემატება შპს „იფქლის დიღომისას“. ასევე თითოეული საწარმოს ამონაგები 2018 წლის მონაცემთან შედარებით მზარდია(იხ დიაგრამა 1.1). თუ ავიღებთ შპს „იფქლის 2021 წლის მონაცემებს და შევადარებთ 2018 წლისას, ნათლად ჩანს რომ ამონაგები 86% გაიზარდა რაც 28 511 ათასი ლარის ექვივალენტია. შპს „იფქლი დიღომის“ მონაცებეი კი 78% გაიზარდა

დიაგრამა 1.1



კომპანიების საწარმოო და სრული თვითღირებულებები (იხ. ცხრილი 1.2). საწარმოო თვითღირებულება არის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, ხოლო სრული თვითღირებულება - საწარმოო თვითღირებულებისა, მარკეტინგისა და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ჯამია.

ცხრილი 1.2 საწარმოო და სრული
თვითღირებულებები საანალიზო საწარმოებში (ათ.ლ)

მაჩვენებლები	2018	2019	2020	2021
1. საწარმოო თვითღირებულება				
შპს იფქლი				
შპს იფქლი დიღომი	17 361 15 993	25 970 20 383	29 327 21 407	39 005 30 091
2.სრული თვითღირებულება				
შპს იფქლი	20 560	28 944	32 812	43 830
შპს იფქლი დიღომი	17 717	23 193	24 393	33 764

1 პროდუქციის რენტაბელურობის მაჩვენებლები (ფასნამატი და მოგების მარჟა)

მნიშვნელოვანია ასევე განვსაზღვროთ ის ფაქტორები რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ რენტაბელურობაზე. პირველ რიგში მნიშვნელოვანია განვიხილოთ რას გვიჩვენებს ეს ორი მაჩვენებელი. ფასნამატი - რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ერთი ლარის დანარჯებზე, ხოლო მოგების მარჟა - რამდენიი პროცენტი მოგება მიიღება ერთი ლარის შემოსავალზე. (იხ. ცხრილი 2)

ცხრლი 2.1 საანალიზო საწარმოს ფასნამატი და
მარჟა დინამიკაში 2018-2021 წლებში (%-ში)

მაჩვენებლები	2018	2019	2020	2021
1.ფასნამატი				
შპს „იფქლი“	75	119	131	124
შპს „იფქლი დიღომი“	137	128	129	150
2. მოგების მარჟა				
შპს „იფქლი“	43	54	57	55
შპს „იფქლი დიღომი“	58	56	56	60

დიაგრამა 2.1-ში ნაჩვენებია, საანალიზო საწარმოთა ფასნამატების შედარებები, რომლის მიხედითაც ნათლად ჩანს რომ შპს „იფქლი დიღომის“ ფასნამატი ყოველ წელს აღემატება, გარდა, 2020 წლისა შპს იფქლის მაჩვენებელს. რის მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ შპს „იფქლი დიღომის“ ერთი ლარის შემოსავალზე უფრო მეტი.დანახარჯები მიიღება, ვიდრე შპს „იფქლის“ შემთხეევაში. გარდა ამისა შპს „იფქლის“ ფასნამატი 2018 წლის მონაცემებთან შედარებით მზარდია, ხოლო შპს „იფქლის დიღომის“ შემთხევაში 2020 წლამდე კლებადია, ხოლო 2021 წელს 9% გაზრდილია.

დიაგრამა 2.1



დიაგრამა 2.2



დიაგრამა 2.2-ში მოცემული საანალიზო საწაროთა მოგების მარჟა დინამიკაში, რომლის მიხედვითაც ნათლად ჩანს რომ შპს „იფქლის“ მოგების მარჟა მზარდია შედარებით 2018 წლისა. ხოლო შპს „იფქლი დიღომის“ შემთხევაში 2019-2020 წლებში 3% არის შემცირებული, ხოლო 2021 წელს მისი მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით 5% არის გაზრდილი.

3. დანახარჯთა კალკულაციის თანამედროვე მეთოდები

მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიურმა წინსვლამ დიდი გავლენა იქონია საწარმოთა მართვის სისტემაზე. დღის წესრიგში დადგა პროდუქციის იმგვარი გარდაქმა, რომ მოერგოს ინოვაციებს და დააკმაყოფილოს ბაზარზე არსებული მოთხოვნა მინიმალური დანახარჯებით, რაც ბიზნესის მთავარი მიზანია. განსხვავებით გასული პერიოდებისა რომლის მთავარი მიზანი იყო პროდუქ-

ციის დიდი რაოდენობის გამოშვების ხარჯზე დანახარჯების შემცირების, მასშტაბის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე.

ჩამოყალიბდა დანახარჯების კალკულაციისს თანამედროვე მიდგომები, ესენია:

- დანახარჯთა კალკულაცია საქმიანობის სახეების მიხედვით (ABC) - წარმოადგენს დანახარჯთა ერთეულზე ზედნადები ხარჯების მიკუთვნების პროცესს იმ სარგებლის მიხედვით, რომელიც მიღებული აქვთ არაპირდაპირი საქმიანობიდან;
- პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის დანახარჯების კალკულაცია (LCC) - თითოეული სახის პროდუქტის მიხედვით აგროვებს შემოსავლებსა და დანახარჯებს საწყისი ეტაპიდან ბოლო ეტაპამდე;
- გამოსავლიანობის აღრიცხვა - მისი მიზანია შეზღუდული რესურსების საუკეთესო გამოყენება, დროული მიწოდება - წარმოების პროცესში. იგი მოგების საზომია და განისაზღვრება შემდეგი ტოლობით: გამოსავლიანობა = შემოსავალს რეალიზაციიდან - პირდაპირი მასალის დანახარჯი გამოსავლიანობის აღრიცხვის მიზანია მოგებიანობის შეფასების მაქსიმიზაცია, ასევე საოპერაციო დანახარჯებისა და მასალის დანახარჯების შემცირება;
- კალკულაცია მიზნობრივი დანახარჯებით - მიზნობრივი თვითღირებულება არის პროდუქტის მიახლოებითი თვითღირებულება, რომელიც მიიღება კონკურენტული საბაზრო ფასიდან სასურველი მოგების მარჟის გამოკლებით. მისი მთავარი საკითხია არა პროდუქტის თვითღირებულების განსაზღვრა, არამედ თუ რამდენი უნდა იყოს თვითღირებულება.;

დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილ ნაშრომში განხილულ იქნა თვითღიებულების ანალიზი. კვლევა ჩატარდა შპს „იფქლისა“ და შპს „იფქლი დიღომის“ მაგალითზე, რომელთა ძირითადი საქმიანობაა პურ-პროდუქტების წარმოება და მოსახლეობის მომარაგება. კვლევა მოიცავს 2018-2021 წლების პრიოდს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

- შპს „იფქლის“ ამოანგების მაჩვენებლები თითოეული წლის მიხედვით აღემატება შპს „იფქლი დიღომის“ მაჩვენებლებს.
- შპს „იფქლი დიღომის“ მოგების მარჟა აღემატება შპს „იფქლის“ მაჩევნებელს რის მიხედითაც მკაფიოდ ჩანს რომ 1 ლარის შემოსავალზე შედარებით მაღალ პროცენტულ მოგებას იღებს.
- შპს „იფქლის“ ფასნამატი გაცილებით ნაკლებია შპს „იფქლი დიღომის“ ფასნამატზე, გარდა 2020 წლისა, როდესაც 2 % მეტი იყო, რის მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი 1 ლარის დანახარჯზე გაცილებით ნაკლებ მოგებას ნახულობს.
- ზემოთ აღნიშნული მონაცემების მიხედვით შეგვიძია დავასკვნათ, რომ შპს „იფქლის“ დანახარჯები გაცილებით მაღალია ვიდრე შპს „იფქლი დიღომისა“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/43722
2. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/martvelobiti.pdf
3. https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/43709
4. https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95.%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%A0.%202.%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%20%20%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%202021.pdf
5. https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/17050
6. https://www.bia.ge/company/1611
7. https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/29677
8. http://puri.ge/
9. https://bm.ge/ka/article/finansuri-koeficientebi---ra-unda-vicodet-mat-shesaxeb/106423

ღვინის ბაზრის საექსპორტო პოტენციალი საქართველოში

სოფიკო დათუაშვილი

სტატია განიხილავს ღვინის ბაზრის ზრდის პოტენციალს და აფასებს საქართველოს უნარს ღვინის წარმოებაში და მის კონკურენტულ უპირატესობას.

გამოკვლეულია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ღვინის მოთხოვნაზე და აღმოაჩენს, რომ ღვინო საქართველოს ისტორიისა და ტრადიციის განუყოფელი ნაწილია. საიდანაც ირკვევა,- რომ რეგიონული ეკონომიკური პროგრესი და სოციალური კეთილდღეობა დამოკიდებულია ღვინის წარმოებისა და ექსპორტის მასშტაბებზე.

საბოლოო ჯამში, სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები და შეხედულებები ქართული ღვინის როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო ბაზრების გაფართოების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *კონკურენცია, უპირატესობა,ღვინის მოთხოვნა, ეკონომიკური პროგრესი, ღვინის ექსპორტი, ღვინის ბაზარი.*

შესავალი

ღვინის კულტურას საქართველოში დიდი ისტორია აქვს და ერთ-ერთი უძველესია ევროპაში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობა 8000 წლით თარიღდება. ეს საქართველოს ღვინის სამშობლოდ აქცევს. მსოფლიო საზოგადოება აღიარებს ქართული მეღვინეობის მდიდარ მემკვიდრეობას. საქართველოში წარმოებული ღვინო მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტია, რომელიც წარმოადგენს ქვეყანას და მის ცხოვრების წესს საერთაშორისო ბაზარზე. ბოლო პერიოდში გაიზარდა ქართული ღვინის ექსპორტი, რამაც დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოს 2012 წლის ივლისიდან მიენიჭა ექსკლუზიური პრივილეგია, ხელი შეუწყოს ქართული ღვინის წარმოებას ევროკავშირის ქვეყნების ლოზუნგით - „საქართველო ღვინის სამშობლოა“. ამის აღიარებით, საქართველომ მიიღო სტატუსი, რომ აჩვენოს ბორდოს, ღვინის ცივილიზაციის გული, აღნიშნული სახელწოდებით.აღნიშნულ ნაშრომში დარწმუნდებით რომ ქართული ღვინის ექსპორტი ძალზედ მნიშვნელოვანია რორგორც ქვეყნისათვის ასევე, თითოეული მეწარმისთვის.

***

საქართველომ მოიპოვა ძლიერი რეპუტაცია მაღალი ხარისხის ღვინის მწარმოებელში სხვადასხვა ფაქტორების გამო, მათ შორის რელიეფის, ხელსაყრელი კლიმატისა და ნიადაგის, ყურძნის მრავალფეროვანი ჯიშებისა და დარგში გამოცდილების გამო. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდება მსოფლიოში ცნობილი ღვინის ბრენდებისგან, ქართული ღვინო დიდი მოწონებით სარგებლობს.

მიუხედავად მრავალი სპეციალიზებული ღვინის ბარისა და მაღაზიის გაჩენისა, საქართველოში ღვინის რეალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს მაინც ხდება სოფლის მეურნეობის ბაზრებზე. ამ ტენდენციის უპირველესი მიზეზი ბაზრებზე არსებული ღვინის შედარებით დაბალი ფასია. მიუხედავად ამისა, ეს ფენომენი ასევე შეიძლება მივაწეროთ კულტურულ ტრადიციას, რომელიც შენარჩუნებულია ქვეყანაში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, სადაც ყველა სახის საკვები ნაწილდებოდა ბაზრების საშუალებით.

ცხრილი N1

რუსეთი	47 მილ.	71მილ.	50%
სლოვაკეთი	11 000	30 000	272%
თურქეთი	87 510	140 020	68%
ტაჯიკეთი	56 600	106 500	88%
ჩინეთი	4.4 მილ	3.9 მილ	(12%)
ყაზახეთი	3.1 მილ	3.7 მილ	19%
ლატვია	1.2მილ	1 588 597	20%
სომხეთი	24 200	52 633	127%
დანია	21 470	30 500	42%
აშშ	776 922	993 533	28%
რუმინეთი	15 300	46 000	284%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო; https://www.geostat.ge/ka

აღსანიშნავია, თუმცა გასაკვირი არ არის, რომ ქართული ღვინის ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (ასევე ცნობილი როგორც „საქსტატი“) საბაჟო დეპარტამენტის ჩანაწერები მიუთითებს, რომ გასულ წელს საქართველომ ღვინის, კონიაკის, ჭაჭის, კონიაკის სპირტისა და ჩამოსხმული კონიაკის ექსპორტის შედეგად 21,8 მილიონ დოლარამდე გამოიმუშავა. ეს თანხა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35%-ით მეტია. 43%-ით გაიზარდა ქართული ღვინის ექსპორტიც და 11,6 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. გარდა ამისა, 0,75 ლიტრიანი ბოთლი ქართული ღვინის მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით 51%-ით გაიზარდა. ღვინის ეროვნული სააგენტო აგრძელებს ქართული ღვინის პოპულარიზაციას და ცნობადობის ამაღლებას სტრატეგიულ ბაზრებზე, ექსპორტის ზრდის შენარჩუნებით.საქართველოდან ღვინის ექსპორტიორი მრავალი საწარმო ყიდდა სხვადასხვა რაოდენობის ღვინოს-.ექსპორტის ზრდა განაგრძობდა ზრდას როგორც მოცულობით, ასევე შემოსავლით. წელს დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ზრდის ტემპი, რაც სასიამოვნოა და მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნდება წლის ბოლომდე.აღნიშნულ ინფორმაციას დიაგრამაზე შეგვიძლია დავაკვირდეთ.

გასულ წელს ინდონეზიას, მაკაოს, მექსიკასა და მალაიზიას ღვინის გადაზიდვა არ მომხდარა. მიუხედავად ამისა,როგორც უკვე ავღნიშნე ღვინის ექსპორტი მთლიანობაში იზრდება და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ პოზიტიური ტენდენციის შენარჩუნებას.

ცხრილი N2



*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო,*https://www.geostat.ge/ka

ღვინის წარმოება და რეალიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე შეიძლება იყოს გამოწვევები სხვადასხვა სახის ალკოჰოლური სასმელების კონკურენციისა და ინდუსტრიაში სამომხმარებლო მაღალი ხარისხის ხაზგასმის გამო. ცნობილი ღვინის რეგიონებიდან დამკვიდრებული მარნები ასევე დომინანტური მოთამაშეები არიან ბაზარზე, რაც იწვევს ფირმებს შორის ძლიერ კონკურენციას პოტენციური მომხმარებლების მოსაზიდად.

სასაქონლო წარმოების ინდუსტრიაში, კონკურენციას შეუძლია ზეწოლა მოახდინოს მწარმოებლებზე, რათა შეამცირონ ფასები ან შეამცირონ საქონლის რაოდენობა, რომელიც არ აკმაყოფილებს საზოგადოების მიმდინარე მოთხოვნებს გაყიდვების უზრუნველსაყოფად. ეს კონკურენცია შეიძლება გახდეს იმდენად ინტენსიური, რომ მწარმოებლები იძულებულნი არიან მუდმივად ისწრაფოდნენ უკეთესი და მაღალი ხარისხის პროდუქციისკენ, თითქოს ეს მოთხოვნა იყოს.

საქართველოში დაბალფასიანი საექსპორტო ღვინოების წარმოება ეკონომიკურად არ არის მომგებიანი, რადგან სხვა ქვეყნებს შეუძლიათ აწარმოონ დიდი რაოდენობით მსგავსი ხარისხის ღვინოები სხვადასხვა ჯიშისა და ბუნებრივი პირობების გამოყენებით. ამან გამოიწვია მსოფლიო ბაზრის დაბალფასიანი ღვინოებით გაჯერება. ამდენად, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პრიორიტეტია ფოკუსირება მაღალი ხარისხის ჯიშური ღვინოების წარმოებაზე, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ცნობილ ღვინოებს მსოფლიო ბაზარზე.

ქართული ღვინოები უფრო კონკურენტუნარიანი რომ გავხადოთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ჩვენი პროდუქციის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე და გვქონდეს სტრატეგიული გეგმა. ეს მოიცავს ბაზრის მუშაობის პოტენციალის შეფასებას და მომხმარებელთა პრეფერენციების იდენტიფიცირებას, როგორიცაა გემოვნება, წარმოების მახასიათებლები, ფასები და როგორ განსხვავდება ის ჩვენი კონკურენტებისგან გლობალურ ბაზარზე.

ვინაიდან ღვინო ითვლება მოხმარებად ნივთად, უსაფრთხოების მოთხოვნები გადამწყვეტ როლს თამაშობს მისი ხარისხის შეფასებაში. აუცილებელია ყველა ბიზნესისთვის, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო, აღიაროს ეს ფაქტორი. გაძლიერებული სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევები აისახება მაღალი ხარისხის პროდუქტებში. ღვინის ხარისხის გაუმჯობესება მისი პროდუქტიულო-

ბის გაზრდის პოტენციური გამოსავალია, რადგან საქონლის ხარისხი პირდაპირ კავშირშია მომხმარებელთა კმაყოფილებასთან, მომგებიანობასთან და პროდუქტის გაყიდვებთან. უკეთესი ხარისხის საქონელი ქმნის უფრო მაღალ სამომხმარებლო ღირებულებას და იწვევს უფრო სწრაფ გაყიდვას, ზრდის მოგებას კომპანიისთვის. ხარისხის გაუმჯობესების პროგრამას, როგორც წესი, აქვს მნიშვნელოვანი სოციალური გავლენა, რადგან ღვინის ხარისხი გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობაზე.

საქართველოში მოსახლეობის არაადეკვატურმა მსყიდველუნარიანობამ განაპირობა დაბალი ხარისხის ღვინის გავრცელების მატება, მიუხედავად მაღალი ხარისხის ღვინის მწარმოებელი და მოხმარებული ქვეყნის ისტორიული რეპუტაციისა. არის როგორც რეგისტრირებული, ისე არარეგისტრირებული ბიზნესები, რომლებიც არღვევენ ღვინის წარმოების სტანდარტებს, რაც იწვევს დაბალი ხარისხის და ფალსიფიცირებული ღვინის პროდუქციის გავრცელებას.

ქართული ბრენდები და სასაქონლო ნიშნები სხვადასხვა ქვეყანაში ფალსიფიცირებული და ალკოჰოლური პროდუქტების სახით იყიდება. აქ შედის ისეთი ღვინოები, როგორიცაა „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“, „საფერავი“. ეს ყალბი პროდუქტები არა მხოლოდ იმპორტირებულია, არამედ იწარმოება და იყიდება ადგილობრივად. ისინი ძირითადად ისრაელში ექსპორტირებულია ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ბულგარეთი, უნგრეთი, მოლდოვა და რუსეთი. ეს უარყოფითად აისახება როგორც ავთენტური ქართული ღვინის რეპუტაციაზე საერთაშორისო ბაზარზე, ასევე ქართველი ბიზნესის მფლობელების ინტერესებზე და ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალზე.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თუ ქართული ღვინოები დამზადდება სწორი ინგრედიენტებით, ტექნიკით და წარმოების პროცესით, ისინი შეიძლება ჩაითვალოს უმაღლესი დონის ღვინოებად და გაიყიდოს მაღალ ფასებში მსოფლიო ბაზარზე. ქართული ღვინის მაღალი ხარისხისა და რეპუტაციის აღდგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. თუმცა ამის მიღწევა მხოლოდ შიდა ბაზრისა და ქართული ღვინის საერთო სტანდარტის გაუმჯობესებითაა შესაძლებელი.

მსოფლიო ბაზარი ითხოვს მაღალი ხარისხის სუფრის თეთრ ღვინოებს, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ მინიმალური დაჟანგვა, შეინარჩუნონ ჯიშის არომატი და გამოავლინონ მკვეთრი „ბუკეტი“. ღვინოს ასევე უნდა ჰქონდეს სასიამოვნო გემო და სტაბილური მახასიათებლები. ფილტრაციის მეთოდმა გამოიწვია ზოგიერთი უშუალო ღვინის შენახვის ტევადობის გაზრდა, თუმცა გამოიწვია სასიცოცხლო ჯიშური და არომატული თვისებების დაკარგვა, საერთო ხარისხის დაქვეითება. აქედან გამომდინარე ქართული ღვინო და მეწარმეები დიდი გამოწვევის წინაშე დგანან,შეძლონ და გააუმჯობესონ ქართული ღვინო და შესაფერისი ადგილი მოაპოვებინონ მსოფლიო ბაზარზე.

კვლევა: ღვინის ესქპორტის ხელშემშლელი ფაქტორები საქართველოში

დიდად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქათულ ღვინოზე ინფორმირებულობა დღითიდღე იზდება საერთაშორისო ბაზარზე, უამრავი ქართული კომპანია ახერხებს რიგი დაბრკოლებების გადალახვას და მსოფლიო ბაზარზე საკუთარი სიტყვის თქმას, რომ ქართული ღვინო უძველესთან ერთად სასიამოვნო და თავის მხრივ შეუდარებელია. კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ 2022წლის ექსპორტზე გატანილი ღვინის რაოდენობით პირველ ათეულში შედინ შემდეგი კომპანიები:

1. შპს ასკანელი ძმები;
2. სს კოტეხი-გურჯაანის ღვინის ქარხანა;
3. შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა;
4. შპს დუგლაძეების ღვინის კომპანია;

5. სს თელავის ღვინის მარანი;
6. სს ბადაგონი;
7. შპს ტიფლისსკი ვინნი პოგრებ;
8. სს თბილღვინო;
9. შპს Bolero & Company;
10. შპს GVMT Group.

დანართი N1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო; https://www.geostat.ge/ka

თუმცა საქმე ყოველთვი იდეალურად არაა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინო მილიონობით გადის, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს გაცილებით მეტის პოტენციალი აქვს, მაგრამ ხელშემშლელი ფაქტორთა ნუსხა საკმაოდ ფართოა. ქათული ღვინის მხოლოდ და მხოლოდ დაახლოებით 40% იქნა რეალიზებული უახლოეს წლებში საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ახლა კი ვნახოთ ის მიზეზები თუ, რატომ ვერ გააქვთ ექსპორტზე ქართული კომანიიების უმეტესობას და რა აფერხებთ მათ. გამოკვლეული იქნა ას კომანიამდე, რომლებიც სპეციალურად შეირჩნენ, რათა დაგვედგინა როგორია სტატისტიკა და რა უშლით ხელს ქართულ კომპანიებს მსოფლიო ბაზრის ათვისებაში. კვლევამ აჩვენა სწორედ ის კონკრეტული მიზეზები თუ, რატომ ფერხდება ექსპორტი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო; https://www.geostat.ge/ka

პირველი და უმთავრესი მიზეზი ეს არის არაშესაფერი ღვინის ხაარისხი. გარდა იმისა, რომ საერთშორისო ბაზარზე რთულია უხარისხო საქონლის რეალიზება, აგრეთვე ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მსოფლიო მოითხოვს მაღალ ხარისხს. სწორედ უხარისხობაშია ქართული ღვინის მთავარი პრობლემა.

შემდეგი და არანაკლებ საყურადღებო ფაქტორი გახლავთ მცირე წარმოება. მოგეხსენებათ, რომ უამრავი მცირე თუ საშუალო ბიზნესია რომლებიც აწარმოებენ ქართულ ღვინოს და ამავდროულად უმეტესი მათგანი გათვლილია ქართული, ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილებისათვის. მათ პირად გეგმსა და მიზნებსში არ შედის მსოფლიო ბაზარზე მომხმარებლის მოზიდვა და დაკმაყოფილება. ამიტომაც არც წარმოების გაფართოვებას ისახავენ მიზნად, და არც გლობალურად და მაშტაბურად ფიქრობენ.

კვლევის თანახმად საკმაოდ ბავრმა კომპანიამ დაადასტურა რომ მსოფლიო ბაზრისთვის შესაფერისი ხარისხის ღვინის წაროება დიდ ფინანსებს მოითხოვს. საქართველოში კი გავრცელებული უფრო მეტად მცირე და საშუალო ბიზნესებია, რომელთც შესაძლოა აღნიშნული ფინანსების მოპოვება გაუჭირდეთ. სამწუხაროდ ხშირად ისეც ხდება, რომ საქართველოში ნაწარმი საუკეთესო ღვინო საზღვრებს ვერ ტოვებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ის მიზეზები რომლებიც მეწარმეებს აწუხებთ საკმაოდ საყურადღებოა, რადგან სწორედ ის აფერხებს ქართულ ღვინოს ადგილი გაიმყაროს მსოფლიო ბაზარზე. თუმცა აუცილებლად აღსანიშნია რომ სახელწიფო და საჯარო დაწესებულებები მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ მეწარმეებს გახადონ მათი წაროება მეტად მიმზიდველი მსოფლიო ბაზრისთვი. საქართველოს მთავრობა ახორციელებს ინიციატივებს, რათა ხელი შეუწყოს ქვეყანაში ღვინის მრეწველობის ზრდას. ეს პროექტები სპეციალურად შექმნილია ქართული ღვინის უფრო ცნობადობისა და პოპულარიზაციისთვის და საექსპორტო ძალისხმევის გასაძლიერებლად. გარდა ამისა სახელმწიფომ ბოლო პერიოდში დაიწყო ქართველი მევენახეების კვალიფიცირების ამაღლება და უცხოელ სპეციალისთან არაერთი შეხვედრა ჩანიშნულა, რაც თავის მხრივ დიდ როლს თამაშობს ღვინის ხარისხის აწევაში და ამავდროულად ცნობადობა საზღვრებს გარეთ იმატებს. აგრეთვე ბოლოპერიოდში სახელმწიფომ დაიწყო ღვინის ხარისხის კონტროლი რამაც ერთი-ორად გაზარდა იგი.

დასკვნა და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის მიხედვით, ცხადი გახდა, რომ რესპონდენტები და მეც ვეთანხმებით იმ ფაქტს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ღვინის ინდუსტრია საქართველოში უკვე ჩამოყალიბებულია, არსებობს შემდგომი ზრდის პერსპექტივები. საქართველოს ეკონომიკაში ღვინის ბიზნესი დომინანტურ პოზიციას იკავებს და ქვეყნის ექსპორტირებული პროდუქციის ათეულში შედის.

კვლევამ აჩვენა, რომ ღვინის წარმოების წინსვლა მოითხოვს მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნას და მთავრობის დახმარებას. ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობამ შეიძლება გაზარდოს ქართული ღვინის ცნობადობა და რეკლამას პრიორიტეტული უნდა ჰქონდეს. ქართული ღვინის პოტენციალი მნიშვნელოვანია მრავალ ქვეყანაში მისი პოპულარობისა და გლობალური ბაზრისადმი მზარდი ინტერესის გამო.

ღვინის მრეწველობის გასაძლიერებლად, გასათვალისწინებელია რამდენიმე ღონისძიება. თავდაპირველად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მევენახეებს დახმარება და მოტივაცია, ხოლო ბიზნესმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ახალი ტექნიკის წარმოებაში ჩართვას. გარდა ამისა, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს და დააფინანსოს კვლევითი კვლევები, ამავდროულად, ხელი შეუწყოს ღვინის ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლებას. პროდუქციის ხარისხის შემდგომი გასაუმჯობესებლად, ბუნებრივი რესურსები უნდა იქნას გამოყენებული და კომპეტენტური პროფესიონალები უნდა გაუმკლავდნენ ამოცანებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიშვილი ხ. მცირე ბიზნესის ანტიკრიზისული რეგულირების მეთოდები Covid-19 პანდემიისა და პოსპადემიურ პერიოდში, თბ. 2023;
2. შენგელია თ. ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები, თბ. 2008;
3. შენგელია თ. გლობალური ბიზნესი. თბ., ახალი საქართველო, 2010;
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი; https://www.geostat.ge/ka
5. ქვევრის ღვინო - ქართული მეღვინეობის მთავარი უპირატესობა; http://www.vinoge.com/mevenaxeoba/qvevris-Rvino-qarTuli-meRvineobis-mTavari-upiratesoba
6. ღვინის ეროვნული სააგენტო; https://wine.gov.ge/
7. Corporation Georgian Wine, Tb., 2018.

საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები

მარიამ დეკანოიძე

ნაშრომში გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა. სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების ანალიზის საფუძველზე, გავლებულია პარალელები სხვადასხვა ქვეყნების ექსპორტ-იმპორტთან.

საკვლევი თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები გადმოცემულია შესავალში, პირველ თავში კი განხილულია ტერმინოლოგიის (ბიზნესი, ვაჭრობა,) თეორიული ასპექტები, შემოთავაზებულია განსაზღვრებისადმი მიდგომების ანალიზი, შესწავლილია საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, ევოლუცია, როლი, მნიშვნელობა და წარმოდგენილია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის მონაცემებს. მაჩვენებლების ანალიზისას კი ვეყრდნობით მონაცემებს, რომელებიც ყოველწლიურად ახლდება ამ ვებ-გვერდებზე.

ნაშრომის მიზან-ამოცანებიდან გამომდინარე, პირველ თავში მოცემულია: საგარეო ვაჭრობის არსი, თავისებურებანი, თეორიები და ძირითადი მახასიათებლები. აქვეა საქართველოს სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების მიმოხილვა, როგორც რეგიონის ქვეყნებთან ისე ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და ევროპის ქვეყნებთან. განხილულია თითოეულ მათგანთან რა სახის სავაჭრო ურთიერთობა აქვს ჩვენს ქვეყანას და როგორია მომავლის პერსპექტივები.

მეორე თავში გამოკვლეულია: დასაქმების, ბრუნვის მოცულობის და გამოშვების მაჩვენებლების ცვლილებებზე დაყრდნობით. ნაშრომში ასევე განხილულია სამთავრობო გადაწყვეტილების როლი და მნიშვნელობა.

სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის ქმედითობა გამოკვლეულია სხვადასხვა საიტებზე მოცემული ინფორმაციის ანკეტირების დახმარებით; კვლევის შედეგად შეფასებულია ზეგავლენის ის მასშტაბები, რომლებსაც აწყდებიან საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაში ჩართული ფიზიკური პირები.

თემის აქტუალობა: მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტემპებმა და განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკების აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისკენ, რომელიც აძლიერებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებას, გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი საგარეო ვაჭრობის მეცნიერული შესწავლისადმი.საგარეო ვაჭრობის შესახებ დროული და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების არსებობა აუცილებელი პირობაა წარმოების, მოხმარების, დასაქმების, შემოსავლებისა და ზოგადად კეთილდღეობის მრავალმხრივი ანალიზისთვის როგორც ქვეყნის, ისე გლობალურ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის განხილვის საგანს წარმოადგენს, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკურ-სტატისტიკური კუთხით ამ პროცესის გაანალიზება და რეალური ტენდეციების გამოვლენა.

საგარეო ვაჭრობის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი მზარდი ინტერესი, გარდა ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში სწრაფი ინტეგრაციის შექცევადი პროცესისა, განპირობებულია ასევე, ხელისუფლების მიერ მრავალ ქვეყანასთან სამთავრობო დონეზე გაფორმებული ორმხირვი შეთანხმებებით. მხარეების მიერ წარმოდგენილი პროტოკოლიც სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლითა და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების ინიციატივით იწყება. ის პირველ რიგში ითვალისწინებს აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებას და ეროვნული წარმოების საქონლის ექსპორტის სტიმულირებას.

მსოფლიო ეკონომიკური ცხოვრების აქტიური გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით იზრდება სტატისტიკის როლი და მნიშველობა ეკონომიკურ პროცესებში მიმდინარე ტენდეციური ასახვისა და ხზხელისუფლებო ორგანოების ოპერატიული ინფორმაციით უზრუნველყოფის საკითხებში. ინგლისელი მწერლის, ჰელბერტ უილსის, თქმით: „სტატისტიკური განათლება, ერთ მშვენიერ დღეს, ისეთივე აუცილებელი გახდება განათლებული ადამიანისთის, როგორც წერა--კითხვის ცოდნა.“

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირების რაოდენობრივი შესწავლა, მათი სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური და სავალურო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების აუცილებელი ინსტრუმენტია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა მეტად აქტუალური პრობლემაა და ნებისმიერი ქვეყნის ინტერესს შეადგენს.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და კერძოდ კი საგარეო ვაჭრობის სფეროში კვლევითი პროცესები მსოფლიო მეურნეობის ინტენსიური ინტეგრაციის შედეგად უფრო გლობალურ ხასიათს იძენს, რისთვისაც მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ოპერირებას მოითხოვს.

დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქციებისა და მომსახურების იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით.

სწორედ ზემოაღნიშნული მოტივები დაედო საფუძვლად ამ თემის არჩევას კველვის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის ძირითადი მიზნებია:

კვლევის ამოცანებია:

- საგარეო ვაჭრობის არსი და თავისებურებანი.
- ვაჭრობის განვითარების ევოლუციის შესწავლა;
- მისი უპირატესობების და ნაკლვანებების კვლევა;
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტი და მისი დაძლევის
- გზები
- განსხვავებაა რესურსების და მზა პროდუქტის ექსპორტს შორის
- ძირითადი დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება:კრიზისის დაძლევის და მის შედეგად გაჩენილი დანაკარგების მაქსიმალურად შემცირების თვალსაზრისით.

საკითხის შესწავლისათვის გამოყენებულიმეთოდები: ნაშრომში კვლევების ჩატარებისას გამოყენებულია კომპლექსური მიდგომა. კვლევა ჩატარდა ანალიზის და სინთეზის, შედარებითი ანალიზის, გრაფიკული ანალიზის და სტატისტიკური დაჯგუფების მიხედვით. ასევე გამოყენებულია ინდუქციის და დედუქციის მეთოდი, ავტორის მიერ შემუშავებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც ჩატარდა Drive.google.com პროგრამის და სოციალური ქსელების დახმარებით.

საკითხის შესწავლისას გამოყენებული ძირითადი წყაროების მოკლე მიმოხილვა: ნაშრომში კვლევა ძირითადად ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა (geostat.ge) და შემოსავლების სამსახურის (rs.ge) მონაცემებს. ვეყრდნობით იმ მონაცემებს, რომელებიც ყოველწლიურად ახლდება საიტზე. ასევე წარმოდგენილია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომების ანალიზი.

მოცემული ნაშრომის ძირითადი მიზანია საგარეო ვაჭრობის ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემის შესწავლა და ანალიზი, როგორიცაა საქართველოს და სხვა ქვეყნების საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები. მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომის ამოცანებია: საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, საქართველო ევროკავშირის ურთიერთობების დადებითი და უარყოფითი შედეგების ანალიზი შეფასება და ეფექტიანი რეალიზებისათვის წინადადებების შემუშავება.

ქვეყნები მსოფლიოს სხვადასხვა სასაქონლო ბაზარზე განსხვავებულ პოზიციებს იკავებენ. თავისი ინტერესების დაცვისთვის საერთაშორისო ვაჭრობის თითოეული მონაწილე მოცემულ სფეროში განსაზღვრულ პოლიტიკას ატარებს, რომელიც აისახება ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში. საგარეო სავაჭრო პოლიტიკა არის სახელმწიფოს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებზე მიზანმიმართული ზემოქმედება.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მთავარი მიზნებია:

- მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- მდგრადი საგარეო სავაჭრო ბალანსის უზრუნველყოფა;
- ექსპორტისა და იმპორტის მოცულობასა და სტრუქტურაზე ზემოქმედება;
- ადგილობრივი ბაზრის (მომხმარებელთა უფლებების) და წარმოების დაცვა;
- ქვეყნის აუცილებელი რესურსებით (ნედლეული, ენერგია და ა.შ) უზრუნველყოფა.
- საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ზოგიერთი მიზანი გრძელვადიანია, ზოგი კი მოკლე ვადაში მიიღწევა.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ორი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება არსებობს: ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა და პროტექციონიზმი.

თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო უშუალოდ არ ერევა საგარეო ვაჭრობაში, იტოვებს რა ბაზარის მიღმა მარეგულირებლის ფუნქციას. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო საერთოდ არ მუშაობს ამ მიმართულებით. იგი სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულებების გაფორმებას ახორციელებს, ხოლო ეკონომიკურ სუბიექტებს მაქსიმალურ თავისუფლებას აძლევს.

თავისუფალი ვაჭრობა იწვევს დადებით პოლიტიკურ შედეგებს, რადგანაც ქვეყნები სულ უფრო მეტად ხდებიან ურთიერთდამოკიდებულნი და, შესაბამისად, მცირდება ერთმანეთთან მტრული მოქმედების საფრთხე.

პროტექციონიზმი არის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიმართულება, რომლის მიზანია სამამულო წარმოებას უცხოური კონკურენციისგან დაცვა. პროტექციონიზმი გამორიცხავს საბაზრო ძალების თავისუფალ მოქმედებას.

საგარეო ვაჭრობის რეგულირების ინსტრუმენტები:

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარებისას იყენებენ სხვადასხვა ხერხებს, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების, ექსპორტ-იმპორტის ზომას, სტრუქტურასა და ფორმას. მათ შორისაა:

1. საქონლის შემოტანა-გატანის საბაჟო გადასახადი;
2. სამთავრობო აკრძალვები და შეზღუდვები ექსპორტ-იმპორტზე;
3. ვალუტის შემოტანა-გატანის წესების შემოღება;
4. რკინიგზის ტარიფების დიფერენციაცია და სავაჭრო ნავსადგურების შესახებ საკანონმდებლო აქტების მიღება;
5. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების დაწესება;

6. ადმინისტრაციული ფორმალობები საქონლის, მომსახურების და წარმოების ფაქტორთა მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას;
7. სამთავრობო სუბსიდიები და სხვა პრეფერენციები ექსპორტიორებს ან იმპორტიორებს. (პრეფერენცია-შეღავათი). საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების სამთავრობო გარანტიები; სავაჭრო ხელშეკრულებები სახელმწიფოებს შორის, სავაჭრო ომების გამოცხადება და ა.შ.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები:

– ლიბერალური საგარეო ვაჭრობის სტრატეგია;
– გამარტივებული ვაჭრობის რეჟიმები და საბაჟო პროცედურები;
– დაბალი საიმპორტო ტარიფები;
– მინიმალური არასატარიფო რეგულაციები;

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ლიბერალური პოლიტიკის გზას დაადგა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არეალის გაფართოებას ცდილობს. ეს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებში, დაბალ საიმპორტო ტარიფებში და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებაში გამოიხატება. საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-ით ნუოვანი განაკვეთით იბეგრება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია. ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის.

საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა საგარეო ვაჭრობის სფეროში:

- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევი;

როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი საქართველო სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით (Most-Favored-Nation – MFN) ვმო-ს (164) წევრ ქვეყნებთან.

- პრეფერენციების განზოგადებული სისტემა - აშშ-სთან, კანადასთან და იაპონიასთან.

საქართველო ასევე სარგებლობს პრეფერენციების განზოგადებული სისტემით (Generalized System of Preferences – GSP) აშშ-სთან, კანადასთან და იაპონიასთან. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტირებულ საქონელზე დაბალი ტარიფი მოქმედებს.

- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი - დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, თურქეთთან, ევროკავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA).

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, თურქეთთან, ევროკავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA). 2019 წლის 11 იანვარს ხელი მოეწერა პროტოკოლს საქართველოსა და ინდოეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის მიზანშეწონილობის კვლევის დასრულების შესახებ. ასევე დასრულე-

ბულია საქართველოსა და ისრაელს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობის კვლევა.

- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვაჭრობის ტექნიკური რეგულირების სისტემის მონაწილე, რაც შედეგად ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირებას უზრუნველყოფს.
- 57 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმება", რაც ბუნებრივია ხელს უწყობს მხარეებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, ინვესტიციების და ვაჭრობის ზრდას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა:

მილიონი აშშ დოლარი

	2018	2019	2020	2021	2022*	2023* წლის იანვარი-მარტი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	12 741.1	13 317.9	11 398.3	14 342.4	19 183.9	4 783.7
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	3 379.7	3 798.4	3 344.5	4 242.7	5 592.8	1 461.5
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	9 361.4	9 519.5	8 053.8	10 099.8	13 591.1	3 322.2
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 981.7	-5 721.1	-4 709.4	-5 857.1	-7 998.3	-1860.8
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	2 224.1	2 323.8	2 409.1	3 127.1	3 704.2	766.3

საქართველოს ექსპორტი

2022 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78.6 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (736.8 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (672.6 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (651.6 მლნ. აშშ დოლარი).



საქართველოს იმპორტი

2022 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 67.5 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (2 370.9 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1835.4 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 126.0 მლნ. აშშ დოლარი).



დასკვნა

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა დიდად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარ ვექტორს. ეს გამოწვეულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით, ტექნიკური, ტექნოლოგიური ჩამორჩენილებით და ინვესტიციების ნაკლებობით. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს მუდმივი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება ახასიათებს. გამოწვევას წარმოადგენს ექსპორტის გეოგრაფიული დივერსიფიკაცია და საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა, რაც ბუნებრივია წლების განმავლობაში განხორციელებული სავაჭრო პოლიტიკის კონკურენტუნარიანობის კონტექსტიტ შეფასების აუცილებლობაზე მიუთითებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საგარეო ვაჭრობა https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12
2. საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები, http://geoeconomics.ge/?p=13868
3. კომპანიები საგარეო ვაჭრობაზე, https://nataliesun.wordpress.com/2010/09/09/foreign_trade/
4. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2022 წელი, https://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2022/trade_2022.pdf
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ექსპორტი, იმპორტი
6. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ევროკავშირთან

სოფიკო დევაძე

ღია ეკონომიკაში მონაწილე თითოეული ქვეყანა იაზრებს, რომ გრძელვადიან პერიოდში განვითარებისა და წინსვლისათვის, ვაჭრობა ეკონომიკის აუცილებელი კომპონენტია. საერთაშორისო ვაჭრობა ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანაში არსებული პოტენციალი და რესურსები გვაძლევს საშუალებას დავსახოთ გრძელვადიანი გეგმები, ვაწარმოოთ საექსპორტო პროდუქცია, გავზარდოთ შემოსავალი და დავამყაროთ საქმიანი ურთერთობები ევროკავშირთან. ამ სტატიაში ვისაუბრებ საქართველოს საქონლით სავაჭრო ურთიერთობებზე ევროკავშირთან და ხაზგასმით გამოვყოფ მნიშვნელობას, თუ რა ზეგავლენას ახდენს საქართველოს სავაჭრო ურთერთობების წარმოება ევროკავშირთან.

საკვანძო სიტყვები: *ვაჭრობა, საექსპორტო პროდუქციის წარმოება, ევროკავშირი და საქართველო, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკაზე ვაჭრობის ზეგავლენა.*

საერთაშორისო ვაჭრობას ღია ეკონომიკაში განსაკუთრებული მიზნები და ამოცანები გააჩნია. ღია ეკონომიკაში წარმოებული პროდუქცია 4 კომპონენტად იყოფა: სამამულო საქონლისა და მომსახურების მოხმარება, სამამულო საქონელსა და მომსახურებაზე საინვესტიციო ხარჯები, სამამულო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესწყიდვები და ქვეყნის შიგნით წარმოებული საქონლისა და მომსახურებისექსპორტი. იმისათვის, რომ წარმატებულად ვაწარმოოთ იმპორტი, ზემოთ აღნიშნული ოთხივე კომპონენტი გულდასმით უნდა გავითვალისწინოთ, რომ წარმოებული პროდუქცია იყოს ბაზარზე კონკურენტული და მოთხოვნადი.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1992 წლიდანვე იწყება. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდებოდა. ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ამ ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. საქართველო აქტიურად აგრძელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და ამ პროცესის შესაბამისად სახელმწიფოებრივ განვითარებას.

ევროკავშირი და საქართველო

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცისშესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთაფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონ-

მდებლობის ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.

DCFTA მოიცავს შემდეგ თავებს:

- საქონლით ვაჭრობა;
- ვაჭრობაში დაცვითი ზომები;
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაციადა შესაბამისობის შეფასება;
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები;
- საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა;
- დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია;
- მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა;
- საჯარო შესყიდვები;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
- კონკურენცია;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში;
- გამჭვირვალობა;
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება;
- დავების მოგვარება;
- დაახლოების ზოგადი დებულებები.

DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდაამისა, DCFTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ DCFTA-ის მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნიორი-კვოტის ფარგლებში) გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოებისსტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე.

მნიშვნელოვნად გამარტივდება საქართველოდან მომსახურების ექსპორტი ევროკავშირში. ქართულ, მომსახურების სფეროს, კომპანიებს მიეცემათ საშუალებაუმეტეს სექტორებში:

- დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს;
- თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და გაატარონ პრაქტიკა თავიანთ თანამშრომლებს;
- გაუშვან თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში, მათი პროდუქციის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად;
- მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან, ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე.

ქართველ სპეციალისტებს, ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე, მიეცემათ საშუალება გასწიონ მომსახურება ევროკავშირში. შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს. ამის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაადვილდება ქართველი სპეციალისტების მიერ მომსახურების გაწევა ევროკავშირის ქვეყნებში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართული საქონელი და მომსახურება ეტაპობრივად მიიღებს დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ნაწილს (DCFTA), ითვალისწინებს ევროკავშირთან საქართველოს თანმიმდევრულ ეკონომიკურ ინტეგრაციას. ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები აქტუალური ხდება მე-20 საუკუნის 50 წლებიდან და მას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილება მრავალ სფეროს მოიცავს და პირობითობის პრინციპზეა დაფუძნებული. ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილება შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. პირველი ნაწილი მოიცავს შეთანხმების DCFTA-ს ნაწილს (IV კარი „ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), ხოლო მეორე ნაწილი შეთანხმების მე-5 და მე-6 კარებს (ეკონომიკური თანამშრომლობა, თანამშრომლობის სხვა სფეროები). შეთანხმების ეკონომიკური განზომილება ითვალისწინებს ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში ევროკავშირთან მარეგულირებელი სისტემების კონვერგენციას დასაკანონმდებლო დაახლოებას.[1]

შესაბამისად, ევროკავშირთან საქართველოს თანმიმდევრული ეკონომიკური ინტეგრაცია მოიცავს ვაჭრობის, სექტორული, ინსტიტუციური, ასევე, ცალკეულ სფეროებში შესაბამისი დარგობრივი პოლიტიკის ცალკეული ასპექტების ინტეგრაციას.

ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილების გათვალისწინებით, ნათელია, რომ აღნიშნული შეთანხმება ევროკავშირთან თანმიმდევრული ეკონომიკური ინტეგრაციის უნიკალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. შესაბამისად, ნათელია, რომ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება წარმოადგენს ევროკავშირთან ვაჭრობის სფეროში ინტეგრაციისა და უცხოური ინვესტიციებისთვის საქართველოს მიმზიდველობის ზრდის განმაპირობებელ ფაქტორს.

ცნობილია, რომ ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის დინამიკა წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის უმთავრეს დეტერმინატებს. შესაბამისად, ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის არსებული დონის შეფასების მიზნით გაანალიზებულია 2014-2019 წლებში საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის სტატისტიკა, ასევე, ამავე წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა. კერძოდ, ვაჭრობის სფეროში ევროკავშირთან ინტეგრაციის შეფასების მიზნით გაანალიზებულია 2014-2019 წლებში ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის ზრდის ტემპი, საქართველოს მთლიან ექსპორტსა და საგარეო ვაჭრობაში ევროკავშირის წილის დინამიკა, ასევე ცვლილებები საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორებში ექსპორტისა და სავაჭრო ბრუნვის მიხედვით. აღსანიშნა-

ვია, რომ 2014-2019 წლებში, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ვაჭრობის ინტეგრაციის სხვა დეტერმინანტები, როგორიცაა ევროკავშირის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში და სავაჭრო ბრუნვაში, ასევე, მთავარი სავაჭრო პარტნიორების კომპოზიცია, მხოლოდ მცირედით შეიცვალა.

ამასთან, 2014 წლის შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის აღსანიშნავია, რომ 2014-2019 წლებში, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ვაჭრობის ინტეგრაციის სხვა დეტერმინანტები, როგორიცაა ევროკავშირის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში და სავაჭრო ბრუნვაში, ასევე, მთავარი სავაჭრო პარტნიორების კომპოზიცია, მხოლოდ მცირედით შეიცვალა. ამასთან, 2014 წლის შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა თითქმის უცვლელია და მხოლოდ მცირე რაოდენობის ახალი პროქდუქცია დაემატა ტრადიციულ საექსპორტო პროდუქციას. გარდა ამისა, უკვე განხორციელებულ საკანონმდებლო დაახლოებას და მარეგულირებელი სისტემების კონვერგენციას, რომელიც წარმოადგენს სექტორული და ინსტიტუციური ინტეგრაციის მექანიზმს, ხელი უნდა შეეწყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. თუმცა, როგორც უცხოური ინვესტიციების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ავლენს, 2014 წლიდან ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციების დინამიკაში მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებსადგილი არ ქონია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ეტაპისთვის, მიუხედავად საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების, მათ შორის DCFTA-ს ეფექტიანი განხორციელებისა, საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის დონე მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.[2]

წარმოგიდგენთ საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ ანალიზს 2019-2022 წლებში გამოხატული მილიონ აშშ დოლარში.

დიაგრამა 1



მოცემული დიაგრამის განხილვისას, საყურადღებოა 2020 წლის მონაცემები, მაშინ როცა კოვიდ-პანდემიის დროს საგრძნობლად იყო შემცირებული დიაგრამაში განხილული მაჩვენებლები წინა და მომდევნო წლებთან შედარებით. 2019 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 13 317,9-ს შეადგენდა, ხოლო 2020 წელს 11 398,3. რაც უფრო მართვადი გახდა პანდემია, დროთაგანმავლობაში აღდგა ეკონომიკური საქმიანობებიც და უკვე 2021 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 2 944,1-ით, ხოლო 2022 წლისთვის 7 786,2-ით. აღსანიშნავია ამასთანავე საგარეო ვაჭრობის სალდო, რაც 2019 წლისთვის -5721,1-ს შეადგენდა, 2020 წელს კი გაიზარდა მაჩვენებელი 1011,7-ით, 2021 წელს საგარეო ვაჭრობისსალდო -5 857,1-ს მიუახლოვდა, ხოლო 2020 წელს -7 998,9-ს.[3]

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლებთან შედარებით იზრდება, ეკონომიკურ სექტორში და ეკონომიკურთან დაკავშირებულ სხვა სექტორებში,არ აღინიშნება საგრძნობი ინტეგრაცია.

აქვე მინდა მოვიხმო 2021 წლის საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით ტოპ 10 ქვეყანა, რომელთანაც ვაწარმოებთ ექსპორტს:

დიაგრამა 2



როგორც ვხედავთ, 2021 წლის მონაცემებით საქართველო ექსპორტს ახორციელებდა ძირითადად აზერბაიჯანსა, უკრაინასა და ყველაზე მაღალი მაჩვენებლით - თურქეთში. თუმცა ეს მაჩვენებლები ჩემი აზრით, დღეისათვის საგრძნობლად შეცვლილი იქნება რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში.[4]

დასკვნები და რეკომენდაციები

ევროკავშირი ყველაზე დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელთანაც ინტეგრაციის პროცესი არ უნდა შეწყდეს, არამედ განხორციელდეს უფრო მეტი და მეტი მოლაპარაკებები ქვეყნის სამომავლო პერსპექტივების გამოჩენისა და განვითარებისთვის. საქართველოს გააჩნია დიდი რესურსი, იმისათვის რომ პოტენციურ მწარმოებლურ წინსვლაზე ვიფიქროთ. საჭიროა მოვერგოთ დროსა და სივრცეს, მივაქციოთ ყურადღება განათლებას, ტექნოლოგიების დანერგვას და იმ რესურსების ათვისებას, რითაც რთულ და ხანგრძლივ გზას გავივლით, საბოლოოდ კი რეალურ ეკონომიკურ წინსვლას მივაღწევთ, რაც აისახება ქვეყნის ცხოვრების საერთო დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ემირ ეთერია, 2022 წ. სტატია - საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონ მიკური განზომილება: თეორია და პრაქტიკული შედეგები. ჟურნალი „ ეკონომისტინ (78-80)
2. თავისუფალი ვაჭრობა, 2023 წ. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირისშესახებ https://old.infocenter.gov.ge/euinfo-free-trade/
3. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა, 2021წ. საქართველოს სტატისტიკისეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/766/momsakhurebit-saertashoriso-vachroba
4. საქონლით საგარეო ვაჭრობა, 2023 წ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულისამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba

სტუდენტთა კმაყოფილებასა და სწავლისუნარიანობაზე მოქმედ ფაქტორთა კვლევა

ლიკა ვანიშვილი

თანამედროვე სამყაროში უფრო და უფრო გახშირდა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მყოფ სტუდენტთა შესახებ კვლევების წარმოება, რათა გააზრებული და გაანალიზებული იყოს ის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მდგომარეობა და გარემო--ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტთა წარმატების, შრომის ნაყოფიერებისა და თვითკმაყოფილების ზრდას.

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება „სტუდენტთა კმაყოფილებასა და მწარმოებლურობაზე მოქმედ გავლენათა/ფაქტორთა კვლევას". მასში წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი და ყურადსაღები წინააღმდეგობანი, რომლებსაც ნებისმიერი სტუდენტი შეიძლება წააწყდეს არა მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცეში, არამედ - თავიანთ ოჯახებშიც კი. კვლევა ჩატარდა ელექტრონული გამოკითხვის მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 366-მა სტუდენტმა (რესპონდენტმა).

კვლევის პროცესში ჩამოვაყალიბეთ მნიშვნელოვანი ჰიპოთეზები, რომელთა შემოწმება მოვახდინეთ სტატისტიკური პროგრამული პაკეტის გამოყენებით.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა პრობლემები და ჩამოვაყალიბეთ რეკომენდაციები, რომელთა საშუალებითაც მოხდება სტუდენტთა კმაყოფილების ზრდა.

ნაშრომის აქტუალობა

ნებისმიერი უნივერსიტეტი საკუთარ მისიაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტებს, გამონაკლისი არც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. მის მთავარ მისიას წარმოადგენს „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა"[1] (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ცხადია, რომ სტუდენტებს მუდამ ჰქონდათ და აქვთ გარკვეული სახის დაბრკოლებები უშუალოდ სწავლისას, რაც არახელსაყრელია მათი განვითარებისთვის. უნივერსიტეტის მისიის განხორციელება მოითხოვს სტუდენტის წინაშე არსებული დაბრკოლებების შესწავლას და მის გადაჭრას.

ნაშრომის მიზანი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა პრობლემების გამოკვეთა და ევროპის ქვეყნებში არსებული გამოცდილების გაზიარება, ამგვარი მდგომით შევძლებთ ჩვენი ასწლოვანი უნივერსიტეტის მთავარი მისიის განხორციელებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის დაგეგმვის პროცესში შევისწავლეთ სხვადასხვა მეცნიერთა კვლევები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ სტუდენტთა პრობლემებსა და აქტუალურ საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ფინეთი. ფინური განათლების მეთოდი ითვალისწინებს ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარების განვითარებასგ (ფინური საერთაშორისო სკოლა (საქართველო)). ხშირია სხვადასხვა საკითხის გარშემო გაკვეთილების ახლებური დაგეგმვა. გუნდური მუშაობით, პრაქტიკული პროექტების კეთებითა და დაკვირვებით, სტუდენტები უფრო შედეგიანად და სიღრმისეულად ეცნობიან საკითხებს. ფინელი სტუდენტები შრომის მაღალნაყოფიერებით გამოირჩევიან[3] (Sorjonen-Ward, 2021). იმის გათვალისწინებით, რომ წიგნიერებისა თუ უმაღლესი განათლების მიღების კუთხით არაერთი სხვა ქვეყანაც მოწინავეა, რის გამო აღიარეს საუკეთესოდ სწავლების ფინური მოდელი? აღმოჩნდა, რომ ფინეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც მოსახლეობის განათლებისა და ცხოვრებით კმაყოფილების დონე თანაბრად, უმაღლეს ნიშნულზეა.

ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გერმანიაში სწავლის გაგრძელებისას სტუდენტს აქვს შესაძლებლობა დასაქმდეს მისთვის საჭირო სხვადასხვა სფეროში[4]

[3] (Madhuparna, 2022). მნიშვნელოვანია სტუდენტის მწარმოებლურობის ზრდისთვის გამოცდების სწორად დაგეგმვა.

8 ძირითად და ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას/ფაქტორს გამოყოფს და მუშაობს სტუდენტთა შემართების/მოტივაციის ამაღლების საკითხებზე ვიტორ სილვა (SILVA, builtbyme.com, 2020). იგი ასახელებს სასწავლო გეგმის/სილაბუსის ხარისხიანობის გავლენას სტუდენტებზე, აგრეთვე მოჰყავს სწავლების ხერხების/მეთოდების, უფროსთა ქცევის, მშობელთა გავლენების, ოჯახური მდგომარეობის, თანატოლებთან ურთიერთობის, სასწავლო გარემოსა და შეფასების მაგალითები, მათი ზემოქმედების შედეგები სტუდენტთა ქცევაზე.

აგრეთვე, მსგავსი შინაარსის საკითხებზე საუბრობს ჯოიეთ ჰელენ ფაბიენი (FABIEN, 2022), რომელიც, თითქმის, იმავე საკითხებს ეხება, რასაც ვიტორ სილვა.

კვლევის ანალიზი

კვლევა ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 366-მა რესპონდენტმა. მონაცემები დამუშავდა სპსს პროგრამით.

გამოკითხულ რესპონდენტთა 70.9% იყო მდედრობითო სქესის, 26.9% მამრობითი, ხოლო 2.2%-მა არ დააფიქსირა საკუთარი სქესი. რაც შეეხება ასაკობრივ სტრუქტურას, 17-22 წლის რესპონდენტებმა შეადგინეს 88.5%, 23-27 წლის - 8.7% და 28 წელზე ზევით 2.7%. რადგან მეტი წვდომა მქონდა ბაკალავრებთან, შესაბამისად, რესპონდენტების რაოდენობაზეც აისახა მათი შემადგენლობა. რესპონდენტთა 95% ბაკალავრიატის სტუდენტები არიან, შესაბამისად ჩვენი კვლევის შედეგებს სწორედ ამ საფეხურის სტუდენტებზე განვაზოგადებთ.

დადებითი ემოციები ნებისმიერ ადამიანში და, მითუმეტეს, ახალგაზრდებში აჩენს მეტ ენთუზიაზმსა და მომავლის იმედა, ამაღლებს შრომის მწარმოებლურობას და ზრდის ჯანმრთელობის ხარისხს. ამდენად, საინტერესო იყო გაგვეგო, რამდენად ჭარბობს სტუდენტებში დადებითი ემოციები, უარყოფითთან შედარებით. სამწუხაროდ, „დიახ“ და „ყოველთვის“ პასუხი დააფიქსირა რესპონდენტთა 35.7%-მა, დანარჩენი პასუხები კი გადანაწილდა „ზოგჯერ“ „იშვიათად “ და „არასდროს“. სტუდენტთა უარყოფითი ემოციები სხვადასხვა ფაქტორების გავლენით არის გამოწვეული, რაც შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა.

როგორც რესპონდენტთა პასუხებმა გვიჩვენა, უნივერსიტეტში სტუდენტები იყოფიან ე. წ.: ელიტარულ და ღარიბ სტუდენტებად. ყოველთვის, ხშირად და ზოგჯერ პასუხი დააფიქსირა რესპონდენტთა 36.2 %-მა. ხოლო იშვიათად და არასდროს დააფიქსირეს შესაბამისად 29.7% და 34.1%. საინტერესო იქნებოდა, გაგვეგო, ვისი მხრიდან ხდება სტუდენტთა დაყოფა, თავად სტუდენტების თუ პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მხრიდან. ამ ეტაპზე აღნიშნულმა კვლევამ ეს ვერ დაადგინა.

რესპონდენტთა 72.9% მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში ყველა საგანი ერთი და იმავე მნიშვნელობის არ არის, ხოლო 13.8%-ს მიაჩნია, რომ ყველა საგანი ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, 13.3%-ს კი არ აქვს კითხვაზე პასუხი. სტუდენტთა ამგვარი შეფასება, შესაძლოა, გულისხმობდეს, რომ საგნები მათთვის ერთნაირად საინტერესო არაა; შესაძლოა საგნით კმაყოფილება ლექტორის სიმპათიითაც იყოს გამოწვეული. კვლევამ ბევრი საინტერესო კითხვა გააჩინა და მომავალში აღნიშნული საკითხების ირგვლივ გაგრძელდება მუშაობა.

სტუდენტთა დადებითი ემოციების ზრდაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სახელოვნებო, სპორტულ და სხვა ჯგუფებში ჩართულობა. ასე უკეთ ხდება სტუდენტობის შეგრძნება, რესპონდენტთა 28.7% არ აქვს კითხვაზე პასუხი არსებობს თუ არა მსგავსი ჯგუფები უნივერსიტეტში, 18.8% აღნიშნავს, რომ ამგვარი ჯგუფები არ არსებობს, ხოლო 52.5% დადებით პასუხს აფიქსირებს, ცხადია სტუდენტთა ნახევარი არ არის ინფორმირებული უნივერსიტეტში ამგვარი ჯგუფების არსებობის შესახებ. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის გაზრდა და სტუდენტთა აქტიური ჩართვა იმ აქტივობებში, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტი გვთავაზობს.

გარდა იმისა, რომ დავინტერესდით, ხდებოდა თუ არა უნივერსიტეტში სტუდენტთა დაყოფა ელიტარულ სტუდენტებთან, სადაც მათი ფინანსური შესაძლებლობები მოიაზრებოდა, ასევე დავინტერესდით ხდებოდა თუ არა სტუდენტების დაყოფა „კარგ“ და „ცუდ“ სტუდენტებად, 49.7% უპასუხა რომ „ყოველთვის“ „ხშირად“ და „ზოგჯერ “ აქვს ამგვარ დამოკიდებულებას ადგილი. თითქმის ნახევარს კი საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს. სტუდენტები ინტერვიუს დროს აფიქსირებდნენ, რომ პროფესორების მხრიდან დაბალი მოსწრების მქონე სტუდენტები გრძნობენ განსხვავებულ დამოკიდებულებას. სწორედ ეს არის „კარგ“ და „ცუდ “ სტუდენტებად დაყოფის საფუძველი. ვფიქრობ, დაბალი მოსწრება არ უნდა აისახებოდეს სტუდენტების მიმართ დამოკიდებულებაში. ადამიანთა, ახალგაზრდების შეფასება მათი პიროვნული თვისებებით მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა აქაც სიფრთხილეა საჭირო პროფესორთა მხრიდან.

უნივერსიტეტში სტუდენტების მიმართ დამოკიდებულებას, როგორც პროფესორების, ისე ადმინისტრაციის მხრიდან დიდი მნიშვნელობა აქვს. სტუდენტი უნივერსიტეტს უნ-

და აღიქვამდეს, როგორც მის მშობლიურს, პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს უნივერსიტეტის ფასეულობებს და უნივერსიტეტის მხრიდანაც დაცული იქნას მისი უფლებები. სამწუხაროდ, რესპონდენტა 55%-მა დააფიქსირა, რომ უნივერსიტეტში მათი უფლებები არაა სათანადოდ დაცული. ზოგჯერ, იშვიათად და არასდროს - დადებითი პასუხი გასცა მხოლოდ 20.3%-მა, უნივერსიტეტის პრესტიჟის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია იმ კატეგორიის სტუდენტების მოსაზრებების შესწავლა, რომლებიც უარყოფით პასუხებს აფიქსირებენ.

უნივერსიტეტში სასწავლო გეგმები მნიშვნელოვანია მორგებულ იქნას სტუდენტებზე, რესპონდენთა 8.8 % აფიქსირებს, რომ ყოველთვის მორგებულია საწავლო გეგმები სტუდენტებზე, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და ამ ფონზე გასაკვირი არ არის ფაქტი, რომ სტუდენტები ნაკლებად განიცდიან დადებით ემოციებს.

ევროპის ბევრ უნივერსიტეტში ზრუნავენ საკუთარი სტუდენტების კვებაზე, რამდენად არიან უნივერსიტეტის სტუდენტები სახელმწიფოს მხრიდან კვებით უზრუნველყოფილნი - 87.4%-მა გასცა უარყოფითი პასუხი. მცირე ნაწილმა კი უპასუხა „იშვიათად, „ზოგჯერ“ და „ყოველთვის“. მსგავსი პასუხები გაუგებარია იმ ფონზე, როცა უნივერსიტეტში არ არსებობს ელემენტარული პირობები და არ გვაქვს სასადილო. მისასალმებელია, ფაქტი, რომ უნივერსიტეტში დაიგეგმა აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზები.

სტუდენტების უზრუნველყოფა გასართობი და ინტელექტუალურ-კულტურული სანახაობებით არის მნიშვნელოვანი, თუმცა 30% მყარად აფიქსირებს, რომ ამგვარი მხარდაჭერა არ აქვთ, 36.7% აფისირებს - „ზოგჯერ“ პასუხს და „ყოველთვის“ პასუხი აქვს 3.3 %-ს.

სახელმღვანელოებითა და პირადი კომპიუტერებით უზრუნველყოფა არის მნიშვნელოვანი. მიუხედავად იმისა, რომ უნივერისტეტის ბიბლიოთეკების განახლება მუდმივად ხდება და ხელმისაწვდომია ყველასათვის თანამედროვე ლიტერატურა, აღნიშნულ კითხვას უარყოფითი პასუხი გასცა რესპონდენტა 68.7%-მა. მეტწილად ამგვარი უარყოფითი პასუხები გამოიწვია კითხვაში „პირადი კომპიუტერებით“ უზრუნველყოფამ. ვფიქრობ, პირადი კომპიუტერებით უზრუნველყოფა გაზრდის სასემინარო მუშაობის ეფექტურობას, შესაძლებელი გახდება სტუდენტთა მეტი ნაწილის გამოკითხვა ერთ სასემინარო საათზე.

მთელ რიგ უნივერსიტეტებში სტუდენთა ცხოვრებაში ჩართულნი არიან მშობლებიც. უნივერსიტეტს აქვს მყარი კომუნიკაცია მშობლებთან. ჩვენი სტუდენტების 58.2% აღნიშნავს, რომ მშობლების ჩართულობა არასდროს არ ხდება. 1.7% კი აღნიშნავს, რომ ყოველთვის ხდება მშობელთა ჩართულობა. რა ფორმით ახდენს უნივერსიტეტი მშობელთა ჩართულობას, არ არის ჩემთვის ცნობილი.

ყველა სტუდენტი ერთი და იმავე შესაძლებლობების არ არის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროფესორმა მეტი ძალისხმევა მოახმაროს ამგვარ სტუდენტებს. ტარდება თუ არა დამატებითი მეცადინეობები ამგვარი სტუდენტებისთვის, რესპონდენტთა 35.8%-მა გასცა პასუხი „არა“. რეალურად, უნივერსიტეტში არსებობს საკონსულტაციო საათები, სადაც სტუდენტებს აქვთ დამატებით პროფესორებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. თუმცა, აღნიშნული საათები საჭიროებს სწორად ორგანიზებას. ხშირად პროფესორთა საკონსულტაციო სათების დროს სტუდენტები დაკავებული არიან ლექცია-სემინარებით. დადებითად შეიძლება ჩაითვალოს არაერთი პროფესორის ძალისხმევა, რომლებიც არასასემინარო საათებში გვიწევენ კონსულტაციებს ტელეფონის ან ზუმის საშუალებით.

უმაღლესი სასწავლებლის მიზანს უნდა წარმოადგენდეს შემდეგი: სტუდენტი აღჭურვოს იმგვარი ცოდნით, რომ იგი გამოიყენოს ცხოვრებაში და არა გამოცდის ჩასაბარებლად. სტუდენტთა მხოლოდ 11% მიიჩნევს, რომ უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნა ცხოვრებაში გამოადგებათ. ასევე მკვეთრად უარყოფითი პასუხი აქვს 11%-ს. მნიშვნელოვანია სწავლების პროცესის იმგვარად დაგეგმვა და ორგანიზება, რომ სტუდენტმა შეძლოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიღებული ცოდნის გამოყენება.

ლექტორთა მიერ სწავლების მეთოდები სტუდენტზე უნდა იყოს მორგებული. ლექტორის მიზანს წარმოადგენს სიღრმისეულად ახსნას საკითხები და პრაქტიკულობა შესძინოს სწავლებას. რესპონდენტა 9.3% აღნიშნავს, რომ ლექტორთა სწავლების მეთოდი არასდროს არ არის მორგებული სტუდენტზე, 23.5% - მუთითებს იშვიათად, მხოლოდ 7,1% მიიჩნევს, რომ ლექტორთა სწავლების მეთოდი მორგებულია სტუდენტებს.

სტუდენტთა მოტივაცია და უნივერსიტეტის მიმართ დამოკიდებულება დამოკიდებულია შეგრძნებაზე, რომელსაც განიცდის სტუდენტი. მნიშვნელოვანია, სტუდენტი უნივერსიტეტის მხრიდან გრძნობდეს ნდობის მაღალ ხარისხს. სტუდენტთა 6% მიიჩნევს, რომ ყოველთვის არის სტუდენტების მიმართ ნდობა; ხშირად გრძნობს ამგვარ დამოკიდებულებას 30.8%, ზოგჯერ 39%, შვიათად და არასდროს კი - ჯამში 24.1%. მნიშვნელოვანია სტუდენტისა და ლექტორის მიზნების თანხვედრა მოხდეს მაქსიმალურად. ამგვარად ნდობის ხარსხიც გაიზრდება. მნიშვნელოვანია სტუდენტი გრძნობდეს, რომ ლექტორის ძალისხმევა ფუჭი არ არის და გამოადგება ცხოვრებაში. ასევე ლექტორი უნდა გრძნობდეს სტუდენტთა განწყობას, რომ მისთვის მთავარი მხოლოდ დიპლომი არ არის. ამგვარი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება მოთხოვს განათლების სისტემისა და კარიერის მართვის საკითხების მიმართ დამოკიდებულებების ცვლილებას, საკანონმდებლო ცვლილებს და მთელი რიგი ტრადიციული ფასეულობების გადაფასებას (იგულსხმება ნეპოტიზმის მაღალი დონე).

სწავლების მაღალი ხარისხი მოითხოვს დამატებითი ლიტერატურის მოძიებას და გაცნობას. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს სილაბუსში მითითებული აქვთ დამატებითი ლიტერატურა, მხოლოდ ლექტორის მიერ მიწოდებული რიდერებით და ძირითადი სახელმძღვანელოებით შემოიფარგლებიან. დამატებით მასალებს, მხოლოდ 29.1% ეცნობა, რაც სწავლის მაღალ ხარისხს ვერ უზრუნველყოფს. ვფიქრობ ამგვარი მაღალი ინტერესით გამორჩეული სტუდენტებისთვის ჩამოყალიბდეს სპეციალური ჯგუფები, რომელთა მიმართ გამოყენებული იქნება სწავლების აქტიური მეთოდები. თუმცა სტუდენტებისთვის ამგვარი დაყოფაც დისკრიმინაციად მიიჩნევა და ფრთხილად მოსაგვარებელი საკითხია.

ხშირია უნივერსიტეტში კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა, როგორც სტუდენტებს, ასევე სტუდენტსა და ლექტორებს შორის. გამოკითხულ სტუდენტთა 11.2% აღნიშნავს, რომ კონფლიქტში ადმინისტრაცია არ ერევა და თავად აგვარებს სტუდენტი, „ყოველთვის ერევა“ აღნიშნავს 14,8%. მნიშვნელოვანია სტდენტების მიმართ მეტი ყურადღება და თანადგომა. თუმცა, საინტერესოა, ადმინისტრაციის პასიურობა შესაძლა გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ თავად სტუდენტი არ მიმართვას დასახმარებლად. ამ ქცევასაც მრავალი ახსნა აქვს - საკუარი სურვილი, თავად მოაგვაროს პრობლემა ან ადმინისტრაციის მხარდაჭერის იმედი არ აქვთ. პრობელემა საჭიროებს შესწავლას.

სტუდენტების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპია საგამოცდო პერიოდი. აღნიშნული პერიოდი საჭიროებს სწორად დაგეგმვას და მორგებული უნდა იყოს სტუდენტის ინტერე-

სებს. 61.9% რესპონდენტებისა აღნიშნავს, რომ საგამოცდო პერიოდის დროის ბიუჯეტი ყოველთვის და ხშირად დაძაბულია, აღნიშნულ დაძაბულობას არასდროს გრძნობს 4.4%. ხშირად სტუდენტებს ერთდროულად, შუალედის გარეშე უწევთ გამოცდისთვის მომზადება. მნიშვნელოვანია გამოცდებს შორის ინტერვალი იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებლი გახდეს მობილიზება.

სტუდენტი სწავლობს ცხოვრებისთვის და არა გამოცდისთვის; სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას მხოლოდ 39.2% ეთანხმება, 20.4%-ს არ აქვს პასუხი, რაც მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ სწავლებას უნივერსიტეტში არ აქვს პრაქტიკული გამოყენება.

ამდენად ბუნებრივი იყო რესპონდენთა პასუხები, როცა მხოლოდ 4,4%-მა დააფიქსირა, რომ სტუდენტი ნასწავლ მასალას თავისუფლად იყენებს ცხოვრებაში.

სასწავლო მასალის მომზადების პროცესში ნაკლებად აქვს ადგილი ჯგუფური აქტივობების განხორციელბას. მხოლოდ 3,3% აღნიშნავს, რომ ყოველთვის იყენებენ გუნდურ სამუშაოებს მასალის მომზადებისას. პრობლემა მრავალი ფაქტორით შესაძლოა აიხსნას, კერძოდ, ლეექცია-სემინარებზე დასწრება არის დაბალი, სტუდენტები ნაკლებად იცნობენ ერთმანეთს, ამდენად ამჯობინებენ მასალის დამოუკიდებლად მომზადებას; ასევე ნაკლებად ხდება ლექტორების მხრდანაც აღნიშნული აქტივობების განხორციელება.

ფინეთის უნივერსიტეტებში სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სტუდენტთა თავისუფალი დროის გამოყენების შესაძლებლობა და ცდილობენ, ნაკლებად დატვირთონ დავალებებით. ამგვარ დამოკიდებულებას ჩვენი სტუდენტების 3.3% ყოველთვის გრძნობს, არასდროს კი 26.5%. სტუდენტთა თავისუფალი დროის სწორად გამოყენება მნიშვნელოვანია, რათა არ მოხდეს გადაღლა და გადატვირთვა და შეინარჩუნონ ჯანმრთელობა. ამ საკითხებს არაერთი კვლევა მიეძღვნა, (Pirtskhalaishvili, Dea; Dugladze , Davit;, 2018); (Kharadze, Natalia; Dugladze, Davit; Pirtskhalaishvili, Dea;, 2018).

ჯანსაღი ცხოვრება მოიაზრებს საჭირო დროით ძილს; სამწუხაროდ, რესპონდენტთა 22% აღნიშნავს, რომ არ რჩებათ დრო სრულფასოვანი ძილისთვის; ყოველთვის რჩება - 6%-ს. ამგვარი დამოკიდებულება გამოწვეულია არა იმდენად გადაჭარბებული სწავლით, არამედ დროის ბიუჯეტის არასწორად გამოყენებით. მნიშვნელოვანია სტუდენტებმა დროის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის საკითხებს მიაქციონ ყურადღება. აღნიშნულ საკითხებს გავდივართ ლიდერობის ერთ-ერთ თემად, რაც გვეხმარება დროის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის აუცილებლობის გააზრებაში.

„სტუდენტი-ლექტორი“ - არის მნიშვნელოვანი რგოლი და საჭიროა მათ შორის არსებობდეს ჰარმონიული დამოკიდებულება. რესპონდენტთა 4,9% აღნიშნავს, რომ ყოველთვის აქვთ შიში ლექტორების მიმართ, ხშირად 19.7%-ს, ზოგჯერ 32.2%-ს, იშვიათად 31.7%-ს და არასდროს 11.5%-ს. სამწუხაროდ, კვლევა არ ითვალისწინებდა იმის დადგენას, თუ რა განაპირობებდა სტუდენთა შიშს ლექტორების მიმართ. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა ამ პრობლემის შესწავლა.

სამწუხაროდ, რესპონდენტებში არიან სტუდენტები, რომელთაც ლექტორების მიმართ აქვთ უარყოფითი დამოკიდებულება. ყოველთვის 2.7%-ს , ხშირად 34, 6%-ს, ზოგჯერ - 37.4%-ს, იშვიათად 22%-ს და არასდროს 3,3%-ს. მონაცემები საკმაოდ დამაფიქრებელია. ვფიქრობ, ადმინისტრაცია უნდა დაიტერესდეს, თუ რა არის სტუდენტების მხრიდან ლექტორთა უარყოფითი დამოკიდებულებების მიზეზი - სწავლების დაბალი ხარისხი თუ მა-

ხასიათებელი თვისებები. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინება კადრების შერჩევის დროს.

სამწუხარო რეალობა დააფიქსირა კვლევამ: გამოკითხულ რესპონდენტა 49.5% აღნიშნავს, რომ მათ სმენიათ ლექტორის მხრიდან სტუდენტზე დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების შესახებ. მსგავსი ფაქტების მიმართ მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის ჩარევა და მიზეზების შესწავლა.

სტუდენტთა წახალისება და შექება მოტივაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, თუმცა რესპონდენტთა 6.6% აღნიშნავს, რომ ამგვარი ქმედების შესახებ მათ არ სმენიათ. თუმცა სტუდენტების მიმართ დამამცირებლად მოპყრობაზე აქტიურად საუბრობენ. საჭიროა ინფორმირებულობის ზრდა, როდესაც ამა თუ იმ სტუდენტის წახალისებას ახდენს ადმინისტრაცია. საჭიროა აღნიშნული ქმედება იყოს გამჭვირვალე და ობიექტური, რათა გაიზარდოს სტუდენტების მოტივაცია.

უნივერსიტეტში არსებული გარემო არის მთავარი მოტივატორი, რათა გაიზარდოს სწავლისადმი შემართება, ამგვარი გარემოს არარსებობაზე მიუთითებს 24.7%, „ყოველთვის არის ამგვარი გარემო“ აღნიშნავს 6.6%. მნიშვნელოვანია დადებითი განცდები და დამოკიდებულება უნივერსიტეტის გარემოდან ჰქონდეს სტუდენტთა უმეტესობას და არა ერთეულებს.

სტუდენტები ხშირად ახდენენ ერთმანეთზე როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. სტუდენტები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ სხვა სტუდენთა სწავლების შემართების ზრდაზე, ამგვარის არსებობა დაადასტურა რესპონდენთა 35%-მა, პასუხი არ ჰქონდა 20.8%-ს.

მრავალი მიზეზის გამო, რესპონდენთა 71,4%-თვის უნივერსიტეტის გარემო და ორგანიზაციული კლიმატი არ არის დამაკმაყოფილებელი; არ აქვს პასუხი 11.5%-ს. ამგვარად, რთულია სტუდენტების კმაყოფილებაზე საუბარი და არსებული საკითხები სისტემური მიდგომით უნდა გადაწყდეს.

სტუდენტთა კმაყოფილების დონის ზრდაზე მხოლოდ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა არ არის საკმარსი, რესპონდენთა მხოლოდ 61.5% გრძნობს ოჯახიდან მზრუნველობასა და მხარდაჭერას, ხოლო დანარჩენი გადანაწილდა „ნაწილობრივ“, „არა “ და „არ მაქვს პასუხზე“. სტუდენტთა კმაყოფილების ზრდისთვის მნიშვნელვანია კოორდინირებულად იზრუნოს სასწავლებელმა და ოჯახმა ერთდროულად.

კმაყოფილების ხარისხზე გავლენას ახდენს სამართლიანობის განცდა. ჩვენ მიერ გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 8.4% მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სამართლიანი კანონები, რომლითაც მათი უფლებები და პასუხისმგებლობები არის დაცული.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ჰიპოთეზები. არსებული ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოვიყენეთ ხი-კვადრატ ტესტი, კორელაციური ანალიზი და კროსტაბულაციური ანალიზი. მოდელის საიმედოობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა.

H1: Q9 ცვლადი - ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტებს ყოფენ „კარგ“ და „ცუდ“ სტუდენტებად - გავლენას ახდენს Q5 ცვლადზე - უმაღლეს სასწავლებელში მყოფ სტუდენტთა შორის ჭარბობს დადებითი განცდები/ემოციები, როგორიცაა: სიამოვნება, ბედნიერება, იმედი ან აღელვება, ვიდრე უარყოფითი განცდები/ემოციები;

H2: Q10 ცვლადი - ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტებს პატივს სცემენ და მათი უფლებები ცხადი, ნათელი და გარკვეულია, გავლენას ახდენს Q5 ცვლადზე - უმაღლეს სასწავლებელში მყოფ სტუდენტთა შორის ჭარბობს დადებითი განცდები/ემოციები, როგორიცაა: სიამოვნება, ბედნიერება, იმედი ან აღელვება, ვიდრე უარყოფითი განცდები/ემოციები;

H3: Q17 ცვლადი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/უნივერსიტეტი სტუდენტს ეხმარება, მიიღოს ცოდნა არა მხოლოდ გაზეპირების მიზნით, არამედ ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების კუთხით - გავლენას ახდენს Q18 ცვლადზე - ყველა მასწავლებლის/ლექტორის სწავლების ხერხი და მიგნება სხვადასხვაგვარი და სტუდენტზე მორგებულია.

ჰიპოთეზების შემოწმება:

H1: Q9 ცვლადი - ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტებს ყოფენ „კარგ“ და „ცუდ“ სტუდენტებად - გავლენას ახდენს Q5 ცვლადზე - უმაღლეს სასწავლებელში მყოფ სტუდენტთა შორის ჭარბობს დადებითი განცდები/ემოციები, როგორიცაა: სიამოვნება, ბედნიერება, იმედი ან აღელვება, ვიდრე უარყოფითი განცდები/ემოციები;

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კროსტაბულაციური ანალიზი. მასში ხი-კვადრატ ტესტის ჩართვის შედეგად ვხედავთ, რომ აღნიშნულ ცვლადებს შორის გვაქვს სტატისტიკურად მაქსიმალური კავშირი 0.001 დონეზე (იხ. ცხრილი 1). იმ სტუ-დენტთა 62.5%, რომლებიც ფიქრობენ, რომ უნივერსიტეტში სტუნენტებს ყოფენ „კარგ“ და „ცუდ“ სტუდენტებად, არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ უმაღლეს სასწავლებელში მყოფ სტუდენტთა შორის ჭარბობს დადებითი განცდები და ემოციები. ამასთან, იმ სტუდენტთა 51.2 პროცენტი, რომლებსაც არასდროს სმენიათ, რომ უნივერსიტეტში სტუნენტებს ყოფენ „კარგ“ და „ცუდ“ სტუდენტებად, ფიქრობენ, რომ უმაღლეს სასწავლებელში მყოფ სტუ-დენტთა შორის ხშირად და ყოველთვის ჭარბობს დადებითი განცდები/ემოციები.

ცხრილი 1: Chi-Square Tests

	Value	Df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	106.568[a]	16	.000
Likelihood Ratio	81.578	16	.000
Linear-by-Linear Association	33.776	1	.000
N of Valid Cases	362		

a. 7 cells (28.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.24.

მოცემული შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰიპოთეზა 1 სწორია.

H2: Q10 ცვლადი - ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტებს პატივს სცემენ და მათი უფლებები ცხადი, ნათელი და გარკვეულია, გავლენას ახდენს Q5 ცვლადზე - უმაღლეს სასწავლებელში მყოფ სტუდენტთა შორის ჭარბობს დადებითი განცდები/ემოციები, როგორიცაა: სიამოვნება, ბედნიერება, იმედი ან აღელვება, ვიდრე უარყოფითი განცდები/ემოციები;

მოცემული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კროსტაბულაციური ანალიზი. მასში ხი-კვადრატ ტესტის ჩართვის შედეგად ვხედავთ, რომ აღნიშნულ ცვლადებს შორის გვაქვს სტატისტიკურად მაქსიმალური კავშირი 0.001 დონეზე (იხ. ცხრილი 2). იმ რესპონდენტთა 62.5% რომლებიც თვლიან, რომ უნივერსიტეტში სტუდენტებს პატივს სცემენ და მათი უფლებები ცხადი, ნათელი და გარკვეულია, ასევე აფიქსირებენ, რომ უმაღლეს სასწავლებელში მყოფ სტუდენტთა შორის ჭარბობს დადებითი განცდები/ემოციები, როგორიცაა: სიამოვნება, ბედნიერება, იმედი ან აღელვება, ვიდრე უარყოფითი განცდები/ემოციები; ამასთან, იმ რესპონდენტთა 75%, რომლებიც ფიქრობენ, რომ უნივერსიტეტში სტუდენტებს არასდროს სცემენ პატივს და მათი უფლებები არ არის ნათელი და გარკვეული, ასევე აფიქსირებენ, რომ უმაღლეს სასწავლებელში მყოფ სტუდენტთა შორის არასდროს ჭარბობს დადებითი განცდები/ემოციები. ცვლადებს შორის კავშირის სიძლიერის დასადგენად გამოვიყენეთ კორელაციური ანალიზი. მოცემული ცხრილიდან ვხედავთ, რომ ცვლადებს შორის გვაქვს საშუალო სიძლიერის პირდაპირპროპორციული კავშირი (P= .525**).

ცხრილი 2: Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	212.210[a]	16	.000
Likelihood Ratio	184.334	16	.000
Linear-by-Linear Association	100.074	1	.000
N of Valid Cases	364		

a. 7 cells (28.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.41.

მოცემული შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰიპოთეზა 2 სწორია.

H3: Q17 ცვლადი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/უნივერსიტეტი სტუდენტს ეხმარება, მიიღოს ცოდნა არა მხოლოდ გაზეპირების მიზნით, არამედ ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების კუთხით - გავლენას ახდენს Q18 ცვლადზე - ყველა მასწავლებლის/ლექტორის სწავლების ხერხი და მიგნება სხვადასხვაგვარი და სტუდენტზე მორგებულია.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კროსტაბულაციური ანალიზი (იხ. ცხრილი 6). მასში ხი-კვადრატ ტესტის ჩართვის შედეგად ვხედავთ, რომ აღნიშნულ ცვლადებს შორის გვაქვს სტატისტიკურად მაქსიმალური კავშირი 0.001 დონეზე (იხ. ცხრილი 3). იმ სტუდენტთა 61.5 % რომლებიც თვლიან, რომ უმაღლესი საგანმანათლებ-

ლო დაწესებულება/უნივერსიტეტი სტუდენტს ეხმარება, მიიღოს ცოდნა არა მხოლოდ გაზეპირების მიზნით, არამედ ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების კუთხით, ასევე აფიქსირებენ, რომ ყველა მასწავლებლის/ლექტორის სწავლების ხერხი და მიგნება ყოველთვის სხვადასხვაგვარი და სტუდენტზე მორგებულია. ამასთან, იმ სტუდენტთა 64.7 %, რომლებიც თვლიან, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/უნივერსიტეტი სტუდენტს არასდროს ეხმარება, მიიღოს ცოდნა ცხოვრებაში გამოყენების კუთხით, ასევე მიიჩნევს, რომ მათი სწავლების ხერხი და მიგნებები არასდროსაა მორგებული სტუდენტზე.

ცვლადებს შორის კავშირის სიძლიერის დასადგენად გამოვიყენეთ კორელაციური ანალიზი. მოცემული ცხრილიდან ვხედავთ, რომ ცვლადებს შორის გვაქვს საშუალო სიძლიერის პირდაპირპროპორციული კავშირი (P= .655**).

ცხრილი 3: Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	299.518[a]	16	.000
Likelihood Ratio	255.749	16	.000
Linear-by-Linear Association	155.036	1	.000
N of Valid Cases	362		

a. 4 cells (16.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 2.87.

მოცემული შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰიპოთეზა 3 სწორია.

მოდელის სანდოობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა. მოცემული ცხრილიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული მოდელი სანდოა, Cronbach's Alpha = .802- ის (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4: Reliability Statistics

Cronbach's Alpha	N of Items
.802	40

დასკვნები და რეკომენდაციები

უმეტესწილად, იკვეთება, რომ:

- სტუდენტებს სურთ, ჰქონდეთ უფრო დახვეწილი და მათზე მორგებული გარემო, შეძლონ თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარებით, ტექნოლოგიებით ისარგებლონ და მიიღონ შესაბამისი, თანამედროვე ცნობები;
- გამოიყენონ უფრო მეტი დამხმარე სახელმძღვანელო/ლიტერატურა;

- ისარგებლონ შესაბამისი კვების დაწესებულებით;
- მათთვის მნიშვნელოვანია, თავი იგრძნონ სტუდენტური საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და იყვნენ დაფასებულნი როგორც ერთმანეთში, ასევე - მასწავლებელთა და მომუშავე პირების/პერსონალის მხრიდანაც;
- სტუდენტები განიცდიან დისკრიმინაციულ მოპყრობას.

რეკომენდაციები:

მნიშვნელოვანია გარკვეული ფულადი სახსრების თანდათანობითი მოზიდვა, რის საფუძველზეც შეიცვლება სასწავლი გარემო, თავად შენობა; აღიჭურვება ისეთი მოწყობილობა-დანადგარებით, რომლებიც სტუდენტთა შრომისმოყვარეობას აამაღლებს.

სტუდენტთა ლექცია-სემინარების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას მათი დროიდ ეფექტური გამოყენება, ნაკლები „ფანჯარა", რათა ახალგაზრდებმა საკუთარი დრო ეფექტიანად გამოიყენონ.

სტუდენტთა უფლებების დაცვის მიზნით სპეციალური სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც მოახდენს სტუდენთა ცალკეული პრობლემების სიღრმისეულ ანალიზსა და შესწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. FABIEN, J. H. (2022 წლის 13 08). *owlcation.com* . მოპოვებული https://owlcation.com/academia/Selfmotivationforsuccess?fbclid=IwAR0FRkHzdiJbvkCRdzCVWl6qtE7a2NIEdlxUdgx6bbA1B0uQxBEBRs7b98I .-დან
2. Kharadze, Natalia; Dugladze, Davit; Pirtskhalaishvili, Dea;. (2018). Comparative Analysis of Students Time Management at State and Private Universities. *Innovative Economics and Management*, 151-162.
3. Madhuparna. (2022 წლის 01 12). *azent.com*. მოპოვებული https://www.azent.com/expert-tips/study-in-germany .-დან
4. Pirtskhalaishvili, Dea; Dugladze , Davit;. (2018). Statistical Analysis of Students' Time Management and Private Hypotheses in Private Universities. *Innovative Economics and Management*, 124-130.
5. SILVA, V. (2020 წლის 11 November). მოპოვებული https://www.builtbyme.com/students-motivation-in-education/?fbclid=IwAR3iXm6dLHr_Y7JkDLHuTTrLDQ_kUMseSi9LUeqE3HhHw2JMBU_yRymEz14.-დან
6. SILVA, V. (2020 წლის 21 11). *builtbyme.com* . მოპოვებული https://www.builtbyme.com/students-motivation-in-education/?fbclid=IwAR3iXm6dLHr_Y7JkDLHuTTrLDQ_kUMseSi9LUeqE3HhHw2JMBU_yRymEz14.-დან
7. Sorjonen-Ward, M. (2021 წლის 24 08). *What motivates Finnish university students?* . მოპოვებული https://erepo.uef.fi/bitstream/handle/123456789/26170/urn_nbn_fi_uef-20211382.pdf?sequence=1&isAllowed=y.-დან
8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *tsu.ge*. მოპოვებული old.tsu.ge: https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/-დან
9. *ფინური საერთაშორისო სკოლა (საქართველო)*. მოპოვებული www.fis.ge: https://www.fis.ge/ka_GE/web/content?content_id=10-დან

ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის გავლენა შრომის ბაზარზე

მარიამ ვასაძე

1930 წელს, ჯონ მეინარდ კეინსმა იწინასწარმეტყველა სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესი მომდევნო 90 წლის განმავლობაში. ივარაუდა, რომ: „ჩვენ ავად ვართ ახალი დაავადებით, რომელთაგან ზოგიერთ მკითხველს შეიძლება არ გაუგია სახელი, მაგრამ მომავალ წლებში ბევრს გაიგებენ-სახელად, ტექნოლოგიური უმუშევრობა“ (კეინზი, 1930). ორ ათწლეულზე მეტი ხნის შემდეგ ვასილ ლეონტიევი მუშებს ასევე მსგავს პრობლემას უწინასწარმეტყველებდა და წერდა: „შრომა თანდათანობით ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდება...სულ უფრო მეტი მუშა ჩანაცვლდება მანქანებით. ვერ ვხედავ, რომ ინდუსტრიას შეეძლოს დაასაქმოს ყველა დასაქმების მსურველი“ (ლეონტიევი, 1952).

რა არის ხელოვნური ინტელექტი? რას გულისხმობს ავტომატიზაცია? და რა გავლენა აქვთ მათ ეკონომიკურ ზრდასა და შრომის ბაზარზე? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის ძიებაა ეს ნაშრომი.

ხელოვნული ინტელექტი ეს არის პერსპექტიული ტექნოლოგია, რომელიც თავისი განვითარების გზაზეა. საზოგადოდ, იგი გულისხმობს მანქანებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, ალგორითმებს. ეს ყოველივე მოქმედებს ინტელექტუალურად, შეისწავლის გარემოს, არსებულ მოცემულობასა თუ პირობებს, და გამოიჩენს შესაბამის რეაგირებას.

ადამიანის ბუნებრივი ინტელექტი მოიცავს როგორც ემოციურ დონეს, ასევე სხვადასხვა სახის გონებრივ აქტივობას. იგი აწარმოებს მარტივ გამოთვლებს, მონაცემთა დამუშავებას, ანალიტიკას, პროგნოზს, კრექტიულობას, კომუნიკაციას, კრიტიკულ აზროვნებას, ლოგიკურ განსჯასა და ა.შ.

1950 წლიდან ჩნდება იდეები ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით. გამოკვლევებით დაინტერესებულები იყვნენ: მარვინ მინსკი, სეიმურ პეპერტი, ჯონ მაკარტი, ჰერბერტ საიმონი. ისინი მუშაობდნენ მექანიკური ინტელექტის შექმნასა და განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა სხვადასხვა ტიპის გონებრივი აქტივობის შესრულებას. ჰერბერტ საიმონი 1958 წელს ამბობდა: „ახლა სამყაროში არიან მანქანები, რომლებიც ფიქრობენ, სწავლობენ და ქმნიან“. 50-იანებიდან 90-იან წლებამდე ამბიციები ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების შესახებ, რომ მისი უნარი ადამიანის გონებრივი უნარის ტოლფასი გახდებოდა, ფაქტობრივად უნაყოფოდ იქცა. თუმცაღა, 1990-იანი წლებიდან კვლავ ახალი ტალღა იწყება. განვითარდა მონაცემთა დამუშავება, გამოთვლებისა და პროგნოზირების ტექნიკები. შექმნილი მოდელები მიზნად ისახავდა პრობლემების გადაჭრასა და წინასწარმეტყველებას, ადამიანური ინტელექტის დანერგვას ხელოვნურ ინტელექტში. ეს შეიძლება ყოფილიყო სახის ამოცნობა ვიზუალური მონაცემების მეშვეობით, ხმის ამოცნობა, გადაწყვეტილების მიღება წარსულ გამოცდილებასა და ამჟამინდელ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამ პერიოდის მეცნიერები მუშაობდნენ „ზოგად ხელოვნურ ინტელექტზენ. კვლევებში მოცემული მოდელი მოხსენიებულია, როგორც „Narrow AL”. ხელოვნურმა ინ-

ტელექტმა განვითარება ჰპოვა არასტრუქტურირებული, დიდი რაოდენობის მონაცემების დამუშავებითა და ანალიზით. ხელოვნური ინტელექტის მთავარი აღორძინება უკავშირდება მანქანური სწავლის მეთოდების ფორმირებას. ეს არის სტატისტიკური ტექნიკები, რომლებიც ალგორითმების შესწავლის საშუალებას იძლევა, იგი ამუშავებს განსაკუთრებული მოცულობის ინფორმაციას მკაფიო დაპროგრამების გარეშე. ალგორითმები უზრუნველყოფენ მექანიკურ სწავლებას, სტატისტიკური დასკვნების გაკეთებას და აქტივობების ოპტიმიზაციას. დღეის მდგომარეობით არსებობს მრავალი გზა იმისათვის, რომ ხელოვნური ინტელექტი განვითარდეს, როგორც კომერციული ან წარმოების ტექნოლოგია.

ხელოვნური ინტელექტის პოტენციური თუ ფაქტიური გავლენა ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტზე საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით წარმოების ორგანიზებაზე. მას შეუძლია მოახდინოს იმ ამოცანების ავტომატიზირება, რომლებიც აქამდე შრომით შეიქმნა ან შექმნას ახალი ამოცანები და საქმიანობები, რომლებშიც ადამიანებს ექნებათ თავიანთი შრომითი რესურსის რეალიზების საშუალება.

ხელოვნური ინტელექტი, ავტომატიზაცია, მათი გავლენა შრომის ბაზარზე

არსებობს სტანდარტული მიდგომა, რომ ნებისმიერი წინსვლა, რომელიც ზრდის პროდუქტიულობას (დამატებული ღირებულება ყოველ მუშახელზე) ასევე მიდრეკილია, რომ გაზარდოს მოთხოვნა შრომაზე და, შესაბამისად, დასაქმება და ხელფასები. რა შეიძლება მოჰყვეს ტექნოლოგიურ პროგრესს? მან სამუშაო ძალისათვის შეიძლება არათანაბარი სარგებელი გამოიწვიოს. უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნება სამუშაო ძალის ის ნაწილი, რომელიც უნიკალურ, განსაკუთრებულ უნარებს ფლობს. ხოლო იმ უნარების მქონენი, რომელთა ავტომატიზებაც შესაძლებელია, შეიძლება სამუშაოს გარეშე დარჩნენ. თუმცაღა, მეორე მხრივ, მაღალპროდუქტიული სექტორების განვითარებით, ავტომატიზირებულ სექტორებში მწარმოებლურობისა და პროდუქტიულობის ზრდით შესაძლოა საერთო სარგებელის მაქსიმიზაცია, რომელიც დააბალანსებს ზემოაღნიშნულ მოვლენებს და ფართო მასშტაბით ხელს შეუწყობს მთლიანი დასაქმებისა და ხელფასების ზრდას.

ხელოვნული ინტელექტი გვთავაზობს რიგ გამოწვევებსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს. მკვლევარები და ეკონომისტები, რომლებიც შეისწავლიან ხელოვნური ინტელექტის განვითარებას, ფუნქციონირებასა და გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე, გვეუბნებიან რომ დროთა განმავლობაში ეს პროგრესი უფრო მეტი ამოცანის ავტომატიზაციის საშუალებას იძლევა. ავტომატიზირებული საქმიანობა გამოიხატება გამოსახულების ამოცნობით, მეტყველების ამოცნობით, თარგმანით, აღრიცხვით, სარეკომენდაციო სისტემებით. თუმცა, ჩვენ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს ხელოვნული ინტელექტის გამოყენების ერთადერთი ან აუცილებელი გზაა. ერთია რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარებას თან ახლავს პროგრესი, ინოვაციური სიახლეები, თუმცა მეორე მხრივ, ამოცანების ავტომატიზაცია იწვევს შრომის წილის შემცირებას. არსებობს რიგი სფეროებისა, რომლებშიც AL-ზე დაფუძნებული ავტომატიზაცია არ არის ისეთივე ეფექტური, როგორც ადამიანის შრომა. მსგავსი სფეროები კონცენტრირებულია ფიქრსა და ემოციურ მხარეზე, მეტყველების ზუსტ ამოცნობაზე და ა.შ. ამ შემთხვევაში, მოქმედების საწყის ეტაპზე ავტომატიზირებული პროცესის პროდუქტიულობა ნაკლებია.

ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის გავლენის შესახებ მსჯელობისას, შრომის ბაზარზე წინააღმდეგობრივი ხასიათის პროგნოზები წარმოიქმნება. კერძოდ, ეს წინააღმდეგობრივი ხასიათი გამოიხატება შემდეგნაირად: ხელოვნურმა ინტელექტმა და მასზე დაფუძნებულმა ავტომატიზაციამ ერთი მხრივ შეიძლება გამოიწვიოს შრომის ავტომატიზაცია, რაც შრომაზე მოთხოვნას შეამცირებს, გამოიწვევს დასაქმებულთა გამოთავისუფლებას შრომითი ბაზრებიდან, მათ ჩანაცვლებას ავტომატიზირებული საშუალებებით. შედეგად მივიღებთ, უმუშევრობის მაღალ და დასაქმების დაბალ დონეს. მეორე მხრივ და საწინააღმდეგოდ, ავტომატიზაციით შესაძლებელია მივიღოთ ახალი გამოწვევები, გადავჭრათ რიგი ამოცანები, რომელთა მეშვეობით ტექნოლოგიური პროცესი გამოიწვევს პროდუქტიულობის ზრდას ბაზრებზე. წარმოების რესტრუქურიზაციის შედეგად, მოთხოვნა შრომით ბაზარზე გაიზრდება, დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, გაზრდილი საწარმოო შესაძლებლობები და გამოშვების მოცულობა კი გამოიწვევს სწრაფ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას. შრომის ბაზარზე, კი რა საკვირველია პოზიტიურ გავლენას იქონიებს. აქედან გამომდინარე, ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები გამოიწვევს დიდ სოციალურ მოგებას ერთი მხრივ გაზრდილი პროდუქტიულობის თვალსაზრისით, მეორე მხრის - მუშახელზე დიდი მოთხოვნით. მუშახელზე დიდი მოთხოვნა გაუმჯობესებული პროდუქტიულობის ხარჯზე უპირისპირდება თუ არა სხვა სფეროში გამოთავისუფლებულ სამუშაო ძალას? და თუ კი - მაშ, რა სოციალურ მოგებაზეა საუბარი? ეს შეკითხვა კიდევ ერთ წინააღმდეგობრივ ხასიათის მქონე საკითხთან მიგვიყვანს. კერძოდ, თუ კი ავტომატიზაციის განვითარებით ერთ სფეროში მუშახელის შრომა თითქმის აბსოლუტურად ჩაანაცვლა მექანიკურმა საშუალებებმა, რომლებიც, თავის მხრივ, ავტომატიზირებულია გაზრდილი საწარმოო შესაძლებლობების მიუხედავად გვაქვს ნეგატიური გავლენა შრომით ბაზარზე გაზრდილი უმუშევრობის თვალსაზრისით. მაგრამ, მეორე მხრივ, გაზრდილი საწარმოო შესაძლებლობები სამუშაო პროცესის სხვა ეტაპებზე მუშახელის მობილობას მოითხოვს. პროდუქტიულობის ზრდის ხარჯზე, იზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ მუშახელზე, რომელსაც აქვს გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობა, სურვილი და მონდომება იმისა, რომ აითვისოს ტენდენცია და ავტომატიზირებულ პროცესებში ჩართოს თავისი პოტენციალი. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანური რესურსი სწორად იქნება შენარჩუნებული და მიმართული საჭირო მიმართულებით, გაუმჯობესებული პროდუქტიულობა, პირიქით შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს. გამოშვების ზრდით გაზრდილი შემოსავლები, იქნება საშუალება დასაქმებულები უზრუნველყოფილ იყვნენ უფრო მაღალი ხელფასებით, ვიდრე მანამ იყო. თუ კი შრომით ბაზარზე ეს პოზიტიური ცვლილება აღემატება ზემოთ ნახსენებ ნეგატიურ შედეგებს, მაშინ ვიტყვით რომ სოციალური მოგება ნამდვილად მივიღეთ. თუმცა, თუ კი გამოთავისუფლებულ მუშახელთა რაოდენობა, რომელიც ავტომატიზირებულმა შრომამ ჩაანაცვლა უფრო მეტია ვიდრე მაღალპროდუქტიულობით გამოწვეული ზრდა შრომის ბაზარზე მოთხოვნის მხარეს, მაშინ ცალსახაა, რომ შრომის ბაზარზე უარყოფითი შედეგებით დასრულდა ავტომატიზაციის ჩართულობა.

ჩვენ შეიძლება შევთანხმდეთ, რომ ხელოვნურ ინტელექტს აქვს საშუალება ავტომატიზაციის მეშვეობით გაზარდოს პროდუქტიულობა და შესაბამისად მოგებაც. თუმცაღა, თანამედროვე ბაზრებზე რამდენად ხშირად ვხვდებით ისეთ დიდ ფირმებს, რომლებიც „მეგობრულები“ არიან ინოვაციებისადმი და ამავდროულად სწორი მიმართულებით იყე-

ნებენ მათ, რაც გულისხმობს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმიზაციას. ჩვენ შეიძლება წავაწყდეთ ისეთ საშიშროებას, რომელიც შემდეგნაირად გამოიხატება: შესაძლებლობა იმისა, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა თავისი უნარის, პროდუქტიულობის ზრდის მიუხედავად არ გამოიწვიოს შრომით ბაზარზე ეს უკანასკნელი და საერთოდაც, შესაძლებელია რესურსები არასწორი მექანიზმებისკენ იყოს მიმართული. სმიტიდან დაწყებული უამრავი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ბაზარი თვითრეგულირებადი მექანიზმია, რომელსაც აქვს თანდაყოლილი უნარი გაუმკლავდეს მრავალი სუბიექტის პირად ინტერესს და მოახერხოს რეგულირება დამატებითი ჩარევების გარეშე. ისინი ენდობიან ბაზრის უნარსა და შესაძლებლობას. მაგრამ, ცხადია, რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ბაზრის ფიასკოს. შესაძლებელია, ინოვაციებთან გამკლავება თვითრეგულირებადი ბაზრისთვის არც ისე მარტივი აღმოჩნდეს, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. არსებობს სხვადასვა მიზეზი, საზოგადოდ და მათ შორის ხელოვნური ინტელექტის კონტექსში, საბაზრო ჩავარდნებისა, რომელიც ინოვაციურ პროცესებს თან შეიძლება ახლდეს. 1)გარე ფაქტორები-ინოვაციამ შეიძლება გამოიწვიოს გარე ფაქტორები. ინოვაციებით სარგებლობს ინოვატორი ფირმა, ფირმა რომელიც კანონიერად აითვისებს ამ ინოვაციას, სხვა ფირმებიც, რომლებიც ცდილობენ შემქნან მისი ანალოგი. თუმცა ბაზარი გარე ფაქტორებთან მიმართებით შეიძლება უძლური აღმოჩნდეს. ზოგადად, მაინც რა იგულისხმება გარე ფაქტორებში, ანუ ექსტერნალებში. ეს ეხება ეკონომიკური საქმიანობის არასასურველ და არაპირდაპირ ეფექტებს მესამე მხარეებზე, რომლებიც არ არიან ჩართული ეკონომიკურ გარიგებებში. ეს ეფექტები შეიძლება იყოს დადებით ან უარყოფითი, შესაძლოა გავლენა იქონიოს ინდივიდებზე, ორგანიზაციებზე ან გარემოზე. მაგალითად ქარხნის დაბინძურებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ახლომდებარე დასახლებებზე, გამოიწვიოს დასაქმებულთა ჯანმრთელობის პრობლემები. აქ კი, თავის მხრივ, ვხვდებით დასაქმებულთა კონსტიტუციური უფლებების- ჯანმრთელობის უფლებისა და სასიცოცხლოდ უსაფრთხო გარემოში მუშაობის უფლების დარღვევას. გარე ეფექტებმა შეიძლება გამოიწვიოს რესურსების არაეფექტური განაწილება და საჭირო გახდეს სახელმწიფოს ჩარება ბაზრის ფუნქციონირებაში. სწორედ ეს გაამართლებს სკეპტიციზმს, იმ მოსაზრებისადმი, რომ ბაზარი თვითრეგულირებადია და ნებისმიერ სიტუაციაც შეუძლია გაუმკავდეს დამატებითი სუბიექტების ჩაურევლად.

ზემოხსენებული მსჯელობა უფრო დავავიწროვოთ და განვიხილოთ კონკრეტული მიზეზები და შედეგები თუ რა დადებითი და უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს შრომით ბაზარზე ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის განვითარებას. მსჯელობა დავიწყოთ პოზიტიური კუთხით.

პროდუქტიულობის ზრდა - რუტინული ამოცანების ავტომატიზირება, ფოკუსირების საშუალება მეტად კომპლექსური ამოცანების შემთხვევაში, ახალი ამოცანებისა და გამოწვევების შექმნა. ავტომატიზაციას შეუძლია გაზარდოს პროდუქტიულობა. იგი პროცესებს უფრო ეფექტურსა და ეფექტიანს ხდის, რაც განაპირობებს იგივე რესურსებით მეტი უკუგების მიღებას. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელია დიდი რაოდენობის მონაცემების გაანალიზება ბევრად უფრო სწრაფად და ზუსტად, ვიდრე ეს ადამიანს შეუძლია. დაჩქარებული პროცედურები ბიზნესს მისცემს საშუალებას მოამზადოს ინფორმაციული ბაზა მოკლე დროში და დროულად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც ზუსტ მონაცემებზე იქნება დაყრდნობილი, ვინაიდან ავტომატიზაციას აქვს

უნარი შეამციროს შეცდომების დაშვების ალბათობა. ჩვენს ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის შესაძლებლობების გამოყენება შეგვიძლია სასარგებლოდ სხვადასხვა მიმართულებით, როგორც წარმოების ასევე მომსახურების სფეროში. მაგალითად, წარმოებაში ავტომატიზაციის საშუალებით შესაძლებელია შევამციროთ საქონლის წარმოებისთვის საჭირო დრო. აქვე, ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტებს შეუძლიათ დაუღალავად იმუშაონ, გაზრდილი სამუშაო დროითა და ამოუწურავი ენერგიით შესაძლებელია გამომუშავების გაზრდა. შედეგად, წარმოების საბოლოო პროდუქტთა რიცხვი გაიზრდება, პროცესი კი მეტად ეფექტური იქნება. თავის მხრივ, ამ ჩართულობამ შესაძლებელია გამოიწვიოს ხარჯების შემცირება და მოგების ზრდა. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას აქვს შესაძლებლობა ბიზნესი გახადოს უფრო კონკურენტუნარიანი ეფექტურობისა და პროდუქტიულობის გაზრდის გზით.

ახალი პროფესიები და სამუშაო ადგილები - მართალია ხელოხნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის გამოყენებამ შესაძლებელია გააქროს რიგი სამუშაო ადგილებისა, შეამციროს მოთხოვნა სამუშაო ძალაზე გარკვეულ სამუშაოებზე, თუმცა მეორე მხრივ, შესაძლებელია გააჩინოს ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები. მაგალითად, მათი შემუშავება და დანერგვა მოითხოვს კვალიფიციურ მუშახელს ისეთ სფეროებში, როგორიცაა მონაცემთა მეცნიერება, პროგრამული უზრუნველყოფა, ინჟინერია და რობოტიკა. ამასთანავე, ზემოთ უკვე აღნიშნული პროდუქტიულობის ზრდის ეფექტი ვრცელდება ამ კუთხითაც. კონკურენტული ფირმა, რომელიც ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის გამოყენებით ეფექტურ წარმოებას ეწევა, ზრდის გამოშვებასა, ეზრდება უკუგება და შედეგად ფართოვდება, ქმნის ახალ ადგილებს დასაქმებისთვის. აქვე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალ სამუშაო ადგილებს, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის ჩართვით გამოჩნდა, სჭირდება სფეციფიკური ცოდნა და უნარები. ამიტომაც არ უნდა დაგვავიწყდეს ინვესტირება განათლებაში, ტრენინგები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები. მნიშვნელოვანია, რომ ავყვეთ დროის სვლას. არ დაგვავიწყდეს, რომ კაცობრიობის ისტორიას მუდმივად თან გასდევს ევოლუციური პროცესები. ამიტომაც, მნიშვნელოვანია რომ „ევოლუციის ბრძოლაშინ შევძლოთ გადარჩენა, ამისათვის საჭიროა შესაბამისი განათლების მიღება, მუდმივად განახლებადი ინფორმაციის ძიება და შეთვისება. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ შევძლებთ ფეხი ავუწყოთ განვითარების პროცეს, ტექნოლოგიურ ცვლილებებს და ამ უკანასკნელს საშუალებას მივცემთ დადებითი ეფექტი ჰქონდეს ჩვენს მდგომარეობაზე, მათ შორის დასაქმების შესაძლებლობებზე.

სამუშაო პირობების გაუმჯობესება-ფიზიკური ჩართულობის შემცირება, უსაფრთხოების ხარისხის გაზრდა, მოქნილი სამუშაო გარემო. ბევრი სამუშაო მოიცავს საშიშ, განმეორებად ან ორივე ტიპის საქმიანობას. მუშახელს უწევს მუშაობა საფრთხის შემცველ გარემოში, მძიმე ტექნიკასთან, შეიძლება საწარმოო სამუშაო მოიცავდეს ტოქსიკურ ქიმიკატებთან მუშაობას. ცხადია, ეს ყველაფერი საზიანოა ადამიანისთვის. ავტომატიზირებულ მექანიზმს, დანადგარს კი ადამიანის ჩართულობის გარეშე შეუძლია გაუმკლავდეს ამ ყველაფერს. რაც შეეხება, განმეორებად საქმიანობას. როგორც ქეინზი აღნიშნავს თავის ნაშრომში, „ეკონომიკური შესაძლებლობები ჩვენი შვილიშვილებისთვის“, სანამ ინტერნეტი და მისი გამოყენება ფართოდ გავრცელდებოდა ბიზნეს და საზოგადოებრივ საქმიანობაში, კომპანიები მიხვდნენ რომ ადამიანური რესურსის დიდი ნაწილი იყო მიმართული მონაცემებთან მუშაობაზე, მათ შენახვას, განაცლებასა და დამუშავებაზე. კომპიუტერების მეშ-

ვეობით მონაცემები ქაღალდიდან ელექტრონულ საცავებში გადავიდა. საწყის ეტაპზე ეს ყველაფერი ხელით შეყვანას, შესაბამისად ადამიანური რესურსის გამოყენებას მოითხოვდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, განვითარების შედეგედად, ცხადი გახდა რომ კომპიუტერების ქსელში ჩართვის შედეგად საჭირო ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის აქტიოვობებში ადამიანის შრომა საჭირო აღარ იყო. ერთია, რომ ინფორმაციის ხელით დამუშავების აღმოფხვრამ შეამცირა დრო, შეცდომები, ღირებულებები, მეორე მხრივ გაამარტივა სამუშაო პირობები. კერძოდ უდიდესი მოცულობის ბაზებთან მუშაობა უკვე ნაცვლად ადამიანისა, შეუძლია ავტომატიზირებულ მექანიზმს, რომელიც დროის უმოკლეს ვადაში გვაძლევს შედეგებს. ამით ადამიანი თავიდან იშორებებს თანმიმდევრულ და განმეორებად აქტივობებს, რომლის შესრულება ამ პროცესში მოუწევდა, რომ არა კომპიუტერული უზრუნველყოფა. ასე, კი თავიდან ავირიდეთ ის სტრესი და დაძაბულობა, რაც ამ პროცესს ახლავს თან.

გაზრდილი კრეატიულობა: ხელოვნურ ინტელექტსა და ინოვაციებს შეუძლია ხელი შეუწყოს კრეატიულობის გაზრდას მუშაკებისთვის ახალი ინსტრუმენტებითა და ტექნოლოგიებით შექმნისა და ინოვაციების მიწოდებით. ამან შეიძლება გამოიწვიოს ახალი პროდუქტები და სერვისები, რამაც შეიძლება შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და გააფართოვოს ეკონომიკური ზრდა. მეორე მხრივ, როდესაც ავტომატიზირებული მექანიზმები ასრულებენ უფრო მეტ რუტინულ და განმეორებად დავალებებს, მუშახელი თავისუფლდებიან და აქვს შესაძლებლობა ფოკუსირდნენ კრეატიულ და ინოვაციურ სამუშაოებზე. მაგალითად გრაფიკული დიზაინის სფეროში, ხელოვნურმა ინტელექტმა შეძლო ისეთი აქტივობების ავტომატიზირება, როგორებიცაა განლაგება და ფორმატირება. ეს კი დიზაინერს საშუალებას აძლევს მეტი დრო დაუთმოს თავისი სამუშაოს შემოქმედებით ასპექტებს, როგორიცაა კონცეფიის შემუშავება და „ბრეინშტორმი“. ამავდროულად, AL ალგორითმებს შუძლიათ გაანალიზონ შაბლონები და კავშირი მონაცემებს შორის, შედეგად, შექმნას იდეები და კონცეფციები ანალიზის საფუძელზე. აღნიშნული სასარგებლოა სამეცნიერო კვლევებზე მუშაობისას, ასევე მარკეტინგისა და დიზაინის მიმართულებით.

გაუმჯობესებული მომხმარებლის გამოცდილება-ხელოვნური ინტელექტისა და ინოვაციების შეუძლია გააუმჯობესოს მომხმარებელთა გამოცდილება პერსონალიზებული სერვისების მიწოდებით და სწრაფი რეაგირების დროით. ამან შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელთა კმაყოფილების და ლოიალობის გაზრდა, რამაც შეიძლება შექმნას მეტი სამუშაო შესაძლებლობები მომხმარებელთა მომსახურებასა და მხარდაჭერაში. მეტი მომხმარებელი უზრუნველყოფს პროდუქტზე მოთხოვნის ზრდას, გაზრდილი მოთხოვნა კომპანიას უბიძგებს გაზრდილი გამოშვებისკენ, შედეგად კი ეკონომიკაში შემოსავლები გაიზრდება.

უკეთესი გადაწყვეტილების მიღება-AI და ინოვაცია დაგეხმარებათ გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებაში უკეთესი მონაცემებისა და ანალიზის ინსტრუმენტების მიწოდებით. ამან შეიძლება გამოიწვიოს უკეთესი ბიზნეს გადაწყვეტილებები და გაუმჯობესებული შესრულება, რამაც შეიძლება შექმნას ახალი სამუშაო შესაძლებლობები და გაზარდოს მთლიანი პროდუქტიულობა. ხელოვნურ ინტელექტს აქვს საშუალება მოკლე დროში იმუშაოს დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზებთან, მათზე დაყრდნობით მოგვცეს შედეგები, რომლებსაც გამოვიყენებთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. ფაქტრობრივად, ავტომატიზირებული მექანიზმი ამზადებს ყველაფერს გადაწყვეტილების მიღებამდე.

ამით კი იზოგება დრო და სხვა რესურსებიც, რომელიც მეტად შემოქმედებით საქმიანობას შეიძლება მოხმარდეს. მიღებული გადაწყვეტილება კი დაფუძნებულია მყარ არგუმენტებსა და სწორად დამუშავებულ ფართო მონაცემებზე.

გაზრდილი მეწარმეობა: ხელოვნური ინტელექტისა და ინოვაციების ასევე შეუძლია შექმნას ახალი შესაძლებლობები მეწარმეობისა და ინოვაციებისთვის ახალი ბიზნესის შესვლის ბარიერების შემცირებით. ამან შეიძლება გამოიწვიოს გაზრდილი კონკურენცია და ინოვაციები, რამაც შეიძლება შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და გაზარდოს ეკონომიკური ზრდა. ჩვენს ხანაში, როდესაც ავტომატიზირებული მექანიზმები ასრულებენ რუტინულ სამუშაოებს, მათი განვითარების შედეგად, ადამიანებმა დაკარგეს სამუშაოები. მათ ახლა შეუძლიად პოტენციურად გამოიყენონ ცოდნა თავიანთ სფეროში და დაიწყონ ბიზნესი. მაგალითად, თანამშრომელმა, რომელიც ადრე ქოლ ცენტრში მუშაობდა, შეიძლება დაიწყოს ბიზნესი, რომელიც იყენებს Al ჩეტბოტს სხვა კომპანიებისთვის მომხმარებელთა მომსახურების უზრუნველსაყოფად. გარა ამისა, ადამიანს აქვს საშუალება დაიწყოს ახალი ბიზნესი ახალ ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფის გზით. ბიზნესმენს Al-ის საშუალებით შეიძლება წვდომა ჰქონდეს ისეთ გამოთვლებზე, რომელიც მანამდე მხოლოდ ძვირადღირებული კაპიტალის საშუალებით იყო შესაძლებელი. Al ინსტრუმენტებს ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ ბიზნესს გარკვეული ოპერაციების ავტომატიზირებით, ისეთების რომელიც საჭიროა ბუღალტერიასა და ინვენტარის მართვაში.

როგორც ხედავთ, Al-ის პოზიტიური გავლენა მრავალმხრივ გამოიხატება შრომის ბაზარზე, მექანიზმები ხელს უწყობს სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევას. მაგრამ ისევე როგორც ყველა მედალს აქვს ორი მხარე, არც ხელოვნური ინტელექტის და ავტომატიზაციის გავლენაა გამონაკლისი. ვნახოთ,თუ რა ნეგატიური ეფექტები შეიძლება ჰქონდეს მის მასობრივ გავრცელებას.

მუშახელის ჩანაცვლება-პირველი და ყველაზე მთავარი საშიშროება. სამუშაო ადგილების შემცირება, უმუშევრობის ზრდა, შემცირებული შემოსავლები დაზარალებული მუშახელისთვის. როგორც ზემოთ მსჯელობიდან ვხედავთ, ავტომატიზირებულ მექანიზმებს აქვთ უნარი შეასრულონ რთული, მრავლისმომცველი, განმეორებადი და ადამიანისთვის საფრთხის შემცველი სამუშაოც კი. ეს ყველაფერი კი გამოიწვევს მუშახელის ჩანაცვლებას ავტომატიზირებული მექანიზმებით. მაგალითად, წარმოების სფეროში რობოტებმა შეცვალეს მრავალი მუშაკი ისეთ ოპერაციებში, როგორიცაა შეფუთვა, გადაადგილება. სატრანსპორტო სფეროში გამოჩნდა ავტოპილოტი, რომელიც ანაცვლებს მძღოლს. მომსახურების სფეროში კი გამოჩნდენ ჩეტბოტები და სხვა ვირტუალური ასისტენტები. პოტენციურად ისინი შეცვლიან მომსახურების სფეროში დასაქმებულ მუშაკებს. იმ შემთხვევაში, თუ კი მკვეთრად გაიზრდება ავტომატიზირებულ მექანიზმთა რაოდენობა, რომლებიც ჩაანაცვლებს ადამიანის შრომას, გაიზრდება უმუშევრობის დონე და სიღარიბე. მაგრამ, აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ კი მოთხოვნა შემცირდა იმ მუშახელზე, რომლის საქმის შესრულება შეუძლია მექანიკურ საშუალებებს, მეორე მხრივ, მოთხოვნა გაიზრდება მუშახელზე, რომელსაც შესწევს უნარი იმუშაოს ახალ დანადგარებთან, მოწყობილობებთან, მოთხოვნა გაიზრდება შემოქმედებით სფეროში დასაქმებულთათვისაც.

უნარების GAP – Al და ინოვაციამ შეიძლება მოითხოვოს მუშაკებისთვის ახალი უნარჩვევები და ცოდნა, რაც გამოიწვევს უნარების „გეპს“, ხარვეზს და დასაქმების შემცირებას

იმ მუშაკებისთვის, რომლებსაც საჭირო უნარები არ გააჩნიათ. ხელოვნური ინტელექტი და ავტომატიზაცია ეკონომიკას გამოწვევების წინაშე აყენებს, იგი უამრაი ინოვაციის წყაროა, სიახლე კი სწრაფ სვლას მოითხოვს, ეს ევოლუციურ პროცესს გავს, სადაც საზოგადოებამ განვითარებას ფეხი უნდა აუწყოს „გადარჩენისთვის". ინოვაციური პროცესი, თავის მხრივ, წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს, მოთხოვნას ახალ უნარებზე. იმ შემთხვევაში, როცა ბაზარი არ არის გაჯერებული შესაბამისი უნარებისა და კვალიფიკაციის მქონე მუშახელით, ვერ კმაყოფილდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. ეს „გეპინ კი წარმოშობს უმუშევრობას. აღნიშნულის ნათელი მაგალითია, დღევანდელ შრომით ბაზრებზე გაზრდილი მოთხოვნა Software engineer-ის კვალიფიკაციის მქონე მუშახელზე, გრაფიკულ დიზაინერებსა და სხვა IT სფეროებზე. ბაზარი თანდათანობით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, თუმცა ჯერ კიდევ დეფიციტურია ამ ტიპის სამუშაო ძალა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სფეროებში უკვე დასაქმებულები საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ.

გაზრდილი უთანასწორობა - ხელოვნურმა ინტელექტმა და ინოვაციებმა შეიძლება გაამლიეროს შემოსავლის უთანასწორობა მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე მოთხოვნის გაზრდით და დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკებზე მოთხოვნის შემცირებით.

ეკონომიკური შეფერხება - ხელოვნური ინტელექტისა და ინოვაციების დანერგვამ შეიძლება დაარღვიოს მთელი ინდუსტრიები, რაც გამოიწვევს სამუშაო ადგილების დაკარგვას და ეკონომიკურ აჯანყებას. მაგალითად, ბოლო წლებში სატრანსპორტო ინდუსტრია შეფერხდა მგზავრობის გაზიარების სერვისების დანერგვით როგოროც საქართველოს ბაზარზე არის იანდექსი, ბოლტი და ა.შ., ამერიკულ მაგალითზე უბერი და ლიფტი, მსგავსი სერვილები მეტწილად ეყრდნობიან ხელოვნურ ინტელექტსა და სხვა ინოვაციებს. ამ სერვისებმა გამოიწვია სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი დაკარგვა ტრადიციული ტაქსის ინდუსტრიაში. მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობის გაზიარების სერვისების დანერგვამ შექმნა ახალი სამუშაო შესაძლებლობები მძღოლებისთვის, ეს სამუშაოები ხშირად დაბალანაზღაურებადია და არ გააჩნიათ ისეთი შეღავათები, როგორიცაა ჯანმრთელობის დაზღვევა და საპენსიო გეგმები. მგზავრობის გაზიარების სერვისებით გამოწვეულმა შეფერხებას ასევე უფრო ფართო ეკონომიკური შედეგები მოჰყვა. მაგალითად, პირადი ავტომობილების მფლობელობის შემცირებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ავტო ინდუსტრიაზე, შეამცირა მოთხოვნა ახალ მანქანებზე და გამოიწვია სამუშაო ადგილების დაკარგვა ამ სექტორშიც. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტისა და ინოვაციების დანერგვამ ხელი შეუშალოს ტრადიციულ ინდუსტრიებს და გამოიწვიოს სამუშაო ადგილების დაკარგვა, ასევე უფრო ფართო ეკონომიკური და სოციალური შედეგები.

ძალაუფლების კონცენტრაცია: ხელოვნური ინტელექტისა და ინოვაციების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ენერგიის კონცენტრაცია რამდენიმე მსხვილი ტექნოლოგიური კომოანიის ხელში. ამან შეიძლება გამოიწვიოს შემცირებული კონურენცია და ნაკლები სამუშაო შესაძლებლობები მცირე კომპანიებში. რამდენადაც ხელოვნური ინტელექტი და ინოვაციები განაგრძობენ გლობალური ეკონომიკის ფორმირებას, იზრდება შეშფოთება, რომ რამდენიმე მსხვილი ტექნოლოგიური კომპანია ბაზარზე დომინირებს, რაც გამოიწვევს შემცირებულ კონკურენციას და ნაკლებ სამუშაო შესაძლებლობას მცირე კომპანიებში. ძალაუფლების ამ კონცენტრაციას შეიძლება ჰქონდეს მთელი რიგი უარყოფითი გარეგანი ეფექტები შრომის ბაზარსა თუ უფრო ფართო ეკონომიკაზე. მაგალითად, თვალსაჩი-

ნო მაგალითია Amazon-ის შემთხვევა, რომელიც დომინირებს ონლაინ საცალო ვაჭრობის ინდუსტრიაში. ამაზონის ბაზარზე დომინანტურობამ მას საშუალება მისცა დაედგინა ხელფასები და სამუშაო პირობები ინდუსტრიაში, რამაც გამოიწვია შეშფოთება მუშაკთა ექსპლუატაციის შესახებ.

ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში ძალაუფლების კონცენტრაციამ გამოიწვია მეტი რეგულირებისა და ანტიმონოპოლიური ზომების მოთხოვნილება, რათა ხელი შეუწყოს კონკურენციას და თავიდან აიცილოს საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

ავტონომიის დაკარგვა-ავტონომიის დაკარგვა ხელოვნური ინტელექტისა და ინოვაციების კონტექსტში გულისხმობს ცალკეული თანამშრომლის უნარის შემცირებას, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები და განახორციელოს კონტროლი მათ მუშაობაზე. სამსახურში ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის მზარდი გამოყენებასთან ერთად, ბევრი რუტინული დავალება ავტომატიზირებულია, რაც იწვევს გარკვეულ სფეროებში ადამიანის შრომის საჭიროების შემცირებას. ამან გამოიწვია სამუშაო ადგილების სახეობების შეცვლა, მზარდი აქცენტით სამუშაოებზე, რომლებიც მუშაკებს ავტომატური სისტემების მუშაობასა და მართვას მოითხოვს, ვიდრე ხელით დავალებების შესრულებას. თუმცა, ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის გამოყენება სამუშაო ადგილზე ასევე შეიძლება გამოიწვიოს მუშების ავტონომიის დაკარგვა. მაგალითად, ზოგიერთ საწარმოო ქარხანაში მუშებს მოეთხოვებათ დაიცვან ავტომატიზირებული პროცესები და პროცედურები, რაც მათ მცირე ადგილს ტოვებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად ან კრეატიულობის განსახორციელებლად. ანალოგიურად, ზოგიერთ სატელეფონო ცენტრის გარემოში, მუშაკებს შეიძლება მოეთხოვონ სკრიპტებისა და სტანდარტიზებული პროცედურების დაცვა, რაც გამოიწვევს მათ მუშაობაში ავტონომიის დაკარგვას. ავტონომიის ამ დაკარგვამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მუშაკთა სამუშაო კმაყოფილებაზე, მოტივაციაზე და საერთო კეთილდღეობაზე. მუშები, რომლებიც გრძნობენ, რომ ნაკლებად აკონტროლებენ თავიანთ სამუშაოს, შეიძლება უფრო მეტად განიცდიან სტრესს, და ჯანმრთელობის სხვა უარყოფით შედეგებს. გარდა ამისა, ავტონომიის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს ხელფასების შემცირება, რადგან ამ ტიპის სამუშაოებზე მუშები ხშირად განიხილება დაბალი კვალიფიკაციის მქონე და ადვილად შესაცვლელად. ავტონომიის დაკარგვასთან დაკავშირებული უარყოფითი გარეგანი ეფექტების შესამცირებლად მნიშვნელოვანია პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავება, რომლებიც ხელს უწყობენ ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის გამოყენებას ისე, რომ პრიორიტეტული იყოს მუშაკთა კეთილდღეობა და ავტონომია. ეს შეიძლება მოიცავდეს ინვესტიციას განათლებისა და ტრენინგის პროგრამებში, რომლებიც ეხმარება მუშაკებს განავითარონ უნარები, რომლებიც აუცილებელია ავტომატიზირებული სისტემების მუშაობისა და მართვისთვის, ასევე ისეთი რეგულაციების შემუშავებას, რომლებიც დამსაქმებლებს ავალდებულებენ უზრუნველყონ მუშაკებს გადაწყვეტილების მიღების უფლება და კონტროლი მათ მუშაობაზე.

დასკვნა

ვფიქრობ, უდიდესი მონაპოვარია, რომ მექანიზმებს ავტომატიზირებულად შეუძლიათ სახის ამოცნობა ვიზუალური მონაცემების მეშვეობით, ხმის ამოცნობა, გადაწყვეტილების მიღება წარსულ გამოცდილებასა და ამჟამინდელ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არსებობს სტატისტიკური ტექნიკები, რომლებიც ალგორითმების შესწავლის საშუალებას იძლევა, იგი ამუშავებს განსაკუთრებული მოცულობის ინფორმაციას მკაფიო დაპროგრამების გარეშე. ალგორითმები უზრუნველყოფენ მექანიკურ სწავლებას, სტატისტიკური დასკვნების გაკეთებას და აქტივობების ოპტიმიზაციას. ეს ყველაფერი სამუშაო პროცესს ამარტივებს, პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელი ხდება უმოკლეს ვადაში მინიმალური დანახარჯებით. შესაბამისად, ცხადია, ტექნოლოგიური პროგრესი სრულიად რაციონალურად ვითარდება.

ჩვენ ვამჩნევთ, რომ ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის უარყოფითი გავლენა მუშახელის ჩანაცვლებით გამოიხატება. თუმცა, აქვე შეიძლება ბუნებრივი გადარჩევის წინაშე დავდგეთ. კერძოდ, სამუშაო ძალის გამოთავისუფლების კუთხით, უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნება სამუშაო ძალის ის ნაწილი, რომელიც უნიკალურ, განსაკუთრებულ უნარებს ფლობს. ხოლო იმ უნარების მქონენი, რომელთა ავტომატიზებაც შესაძლებელია, შეიძლება სამუშაოს გარეშე დარჩნენ. აქვე, ხელოვნური ინტელექტი უზრუნველყოფს იმ საქმიანობების ავტომატიზირებას, რომლებიც აქამდე ადამიანის შრომით შეიქმნა, ადამიანს საშუალებას აძლევს გათავისუფლდეს ამ რუტინული, განმეორებადი ოპერაციებისგან და დაკავდეს ახალი შემოქმედებითი საქმიანობით. უნდა აღინიშნოს, რომ მაღალპროდუქტიული სექტორების განვითარებით, ავტომატიზირებულ სექტორებში მწარმოებლურობისა და პროდუქტიულობის ზრდით შესაძლოა საერთო სარგებელი მაქსიმიზირდეს, რომელიც დააბალანსებს ზემოაღნიშნულ მოვლენებს - გამოთავისუფლებულ მუშახელს, გარკვეულ დარგებში გაზრდილ უმუშევრობას და ფართო მასშტაბით ხელს შეუწყობს მთლიანი დასაქმებისა და ხელფასების ზრდას. არ უნდა გამოგვრჩეს, რომ AI ქმნის ახალ ამოცანებსა და საქმიანობებს, რომლებშიც ადამიანს თავისი რესურსის რეალიზების საშუალება აქვს. ამაზე დაყრდნობით, ვერ ვიტყვით რომ რობოტიზაცია ადამიანებს აბსოლუტურად ჩაანაცვლებს, პირიქით, ვხედავთ, რომ იგი შეიძლება იყოს პოტენციალი ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ გარკვეულ სფეროებში მოთხოვნა სამუშაო ძალაზე შემცირდება. თუმცა აღვნიშნავ სიტყვა „გარკვეულს“. მეორე მხრივ, მოთხოვნა სხვა კვალიფიკაციისა და უნარების მქონე სამუშაო ძალაზე გაიზრდება. ეს არის ევოლუციური პროცესი, რომელსაც საზოგადოებამ აუცილებლად ფეხი უნდა აუწყოს. ვფიქრობ, სრულიად დასაშვებია მოკლევადიანი უმუშევრობა, რომელიც უნარებისა და კვალიფიკაციის „გეპით“ იქნება გამოწვეული, თუმცა ეს აღმოფხვრადი საკითხია, რომლის გადაწყვეტა აშკარად უკეთესი მომავლის წინაშე დაგვაყენებს. ქეინზი 1930 წელს ამბობდა, რომ ეს არის ახალი დაავადება, თუმცა ვფიქრობ ვაქცინა ამ დაავადების წინაშე არის თანამედროვე განათლება. და სწორედ, შექმნილი იმუნიტეტით ჩვენ შევძლებთ გამოვიყენოთ არსებული რესურსები და მივიღოთ ეკონომიკის მდგარი მდგომარეობა, წონასწორული შრომის ბაზარი და სწრაფი ეკონომიკური ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. The wrong kind of AI? Artificial intelligence and the future of labor demand - Daron Acemoglu, Pascual Restrepo. National Bureau of Economic Research 1050 Massachusetts Avenue Cambridge, Ma 02138 March 2019.
2. Economic Possibilities for our Grandchildren - John Maynard Keynes, 1930
3. Robots and Jobs: Evidence from Us Labor Markets - Daron Acemoglu, Pascual Restrepo. national bureau of economic research 1050 massachusetts avenue cambridge, ma 02138 march 2017

საქართველოს ეკონომიკური ზრდის თანამედროვე ტენდენციები

თამარი ზურაბიშვილი

ეკონომიკური ზრდა მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სახელმწიფოს განვითარება მის ეკონომიკურ მდგრადობას ეყრდნობა. სტაბილური ეკონომიკური ზრდის გარეშე ქვეყნის პროგრესი და წინსვლა სერიოზული ეჭვის ქვეშ დგება. სწორედ ამიტომ, მთავრობების მთავარი საზრუნავი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და ხელშეწყობაა.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ეკონომიკური ზრდის ორნიშნა ტემპზე, რომელიც მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით 2023–2028 წლებში საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 5%-ს მიაღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაჩვენებლით საქართველო ლიდერია როგორც ფართო რეგიონის, ისე ევროპის ქვეყნებს შორის, რაც ერთი ორად ზრდის საქართველოს როლს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.

ნაშრომში განხილულია ის მთავარი, საკვანძო ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდის ტემპი პოსტ კრიზისულ მდგომარეობაში. ასევე, განხილულია იმ ეკონომიკური პოლიტიკის შეგები, დადებითი და უარყოფითი შეფასებები, რომლებიც გატარდა კრიზისულ მომენტებში და რომელთა შედეგებმაც ამჟამად ჰპოვა გამოვლინება.

დასვნის სახით კი წარმოდგენილია ის საპროგნოზო მაჩვენებლები, რომელთა მიღწევისა და შენარჩუნების მოლოდინიც აქვთ როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო დონის ექსპერტებს.

რას ნიშნავს ეკონომიკური ზრდა

ეკონომიკური ზრდა მაკროეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. ის გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში პოზიტიური ცვლილებების აღსანიშნავად. მასი მთავარი საზომი მთლიანი ეროვნული პროდუქტია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე კონკრეტულს წელს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებების ჯამია. ეს მაჩვენებელი მართალია არაა სრულყოფილი, მაგრამ მასზე უკეთესის არ არსებობის გამო ქვეყნების ზრდის შედარებას სწორედ მისი მეშვეობით ვახდენთ.

ეკონომომიკური ზრდა მოსახლეობისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. მან უნდა უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობის ზრდაც. ამისი შეფასება კი შეგვიძლია მთლიანი შიდა პროდუქტის მეშვეობით მოსახლეობის ერთ სულზე.

ეკონომიკური ზრდა სტაბილური პროცესი არაა. იგი მერყეევია და დაკავშირებულია ეკონომიკური დინამიკის ციკლურობასთან და არაციკლურ ცვლილებებთან. ეკონომიკური დინამიკა არ არის მხოლოდ აღმავალი პროცესი. მისი ტემპები შეიძლება იყოს ნულოვანიც და უარყოფითიც ანუ კლებადი. ძირითადი კანონზომიერება არის ზრდის ტენდენცია, რაც ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების ერთ-ერთი პირობაა.

ფაქტორებთან მიმართებით არსებობს ეკონომიკური ზრდის ორი მთავარი ტიპი: ექ-ტენსიური და ინტენსიური ექსტენსიური ეკონომიკური ზრდა ნიშნავს გამოყენებული რე-სურსების რაოდენობის შესაბამისად სიმდიდრის გადიდებას შრომის დანახარჯების, ძი-რითადი კაპიტალისა (შენობა-ნაგებობანი, მანქანა-იარაღები, უახლესი ტექნოლოგია და სხვ.) და საბრუნავი კაპიტალის (ნედლეულის, მასალების, ენერგიის და სხვ.) ზრდის ხარ-ჯზე. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის ტემპი მოხმარებული რესურსების რაოდენო-ბის მატების ტემპის ტოლია.

ინტენსიური ეკონომიკური ზრდა კი წარმოების ეფექტიანობის, ანუ რესურსების გა-მოყენების გაუმჯობესებით, და შედეგიანობის გადიდებით მიიღწევა. მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად სჭარბობს ინტენსიური ფაქტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში, ანუ რამ-დენად მნიშვნელოვანია დოვლათის მატება დანახარჯებთან შედარებით, ე. ი. როგორია უტოლობის – „შედეგები > დანახარჯებზე“ – სიდიდე. თანამედროვე ეკონომიკა უპირატე-სად ხასიათდება ინტენსიური ფაქტორების როლის გაძლიერებით, ე. ი. ეფექტიანობის გა-დიდებით, რაც ნიშნავს, რომ მცირდება წარმოებული დოვლათის შრომატევადობა, მასა-ლატევადობა, ენერგოტევადობა და იზრდება სასარგებლო თვისებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექტენსიური და ინტენსიური ზრდის ცნებები აბსტრაქტუ-ლია. ისინი რეალურად შერწყმულად თანაარსებობენ და დრო და დრო რომელიმე მათგა-ნი აჭარბებს მეორეს.

რამ განაპირობა საქართველოს ორნიშნა ეკონომიკური ზრდის ტემპი

ეკონომიკურ ზრდაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ვაჭრობაა. 2023 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნ-ვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 4 783.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 22.1 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 1 461.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (გაიზარდა 24.7 პროცენტით), ხოლო იმპორტი 3 322.3 მლნ. საგარეო ვაჭრო-ბის ტენდენციები 2020-2023 წლებში მოცემულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1



წყარო: საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

ეკონომიკურ ზრდას ხელი შეუწყო, ასევე, სოფლის მეუნეობის განვითარებამაც. ისეთმა პროქტებმა, როგორებიცაა აწარმოე საქართველოში, მოსახლეობას მისცა სტიმული დაბრუნებოდნენ მიწას. პანდემიის პერიოდში მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბრუნდა სოფლებში და დაიწყო ერთწლიანი კულტურების მოყვანა პირადი მოხმარების მიზნით, ამან კი, ცხადია, დადებითად იმოქმედა ეკონომიკურ სტაბულურობაზე. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულმა სუბსიდიებმა ერთიორად გაზარდა აღნიშნული ზრდის მასშტაბები.

2022 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა 211.8 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს უტოლდება. თუმცა საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების ნათესი ფართობი გაიზარდა 4.5%-ით და შეადგინაა 67.1 ათასი ჰექტარი, ხოლო საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობი შემცირდა 2.0%-ით და შეადგინა 144.7 ათასი ჰექტარი შეადგინა. დიაგრამაზე მოცემულია ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების განაწილება (იხ. დიაგრამა 2)

დიაგრამა 2



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

ეკონომიკურ ზრდაში უდიდეს როლს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასრულებს. წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2022 წელს 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის დაზუსტებულ მონაცემებს 61.1 პროცენტით აღემატება. ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი კომპონენტის - სააქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის მაჩვენებლის გაზრდით.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2017-2022 წლებში.

დიაგრამა 3



წყარო: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

სახელმწიფო პოლიტიკა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად

იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკური ზრდის პოლიტიკისთვის ინვესტიციები ყველა სხვა ფაქტორზე მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ის უფრო ვრცლად.

ინვესტირების ხელშეწყობის საკითხი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ინვესტიციები ერთი მხრივ ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ხოლო მეორე მხრივ ინვესტიციების ზრდა ხელს უწყობს დამატებითი სახსრების მოზიდვას, რადგან სხვა ინვესტორებიც ხედავენ მოგების მიღების შესაძლებლობებს. ამიტომ ინვესტიციების ზრდა ერთდროულად დიდი რაოდენობის რესურსების გენერირების შესაძლებლობას იძლევა. უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლა ხელს უწყობს შიდა რესურსების დეფიციტის შემცირებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ბიზნესის წარმოების ახალი სტანდარტების დანერგვას.

სახელმწიფო მრავალ ღონისძიებას მიმართავს ინვესტირების სტიმულირებისთვის. მისი მიზანია რაც შეიძლება მეტი სახსრები მოიზიდოს და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ინვესტორების დაინტერესების ერთ-ერთი სახელმწიფო პოლიტიკაა ბიზნესის დაწყებისთვის ადმინისტრაციული პროცესების სიმარტივე. ეს აისახება რეგისტრაციის მოკლე ვადებში განხორციელების შესაძლებლობაში, საბანკო ანგარიშების გახსნის პროცედურების სიმარტივეში და ა.შ. აღნიშნული პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში მეტი ინვესტორი მოიზიდონ ქვეყანაში, რომელიც დააბანდებს საკუთარ ფულად სახსრებს და შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს მოცემულ სახელმწიფოში.

ყველაზე გავრცელებული პოლიტიკა, რომელიც ასტიმულირებს ინვესტიციებს და აცოცხლებს ეკონომიკას, არის მონეტარული პოლიტიკა. ეკონომიკაში ფულის ინექციით ანუ ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკით მცირდება საპროცენტო განაკვეთი, ხდება ინვესტორების წახალისება და ინვესტიციების დონე იზრდება.

სხვადასხვა საინვესტიციო სტიმულირების მიზნით საქართველოს მთავრობა საწარმოო პროექტებისთვის პოტენციურ ინვესტორებს სთავაზობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის/შენობა-ნაგებობის სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაცემას, გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებებით, კერძოდ: თბილისი არსებული ქონების მისაღებად ინვესტორმა, 2 წლის განმავლობაში უნდა განახორციელოს ქონების საბაზრო ღირებულების 6-მაგი და რეგიონში არსებულისთვის 4-მაგი ოდენობის ინვესტიცია.

ასევე, დაიხვეწა საინვესტიციო პროექტების დაზღვევის სისტემა. ინვესტორებს აქვთ საკმარისი გარანტიები იმისთვის, რომ დააბანდონ სახსრები ამა თუ იმ პროექტში. თუ ინვესტორი დაინახავს რესურსების დაკარგვის თუნდაც მინიმალურ საფრთხეს, არის ვარაუდი რომ იგი უარს იტყვის ინვესტირებაზე. ამ მხრივ დაზღვევის სისტემის შემოღება უკონკურენტოა. იქიდან გამომდინარე, რომ დაზღვევის გარანტორად სახელმწიფო მოგვევლინა, ამან ერთიორად გაზარდა ინვესტიციების მოცულობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მთავრობა ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ბერკეტით თუ პროგრამით ცდილობს, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში, თუმცა ამის განსახორციელებლად ეკონომიკურის გარდა არაეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინება და გადაჭრაც ძალიან მნიშვნელოვანია.

პროგნოზები

საინტერესოა, როგორი პროგნოზები აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპებთან დაკავშირებით. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ვახტანგ ცინცაძე აღნიშნავს, რომ სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი 2023 წელს – 7600 აშშ დოლარს, ხოლო 2028 წლისთვის 11 300 აშშ დოლარს გაუტოლდება. ამასთან, 2021 წელს მსყიდველუნარიანობის პარიტეტზე დაყრდნობით საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებელი ევროკავშირის მაჩვენებლის 34.5%-ს შეადგენდა, 2022 წელს 37.1%-მდე გაიზარდა, ხოლო 2028 წლისთვის 46%-ს მიაღწევს, მაშინ როცა ევროკავშირის კანდიდატი ჩრდილოეთ მაკედონიის ანალოგიური მაჩვენებელი – 40.8%, ხოლო მოლდოვის 37.6% იქნება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გრძელვადიანი პროგნოზით, საქართველო ოთხი მიმართულებით მსოფლიოში – მეორე და მსოფლიოს აღმოსავლეთ ნახევარსფეროში პირველ ადგილზე გავიდა. მათი შეფასებით, 2023 წელს საქართველოში ინფლაცია საშუალოდ 5.9 პროცენტამდე შემცირდება და 2024 წლიდან დაუახლოვდება მიზნობრივ მაჩვენებელს. ფონდის პროგნოზით, 2023 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს -4.1%-ს, ხოლო 2024 წელს 4.2 პროცენტს გაუტოლდება.

დასკვნა

როგორც ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ჩანს, საქართველო ეკონომიკური ზრდის ტემპების მართლაც შთამბეჭდავ შედეგებს აღწევს. ბოლოდროინდელმა შეფასებებმა ცხადყო, რომ საქართველო მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე კარგად გაუმკლავდა კრიზისულ პერიოდს და ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად უკვე შეძლო დაბრუნებოდა პანდემიამდელ ნიშნულს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში. ამასთან შეძლო და მიაღწია ზრდის ტემპის ორნიშნა ნიშნულს რაც საბოლოოდ ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიურ გავლენას იქონიებს.

როგორც წესი, გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი მყისიერი არ არის. მას სჭირდება გარკვეული დრო, რათა ნათლად დავინახოთ შედეგები. სწორედ ამჟამინდელი ზრდის ტემპის მაჩვენებლით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარსულში გატარებული მონეტარული თუ ფისკალური პოლიტიკა იყო ეფექტიანი და მოიტანა ცალსახად დადებითი შედეგები.

საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაკვირვებით ვხედავთ, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა აქვს და ვვარაუდობთ, რომ ჩვენი ქვეყანა ნამდვილად იქნება ერთ-ერთი მოწინავე ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2022
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური : პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში
4. ვიკიპედია : ეკონომიკური ზრდა
5. 1tv.ge / საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებები
6. 1tv.ge / საერთაშორისო სავალუტო ფონდის გრძელვადიანი პროგნოზი
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ქართულ ბიზნესში

ნია თედორაძე

ციფრული ტექნოლოგიები ოცდამეერთე საუკუნის განუყოფელი ნაწილია, ის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, მათ შორის ბიზნესსაც. გაციფრულების პროცესი ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, კერძოდ, ზრდის მწარმოებლუნარიონობას, ამარტივებას ბიზნეს პროცესებს, ხდის კომპანიებს მეტად კონკურენტულს.დღესდღეობით, უამრავი ქვეყანა აქტიურად ცდილობს მათ დანერგვას სახელმწიფოს ეკონომიკისა და ბიზნესის სფერში, ამ ქვეყნებს უერთდება საქართველოც.სტატიის მიზანია საქართველოში არსებული მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლა, ზრდის ტემპების გაანალიზება, პერსპექტივების წარმოჩენა. არსებული მდგომარეობის შესწავლის მეთოდად გამოყენებულია ქვეყნის ციფრული მზადყოფნას ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა: მოსახლეობის ინტერნეტზე წვდომა, DiGiX ინდექსი, ციფრული ევოლუციის ინდექსი. ინდექსებისგან მიღებული დასკვნები ცხადყოფენ, რომ მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, საქართველოს აქვს პოტენციალი დაიმკვიდროს დამსახურებული ადგილი ციფრულ სამყაროში. საქართველოს ამ კუთხით გამოარჩევს როგორც საბანკო სექტორი: „თიბისი ბანკი“, და „საქართველოს ბანკი“, ისე ბლოქჩეინ ტექნოლოგიები, კრიპტოვალუტა: ქართული სპეციალიზირებული ბიტკოინ ქარხნები, კრიპტოვალუტა „ოქროს საწმისი“ , კომპანია „PulsarAI”. დასკვნის სახით, ხაზია გასმული იმაზე, რომ გაციფრულებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისთვის. ამ პროცესის სრულყოფისთვის გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული ტრანსფორმაცია, ინეტერნეტი, ინდიკატორები, ბლოქჩეინ ტექნოლოგიები.*

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნეში მიდგომები ბიზნესთან და ეკონომიკასთან დაკავშირებით მკვეთრად შეიცვალა, რისი საფუძველიც ციფრული ტექნოლოგიების ფართო დანერგვის პროცესია, ანუ ციფრული ტრანსფორმაცია. ციფრული ტრასნფორმაცია არის ბიზნესის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით გარდაქმნა, რომლის საშუალებითაც კომპანიას ექნება უნარი უპასუხოს თანამედროვე ბაზრის გამოწვევებს და იყოს კონკურენტუნარიანი. (BDO DIGITAL, 2021, 16 სექტემბერი) კომპანია „აზრის“ დამფუძნებელი დავით ჯაფარიძე ამ ტერმინს განმარტავს, როგორც არა მარტო არსებული ბიზნეს პროცესების გაუმჯობესებას, არამედ ინოვაციების შექმნასა და მათ გამოყენებას წარმოების პროცესებში. (Next On, 2022, 28 ივლისი). აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენას განსაკუთრებით შეუწყო ხელი კოვიდ პანდემიამ, რომელმაც დაგვანახა, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება არა მხოლოდ სასურველია, არამედ აუცილებელი საჭიროებაც კია. “Gartner”-ის ცნობით, 2022 წელს ორგანიზაციების 91% ამა თუ იმ ტიპის ციფრულ ტექნოლოგიურ საქმიანობაში არის

ჩართული, ხოლო ბიზნეს ლიდერების 87%-თვის გაციფრულება უპირატესი მიზანია. (იხ. დიაგრამა 1)

დიაგრამა 1.

ციფრულ ტექნოლოგიებში ჩართული ორგანიზაციები



წყარო: „Gartner"-ის ოფიციალური ვებგვერდი

გაციფრულების შედეგების დადებითი მხარეები:

- მწარმოებლუნარიანობის გაზრდა;
- პროდუქციის წარმოების ხარჯების შემცირება;
- კომპანის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ეკონომიკური ზრდა.

უარყოფთი მხარეები:

- უმუშევრობის ზრდა;
- პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემა;
- ტექნიკის სწრაფი დაძველება.

სწორედ ამ საკითხებიდან გამომდინარე, უამრავი ქვეყანა დგას ციფრული ტექნოლოგიების ათვისებისა და მათი დანერგვის პრობლემების წინაშე, მოცემულ ქვეყნებს უერთდება საქართველოც.

ძირითადი ნაწილი

საქართველო, ისევე, როგორც სხვა ქვეყნები, ცდილობენ გაციფურლების პროცესის ხელშეწყობას, რასაც ადასტურებს 2018 წელს ციფრული ეკონომიკის ასოციაციის, DEAG-ის, იგივე სცეას დაფუძნება. მათი მიზანი ციფრული ბიზნესკულტურის განვითარება და ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირებაა. სცეამ თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში დააფინანსა 17 სტარტაპი, ასევე დაფინანსდა 31 კომპანია და 97 ბენეფიციარი. დაფინანსებული ფირმები აკმაყოფილებენ ინოვაციურობის, მაღალტექნოლოგიურობის კრიტერიუმებს, ამიტომ შეუძლიათ ღირსეული კონკურენციის გაწევა მსოფლიო ბაზარზე. (Business Media Georgia, 2018, 11 ივლისი) ამ მიზნისკენ მიისწრაფვის სახელმწი-

ფოს მთავრობაც, კერძოდ, ხდება თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო სტრუქურებთან ციფრული აქტივებისა და ელექტრონული ვალუტის გადახდის საშუალებად დანერგვისთვის, ტარდება ტრენინგები, ქოუჩინგები, ფორუმები. აღსანიშნავია, საქართველოს მთავრობის მეირ 2016 წელს შემოტანილი კანონი ინოვაციებთან დაკავშრებით, რომლის მიზანიც ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა და სხვა ქვეყნებში არსებული ტექნოლოგიების საქართველში ათვისების ხელშეწყობაა.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა, საქართველოს ციფრული მზადყოფნა დაბალია. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველი არის მზადყოფნის ინდიკატორიები, როგორიცაა მოსახლეობის ინტერნეტზე წვდომა: 2022 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 76%-ს მიუწვდება ხელი ინტერნეტზე. ამ მაჩვენებლით საქართველო ყველა თავის მეზობელ სახელმწიფოს ჩამორჩება.(იხ. სურათი 1)

სურათი 1. სახელმწიფოების ინტერნეტზე წვდომა 2022 წელს

წყარო : მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებგვერდი

საქართველოს ციფრული მზადყოფნის მორიგი ინდიკატორია DiGiX ინდექსი, რომელიც აფასებს ფაქტორებს, აგენტების ქცევასა და ინსტიტუტებს. მისი საშუალებით ქვეყანას აქვს უნარი სრულად გამოიყენოს ინფორმაციული, საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კონკურენტუნარიანობისა და კეთილდღეობის ამაღლებისათვის. (BBVA Research, 2022, June) ამ მონაცემებით საქართველო 67-ე ადგილზეა, კოეფიციენტით 0.50. როგორც ირკვევა, რეგიონში დაწინაურებულია აზერბაიჯანი (30-ე ადგილი, კოეფიციენტით 0.63) და თურქეთი (53-ე ადგილი, კოეიფიცენტით 0.56). ამრიგად, მოცემული კვლევაც ცხადყოფს, რომ საქართველოს არსებული მდგომარეობა გაციფრულების კუთხით მეტ-ნაკლებად სტაბილურია (იხ. სურათი 2)

სურათი 2. DiGiX ინდექსის მიხედვით დალაგებული სახელმწიფოები



წყარო: BBV Research-ის ოფიციალური ვებგვერდი

სურათი 3. ციფრული ევოლუციის ინდექსის მიხედვით დალაგებული სახელმწიფოები



წყარო: Digital Planet-ის ოფიციალური ვებგვერდი

ყურადსაღებია ციფრული ევოლუციის ინდექსიც, რომელიც არის ინდიკატორი გაციფრულების ტემპებისა და მდგომარეობის. აღნიშნული ინდექსის შედგენა ხდება 160 სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით. 2020 წლის კვლევები ადასტურებენ, რომ საქართველო გაციფრულების დაბალ დონეზეა, მაგრამ აქვს ზრდის მაღალი ტემპი. ამგვარი მონაცემები, როგორც წესი, დამახასიათებელია განვითარებადი სახელმწიფოებისთვის. (იხ. სურათი 3)

საქართველოში ბოლო წლებში შეინიშნება დადებითი ცვილელებები ბიზნესთან მიმართებით, კერძოდ, განსაკუთრებით გააქტიურდა საბანკო სექტორი. „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის, ვახტანგ ბუცხრიკიძის თქმით, გაციფრულება „თიბისი ბანკის“ მთავარი სტრატეგიაა. ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს ისეთ ინოვაციას, როგორიც არის „ჩატბოტი“ იგივე „თი-ბოტი“. „თი-ბოტი“ არის პირველი ქართულ ენაზე მოლაპარაკე ბოტი, რომელიც შექმნეს ქართველმა დეველოპერებმა. იგი მუშაობს კვირაში 7 დღე, 24 საათი

და მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას ფილაილების, ბანკომატების, ვალუტის კურსისა და სესხების შესახებ. (Forbes Georgia, 2017, 16 ნოემბერი) კომპანიამ 2020 წლის ბოლოს შექმნა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 100 ბიზნესისთვის მომზადდა 100 ციფრული სტრატეგია, ანუ ფირმებს, რომლებიც ყოველდღიურობაში მომხმარებელთან ციფრულ არხებში უკეთესი კომუნიკაციის საჭიროებებს ხედავდნენ, მოუმზადდათ სტრატეგიის დოკუმენტები. შედეგად, მათი კომუნიკაცია გახდა უფრო ეფექტური, შეიქმნა 200-ზე მეტი ონლაინ მაღაზია, მომხმარებელთა საკომისიო გადასახადებში დაიზოგა 3 მლნ. ლარი, შესთავაზეს 200-ზე მეტ ბიზნესს ელექტრონული კომერციის პლატფორმები და სხვა. (Business Media Georgia, 2020, 7 ოქტომბერი) ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაციფრულება „თიბისი ბანკისთვის“ წარმატებული ინვესტივია აღმოჩნდა.

„საქართველოს ბანკზეც“ ციფრული ცვლილებები დადებითად აისახა. საერთაშორისო გამოცემამ „Global Finance”- მა ოცდამესამე ყოველწლიური „World’s Best Digital Bank Awards”-ის ფარგლებში ნომინაციაში „მსოფლიოში საუკეთესო სამომხმარებლო ციფრული ბანკი“ „საქართველოს ბანკი“ დაასახელა.(Forbes Georgia 2022, 26 სექტემბერი). მსგავსი წარმატება მნიშვნელოვანია არა მარტო ბანკისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვისაც. ბანკმა დანერგა პლატფორმა „Medallia“ და თანამშრომლობს პლატფორმა „Salesforce”-თან, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება მომხმარებლებთან მარტივი და სწრაფი კომუნიკაცია. აღსანიშნავია, „საქართველოს ბანკის“ მობილური აპლიკაციაც, რომელიც ამარტივებს ტრანზაქციების პროცესს, მას მეტად გამჭვირვალეს ხდის და საბანკო ოპერაციების სახლიდან გაუსვლელად ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. (Forbes Georgia, 2020, 13 ოქტომბერი)

დღესდღეობით საკმაოდ აქტიურად ხდება ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და კრიპტოვალუტის ქართულ ბიზნესში დანერგვა. მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი ცენტრალური აზიისა და ევროპის მიმართულებით, ჰანს ტიმერი, აღნიშნავს: „სანამ ბევრი სახელმწიფო ცენტრალურ აზიასა და ევროპაში შორიდან აკვირდება ბლოკჩეინ ტექნოლოგიებს, საქართველო კრიპტოვალუტების გამომუშავებაში წინა ფრონტზეა.“ (The World Bank, 2018, May 8). მსოფლიოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა ბიტკოინის გამომმუშავებელმა კომპანიამ “Bitfury”-მ ქალაქ გორში გახსნა 20 მეგავატის სიმძლავრის დატა ცენტრი (სპეციალიზირებული დაწესება, სადაც განთავსებულია ორგანიზაციის სერვერები და ქსელური აპარატურა), ორ თვეში კი გაიხსნა ქალაქ თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, 40 მეგავატის სიმძლავრის ცენტრი. „Bitfury”-მ საქართველოს 100 მლნ. ამერიკული დოლარის ინვესტიცია მოუტანა. (Business Media Georgia, 2015, 24 დეკემბერი) მნიშვნელოვანი მოვლენაა პირველი ქართული კრიპტოვალუტა -„ოქროს საწმისი“, რომელიც შექმნა ვახტანგ გოგოხიამ. (Forbes Georgia, 2017, 15 აგვისტო) მიუხედავად მისი ინოვაციური გეგმებისა, ხსენებულმა კრიპტოვალუტამ არ გაამართლა გრძელვადიან პერსპექტივაში, რის გამოც, ამჟამად მისი ფასი 1 თეთრზე გაცილებით ნაკლებია. ამ სფეროში ფენომენალურ წარმატებას მიაღწია ქართულმა კომპანია „PulsarAI”-მ. მათ შექმნეს ხელოვნური ინტელექტი საავტომობილო ინდუსტრიაში, რისი დახმარებითაც გამარტივდა დილერებსა და მომხმარებლებს შორის კომუნიკაცია. „PulsarAI”-მ 1.2 მლნ. ამერიკული დოლარის ღირებულების ინვესტიცია ავტოინდუსტრიის გიგანტ „SpinCar”-გან მიიღო, ხოლო საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ მათ 650 000 ლარიანი გრანტი გადასცა. (Entrepreneur Georgia,

2020, 2 მარტი) ზემოთ მოყვანილი ფაქტები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ საქართველო აქტიურად ცდილობს „მომავლის ტექნოლოგიების“ ათვისებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აშკარა ზრდაა ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით, ის მაინც ჩამორჩება მსოფლიოს განვითარების დონეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაციფირულება არის საფუძველი ეკონომიკური ზრდისა, იგი ასევე ზრდის მწარმოებლუნარიანობას, ამცირებს პროდუქციის ხარჯებს, წარმოადგენს კონკურენტულ უპირატესობას, თუმცა ასევე აქვს უარყოფითი მხარეებიც, მაგალითად, უმუშევრობის ზრდა, ტექნიკის დაძველება, პერსონალური მონაცემების დაცვის სირთულეები. აქედან გამომდიანრე, მხოლოდ ის ქვეყნები შეძლებენ ისარგებლონ ამ პროცესის დადებითი მხარეებით, რომლებიც მოაგვარებენ პრობლემებს ოპტიმალურად და დაიყვანენ რისკებს მინიმუმადე. ვფიქრობთ, რომ საქართველოში ციფრული ტექნოლოგიების დასანერგად უნდა განხორციელდეს ფუნდამენტალური ცვლილებები: საჭიროა სახელმწიფომ უზრუნველყოს მათი ინტეგრირება ყველა შესაძლო სექტორში; შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რათა მოხდეს არსებული პროცესების რეგულირება; მთავრობამ დაიწყოს კიბერუსაფრთხოების საკითხებზე მუშაობა, ვინაიდან ბოლო წლებში ციფრული დანაშაულების ზრდის გამო მსოფლიო სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა; ასევე დაწესდეს საგადასახადო შეღავათები იმ კომპანიებისთვის, რომლებიც დანერგავენ ტექნოლოგიებს; სასურველია დაფინანსდეს სტარტაპები და მათი ხელშემწყობი ღონისძიებები; საქართველო ორიენტირდეს უცხოური ინვესტიციის მოზიდვაზე ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით; გაიზარდოს აიტი სპეციალისტების მომზადების ხარისხი, რაც მათ მისცემს საშუალებას უფრო მეტად სრულყონ ზემოთ აღნიშნული პროცესები; მთავრობამ უზრუნველყოს მაღალი ხარისხის ინტერნეტი ქვეყანაში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება თითოეული რეგიონისა თუ მოწყვლადი ჯგუფისთვის; სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგოს ციფრული ტექნოლოგიები, რათა მოსახლეობას ჰქონდეს მზადყოფნა ახალი პროცესებისადმი; ჩატარდეს არსებულ თემაზე საჯარო ლექციები თუ ფორუმები. დასკვნის სახით, საქართველოს აქვს პოტენციალი დაიმკვიდროს დამსახურებული ადგილი ციფრულ სამყაროში, ამისათვის კი აუცილებელია როგორც მოსახლეობამ, ისე მთავრობამ და ქართულმა ბიზნეს კომპანიებმა გაიაზრონ ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა და დაიწყონ მისი აქტიური ათვისება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Agenda (2015, 24 September). Bitcoin industry grows in Georgia, attracts $100m investment. https://tinyurl.com/etbu4khc
2. BBVA Research (2022, June). Digital Economy & Social Sustainability DiGiX 2022 Update: A Multidimensional Index of Digitization 1. https://tinyurl.com/43uhb6vn
3. BBVA Research (2022, June). DiGiX 2022 Tracking Digital Evolution https://tinyurl.com/yckmdd6r

4. BDO DIGITAL (2021, 16 სექტმბერი). ციფრული ტრანსფორმაციის ეტაპები და ციფრული სიმწიფის მაჩვენებლები ბიზნესში. https://tinyurl.com/y98cxha6
5. Business Media Georgia (2015, 24 დეკემბერი). ბიტკოინის და ბლოკჩეინის მომავალი საქართველოში - ინტერვიუ Bitfury-ს დამფუძნებელთან. https://tinyurl.com/2w6knanm
6. Business Media Georgia (2018, 11 ივლისი). საქართველოში ციფრული ეკონომიკის ასოციაცია დაფუძნდა. https://tinyurl.com/yc3r53ns
7. Business Media Georgia (2020, 7 ოქტომბერი). „თიბისი შენთვის"- 100 ციფრული სტარტეგია 100 ბიზნესისთვის. https://tinyurl.com/4wt7tnpm
8. Digital Planet (2020). Digital Evolution Index https://tinyurl.com/4h8d3ba2
9. Entrepreneur Georgia (2020, 2 მარტი). ყველაფერი Pulsar AI-ს შესახებ https://tinyurl.com/rf3r3mta
10. Entrepreneur Georgia (2019, 17 Jan) საქართველო და დიჯიტალიზაცია https://tinyurl.com/k5szxv42
11. Forbes Georgia (2017, 15 აგვისტო). Golden Fleece Token - პირველი ქართული კრიპტოვალუტა! https://tinyurl.com/yc875dz3
12. Forbes Georgia (2017, 16 ნოემბერი). ციფრული ტექნოლოგიები https://tinyurl.com/24tc7dds
13. Forbes Georgia (2020 , 13 ოქტომბერი). საქართველოს ბანკი მომხმარებლისთვის უკეთესი სერვისის შეთავაზებაზე Salesforce-სთან ერთად იზრუნებს. https://tinyurl.com/2848p382
14. Forbes Georgia (2022, 26 სექტემბერი). Global Finance-მა მსოფლიოში საუკეთესო სამომხმარებლო ციფრულ ბანკად საქართველოს ბანკი დაასახელა. https://tinyurl.com/yck7fm4w
15. Gartner (2022). Define a digital ambition for business transformation. https://tinyurl.com/mpsdvs5a
16. Next On (2022, 28 ივლისი). რა არის ციფრული ტრანსფორმაცია და რატომაა მნიშვნელოვანი საქართველოსთვის. https://tinyurl.com/2p8v6ye9
17. The World Bank (2018, May 8). In Georgia, Blockchain Technologies Provide Significant Opportunity to Innovate, Improve Services for Citizens.https://tinyurl.com/yeyuwfbz
18. The World Bank (2022). Individuals using the internet.https://tinyurl.com/4s2zx4vh

ცირკულარული ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და საქართველო

თემურ თუთარაშვილი

ნაშრომში განხილულია ცირკულარული ეკონომიკის წარმოშობისა და განვითარების ისტორია,კონცეფციის გააზრება სხვადასხვა სკოლისა და მეცნიერის გადმოსახედიდან, მისი როლი მდგრადი განვითარების მიღწევისა და გლობალური ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით. ნაშრომი მოკლედ წარმოადგენს ცირკულარული ეკონომიკის სიკეთეებსა და მის როლს მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის საქმეში. ასევე მოხსენიებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებული თანამედროვე გამოწვევები და ქართული რეალობა.

საკვანძო სიტყვები: *ცირკულარული ეკონომიკის ჩამოყალიბების ისტორია; კონცეფციის მიმოხილვა; მსოფლიო და ქართული რეალობა.*

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს მსოფლიოს ეკონომიკა იწყებს მკვეთრ ფერისცვალებას. კაცობრიობას ნელ-ნელა ეპარება ინდუსტრიული რევოლუცია. ედმუნდ კარტრაიტიდან ჯონ როკფელერამდე მსოფლიო ევოლუციას მივყავართ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთლიანი გამოშვების უპრეცედენტო ზრდასთან. ინდუსტრიული რევოლუცია, ცხადია, ნასაზრდოები გახლდათ იმდროინდელი ტექნოლოგიური მიღწევებით, იქნება ეს სართავი ჯენი თუ ორთქლმავალი. სწორედ ამ პერიოდიდან დაწყებული დაახლოებით ბოლო 150 წლის მანძილზე ეკონომიკაში დომინანტური ადგილი ლინეარული[1] მოდელის (take-make-waste) ეკონომიკამ დაიკავა, რომელშიც ნედლეულისგან იწარმოება, იყიდება,მოიხმარება და შემდგომ ან ნადგურდება ან ნარჩენების სახით ნაგავსაყრელებზე აღმოჩნდება მრავალფეროვანი სახის საქონელი. მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად გაიზარდა მოხმარებული საქონლისა და ნედლეულის რაოდენობა, გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს გარემოზე, ასევე არაადგენადი ბუნებრივი რესურსების შემცირებასთან ერთად თანდათან ირეალური ხდება ლინეალური ეკონომიკის მიდგომებით მდგრადი განვითარების მიღწევა. თავად მდგრადი გავნითარება, კი ბერკეტია კეთილდღეობის შენარჩუნებისა და მისი გამდიდრებისთვის.

მოდის წვიმა, იქმნება ტბები და ოკეანეები, შესაძლოა ზამთარში ისინი გაიყინოს, სიცხესთან ერთად კი აორთქლდეს და დაუბრუნდეს ზეცას, პირუტყვი საკვებად მცენარეულს მოიხმარს, რომლითაც ენერგიას იღებს, ცხოველქმედების შემდეგ კი ფეკალიებად გარდაიქმნება და კვლავ იმ მიწაში ხვდება, რომლიდანაც მცენარე აღმოცენდა, ე.ი. სამყაროში ყველაფერი წრიულად მოძრაობს და ის არაფერს კარგავს განსხვავებით ჩვენგან.

[1] ნაშრომში გამოყენებულია ტერმინი „ლინეარული ეკონომიკა“„ხაზოვანი“ ან „სწორხაზოვანი ეკონომიკის“ ნაცვლად, იგივე ეხება „ცირკულარულ ეკონომიკას“ ჩვენ ამ შემთვევაშიც მიზანმიმართულად არ მივუთითებთ „წრიულ ეკონომიკას“, რადგან ორივე ტერმინი (ლინეარული, ცირკულარული) ლათინური ენიდან მომდინარეობს (“Oeconomia linearis” “Oeconomia circularis”). ისინი თარგმნის გარეშე გამოიყენება როგორც ინგლისურ,ისე ფრანგულ და გერმანულ ენებში, ამიტომ ჩვენს ნაშრომშიც ყველგან მსგავსადაა მოხმობილი.

სწორედ ამიტომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება მსჯელობა ლინეალური ეკონომიკის შესაძლო სამომავლო საფრთხეების შესახებ,თუმცა იმ პერიოდში არ არსებობდა კვლევები, მეთოდოლოგია, მკვეთრად გაწერილი სამოქმედო გეგმები. 2012 წელს მსოფლიო ეკონომიკის ფორუმზე დავოსში ელენ მაკარტურის ფონდმა (EMF) კომპანია მაკკინსთან ერთად წარმოადგინა მოხსენება, სადაც უკვე ხაზგასმით ასაბუთებდნენ ახალი ცირკულარული ეკონომიკის-CE (Lat. Oeconomia Circularis) ავკარგიანობას.მისი შესაძლო სარგებელი მხოლოდ ევროპის სამრეწველო სექტორისთვის წელიწადში 630 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. (Ellen MacArthur Foundation 2012, p. 5). აღსანიშნავია ის კორელაცია, რომელსაც ცირკულარული ეკონომიკა მწვანე და ბიოეკონომიკასთან ქმნის. ცალსახად, არსებითი გავლენა აქვს მის იმპლემენტაციას გარემოსდაცვითი საკითხების მიმართაც.დღეს ჩვენ ვიცნობთ ხუთ ძირითად სკოლას (Industrial Ecology, Cradle to Cradle, Performance Economy, Blue Economy and Biomimicry), სადაც ზემოთ აღნიშნულმა კონცეფციამ გენეზისი განიცადა, მრავალწახნაგოვნად განვითარდა და მოვიდა ჩვენამდე. რასაკვირველია, მეცნიერთა და მკვლევართა მსჯელობებში არსებობს კარდინალური განსხვავებები, თუმცა ყველა მათგანის მსჯელობით ცირკულარული ეკონომიკა მდგრადი განვითარების მიზანსა და ნარჩენების მართვის იერარქიას ეხება.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ცირკულარული ეკონომიკის წარმოშობა-განვითარების ისტორია, მისი მოქმედების ეფექტები, მსოფლიოსა და საქართველოს კონიუქტურა ზემოთ აღნიშნული თემის ჭრილში.

ცირკულარული ეკონომიკის ჩამოყალიბების ისტორია და მისი კონცეფციის მიმოხილვა

ეკონომისტისა და "Product-Life Institute"-ის დამფუძნებლის დოქტორ ვოლტერ სტეჰელის მოსაზრებით,ცირკულარული ეკონომიკა შესაძლებლობაა შევქმნათ მეტი ღირებულება ნაკლები რესურსებით.იგი მომგებიანია როგორც გარემოსთვის, ისე ეკონომიკისთვის. -Dr. Walter Stahel, Economist and Founder of the Product-Life Institute. აქვე შეგვიძლია მოვიშველიოთ კატერინ ტრებეკის ციტატა: „ცირკულარული ეკონომიკა არის მდგრადი განვითარების სისტემური მიდგომა, რომელიც მიემართება გარემოს დეგრადაციისა და სოციალური უთანასწორობის ძირეულ მიზეზებს. ის მოითხოვს ინოვაციებსა და თანამშრომლობას საზოგადოების ყველა სექტორს შორის. -Dr. Katherine Trebeck, Economist and Researcher at the Wellbeing Economy Alliance.

„ჩვენი საერთო მომავალი"(**United Nation 1987**)[1], ასე ჰქვია გაეროს 1987 წლის რეზოლუციას, სადაც ტერმინი „მდგრადი განვითარება" ასსამოცდათორმეტჯერ არის მოხსენიებული და თითქმის თითოეულ გვერდზე ასამბლეა ხაზგასმით მიუთითებს, რომ მდგრადი განვითარების მიღწევა მსოფლიოს ხალხთა სამომავლო კეთილდღეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია. ევროპელმა ექსპერტებმა აღნიშნულის შესრულება გრძელვადიან პერსპექტივად მიიჩნიეს და მისი ცივილიზებულ სამყაროში სრულფასოვანი იმპლემენტაცია 2000 წლისთვის ივარაუდეს (**Chairman's Foreword**. **p1**, **United Nations 1987**.). სამწუხაროდ არათუ 2000, არამედ დღესაც 23 წლით გვიან ჩვენ ვხედავთ რომ მსოფლიო ისევ შორს არის მდგრადი განვითარების სრულყოფისგან, შპენგლერის მოსაზრება

საზოგადოების განვითარების შესახებ, სამწუხაროდ,მართალი გამოდგა და მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესისა მოქალაქეები მაინც ბოლომდე ვერ ან არ იაზრებენ ცხოვრებისა და წარმოების წესის ცვლილების აუცილებლობას. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება ჩვენ მიერ ნახსენები რეზოლუცია პრელუდიად იქცა იმ გზების ძიებისა,რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა გაწერილი სამოქმედო გეგმის შესრულება. კვლევა-ძიების პროცესში გამოიკვეთა მრავალი დამაბრკოლებელი ფაქტორი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად შეაფერხებდა მდგრადი განვითარების მიღწევას. აღმოჩნდა,რომ ამ ფაქტორთა უმეტესობა თავს ლინეარული ეკონომიკის ცხოველქმედების გამო იჩენს. სწორედ ამიტომ სამეცნიერო საზოგადოებამ დაიწყო ფიქრი ახალი მოდელის ეკონომიკის შემუშავების აუცილებლობაზე და 2015 წელს გამოქვეყნებულ „გლობალური მდგრადი განვითარების ანგარიშს“ (**United Nations 2015**)[1], რომელშიც უკვე გაწერილი იყო გაეროს ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი 17 მიზანი, ფეხდაფეხ მიჰყვა 2012 წელს ელენ მაკარტურის ფონდის[3] მიერ ინიცირებული „ცირკულარული ეკონომიკის“ შესახებ მსჯელობის განახლებაც.

დღესდღეობით დაახლოებით 114 განმარტებას ვითვლით ცირკულარული ეკონომიკისა და თითქმის ყველა მათგანმა მოიპოვა აღიარება მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის. (**Kirchherr J; Reike D; Hekkert M.**) [2]

Julian Kirchherr-ისა და სხვათა მტკიცებით (2017) კონცეფციას იმდენად მრავალგვარი ინტერპრეტაცია და გააზრება აქვს,რომ შეიძლება ჩიხშიც კი შევიდეთ მისი ერთი უნივერსალური განმარტების იდენტიფიცირების მცდელობისას.] შეუძლებელია მოიძებნოს ერთი დეფინიცია,რომელიც ყველა მკვლევარისა და დაინტერესებული პირისთვის მისაღები იქნება, თუმცა ჩვენ ვალდებულნი ვართ შევქმნათ გარკვეული წარმოდგენა ამ მექანიზმის ირგვლივ. ამრიგად, ცირკულარული **ეკონომიკა თავის თავში მოიაზრებს ახალ საწარმოო და სამომხმარებლო პროცესს, რომლის მიზანია ნარჩენების მინიმიზაცია და რესურსების მაქსიმალურად გამოყენება** (განსხვავება ლინეარულ და ცირკულარულ ეკონომიკებს შორის იხილეთ ნახაზზე 1-1). ამ ახლებურ მიდგომაში შეგვიძლია გამოვყოთ ე.წ. 3R პრინციპი, რომელიც შეიცავს სამ მოწოდებას – Reduce (მაქსიმალურად შემცირდეს პროდუქციის არამიზნობრივად გამოყენება და მისი ნარჩენებად ქცევა), Reuse (მაქსიმალურად ვცადოთ და ნებისმიერი პროდუქტის ღირებული/ფუნქციური შემადგენელი ნაწილი ბოლომდე გამოვიყენოთ), Recycle (ნარჩენებიც კი არ აღმოჩნდეს ნაგავსაყრელებზე ან არ იქნეს განადგურებული.მოვძებნოთ მათი გადამუშავებისა და ხელახლა გამოყენების ოპტიმალური გზა). მხოლოდ ნარჩენების იერარქიასა და მათ ინტეგრირებულ მართავს შეუძლია მიგვიყვანოს ცირკულარული ეკონომიკის ქმედუნარიანობამდე, რომელიც საბოლოო ჯამში გახდება მდგრადი განვითარების წინაპირობა (**CENN 2015**).იხ. 1-2 ნახაზი.

[2] Kirchherr J., Reike D., Hekkert M. - Conceptualizing the circular economy: An analysis of 114 definitions.

ნახაზი 1-1



წყარო: ელენ მაკარტურის ფონდი 2013 (Ellen Macarthur foundation 2013)
https://ellenmacarthurfoundation.org/

კირხერის და სხვათა მოსაზრებით, ცირკულარული ეკონომიკის უპირველესი სარგებელი ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაა,რიგით მეორეა დადებითი გავლენა გარემოსა და ეკოლოგიაზე.

ნახაზი 1-2



დღეს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ დირექტივათა უმრავლესობაში გამოყოფენ იერარქიის ხუთ საფეხურს: პრევენცია,მომზადება ხელახალი გამოყენებისთვის,გადამუშავება,აღდგენა და მხოლოდ ამის შემდგომ თავიდან მოცილება (Prevention, Preparing for re-use, Recyling, Recovery, Disposal). ჩვენ არ გვაქვს ერთი უნივერსალური ბიზნეს მოდელი,რომლითაც კონკრეტული მითითებები იქნება გაწერილი მსოფლიოს ნებისმიერი მწარმოებელისთვის, თუმცა საზოგადოდ მდგრადი განვითარების განხორციელების და მაშასადამე ცირკულარული ეკონომიკის რელსებზე გადასვლის მიზნით, აღნიშნული ბიზნეს მოდელები მიკრო (პროდუქტები, კომპანიები, მომხმარებლები),

მეზო (ეკო-ინდუსტრიული პარკები) და მაკრო დონეზე (ქალაქი, რეგიონი, სახელმწიფო და გარეთ) მოქმედებს. თუ რამდენიმე სტატიას მაინც მდგრადი განვითარების შესახებ გულდასმით წაიკითხავთ მარტივად მიხვდებით,რომ ცირკულარული ეკონომიკა ცდილობს როგორმე შეასუსტოს „პარეტოს ეფექტურობის" (Pareto efficiency) გავლენა ჩვენს ყოველდღიურობაზე.

ისეთი მექანიზმის არარსებობის გამო, რომელიც გარემოსდაცვით პროდუქტებს ეფექტიანად ანაწილებს, ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია მსგავსი ეფექტიანი გადაწყვეტის სტრუქტურულ მახასიათებლებზე ნაწილობრივი პასუხები გავცეთ. ერთ-ერთი ამ მახასიათებელთაგანი ნარჩენების მართვის პრიორიტეტული თანმიმდევრობაა:პირველ რიგში, უნდა მოხდეს ნარჩენის, როგორც ეკონომიკური სიავის, პრევენცია იმიტომ, რომ საწყისი განაწილება ეფექტიანი ვერ იქნება, თუკი შესაძლებელია ნარჩენების შემცირება და იგივე რაოდენობის კერძო პროდუქტების წარმოება. ამის შემდეგ სხვა ვარიანტების ჯერი დგება: ხელახალი გამოყენება რესურსებს და ხარჯებს ზოგავს, ხოლო გადამუშავება მათთან ერთად ამცირებს გარემოს დაბინძურებას. იმის თქმა, თუ რა დოზით უნდა შევამციროთ ნარჩენი, ყოველთვის ადვილი არ არის, რადგან ჩვენ გარემოსდაცვითი პროდუქტების ეფექტური განაწილების შესახებ მხოლოდ არასრული ინფორმაცია გაგვაჩნია. უფრო ზუსტად კი, შეიძლება ისე მოხდეს, რომ „წარმოების საფეხურზე პროდუქტის გარემოსდაცვითი გავლენის შემცირებამ შეიძლება შემდგომ უფრო დიდ გარემოსდაცვით შედეგამდე მიგვიყვანოს (**ევროკავშირი 2012**)[1]. აღნიშნულ კონტექსტში, ადგილობრივ თუ რეგიონალურ გარემოში სხვადასხვა კითხვა შეიძლება წარმოიშვას:

- ნარჩენის გადამუშავება სჯობს თუ მისგან ენერგიის აღდგენა? რომელი კონკრეტული ნარჩენის ნაკადი წარმოადგენს ვაჭრობის საგანს?
- მოწყობილობების ახალი, უფრო ენერგოეფექტური მოდელებით შეცვლა სჯობს, თუ კვლავ ძველის გამოყენება და ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება?
- წარმოიქმნება თუ არა სათბურის ემისიები ნარჩენების შეგროვების დროს, რაც გამართლებულია მოსალოდნელი ბენეფიტებით?

აღნიშნულ და მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხები ასევე ლოკალურ თუ რეგიონალურ კონტექსტზეა დამოკიდებული. მაშასადამე, უნივერსალური პასუხები ზოგადად ვერ გაიცემა, რაც გარემოსდაცვითი პოლიტიკის სტრუქტურას უფრო რთულს, თუმცა ასევე უფრო საინტერესოს ხდის.

რა თქმა უნდა,შესაძლებელია ფირმებს ჰქონდეთ სურვილი აქტიურად მისდიონ ცირკულარული ეკონომიკის სიახლეებს, მაინც „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა მოითხოვს მასალებისა და წარმოების სრულყოფილი ჯაჭვური საკითხების მოგვარებას, არა მხოლოდ პროდუქტების, არამედ რესურსების ნაკადების რეკონსტრუქციას." ამ საკითხზე კი რეკომენდაციებს შეიმუშავებს და დაინტერესებულ სახელმწიფოებს სურვილის შემთხვევაში დაეხმარება „ცირკულარული ეკონომიკისა და რესურსების ეფექტურობის გლობალური ალიანსი" (GACERE), რომელიც 2021 წელს დაარსდა. ისინი ქმნიან ახალი ფისკალური პოლიტიკისა და ეკონომიკის მარეგულირებელ ჩარჩოებს, რომელთა მეშვეობით გაუადვილდებათ სახელმწიფოებს, როგორც წარმოების ახალ წესზე გადასვლა, ისე ცირკულარული ეკონომიკის ხელის შემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება. აქვე შევნიშნავთ რომ, თუკი ჩვენ მიერ განხილული კონცეფციის გარიჟრაჟზე გაიდლაინები მხოლოდ კომპანიებისთვის ვრცელდებოდა დღეს აღნიშნული ვითარება შეიცვალა და რო-

გორც მსოფლიო ბანკი და ევროპის საბჭო, ისე გაერო და კვლევითი ფონდები მიუთითებენ თითოეული მოქალაქის ცხოვრების წესის ცვლილების ქმედუნარიანობასა და მიზანშეწონილობაზე. მაგალითად მივიტანოთ ძველი მობილური ტელეფონები "Fhairphones"-ის მსგავს კომპანიებში, რომლებიც გამოიყენებენ თქვენი ძველი მოწყობილობის ნაწილებს ახლის შესაქმნელად, ჩავაბროთ მაკულატურა თუ ძველი ტანსაცმელი მათი გადამუშავების ობიექტებს და ა.შ.. საბოლოოდ, როგორც კორჰონენი და სხვები იტყოდნენ „ყველა გაიმარჯვებს!" (**Korhonen J; Honkasalo A & Seppälä J 2018** p.37-46).[1]

ახალი ცირკულარული ეკონომიკის სავარაუდო შედეგები კი ასე გამოიყურება: 4.5 ტრილიონი აშშ დოლარის ეკონომიკური შესაძლებლობა და 2060 წლისთვის გლობალური მთლიანი სამამულო პროდუქტის 8%იანი ზრდა.ამ ყველაფერს კი ემატება დაავადებების შემცირებული მაჩვენებლი და შენარჩუნებული ბიომრავალფეროვნება. (**David McGinty**)[2] 39%-ით შემცირებული სათბურის გაზების ემისია (Green house gas emission), რომელიც ყოველწლიურად 9 მილიონი ადამიანის სიკვდილს იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება შემცირდეს ლინეარულ ეკონომიკაში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა, 2030 წლისთვის შეიქნება დაახლოებით ექვსი მილიონი ახალი სამუშაო ადგილი ნარჩინების მართვისა და მათი გადამუშავების სფეროში. რამდენად ასრულებენ ევროპის სახელმწიფოები რეკომენდაციებსა და მოწოდებებს ნედლეულების ცირკულირების თვალსაზრისი ასახულია ნახაზ 1.3-ზე.

ნახაზი 1-3



წყარო: მომზადებულია ევროსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.(Eurostat) https://ec.europa.eu/eurostat

[1] Korhonen J, Honkasalo A & Seppälä J (2018) Circular economy: the concept and its limitations.Ecological Economics.
[2] World Economic Forum- 5 reasons to shift from a 'throw-it-away' consumption model to a 'circular economy'

მსოფლიოსა და საქართველოს რეალობა ცირკულარული ეკონომიკის ჭრილში

2022 წლის 6 დეკემბერს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა პირველი ყოვლისმომცველი ანგარიში ცირკულარული ეკონომიკის შესახებ. (**Wolrd Bank Annual Report 2022**)[1] მისი ინფორმაციით,გლობალურად, ნედლეულის მოპოვება ყოველწლიურად 100 მილიარდ ტონაზე მეტია. ეს განსაცვიფრებელი მაჩვენებელი განპირობებულია როგორც მატერიალური საქონლის მოხმარების მუდმივი მაღალი დონით მაღალშემოსავლიან ქვეყნებში, ასევე სწრაფად მზარდი საჭიროებებით განვითარებად ეკონომიკებში. ეკონომიკური ექსპანსიის ლინეარული მოდელი „take-make-waste" ყოველდღიურად უფრო და უფრო არამდგრადი ხდება, არა მხოლოდ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ინკლუზიური განზომილებიდანაც. ანგარიში ხაზს უსვამს რომ მდგრადი განვითარების პოლიტიკას აქვს უნარი შეამციროს ახალი საქონლის მოხმარება კეთილდღეობის კლების გარეშე[8]. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ლიდერულ პოზიციებს იკავებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ცირკულარული ეკონომიკის გამყარების მიზნით, როგორც საწარმოო ისე საკანონმდებლო რეფორმების გატარების მიმართულებით. მსოფლიო ბანკის ცნობით გაიდლაინების სრულფასოვნად შესრულების პირობებში შესაძლებელი გახდება მოხმარება 11%-მდე შემცირდეს.[8]. ბოლო ოცი წლის მანძილზე ევროკავშირში მოხმარება 9.4%-ით შემცირდა,გადამუშავებული ნარჩენების რაოდენობა კი 50%-ით გაიზარდა(წყარო:Eurostat).

2021 წლის მონაცემებით ცირკულარულ ეკონომიკაში ინვესტიციების მიხედვით ევროპის სახელმწიფოთა ჩამონათვალი ასე გამოიყურება: დიდი ბრიტანეტი-31 მლნ$; გერმანია-28.7 მლნ$; საფრანგეთი-21.3 მლნ$; იტალია-17.8 მლნ$; ესპანეთი-11 მლნ$.
მსოფლიო ბანკის ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ხუთი ქვეყანა, რომლებსაც ყველაზე დიდი წარმატება ჰქონდათ ცირკულარული ეკონომიკის დანერგვისა და მისი პრინციპების ათვისების საქმეში. ჩვენ მოვიძიეთ აღნიშნული სახელმწიფოების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა იმ წლის მიხედვით, რომლითაც მსოფლიო ბანკი ცირკულარული ეკონომიკის შესახებ ანალიზის გაკეთებისას სარგებლობდა და მას დიაგრამის სახით წარმოგიდგენთ 1-4 ნახაზზე. აქვე შევნიშნავთ, რომ მითითებულ პერიოდში მსოფლიოს ეკონომიკა კვლავ პანდემიის გაურკვევლობასა და ციებ-ცხელებაში გახლდათ, ამიტომ ციფრები სანდოა, თუმცა სრულყოფილად მაინც ვერ ცხადყოფს იმ მაკროეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც თითოეულ სახელმწიფოში გახლავთ. ამით გვსურს მკვეთრი პარალელი გავლება, თუ რამხელა გავლენა აქვს ცირკულარული ეკონომიკის განხორციელებას ქვეყნის მწარმოებლურობისა და, მაშასადამე, GDP-ის ზრდის მიმართულებით.

[1] World Bank Annual (2022) -Report on the Circular Economy in the EU

ნაზახი 1-4



წყარო: მომზადებულია მსოფლიო ბანკის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით.(The World Bank Annual Report 2022) https://www.worldbank.org/en/about/annual-report

2020 წელს ევროკავშირმა მიიღო ცირკულარული ეკონომიკის ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა (**EU 2020**)[1], რომელიც არათუ უბრალოდ რჩევებს გასცემს, არამედ პასუხისმგებლობას აკისრებს წევრი სახელმწიფოების მწარმოებლებს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება ლინეარული ეკონომიკიდან ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისათვის და მდგრადი განვითარების ფუნდამენტური ღირებულებების შეთვისება მათი ამოსავალი წერტილი გახდეს. ასე განსაჯეთ ევროკავშირის რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი 2021 წელს 2020, ანუ იმ წელთან შედარებით, როდესაც რეზოლუცია მიღებულ იქნა 11,7%[22]-ით გაიზარდა და 17 177.42 მილიარდი შეადგინა.ცხადია არ ვამტკიცებთ,რომ ამხელა მაჩვენებელი მხოლოდ მდგრადი ეკონომიკის მკაცრი პოლიტიკითაა გამოწვეული, თუმცა როგორც მოგვეხსენება რეალური GDP-ის ზრდა ქვეყნის მწარმოებლურობის ზრდის მაჩვენებელია, მაშ რამ გაზარდა მძვინვარე პანდემიისას მწარმოებლურობა, თუ არა ერთი დიდი „წრის“ შეკვრამ, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს ნარჩენების რაოდენობა და განაპირობებს „ნაკლები რესურსებით მეტი ღირებულების შემქნას“, მაშასადამე ცირკულარული ეკონომიკის მთავარმა სარგებელმა, როგორც იტყოდა დოქტორ სტეჰელი. გარდა ევროკავშირის მიერ ცენტრალიზებულად მიღებული გადაწყვეტილებებისა მისი წევრი სახელმწიფოები დამოუკიდებლადაც აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით.

2019 წლის პირველ იანვარს გერმანაში ამოქმედდა „შეფუთვის შესახებ“ აქტი, რომელიც „ნივთიერებათა ჩაკეტილი ციკლის“ შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს და მუხლი 1-ში ნარჩენების მართვის იერარქიას აწ უკვე საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს. (**გერმანია 2019**)[1] .

ავსტრიაში, ნიდერლანდებში, დანიაში, ბელგიასა და გერმანიაში ცირკულარული ეკონომიკის კონცეფციები ინტერდისციპლანურად ისწავლება საშუალო სკოლებში, რაც შეეხება ფინეთს იქ ზოგადი განათლების შესახებ კანონს დაემატა პუნქტი, რომლის ძალითაც ცირკულარულ ეკონომიკას სკოლებში ცალკე საკლასო ოთახები გამოეყო. სხვადასხვა

[1] Germany (2019) Verpackungsgesetz

ენაზე მოსწავლეებს მუდმივად უტარდებათ გაკვეთილები, თამაშები, ეძელვათ ქეის სავარჯიშოები.

ნიდერლანდებმა განაცხადა,რომ გეგმავს 2050 წლისთვის თავიანთი ეკონომიკა სრულად ცირკულარულ საწყისებზე იყოს დაფუძნებული.[16]

საფრანგეთში 2018 წელს ხელისუფლებამ წარადგინა სამოქმედო გეგმა სახელწოდებით "Roadmap for the circular economy"[17], სადაც დეტალურად და თანმიმდევრულადაა გაწერილი ცირკულარული ეკონომიკის წარმატებით განხორციელებისთვის სახელმწიფოსა და კონკრეტული საწარმოების მიერ გადასადგმელი ნაბიჯები. ამ დოკუმენტის ძალით დიდი ზომის საწარმოები ვალდებულნი გახდნენ თავიანთი ნარჩენი პროდუქტები ხუთი სახეობის მიხედვით დაახარისხონ (მეტალი, ქაღალდი, ხის მასალა, პლასტმასი და მინა). (Roadmap for the circular economy. გვ 24). ხელისუფლებამ ასევე შეიმუშავა გრანტებისა და ფულადი წახალისების სისტემა, როგორც ფაბრიკა-ქარხნების, ისე ინდივიდების დონეზე. (იმ შემთხვევაში თუ მოქალაქე უკვე გამოყენებულ ნივთს გადასამუშავებლად ჩააბარებს რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ პუნქტს, მათთვის ამოქმედდება განსხვავებული, მეტად მიმზიდველი სოცილაური პროგრამები).

მსგავსი პოლიტიკა აქვს ესპანეთის მთავრობასაც,მათ 2020 წელს დაამტკიცეს სამოქამედო გეგმა სახელმწოდებით Estrategia Española de Economía Circular: España Circular 2030 (ესპანური ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგია: ცირკულარული ესპანეთი 2030 წ), რომის მიზანსაც 2030 წლისთვის მოხმარების 30%-ით შემცირება წარმოადგენს.

აღარაფერს ვამბობთ ევროპის ფონდისა და თავად ევროკავშირის მიერ შექმნილ უამრავ უფასო სასწავლო რესურსზე თუ გაიდლაინზე,რომელზე წვდომაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს.

2022 წლის რვა მაისს ძალაში შევიდა ევროპული საბჭოს მიერ შემუშავებული „8th Environment Action Programme"[10], რომელშიც 2020 წელს შედგენილი „ცირკულარული ეკონომიკის გააქტიურების გეგმან[11] კიდევ ერთხელ ხაზგასმით და მეტად დაწვრილებითაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ევროპულ საბჭოს არ აქვს სამართლებრივი უფლებამოსილება რომელიმე თუნდაც წევრი სახელმწიფო დაავალდებულოს გაატაროს კონკრეტული პოლიტიკა ამა თუ იმ მიმართულებით, თუმცა დოკუმენტი ერთობ საინტერესოა და ზედმიწევნით განმარტავს ყველა იმ გლობალურ 35 პროექტსა თუ პროგრამას 2030 წლამდე, რომელიც ცირკულარული ეკონომიკის განმტკიცება-გამყარების ხელშეწყობისთვის განხორციელდება (შეგიძლიათ იხილოთ ყველა მათგანი [12]).

რაც შეეხება საქართველოს, გასულ წელს შემუშავდა ცირკულარობის შეფასების ანგარიში, რომელიც ქვეყანაში ცირკულარული ეკონომიკის განვითარების ერთგვარ სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს. აუცილებლად აღსანიშნავია ასევე უკვე მოქმედი ნარჩენების მართვის კოდექსი, რომლის მიზანია „ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას (რაც მოიცავს რეციკლირებას და მეორეული ნედლეულის გამოცალკევებას, ნარჩენებიდან ენერგიის აღდგენას, ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას)."[19] აღნიშნული კანონმდებლობის ერთ-ერთი ასპექტი ითვალისწინებს, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება, ამისთვის საჭირო სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება. საინტერე-

სოა, როგორ უნდა შეძლონ ეს მუნიციპალიტეტებმა დამოუკიდებლად,როდესაც სახელ-მწიფო დონეზე არ არსებობს მკაფიოდ პოზიციონირებული პოლიტიკა აღნიშნულთან და-კავშირებით. ასევე თვალში საცემია კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. მართალია,-დღეს ქვეყნის რამდენიმე ქალაქში შევხვდები რეპარაციის ურნებს. ყოველწლიურად აქტი-ურად ტარდება უამრავი შეხვედრა, პროექტი თუ ბანაკი სადაც, როგორც მწარმოებლებსა და კომპანიების ტოპ-მენეჯმენტის წარმომადგენლებს, ისე სკოლის მოსწავლეებსა და და-ინტერესებულ პირებს უტარდებათ მრავალი ტრენინგი თუ ლექცია ცირკულარული ეკო-ნომიკის შესახებ, მდგრადი განვითარების აუცილებლობასა და ჩვენს როლზე გობალურ ცვლილებებში. სამწუხაროდ, მსგავსი პროექტების უმეტესობა არა ქართული არამედ ევ-როპელი მშვიდობისმყოფელებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებითა და ხელშეწყობით იმართება. სახელწიფოს მხირდან კი მისასალმებელია სტიქიური ნაგავ-საყრელების დახურვა და გარდამავალ პერიოდში მათი მართვის გაუმჯობესება. დაწყებუ-ლია რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობა და სახიფათო ნარჩენების მართვის ინფრას-ტრუქტურის განვითარებაც (MEPA, 2022). ქ. ქუთაისში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომა-რეობით შეგროვდა და გადასამუშავებლად გადაეცა 76,5 ტონა ბიოდეგრადირებადი ორგა-ნული და ბაღის ნარჩენები, რის შედეგადაც უკვე მიღებულ იქნა 2,5 ტონა მზა კომპოსტი[20]. დღეს ქვეყნის ტერიტორიაზე ასამდე გადამამუშავებელი პუნქტია, თუმცა მათი უმეტესობის ტექნოლოგიები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებსა და გარემოს დაცვის აუცილებელ კრიტერიუმებს. დასანანია, რომ ქვეყანაში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩნენების 200 000 ტონის ადგილსამყოფელი სრულიად გაურკვეველია, ნაწილი ღია ცისქვეშაა მიმობნეული, მეორე ნაწილს კი მოსახლეობა იქვე, ადგილზე წვავს. საქართველოში დღეს 400 სტიქიური ნაგავსაყრელია, მათ მიერ გარემოსა და ადამიანზე მიტანილი ზიანი პირდაპირი ("საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატე-გიისა" და „2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის" 2022 წლის განხორციელების ანგარიში. გვ 47) და გადატანითი მნიშვნელობით განუზომელია. მრავალი მიზეზიდან გამომდინარე დღემდე არ არსებობს ქვეყანაში ისეთი ეროვნული სამოქმედო გეგმა,როგორზეც ზემოთ ვისაუბრეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებით. ასევე ვერ მოვიპოვეთ სტატისტიკური ინ-ფორმაცია იმის შესახებ თუ რა რაოდენობის თანხა ჩაიდო საქართველოში ქართული ხე-ლისუფლების მიერ უშუალოდ ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობისთვის ბოლო წლების მანძილზე.

დასკვნა და რეკომენდაციები

ცირკულარული ეკონომიკა ჯერ კიდევ ნორჩი, განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კონცეფციაა. მეცნიერთა მისდამი დამოკიდებულებები იმდენად მრა-ვალფეროვანი და ამბივალენტურია, რომ ჩვენ ვერც ვასახელებთ ერთ კონკრეტულ დოქ-ტრინას მისი არსის გააზრებისა და შეცნობისთვის. თითქმის ორი ასწლეულის მანძილზე დამკვიდრებული საწარმოო და სამომხმარებლო მოდელის ცვლილება, რა თქმა უნდა,შე-უძლებელია მოკლე დროში მარტივად და უმტკივნეულოდ, თუმცა მსოფლიოს განვითა-რებული ნაწილი ბოლო პერიოდში არ იშურებს ფულს, დროსა და ენერგიას, რომ რაც შე-იძლება მალე ჩაქრეს ლინეარული ეკონომიკის შედეგად გაჩენილი „ხანძარი" და მათ სა-

ხელმწიფოებში რაც შეიძლება ძლიერად აბრიალდეს ცირკულარული ეკონომიკის ჩირაღ-დანი. ჩირაღდანი,რომელიც გაანათებს სახელწმიფოთა მწარმოებლურობისა და შესაბამი-სად GDP-ის ზრდისკენ მიმავალ გზას. ევროპაში უკვე შეიმჩნევა სასიკეთო, არცთუ პატარა ძვრები, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს საბრძოლვე-ლი. თავდაპირველად საჭიროა კონკრეტულად ამ მიმართულებით გამოყოს მთავრობამ ბიუჯეტი, რომელიც თუნდაც რეპარაციის ურნების, ახალი მდგრადი განვითარების საჭი-როებებზე მორგებული ტექნოლოგიების შესყიდვისკენ მიემართება. მიუხედავად საერთა-შორისო ორგანიზაციების მზადყოფნისა დახმარების ხელი გამოგვიწოდონ ამ მიმართუ-ლებით, სამწუხაროდ, ცირკულარული ეკონომიკა არ არის მიზანი, რომლისკენ მიმავალი საშუალებაც უნივერსალურია. მისი მიდგომები სპეციფიკურია ყველა ქვეყნისათვის, სწო-რედ ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ქართულ თუ არაქართულ სა-მეცნიერო საზოგადოებას ჩვენი ქვეყნის კონიუქტურის სრულფასოვანი კვლევისა და შეს-წავლის საქმეში,რათა შემუშავდეს ეროვნული სამოქმედო გეგმა ცირკულარული ეკონომი-კის პოლიტიკის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა,რომ პარლამენტმა უკვე დაამტკიცა „ნარჩენების მართვის კოდექ-სი“, ერთია კანონის არსებობა და მეორეა მისი რეალური იმპლემენტაცია. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მივიჩნევთ შეიქმნას აპარტიული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერ-ტთა კომისია, რომელიც გააკონტროლებს საწარმოო დონეზე ზემოთ აღნიშნული კანონის ეფექტურ აღსრულებას.

ნებისმიერი პრობლემა, არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს ეკონომიკური თუ არა, სათავეს არასრულყოფილი საგანმანათლებლო სისტემიდან იღებს. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, უმჯობესია ჩვენმა ქვეყანამ გაიზიაროს ევროპული ქვეყნების პრაქტიკა და დანერგოს საკ-ლასო ოთახებში მდგრადი განვითარებისა და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების ზოგადთეორიულ დონეზე სწავლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საკანონმდებლო მაცნე-„ნარჩენების მართვის კოდექსი“. მოძიებულია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=12
2. “საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა“ და„2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის”2022 წლის განხორციელების ანგარიში. https://mepa.gov.ge/Ge/Reports
3. ‘“A circular economy in the Netherland by 2050”, Retrieved from https://www.icex.es/es/quienes-somos/donde-estamos/red-exterior-de-comercio/nl/inicio
4. Business Media Georgia-ცირკულარული ეკონომიკის მნიშვნელობა. მოძიებულია: https://bm.ge/ka/video/cirkularuli-ekonomikis-mnishvneloba/22863/
5. CENN (2019)- ცირკულარული ეკონომიკა - კონცეფცია და ფაქტები.2019 წ.
6. Ellen Macarthur foundation- https://ellenmacarthurfoundation.org/
7. EU (2012a) Life cycle thinking and assessment for waste management. Retrieved from https://eplca.jrc.ec.europa.eu/uploads/waste-waste-LCA-LCT.pdf
8. EU. comprehensive Circular Economy Action Plan in March 2020. retrieved from https://www.europarl.europa.eu/committees/en/circular-economy-action-plan-/product-details/20201106CDT04441#:~:text=The%20Circular%20Economy%20Action%20Plan%20was%20ad

opted%20by,achieving%20a%20cleaner%2C%20climate-neutral%2C%20resource-efficient%20and%20competitive%20economy.

9. European Comission-Waste Framework Directive. Retrieved from https://environment.ec.europa.eu/topics/waste-and-recycling/waste-framework-directive_en
10. European Commission (2020)- Circular economy action plan. Retrieved from https://environment.ec.europa.eu/strategy/circular-economy-action-plan_en
11. European Commission (2022)- Environment action programme to 2030. Retrieved from https://environment.ec.europa.eu/strategy/environment-action-programme-2030_en
12. European Commission- Document 52020DC0098.Retrieved from https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1583933814386&uri=COM:2020:98:FIN
13. Germany (2019a) Verpackungsgesetz [გერმანულენოვანი]. https://www.gesetze-im-internet.de/verpackg/VerpackG.pdf
14. Global Alliance on Circular Economy and Resource Efficiency-Concept note. Page 1-4 Retrieved from https://wedocs.unep.org/bitstream/handle/20.500.11822/40298/GACERE_ConceptNote.pdf?sequence=1&isAllowed=y
15. Kirchherr J., Reike D., Hekkert M. -Conceptualizing the circular economy: An analysis of 114 definitions. Retrieved from https://deliverypdf.ssrn.com/delivery.php?ID=117092085029102126116005099094121025001036072042032045097096073112078028086066097126121012006000005059110081111096101080018081023029059042041106006030027117029065101035073045090099067010090125101085077113109078109065095126003100075006086122065105111096&EXT=pdf&INDEX=TRUE
16. Korhonen J, Honkasalo A & Seppälä J (2018) Circular economy: the concept and its limitations.Ecological Economics გვ. 37-46.
17. Macrotrends. Retrieved from https://www.macrotrends.net/countries/EUU/european-union/gdp-gross-domestic-product
18. Roadmap for the circular economy- Retrieved from https://circulareconomy.europa.eu/platform/sites/default/files/frec_anglais.pdf
19. United nations (1987)-Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future.
20. United Nations (2015) -Global Sustainable Development Report, edition. Retrieved from https://sdgs.un.org/publications/global-sustainable-development-report-2015-advance-unedited-version-gsdr-2015-17874
21. World Bank Annual (2022) -Report on the Circular Economy in the EU. Retrieved from https://www.worldbank.org/en/news/press-release/2022/12/06/world-bank-releases-its-first-report-on-the-circular-economy-says-decoupling-growth-from-resource-use-in-europe-achievab#:~:text=The%20World%20Bank%E2%80%99s%20first%20comprehensive%20report%20on%20the,also%20from%20an%20economic%20security%20and%20inclusion%20dimension.
22. World Economic Forum- 5 reasons to shift from a 'throw-it-away' consumption model to a 'circular economy'.Retrieved from https://www.weforum.org/agenda/2021/02/change-five-key-areas-circular-economy-sustainability

აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით სტუდენტების დაინტერესება, პერსპექტივები და გამოწვევები

ანა კაპანაძე

დღესდღეობით ახალგაზრდები ირჩევენ იმ პროფესიებს, რომლებიც უფრო პერსპექტიულად ესახებათ, თუმცა საინტერესოა რამდენად ახდენენ მიღებული ცოდნის რეალიზაციას პრაქტიკაში ან აქვთ თუ არა ამის შესაძლებლობა. ფაქტია, რომ სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნასთან ერთად სჭირდებათ ინფორმაცია დასაქმების ადგილების შესახებ, სადაც თეორიული ცოდნის პარალელურად პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებენ.

2018 წლის 7 თებერვლის დადგენილებით განისაზღვრა საქართველოს შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების ნუსხა, რომლებიც საჯარო სამსახურში განსხვავებული წესით მიიღებენ შრომის ანაზღაურებას. აღნიშნულ კატეგორიაში სულ 5 სფერო მოხვდა, მათ შორის ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სფერო (საქართველოს მთავრობის დადგენილება N68)[1]. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით შრომის ბაზარზე მოთხოვნა აღნიშნული სფეროს კვალიფიციურ კადრებზე იზრდება. შესაბამისად, საინტერესოა როგორ პასუხობს სტუდენტების აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით დაინტერესება ბაზრის მოთხოვნებს. რამდენად ირჩევენ უნივერსიტეტში სწავლის პროცესში შესაბამის საგნებს ან რამდენად იმაღლებენ კვალიფიკაციას ტრენინგ-კურსებით. აქვთ თუ არა სტუდენტებს ინფორმაცია ამ მიმართულებით დასაქმების ადგილების შესახებ, ან როგორია უნივერსიტეტის, კერძო და საჯარო სექტორის ჩართულობა სტუდენტების ინფორმირებულობისა და ხელშეწყობის საქმეში.

სტატიაში განხილულია აღრიცხვა, ანალიზისა და აუდიტის სფეროს მნიშვნელობა და წარმოჩენილია ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრების საჭიროება საქართველოს შრომის ბაზარზე. განხილულია კერძო და საჯარო სექტორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მნიშვნელობა სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების საქმეში. ასევე, წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც წარმოაჩენს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების დაინტერესებას აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით. მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია რამდენად ხშირად ირჩევენ სტუდენტები აღნიშნული მიმართულების საგნებს.

საკვანძო სიტყვები: აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულება, სტუდენტების ცნობიერების ამაღლება, დასაქმება, კერძო და საჯარო სექტორი, აუდიტორული კომპანიები.

[1] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4053587?publication=0

შესავალი

უნივერსიტეტში სწავლის პროცესში სტუდენტები არჩევანს აკეთებენ იმ პროფესიაზე, რომელსაც მოგვიანებით დაუკავშირებენ საკუთარ კარიერას. საგნები, რომლებიც უნივერსიტეტში ისწავლება ხელს უწყობს სტუდენტების ინტერესის ფორმირებას ამათუიმ სფეროს მიმართ. სწორედ ამიტომ, პირველი მნიშვნელოვანი ორგანო, რომელსაც სტუდენტების ცნობიერების ამაღლებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვს არის უნივერსიტეტი. შემდგომ, ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლობა და კავშირების დამყარება კერძო და საჯარო სექტორთან. აღსანიშნავია, რომ სწორედ უნივერსიტეტი ასრულებს ამ მაკავშირებელი რგოლის ფუნქციას.

დღესდღეობით საკმაოდ მაღალია მოთხოვნა ბუღალტერიისა და აუდიტის მიმართულებით კვალიფიციურ კადრებზე, თუმცა მცირეა ამ მიმართულებით დაინტერესებულ სტუდენტთა რიცხვი. საინტერესოა, რა არის ამის მიზეზი?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების დაინტერესება აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით

როგორც უკვე აღინიშნა საგნები, რომლებსაც სწავლის პროცესში გადიან სტუდენტები ეხმარება მათ მიიღონ გადაწყვეტილება თუ რა მიმართულებით აპირებენ კარიერის დაგეგმვას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში“ წარმოადგენს საფუძველს დაინტერესოს სტუდენტები აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით. მოგვიანებით ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებს 10-კრედიტიანი სავალდებულო საგნის „ფინანსური აღრიცხვის“ გავლის ვალდებულება აქვთ. საინტერესოა რა ხდება ეკონომიკის სტუდენტების შემთხვევაში? რამდენი მათგანი ირჩევს თავისუფალ კრედიტად ამ მიმართულების საგნებს?

დიაგრამა 1 ასახავს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2023 წელს სტუდენტების რაოდენობას, რომელთაც კრედიტები აქვთ მოპოვებული შემდეგ საგნებში: ფინანსური აღრიცხვა, მმართველობითი აღრიცხვა, აუდიტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი, შიდა აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ბალანსი“, ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანალიზი. მონაცემების მიხედვით ეკონომიკის სტუდენტები ყველაზე ხშირად ირჩევენ კომპიუტერულ პროგრამა „ბალანსს“, შემდეგ მოდის ფინანსური აღრიცხვა. რაც შეეხება, დანარჩენ საგნებს ბიზნეს ადმინისტრირების სტუდენტების მიერ აღნიშნული საგნების არჩევის რიცხოვნობაც დაბალია. რაც ბადებს კითხვას რამდენი სტუდენტი აფიქსირებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „საბუღალტრო აღრიცხვას“ მოდულად. ბოლო მონაცემებით აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებიდან მხოლოდ 35 სტუდენტს აქვს აღნიშნული მოდული დაფიქსირებული, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

დიაგრამა 1



საინტერესოა რა იწვევს სტუდენტების დაინტერესებას „ფინანსური აღრიცხვისა“ და ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ბალანსის“ კურსით. აღსანიშნავია, რომ ახლახანს განახლდა ფინანსური აღრიცხვის სახელმძღვანელო, რათა შესაბამისობაში მოსულიყო თანამედროვე სტანდარტებთან და გამოწვევებთან. შესაბამისად, ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოებული სახელმძღვანელოების არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტების ინტერესის გაზრდის საქმეში. რაც შეეხება პროგრამა „ბალანსის“ კურსს ის ფაქტი, რომ სტუდენტებს აუდიტორულ-საკონსულტაციო კომპანია „BDO“-თან თანამშრომლობის ფარგლებში საშუალება ეძლევათ კურსის წარმატებით გავლის შემდეგ ჩააბარონ სასერთიფიკატო გამოცდა და მოიპოვონ კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი ზრდის სტუდენტების მოტივაციას და დაინტერესებას. ამ კურსს საშუალოდ 150-170 სტუდენტი გადის ყოველწლიურად და მათგან 60-70 სტუდენტი იღებს მონაწილეობას სასერთიფიკატო გამოცდაში. გარდა ამ უპირატესობისა ტექნოლოგიური განვითარების პროცესში, როცა ხელით შრომა სრულიად კომპიუტერიზებულია სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში ისწავლებოდეს მსგავსი ხასიათის პრაქტიკული საგნები.

საჯარო და კერძო სექტორის ჩართულობა სტუდენტების ინფორმირებულობისა და დაინტერესების საქმეში

სტუდენტების უმრავლესობაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ პრაქტიკული კურსების გავლის საშუალებით შეძლებენ გახდნენ წარმატებული ბუღალტერები და აუდიტორები. სამწუხაროდ, მათი ეს შეხედულება ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ საფუძველს, რომელიც მომავალი კარიერული ნაბიჯების გადადგმაში დაგვეხმარება სწორედ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა წარმოადგენს. უნდა

აღინიშნოს ისიც, რომ სტუდენტების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების საქმეში, ასევე დასაქმების პერსპექტივის შექმნაში მნიშვნელოვანია კერძო და საჯარო სექტორის ჩართულობაც.

საჯარო სექტორის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია სტუდენტების ხელშეწყობის საქმეში. აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კუთხით აღსანიშნავია საჯარო აუდიტის ინსტიტუტის როლი. მის მიერ ორგანიზებული პროექტი „გახდი აუდიტორი", სწორედ ამ მიზანს ემსახურება. უფრო ზუსტად დამოუკიდებელ აუდიტორულ კომპანიებს ეხმარება შეარჩიონ სტაჟირების პროგრამის მონაწილეები და ხელი შეუწყონ მათ პროფესიულ განვითარებაში. პროექტი წელს მეორედ განხორციელდა. პირველი პროექტის ფარგლებში აუდიტორულმა კომპანიებმა 10-ზე მეტი სტაჟიორი შეარჩიეს და დაასაქმეს. „გახდი აუდიტორმა" 21 უმაღლესი სასწავლებლის 42 წარჩინებულ სტუდენტს მისცა შესაძლებლობა მიეღო ინფორმაცია ხუთი საერთაშორისო საკონსულტაციო-აუდიტორული კომპანიის შესახებ (PWC, EY, KPMG, DELOITTE, BDO) და გაცნობოდა აუდიტის მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხებს (საჯარო აუდიტის ოფიციალური ვებ-გვერდი). მსგავსი სახის პროექტები და ტრენინგები მნიშვნელოვნად ზრდის სტუდენტების ცნობიერებას და ეხმარება მათ კავშირები დაამყარონ შესაბამის კომპანიებთან.

საჯარო სექტორთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ვინაიდან სტუდენტი, რომელიც განათლებას იღებს იმისთვის, რომ კონკურენტუნარიანი კადრი იყოს შრომის ბაზარზე შესაძლებლობების გარეშე „შორს ვერ წავა", ან უარეს შემთხვევაში სამსახურის ძიებას საერთაშორისო ბაზარზე დაიწყებს და ქვეყანას დატოვებს. საინტერესოა რამდენად ექნებათ შესაძლებლობა აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით თეორიული ცოდნით შეიარაღებულ სტუდენტებს საქართველოში დასაქმდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს. სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინების საშუალებით არაერთი აუდიტორული კომპანიისგან (დიდი აუდიტორული ოთხეული (ე.წ. Big Four-PWC, EY, KPMG, Deloitte), BDO Georgia, Moore Abc, Ecovis Georgia, Nexia TA, RSM Solutions Goergia, Grant Thornton და ა.შ.) იქნა მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი მზად არიან სტუდენტებს სტაჟირების პროგრამის ფარგლებში დაეხმარონ პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებაში და წარმატებულ კადრებს პროფესიულ ზრდაში. უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში არაერთი კომპანია ითხოვს ინფორმაციას წარმატებული სტუდენტების შესახებ, რომელთაც დასაქმებას სთავაზობენ. მართალია ეს ფაქტი სტუდენტებისთვის ხელსაყრელია, თუმცა მნიშვნელოვანი იქნება თუ ბიზნესი სწავლის პროცესშიც შეუწყობს ხელს სტუდენტებს და უზრუნველყოფს მათ დატრენინგებას, მასტერ-კლასების ჩატარებას და საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას. ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნა და კონტაქტების არარსებობა ხდება ხშირ შემთხვევაში იმის მიზეზი, რომ სტუდენტები არასწორ არჩევანს აკეთებენ.

კვლევა

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების „აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის“ მიმართულებით დაინტერესების შესასწავლად ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 118-მა რესპოდენტმა. გამოკითხვა 2023 წლის მაისში ონლაინ ფორმატში ჩატარდა, წინასწარ მომზადებული კითხვარის საშუალებით.

კვლევის შედეგების შეჯამებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რომელსაც მიმოვიხილავთ:

კვლევაში მონაწილეთა 66,7% (78 სტუდენტი) ბიზნეს ადმინისტრირების, ხოლო 33,3% (39 სტუდენტი) ეკონომიკის მიმართულების სტუდენტია (**დიაგრამა 2**). გამოკითხულთა 50% მე-3 კურსზე სწავლობს (**დიაგრამა 3**). საინტერესოა, რომ სწორედ მე-3-მე-4 კურსის სტუდენტებში იკვეთება სტაჟირების პროგრამების და დასაქმების შესაძლებლობების ძიების ტენდენცია. აქედან გამომდინარე მიზნობრივი ჯგუფი სწორედ ამ კურსის სტუდენტები გახლავთ.

დიაგრამა 2



დიაგრამა 3



აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა 73,3% (85 სტუდენტი) დაინტერესებულია აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით, ხოლო 26,7% (31 სტუდენტი) არ არის დაინტერესებული.

გამოკითხვის ფარგლებში რესპოდენტებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ საგნები, რომლებშიც კრედიტები აქვთ მოპოვებული. გამოკითხულთა ყველაზე დიდი პროცენტული წილი ფინანსურ აღრიცხვაზე მოდის 74,8% (86 სტუდენტი). გამოკითხვაში

მონაწილე ეკონომიკის მიმართულების სტუდენტების რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ მივხვდებით, რომ ამ საგანს ხშირად ირჩევენ თავისუფალ კრედიტად ეკონომიკის სტუდენტებიც. შემდეგ ადგილზეა ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა ბალანსი 22,6% (26 სტუდენტი). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 24,1% ფლობს „ბალანსის“ სერთიფიკატს.

დიაგრამა 4



დიაგრამა 5 გვიჩვენებს გამოკითხულთა რამდენი პროცენტი ფლობს ინფორმაციას საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) შესახებ. რესპოდენტთა 56% ინფორმირებულია აღნიშნულის შესახებ, ხოლო 3,4%-ს აქვს გავლილი ტრენინგ-კურსი ბაფ-ში. 3,4% ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სტუდენტები, რომლებიც გავრცელებული შეხედულებს თანახმად, მზად არიან გადაიხადონ თანხა ტრენინგ-კურსებში იმის ნაცვლად, რომ ისწავლონ უნივერსიტეტში შესაბამისი საგნები ნაკლებად ინტერესდებიან მსგავსი ხასიათის ტრენინგ-კურსებით. ხაზგასასმელია ბაფ-ის როლი პროფესიული განვითარების მიმართულებით. მისი მიზნებიდან აღსანიშნავია:

- მეთოდური და პრაქტიკული სახელმძღვანელო ლიტერატურის შექმნა და ბუღალტრებისა და აუდიტორების მომზადება, გადამზადება და მიღებული ცოდნის მუდმივი განახლება;
- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების უმაღლეს სასწავლებლებში პროფესიული სერტიფიცირების პროგრამების განვითარების ხელშეწყობა;

დიაგრამა 5



საინტერესოა ასევე რამდენად უზრუნველყოფენ აუდიტორული კომპანიები პრაქტიკული ტრენინგ-კურსებით სტუდენტებს და რამდენად აწვდიან მათ საჭირო ინფორმაციას ამ მიმართულებით. სამწუხაროდ, გამოკითხულთა 66,4% ჩამოთვლილი აუდიტორული კომპანიებიდან (PWC, EY, KPMG, Deloitte), BDO Georgia, Moore Abc, Ecovis Georgia, Nexia TA, RSM Solutions Goergia) არცერთი მათგანის ტრენინგს არ დასწრებია, თუმცა 76,7% გამოხატავს მზაობას მსგავსი ხასიათის ტრენინგ-კურსებში ჩართვის შესახებ.

ერთის მხრივ საჭიროა დაისვას კითხვა რამდენად აქვთ სტუდენტებს ინტერესი აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ რამდენად არიან სტუდენტები ინფორმირებულები და უზრუნველყოფილები შესაბამისი პრაქტიკული ტრენინგ-კურსებით, მაგრამ მთავარი კითხვა მაინც დასაქმების შესაძლებლობებს ეხება. რამდენად აქვთ სტუდენტებს დასაქმების პერსპექტივა? კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 47,8% არ არის დასაქმებული და არ გადის სტაჟირებას აუდიტორულ-საკონსულტაციო კომპანიებში. მხოლოდ მცირე რაოდენობაა დასაქმებული ისეთ კომპანიებში როგორიცაა: PWC (PricewaterhouseCoopers), EY (Ernst&Young) Georgia, KPMG Georgia, Deloitte Georgia, BDO Georgia, RSM Georgia Solutions, Nexia TA, Moore Abc ECOVIS georgia, Grant Thornton და ა.შ.

დიაგრამა 6



მნიშვნელოვანია რომ სტუდენტი ფლობდეს ინფორმაციას ბაზარზე არსებული მოთხოვნის და პროფესიის პერსპექტივების შესახებ. ასევე, საჭიროა სწორ დროს მიეწოდოს მას ინფორმაცია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. გამოკითხულთა უმრავლესობამ კითხვაზე: „საიდან იღებთ ინფორმაციას სტაჟირების პროგრამების შესახებ?“ ვაკანსიების პლატფორმები Jobs.ge (60%) და HR.ge (53%) დააფიქსირა. აღსანიშნავია ისიც, რომ 33% ინფორმაციას ლექტორისგან იღებს. ვთვლი, რომ ინფორმაციის მიწოდების პროცესში ლექტორების როლი მეტად მნიშვნელოვანია.

კვლევის დასასრულს რესპოდენტებმა გამოხატეს თავიანთი მოსაზრებები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და მათი უმრავლესობა ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემას ასახელებს. მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტის მხრიდან უნდა ხდებოდეს საჭირო ინფორმაციით სტუდენტების უზრუნველყოფა ტრენინგებისა და კომპანიების შესახებ. ასევე ხაზს უსვამენ, რომ აუცილებელია სტუდენტების ცნობიერების ამაღლება და მათთვის იმის ჩვენება რამდენად პერსპექტიულია აღნიშნული სფერო დღესდღეობით შრომის ბაზარზე.

დასკვნა

ამრიგად, მიუხედავად სტუდენტების დაინტერესებისა აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით მცირეა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც გადიან შესაბამის საგნებს უნივერსიტეტში ან აფიქსირებენ მოდულად „საბუღალტრო აღრიცხვას“. ასევე მცირეა იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებიც გადიან ტრენინგ-კურსებს ან დასაქმებულები (გადიან სტაჟირების პროგრამებს) არიან ამ მიმართულებით. აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში მთავარ გამოწვევად სტუდენტების ინფორმირებულობის ნაკლებობა სახელდება. საჭირო ინფორმაციის სწორ დროს მიწოდება ხშირად გადამწყვეტია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ფაქტია, რომ უნივერსიტეტის აქტიური ჩართულობა სტუდენტებისთვის საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდების საქმეში საკმარისი არ არის, ამასთან ერთად მნიშვნელოვანია რამდენად არიან დაინტერესებულები დამსაქმებლები ხელი შეუწყონ სტუდენტებს სწავლების პროცესში და რამდენად უზრუნველყოფს მათ ბიზნეს სექტორი შესაბამისი ტრენინგ-კურსებით, საინფორმაციო შეხვედრებით, ვებინარებითა და მასტერკლასებით.

საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანია გაიზარდოს სტუდენტების დაინტერესება აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით. ვინაიდან აღნიშნული პროფესიის კვალიფიციური კადრები საკმაოდ მოთხოვნადია დღესდღეობით საქართველოს შრომის ბაზარზე.

რეკომენდაციები

- სტუდენტები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სახელმძღვანელოებით, რომლებიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული საკითხით დაინტერესებული უნდა იყოს არა მარტო უნივერსიტეტი, არამედ დამსაქმებლებიც, რომლებიც კვალიფიციურ კადრებს ეძებენ;
- უნდა მოხდეს „აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის“ მოდულის შესახებ ინფორმაციის სწორად მიწოდება, რათა გავრცელებული მცდარი წარმოდგენები შეიცვალოს;
- სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩაერთონ პრაქტიკულ ტრენინგ-კურსებში, რომელთა ორგანიზებაში უნივერსიტეტთან ერთად ბიზნეს სექტორიც აქტიურად უნდა ჩაერთოს;
- უნდა გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების საქმეში საჯარო და კერძო სექტორის ჩართულობა;
- სტაჟირების პროგრამების შესახებ უფრო აქტიურად უნდა მიეწოდოთ სტუდენტებს ინფორმაცია;

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება N68, „შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან-/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხის განსაზღვრისა და საჯარო დაწესებულებაში ამ ფუნქციების შემსრულებელთა შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ (07.02.2018) - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4053587?publication=0
2. საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ოფიციალური ვებ-გვერდი - https://sai.ge/ka
3. „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ (ბაფ) ოფიციალური ვებ-გვერდი - https://www.gfpaa.ge/site/index.php

სამედიცინო ბიზნესი საქართველოში

სალომე ლიპარტელიანი

სამედიცინო ბიზნესი მომსახურების განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს, ჯანდაცვის სისტემის გამართული და წარმატებული მუშაობა უმნიშვნელოვანესია. ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური და კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებაა ჯანმრთელობის დაცვა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში მოქმედი სამედიცინო ბიზნესის ეფექტიანობის კვლევას, რომელიც განხორციელდა წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: *სამედიცინო ბიზნესი, მედიცინა, ჯანცვის სექტორი, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა*

შესავალი

სამედიცინო ბიზნესი თავისი სპეციფიკით განსხვავდება ეკონომიკის სხვა დარგებისგან. დღევანდელობაში მეტად აქტუალურია ეს სფერო. კოვიდ პანდემიის პირობებში მკვეთრად გაიზარდა ჯანდაცვის სფეროში დანახარჯები. ჯანდაცვის სექტორის მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს ნათლად დავინახოთ დღევანდელი გამოწვევები. მოცემულ ნაშრომში განხილულია სამედიცინო ბიზნესის როლი ქვეყნის განვითარებაში, მისი თავისებურებები და მნიშვნელობა.

რა არის სამედიცინო ბიზნესი?

სამედიცინო ბიზნესი არის ეკონომიკის დარგი, რომელიც აწარმოებს ჯანმრთელობის დაცვის საშუალებებს და სამედიცინო-ტექნიკურ ნაწარმს. სამედიცინო მმრეწველობა მსოფლიოში ერთ-ერთი სწრაფად მზარდი დარგია. ის განვითარებული ქვეყნების მშპ-ს (მთლიანი შიდა პროდუქტი) 10%-ს შეადგენს. (წყარო: https://ka.wikipedia.org „სამედიცინო მრეწველობა“)

ჯანდაცვის სისტემა

ჯანდაცვის სექტორი, როგორც ეკონომიკის დარგი, თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება. ეს სპეციფიკა ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებულ ფორმებს განაპირობებს. ამერიკელი ეკონომისტის, უილიამ ჰსიაოს, მიხედვით, ჯანდაცვა წარმოადგენს „ანორმალურ, პათოლოგიურ ეკონომიკას” (Abnormal economics), ანუ ეკონომიკას, სადაც საბაზრო ძალების გავლენა სერვისების მოცულობაზე, მათ ფასსა და ხარისხზე არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი ბაზრებისგან“. სამედიცინო ბაზრის ასეთი განსხვავება ჩვეულებრივ ბაზარზე მოქმედი ანალოგიური ურთიერთობებისაგან განპირობებულია სა-

მედიცინო მომსახურების სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით და სამედიცინო მომსახურების მიწოდების სპეციფიკურობით. იგი უმთავრესად დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე ხშირად ატარებს არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ სოციალურ ხასიათსაც და მოითხოვს ცალკეულ მომხმარებელთა სახსრების გაერთიანებას. (წყარო:https://idfi.ge/ge/is-medical-market-a-regular-market. „არის თუ არა სამედიცინო ბაზარი ჩვეულებრივი ბაზარი?“)

რისკები და გაურკვევლობები

ჩვეულებრივ ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს თუ როდის, სად და რა ფასად იყიდოს საქონელი. სამედიცინო ბაზარზე, ხშირ შემთხვევებში, წინდაწინ არავინ იცის თუ როდის წარმოიშობა სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა და მიწოდება. მომხმარებლებისათვის გაურკვეველია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების საჭიროება დროის ნებისმიერ პერიოდში. გაურკვევლობა ასევე შეინიშნება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მხარესაც. პაციენტებს ექიმების რჩევის გარეშე არ შეუძლიათ განსაზღვრონ არც სამედიცინო მომსახურების საჭიროება და არც მათი მკურნალობის მოსალოდნელ შედეგებზე იციან რაიმე. გარდა ამისა, რადგან სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების უდიდესი ნაწილი ფინანსდება მესამე მხარის (სადაზღვევო კომპანია ან სახელმწიფო) მიერ, და პირდაპირი კავშირი მყიდველსა და გამყიდველს შორის არ არსებობს, „ფასი“ სულ უფრო გაურკვეველია და ნაკლებად შეესაბამება ჩვეულებრივ ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგებით მიღწეულ ფასს. გაურკვევლობა ჯანდაცვის სფეროს გამოკვეთილი მახასიათებელია, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი ბაზრისაგან და შესაბამისად, ზრდის სახელმწიფოს როლს ჯანდაცვის სისტემის რეგულირების თვალსაზრისით.

ჯანდაცვის სექტორში სამედიცინო მომსახურების დაფინანსებასა და მიწოდებაში სახელმწიფო უმთავრესი მოთამაშეა. განვითარებულ ქვეყნებში ჯანდაცვის ხარჯებში სახელმწიფო ხარჯების წილი 75%-მდე გაიზარდა. (წყარო:https://idfi.ge/ge/is-medical-market-a-regular-market. „არის თუ არა სამედიცინო ბაზარი ჩვეულებრივი ბაზარი?“)

კონკურენციის შეზღუდულობა

ჯანდაცვის ბაზარი თავისი ძირითადი მახასიათებლებით უფრო ახლოს დგას არასრულყოფილი კონკურენციის ბაზართან, ან ხშირად კლასიფიცირდება როგორც მონოპოლისტური ბაზარი და ოლიგოპოლია.

ჯანდაცვის სისტემაში შეზღუდული კონკურენციის მიზეზებია:

- სამედიცინო ბაზარზე შესვლა შეზღუდულია;
- სამედიცინო ბაზარზე კონკურენტთა მცირე რაოდენობაა;
- სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების მიწოდების იერარქიული სისტემაა;
- სამედიცინო მომსახურების მრავალ სახეს არ გააჩნია მისი შემცვლელი;
- სამედიცინო დახმარება არაერთგვაროვან პროდუქტს წარმოადგენს.

სამედიცინო ბაზარზე შესვლის ბარიერს წარმოადგენს სახელმწიფო ლიცენზირება, კერძოდ, სამედიცინო პერსონალის რეგისტრაციისა და ლიცენზირების განსაკუთრებული წესები. ლიცენზირებას გამოიყენებენ დაბალი კვალიფიკაციის მიმწოდებლების სამედიცინო ბაზარზე შესვლის პრევენციის მიზნით.

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები შემოსავლების გაზრდის მიზნით ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ პოტენციური კონკურენტების შემოსვლას ჯანდაცვის ბაზარზე. ყველა დაწესებულებას არ შეუძლია განახორციელოს სამედიცინო საქმიანობა. ამისათვის ისინი ქვეყანაში დადგენილ გარკვეულ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდნენ. სამედიცინო დაწესებულებებს შორის კონკურენცია განსაკუთრებით დაბალია რაიონებში, სადაც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ერთი საავადმყოფო ფუნქციონირებს. შედეგად რაიონული საავადმყოფო გვევლინება როგორც მონოპოლისტი, რაც ზღუდავს პაციენტების არჩევანს.

სამედიცინო ბაზარზე კონკურენციას ზღუდავს სამედიცინო დახმარების მიწოდების იერარქიული სისტემა. საავადმყოფოთა ქსელი აგებულია სტაციონარული დახმარების დონეებად დაყოფის პრინციპით. ცხადია სტაციონარული სამედიცინო დახმარების ასეთი იერარქიული სისტემა და შესაბამისად დონეების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებული საავადმყოფოების არსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს მათ შორის რეალური კონკურენციის შესაძლებლობას.

მედიცინა შემოქმედებითი პროცესია, რომელიც არ არსებობს ერთგვაროვანი სახით. სამედიცინო მომსახურების ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ და რა პირობებში აწვდის მას. ერთიდაიგივე დაავადებას სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში განსხვავებული მეთოდებით მკურნალობენ. სხვადასხვაა დაწესებულებები.

თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი

სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა უფრო მეტია მოსახლეობის ღარიბ ფენებში. სამედიცინო მომსახურებაზე დაბალშემოსავლიანი პირების გაზრდილი მოთხოვნილება განპირობებულია მათი არადამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებით, რაც უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ჯანდაცვაში თანაბარი ხელმისაწვდომობის მიღწევის მთავარ პრინციპს წარმოადგენს საზოგადოებრივი სოლიდარობა: მდიდარი იხდის ღარიბზე, ჯანმრთელი – ავადმყოფზე, ახალგაზრდა – მოხუცზე. სოლიდარობის პრინციპის განხორციელებაში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს.

ჯანდაცვის სისტემა სამართლიანობის და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული:

- ჯანდაცვის მომსახურება არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ მოგებისკენ;
- სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული პაციენტის გადახდისუნარიანობაზე;
- მოსახლეობის ყველა ფენა თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის სტანდარტებით მიუხედავად სოციალური, ეთნიკური, სქესობრივი და ასაკობრივი განსხვავებისა;

- საჭიროა ჯანდაცვის სისტემის ძირითადი ფასეულობების, სამართლიანობის საკითხების იდენტიფიცირება, მის შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი

საქართველოში ჯანდაცვის სფეროში ბოლო 15 წლის განმავლობაში არაერთი რეფორმა განხორციელდა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია 2013 წელს ამოქმედებული საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმა. პროგრამის მიზანია, ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის. 2017 წელს დაიწყო პროგრამით მოსარგებლეთა დიფერენცირება შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრა თანაგადახდის შესაბამისი მექანიზმები. 2022 წლისათვის საქართველოს ჯანდაცვის სექტორის ბრუნვა 3.1 მლრდ. ლარს შეადგენდა და სექტორი მოცავდა:

- სამედიცინო საშუალებების მწარმოებლებს და ექსპორტიორებს;
- მედიკამენტების, სამკურნალო საშუალებების და სამედიცინო მოწყობილობების იმპორტიორებსა და დისტრიბუტორებს;
- ფარმაციის სექტორის მოთამაშეებს;
- ჰოსპიტალურ სექტორს
- სადაზღვევო სექტორს.



დიაგრამა 1. საავადმყოფო-სამედიცინო და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების გადანაწილება რეგიონების მიხედვით 2020წ.

წყარო: https://www.geostat.ge/



დიაგრამა 2. კერძო სადაზღვევო კომპანიების დინამიკა ჯანმრთელობისა და სხვა კატეგორიის პოლისების მიხედვით 2016-2021წ.

წყარო: https://www.insurance.gov.ge/

ჯანდაცვის სექტორის გამოწვევები COVID-19 პანდემიის პირობებში

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა ფარმაცევტულ საქონელზე (სამკურნალო საშუალებებზე) და ვაქცინაზე. სამკურნალო საშუალებების და ვაქცინის იმპორტმა ჯამურად 356 მლნ. აშშ დოლარი და 113 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. COVID-19 პანდემიამ საავადმყოფოებში მიმართვიანობა მკვეთრად შეამცირა სხვა დაავადებებზე. 2020 წელს, ჯამურად მიმართვიანობა წინა წელთან შედარებით 42%-ით შემცირდა. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი მოსახლეობის სიფრთხილე შეიძლება იყოს პანდემიის პირობებში. საქართველოში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სასუნთქი სისტემის (33%) და სისხლის მიმოქცევის სისტემისა (10%) დაავადებებით ავადდება.

ექიმები და ექთნები

დიაგრამა 3. ექიმების და ექთნების რაოდენობა 2016-2020 წლებისთვის.

წყარო: https://www.geostat.ge/

საქართველოში სამედიცინო პროფესია პოპულარულია და ქვეყანა მოწინავე პოზიციას იკავებს ექიმებისა და ექთნების ჯამური რაოდენობით, თუმცა აღნიშნულს ერთ სულ მოსახლეზე ექიმების მაღალი რაოდენობა განაპირობებს. საქართველო ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს სამედიცინო პერსონალის რაოდენობით, 12.8 ექიმი და ექთანი 1,000 კაცზე, რაც აღემატება სხვა ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. ქვეყანაში ექიმობა უფრო პრესტიჟულია, ექთნობასთან შედარებით, და ექთნების დეფიციტია.

ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები

ჯანდაცვის სექტორში მნიშვნელოვანი როლი აქვს სახელმწიფოს მონაწილეობას, რაც ამ სფეროს რეგულირებაში, მომსახურების მიწოდებაში (სახელმწიფო საავადმყოფოები) და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაში გამოიხატება. 2003 წელს. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებიდან ყველაზე მეტი თანხა საყოველთაო ჯანდაცვაზე იხარჯება. 2020 წელს 802 მლნ ლარი დაიხარჯა. საქსტატის მონაცემებით, 2013 წლის დასაწყისიდან 2021 წლის თებერვლამდე ჯანმრთელობის დაცვა 58%-ით გაძვირდა.



დიაგრამა 5. ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. წყარო: https://forbes.ge/saqarthvelos-jandatsvis-seqtori-ritskhvebshi/

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა, ათასი	12.8	13.8	15.1	16.0	18.0	19.0	21.0
ექიმების რიცხოვნობა, ათასი	22.9	26.6	27.4	31.0	32.0	25.0	23.0
მათ შორის სტომატოლოგები	2.1	2.4	2.2	2.6	2.4	2.5	2.5

საექთნო პერსონალის რიცხოვნობა, ათასი	16.4	17.6	18.0	18.0	20.0	22.0	22.0
ექიმთან მიმართვების რიცხვი, ათასი	13 243.9	13 079.0	11 493.4	12 260.7	13 469.6	13 686.4	15 003.4

ცხრილი 1. წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/54/jandatsva

რეფორმები

2023 წლის პირველი იანვრიდან, ექიმებისა და ექთნების მინიმალური საათობრივი ანაზღაურება დაწესდა. ექიმების მინიმალური ანაზღაურება საათში 7 ლარით, ექთნების კი საათში 4.4 ლარით განისაზღვრა. რეფორმის შედეგად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში სტაციონარული კომპონენტით ჩართული ყველა კლინიკა ვალდებულია ექიმებისა და ექთნების სახელფასო ანაზღაურება, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მინიმალური ზღვრის გათვალისწინებით დაადგინოს. ექიმებისა და ექთნების სახელფასო ანაზღაურების მინიმალური ზღვარი, მომდევნო წლებში ეტაპობრივად გაიზრდება. 2025 წლისთვის, ექიმის მინიმალური ანაზღაურება საათში - 9 ლარი, ექთნის კი 5.6 ლარი გახდება. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დასაქმებულის მოტივაციისა და პროდუქტიულობის გაზრდას, ასევე გააუმჯობესებს დასაქმებულთა სამუშაო პირობებსა და სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ახალი სახელფასო სისტემის დანერგვის შედეგად, მინიმალური ანაზღაურება შემდეგია:

- ექიმი - საათში 9 ლარი, რაც ყოველთვიურად 1 620 ლარია.
- უმცროსი ექიმი - საათში 6 ლარი, თვეში კი - 1 080 ლარი.
- ექთანი - საათში - 5.75 ლარი, თვეში - 1035 ლარი.
- ექთნის დამხმარე - საათში 3 ლარი, თვეში - 540 ლარი.
- სანიტარი - საათში 2.80 ლარი, თვეში - 504 ლარი.

მნიშვნელოვანია ასევე მედიკამენტებზე რეფერენტული ფასების დაწესება. 15 თებერვლიდან ამოქმედდა რეფერენტული ფასები. შედეგად, ფარმაცევტულ კომპანიებს წამლების გაყიდვა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ფასებზე ძვირად აღარ შეეძლებათ. მედიკამენტები საშუალოდ 40%-მდე გაიფდება. პირველ ეტაპზე ზღვრული ფასი 1300-ზე მეტ ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტზე დაწესდა. ეტაპობრივად კი სხვა წამლებზე დაწესდება. მედიკამენტების გაიაფების მიზნით, 2022 წლის იანვარში გაიხსნა თურქეთის ფარმაცევტული ბაზარი, რის შედეგადაც წამლის ფასი 60-70%-ით შემცირდა. გაიაფება შეეხო 400-მდე მოთხოვნად მედიკამენტს, რის შედეგადაც მოსახლეობა წამლებში წლიურად 200 მილიონ ლარამდე თანხას ზოგავს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის სექტორი ეკონომიკის სპეციფიკური დარგია. ეს სპეციფიკა განაპირობებს სამედიცინო ბაზარზე ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებულ ფორმებს, რაც მოითხ-

ოვს სათანადო რეგულირების მექანიზმების შემუშავებას. ჯანდაცვის მომსახურება არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ მოგებისკენ. სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული პაციენტის გადახდისუნარიანობაზე. მოსახლეობის ყველა ფენა თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხით.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, როგორც ვიცით ჯანდაცვის სფეროს დანახარჯები დიდწილად მიემართება უცხოეთში, პაციენტები ცდილობენ საჭირო სამედიცინო მომსახურება უცხო ქვეყანაში მიიღონ. ჩემი აზრით, საქართველოს სამედიცინო ბიზნესმა უნდა გაზარდოს სანდოობა ქვეყანა და შეძლოს სათანადო, მაღალი ხარისხის მომსახურება გაუწიოს მომხმარებელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სტატია: არის თუ არა სამედიცინო ბაზარი ჩვეულებრივი ბაზარი? ავტორი: თენგიზ ვერულავა. 19.02.2016 https://idfi.ge/ge/is-medical-market-a-regular-market
2. სტატია: საქართველოს ჯანდაცვის სექტორის ანალიზი. ავტორი: ანასტასია შკამარიდინა; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: 19.04.2022 https://geoeconomics.ge/?p=14436
3. სტატია: რა მოგებაზე მუშაობს სამედიცინო ბიზნესი საქართველოში? ავტორი: ბელა გელაშვილი; 26.04.2020 https://report.ge/economics/ra-mogebaze-mushaobs-sameditsino-biznesi-sakartveloshi/
4. სტატია: საქართველოს ჯანდაცვის სექტორი რიცხვებში. ავტორი: ბესო მანჩავაძე; 04.05.2021 https://forbes.ge/saqarthvelos-jandatsvis-seqtori-ritskhvebshi/
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სტატისტიკური ინფორმაცია: ჯანდაცვა https://www.geostat.ge/ka/modules/categories/54/jandatsva
6. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი; მედიკამენტებზე რეფერენტული ფასწარმოქმნის პოლიტიკა საქართველოში; 27.10.2022 https://www.moh.gov.ge/ka/news/7121/-medikamentebze-referentuli-faswarmoqmnis-politika-saqarTveloSi

ინკლუზიური ბიზნესი

ანანო საყვარელიძე

გლობალიზაციის პროცესი ობიექტურად განაპირობებს ეკონომიკური სისტემის და საქმიანი კულტურის ტრანსფორმაციას, რამაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნა უნდა უზრუნველყოს. ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებს შორის მეცნიერების განსაკუთრებულ ყურადღებას ინკლუზიური ბისნესის ფენომენი იმსახურებს. სპეციალურ ლიტერატურაში ინკლუზიური ბიზნესი შედარებით ახალი ცნებაა, პირველად ის გამოყენებულ იქნა 2005 წელს ჟენევაში გამართულ ბიზნესის მდგადი განვითარების მსოფლიო საბჭოზე. ეკონომიკური ზრდის შედეგების მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე გადანაწილება, მხოლოდ სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტებით ვერ მოხერხდება. ამისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ღირებულების შექმნის ჯაჭვში ჩართვას აქვს, რაც მხოლოდ ბიზნესის განსაკუთრებულ მოდელებს შეუძლიათ უზრუნველყონ. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებამ მრავალჯერ დაადასტურა, რომ იმ კომპანიებს, რომლებიც საქმიანობის დაგეგმვისას დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ინტერესებზე ფოკუსირდებიან, შეუძლიათ მოიპოვონ არსებითი კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე და მიიღონ საშუალოზე მაღალი მოგება. ამრიგად, ინკლუზიური ბიზნესი კომერციული და სოციალური მიზნების ეფექტიან შეხამებას ეფუძნება.

ინკლუზიური ბიზნესი არის ბიზნესის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურად დაუცველი ადამიანების ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობას - შემოსავლის სტაბილურ და საკმარის წყაროზე, ძირითად საქონელსა და მომსახურებაზე, ან ღირებულ კრედიტებსა და სესხებზე წვდომის გამარტივებით. ამ მიზნის მისაღწევად, ინკლუზიური ბიზნესი აბალანსებს სოციალურ მოსაზრებებს მომგებიანობის მიზნებთან.

ინკლუზიური ბიზნესის ფენომენი ინკლუზიური ბიზნესი ორიენტირებულია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ღირებულების შექმნის ჯაჭვში ჩართვაზე. ინკლუზიური ბიზნესი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის, მეორე მხრივ კი ქმნის ფასეულობას წარმოებული საქონლისა და მომსახურების სახით. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვში შესაძლებელია ჩაერთოს, როგორც მოთხოვნის (მომხმარებელი), ისევე მიწოდების მხრიდან (მიმწოდებელი, თანამშრომელი, მეწარმე). ინკლუზიურ ბიზნესს გააჩნია გარკვეული თავისებურებები:

• სოციალური და კომერციული მიზნების სინერგიული შეთავსება: ინკლუზიური ბიზნესით დაკავებული კომპანიის მთავარი მისია - სიღარიბის და სოციალური პრობლემების შემსუბუქება, მომგებიანი საქმიანობით ხორციელდება. რაც უფრო მეტი სარგებელი მოაქვს კომპანიას საზოგადოებისათვის, მით მეტ რესურსებს, ინვესტიციებსა და დაკვეთებს იღებს. ამ დროს მოგებული რჩება არა მხოლოდ კომპანია, არამედ მთლიანად საზოგადოება;

• სტაბილური სოციალური პერსპექტივა: ინკლუზიურ ბიზნესში დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა გვევლინება ბიზნესის მონაწილედ (პარტნიორი, თანამშრომლი, მომხმარებელი, მიმწოდებელი) და არა დახმარების ან ქველმოქმედების მიმღებად. ინკლუზიური ბიზნესი ორიენტირებულია ხელმოკლე მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის სტაბილურ, გრძელვადიან გაუმჯობესებაზე და არა ერთჯერად დახმარებაზე;

• ინოვაციურობა: ინკლუზიური ბიზნესი მიზნების მიღწევისათვის უმეტესად ახალ, უნიკალურ მიდგომებს ეყრდნობა. ამ დროს კომპანიის მიზნები მიიღწევა ეკონომიკური და სოციალური რესურსების განსაკუთრებული კომბინაციით, რომელიც ადრე ასეთი სახით არ გამოიყენებოდა.

გარემოზე ზრუნვა: ინკლუზიურ ბიზნესი უმეტესად ორიენტირებულია რესურსებისრაციონალურგამოყენებაზე, რაც დანახარჯების შემცირებისთან ერთად ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებაა. აქცენტი გადატანილია ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე, ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებაზე, პროდუქციის შეფუთვის გამარტივებასა და ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენებაზე.

ინკლუზიური ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები

ინკლუზიური ბიზნესის განვითარების მიმართულებით როგორც შესაძლებლობები, ასევე სირთულეები, ძალზე ბევრია. შეიძლება გამოიყოს ხუთი ძირითადი მიმართულება, რომლის გამოც კომპანიები ერიდებიან ხელმოკლე მოსახლეობასთან საქმის დაჭერას:

• **შეზღუდული ინფორმაცია ბაზრების შესახებ**. მეწარმეებმა ძალიან ცოტა იციან ღარიბების შესახებ, მათ შორის - სამომხმარებლო მისწრაფებები, ფინანსური შესაძლებლობები, მათი, როგორც დაქირავებული მუშაკის, მწარმოებლის, მეწარმის მახასიათებლები;

• **არაეფექტიანი რეგულირება**. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებზე ხშირად არ არსებობს მარეგულირებელი მექანიზმები, რაც ბიზნესის ფუნქციონირებას უსაფრთხოს გახდიდა. არ არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი ნორმების და ხელშეკრულების პირობების დაცვა;

• **განუვითარებელი ინფრასტრუქტურა**. ტრანსპორტით, წყლით, ელექტროენერგიითა და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფის სისტემის განუვითარებლობა;

• **ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობა**. დაბალშემოსავლიანმა მომხმარებელმა შესაძლოა არ იცოდეს სხვადასხა პროდუქტის უპირატესობები ან მისი გამოყენება, არ გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია საწარმოო პროცესში ჩასართავად.

• **შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსურ მომსახურებაზე**. საბანკო კრედიტის შეზღუდულობა მკვეთრად ამცირებს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის შესაძლებლობებს განახორციელოს ინვესტიციები ან მსხვილი შესყიდვები. საბანკო ანგარიშსწორების სისტემის ხელმიუწვდომლობა ზრდის გარიგების განხორციელების დანახარჯებს და რისკს. მაგრამ, საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე ემატება კიდევ სხვა პრობლემები და სხვა ბარიერები. ერთ-ერთი დაკავშირებულია ბინადრობის ადგილთან. ღარიბთა უმრავლესობა საქართველოს დეპრესიულ – სამცხე-ჯავახეთი, მთა-თუშეთი, ხევსურეთი,

მთიულეთი, ზემო სვანეთი და ა.შ. ცხოვრობენ. ეს ადგილები ნაკლებ დასახლებული და მიუდგომელია. ბიზნესს ვერ აიძულებ ამ ადგილებში მისვლას, მანამ იქ არ შეიქმნება ბიზნესისთვის საჭირო პრეფერენციები.

ინკლუზიური ბიზსნესის სტრატეგიები

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე მომუშავე კომპანიების რიცხვი უფრო და უფრო იზრდება. კომპანიები დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე არსებულ დაბრკოლებებს თავს ართმევენ სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით. შეიძლება გამოვყოთ ხუთი ძირითადი სტრატეგია.

პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია გულისხმობს საბაზრო ბარიერების გადალახვას ახალი ტექნოლოგიების და ბიზნესპროცესების რეორგანიზების გზით. თანამედროვე-საინფორმაციო ტექნოლოგიები იძლევა ასეთი ადაპტაციის საშუალებას, მათ შორის - მობილური ბანკინგი, სმარტ ბარათები, ტელემედიცინა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დისტანციური მომსახურება.

ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად შეიძლება განხორციელდეს როგორც საკუთარი რესურსებით, ასევე თანადაფინანსებით. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის ჩავარდნის დაძლევა, როგორც წესი, მთავრობის საქმიანობის სფეროდ მიიჩნევა, ხშირად ინკლუზიური ბიზნესის მოდელით მომუშავე კომპანიები თავად წყვეტენ ასეთ ამოცანებს. ასეთმა ინვესტიციებმა შეიძლება უზრუნველყოს როგორც საზოგადოებრივი, ასევე კერძო უპირატესობები.

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეების გამოყენება, მათი ბიზნესში უშუალო ჩართვით ან სოციალური ქსელების მეშვეობით, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა. ხელმოკლე მოსახლეობის ბაზრებზე ბიზნესის წარმატებისათვის უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების ცოდნა და ნდობა. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ხელმოკლე მოსახლეობის აქტიური ჩართვით ბიზნესში, იქნება ეს ბაზრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, პროდუქტის აწყობა და შეკეთება, მომარაგება თუ სწავლება.გარდა ამისა, ხშირად თავად ხელმოკლე ადამიანებს უჩდებათ ინოვაციური იდეები ახალი საქონლისა ან მომსახურების შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც უკეთ დააკმაყოფილებს ღარიბი მოსახლეობის მოთხონილებებს.

სტრატეგიული ალიანსების ფორმირებით ინკლუზიურ ბიზნესს შეუძლია მიიღოს ის რესურსები და შესაძლებლობები, რომლებიც საწარმოს დამოუკიდებლად არ გააჩნია. ალიანსი შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს: დაპატენტებულ ტექნოლოგიებზე ლიცენზიების გაცვლის, საწარმოო სიმძლავრეების ერთობლივი გამოყენების, კვლევების ერთობლივი დაფინანსების,პარტნიორის პროდუქციის გასაღების საკუთარი ქსელების მეშვეობით და ა.შ. სტრატეგიული ალიანსები იქმნება როგორც საპასუხო რეაქცია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებისათვის დამახასიათებელ სირთულეებზე.

დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა,ხელმოკლე მოსახლეობასთან ბიზნესის წარმოებისას. ეს რთული და ხანგძლივი პროცესია, რომელში მონაწილეობითაც ბიზნესს შეუძლია მთავრობას მიაწოდოს სასარგებლო ინფორმაცია არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე.

ხშირად ასეთ დიალოგს შეიძლება მარეგულირებელი ნორმების გამყარებაც მოჰყვეს, რაც ხელმოკლე მოსახლეობის ბაზრებზე ბიზნესის წარმოებას გაამარტივებს.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ფერმერთა გაერთიანებაა, რომელიც დაარსდა 1994 წელს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გარემოსდაცვას მდგრადი ბიომეურნეობების განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით-.დღეისათვის ასოციაცია აერთიანებს 2500-ზე მეტ ფერმერს. „ელკანა“ ეწევა სამრჩევლო მომსახურებას და ატარებს ტრენინგ-კურსებს ფერმერთა ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის. „პურის ფესტივალი“ ერთდღიანი ღონისძიებაა, რომელიც „ელკანას“ ინიციატივით იმართება ახალციხეში. ფესტივალის მიზანია ხორბლის ადგილობრივი ჯიშების აღდგენა-პოპულარიზაცია, ამ საქმიანობაში რაც შეიძლება მეტი ფერმერის ჩართვა და ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვა/გასაღების მოკლე, თანამშრომლობითი ჯაჭვების წარმოჩენა-წახალისება. ფესტივალი მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს. ფესტივალის სტუმრები ეცნობიან ხორბლის ენდემურ სახეობებს და ადგილობრივ ჯიშებს, მათი მნიშვნელობასა და მოვლა-მოყვანის წესებს, აგემოვნებენ ადგილზე გამომცხვარ სხვადასხვა სახეობის ხორბლის პურს, ადგილობრივ პროდუქტებსა და სამცხე-ჯავახეთის ტრადიციულ კერძებს. ფესტივალზე იმართება ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქტების, ასევე ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და სხვა საინტერესო ღონისძიებები.

ასევე მინდა განვიხილო ინკლუზიური ბიზნესზე ქართული კომპანიის ქეისი.

შპს ბეღელი არის ქართული კომერციული კომპანია, რომელიც ყიდის და ავრცელებს ადგილობრივ ბიოპროდუქტებს. იგი დაარსდა 2005 წელს შპს ქართული ხილი და ბოსტნეულისა და ბიოლოგიური მეურნეობის ასოციაციის ელკანას მიერ. ბეღელი ემსახურება ელკანას წევრებს, როგორც პირდაპირი მარკეტინგისა და დისტრიბუციის არხი, ეხმარება მათ თავიდან აიცილონ ძვირადღირებული შუამავლები. ბეღელი არის პლაცდარმი ელკანას წევრებისათვის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომისათვის და პოტენციური შემოსავლის გაზრდისთვის. ბეღელი ავრცელებს თავის პროდუქტებს სატელევიზიო გადაცემების, გამოფენების, საკვების დეგუსტაციის, ბუკლეტებისა და ეკლესიების საშუალებით. სამიზნე მომხმარებლები ძირითადად ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევრები არიან, რომლებიც წარმოადგენენ ქართველ საშუალო ფენას და ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელებს. ბეღელი ყიდის თავის პროდუქტებს სუპერმარკეტებისა და კერძო შეკვეთების საშუალებით. ელკანა ეხმარება ბეღელს მიზნების მიღწევაში, მხარს უჭერს მის წევრებს სხვადასხვა ჯიშის კულტურების, ხილისა და ბოსტნეულის მდგრადი წარმოების გაზრდაში. ბეღელმა შეძლო შეეცვალა 400-ზე მეტი ფერმერის ცხოვრება მათთვის შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობების მინიჭებით.ბეღელის მიერ დაწინაურებულმა ორგანულმა მეურნეობამ საგრძნობლად გააუმჯობესა მიწის ხარისხი და პროდუქტიულობა, რაც ზრდის ხარისხიანი თესლის პროდუქტიულობას, რაც თავის მხრივ ზრდის მომხმარებელთა ჯანმრთელობის სარგებელს. ბეღელის სამომავლო გეგმაა საექსპორტო ბაზრის პროცენტული ზრდა.

ამრიგად ინკლუზიურ მოდელს ბიზნესისათვის მოაქვს არა მარტო მოგება და მაღალი შემოსავლები, ის ასევე უზრუნველყოფსახალი მომხმარებლის მოზიდვას, დასაქმების ზრდას, პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის არხების გაძლიერებას. დაბალი შემოსავლების ადამიანებს ინკლუზიურიბიზნესი საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილონ ძირი-

თადისაჭიროებები, მოიპოვონ სტაბილური შემოსავალი და აამაღლონ პროდუქტიულობა. გარდა ამისა, ინკლუზიური ბიზნესის მოდელი უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე დადებითი ძვრები თავისთავად ემსახურება ინკლუზიური ბიზნესის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://breadfestival.ge/photo/11
2. https://elkana.org.ge/articlebycategory/5
3. https://www.eugb.ge/uploads/content/N3/3-11.pdf
4. https://info.undp.org/docs/pdc/Documents/SVK/00057199_GIM%20Report%20Laid%20out2.pdf

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის აქტუალური საკითხები, სტუდენტი

ნინო სიდამონიძე

სტატიის მიზანია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის აქტუალური საკითხების განხილვა. ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობისა და ფინანსური სტაბილურობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ფინანსური ანგარიშგება მზადდება გარეთ გამოსაქვეყნებლად, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღონ სწორი გადაწყვეტილება მოცემულ საწარმოსთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების შესახებ. დაინტერესებული მხარე შეიძლება იყოს, როგორც საწარმოს შიგნით, ასევე მის გარეთ მყოფი სუბიექტები. შიგნით მყოფი შეიძლება იყვნენ: თანამშრომლები, მენეჯერი და სხვები, გარეთ დაინტერესებული მხარე შეიძლება იყვნენ კონკურენტები, მთავრობა, პოტენციური ინვესტორები და სხვები. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების აქტუალობა მუდამ მაღალია, რადგან მას ბევრი მომხმარებელი ჰყავს, ფინანსური ანგარიშგება გარეთ მყოფ დაინტერესებულ მხარეებს ეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების როლი , ფინანსური ანგარიშგების ელემენტები და კომპონენტები.*

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია მნიშვნელოვანია გარეთ მყოფი მომხმარებლებისათვის და თვით კომპანიის მენეჯმენტისათვის, რადგან იძლევა ინფორმაციას საწარმოთა გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის შესწავლისათვის. ამიტომ, ყველა საწარმო ვალდებულია ფინანსური ანგარიშგება გამოაქვეყნოს, რომლის შემადგენელი ნაწილებია: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი), მოგება/ზარალის ანგარიშგება, ცვლილებები საკუთარ კაპიტალში, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და წერილობითი განმარტებები.

შრომაში განხილულია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები. ასევე, თუ რა არის ფინანსური ანგარიშგება, მისი მიზანი, განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებსა და ელემენტებს. ბოლოს კი მაგალითისთვის შპს „თეგეტა მოტორსის“ ანგარიშგების ძირითად მაჩვენებლებს.

1. ფინანსური ანგარიშგების მიზანი

ფინანსური ანგარიშგების მიზანია გარეთ მყოფ მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია სწორი გადაწყვეტილებების მიღებისთვის, იმისათვის, რომ თითოეული საწარმოს მენეჯმენტმა დაადგინოს, თუ როგორია მისი ფინანსური მდგომარეობა და რამდენად საინტერესოა იგი გარეთ მყოფი პოტენციური ინვესტორებისათვის, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის რეგულარული ანალიზი. ფინანსური ანგარიშგება ეხმარება დაინტერესებულ მხარეებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ყოველ საწარმოს გააჩნია სტრატეგიები, რომლის საშუალებითაც უნდა მიაღწიონ მიზნებს. იმის გასარკვევად, თუ რამდენად სწორი სტრატეგიით მუშაობენ, განიხილავენ მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლებს. ერთმანეთს უდარებენ მიმდინარე და წინა წლების ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლებს და აკეთებენ შესაბამის დასკვნებს. პირველ რიგში, განვიხილავთ, თუ რას მოიცავს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საკითხები.

„ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (შემდგომში, კონცეპტუალური საფუძვლები) აღწერილია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანი და კონცეფციები. კონცეპტუალური საფუძვლების მიზანია, დაეხმაროს:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (საბჭო) ისეთი ფასს სტანდარტების შემუშავებაში, რომლებიც ეყრდნობა ურთიერთთავსებად და თანმიმდევრულ კონცეფციებს;

ბ) ფინანსური ანგარიშგების მომამზადებლებს თანამიმდევრული და თავსებადი საღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრაში იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტულ ოპერაციას ან სხვა მოვლენას არ ეხება არც ერთი სტანდარტი, ან რომელიმე სტანდარტი საწარმოს საღრიცხვო პოლიტიკის არჩევის შესაძლებლობას აძლევს;

გ) ნებისმიერ მხარეს ეხმარება სტანდარტების გაგებასა და ინტერპრეტაციაში.”

ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელთა სისტემა, სადაც აისახება კომპანიის მიერ შეძენილი აქტივები, ვალდებულებები, კომპანიის საკუთარი კაპიტალი და აქედან გამომდინარე, საბოლოო შედეგი მოგება ან ზარალი. ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს წარდგენილი კონკრეტულ დროს, რომელშიც ინფორმაცია მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემრის ჩათვლით პერიოდს. ფინანსური ანგარიშგება, კომპანიისათვის და მისი პატნიორებისათვის აუცილებელია ამა თუ იმ საწარმოს სტაბილურობის შეფასებისათვის.

„ფინანსური ანგარიშგება არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მის მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების მიზანია მომხმარებელთა ფართო წრისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების, საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.“

კომპანიები ფინანსურ ანგარიშგებას აწვდიან, როგორც კომპანიის შიდა, ასევე გარე დაინტერესებულ მხარეებს. მაგალითად, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შიდა მომხმარებლები არიან: მენეჯერები, დასაქმებული პირები და სხვები. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლები: კონკურენტები, თანამშრომელი კომპანიები, მთავრობა და საზოგადოება. თითოეული მომხმარებლისთვის კომპანიის ფინანსური ინფორმაცია სხვადასხვა მიზეზის გამო წარმოადგენს დაინტერესების სფეროს, რადგან მათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება. მაგალითად, თანამშრომლებისთვის ინტერესის სფეროს იმიტომ წარმოადგენს, რომ განსაზღვრონ ელოდებათ თუ არა მომავალში ხელფასის ზრდა ან რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს, რომელიც მათზე ზეგავლენას მოახდენს. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია გარე მომხმარებლებისათვის

სხვადასხვა მიზეზის გამო წარმოადგენს ინტერესის სფეროს, მაგალითად კონკურენტების ინტერესის სფეროს წარმოადგენს, ერთ-ერთი მიზეზით, რომ დააკვირდნენ, რაიმე განსხვავებული ხომ არ არის მათთან შედარებით, რაც მათ მეტად კონკურენტულს ხდის და აქედან გამომდინარე, იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

"ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანია არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მიაწოდოს ისეთი ფინანსური ინფორმაცია, რომელიც გამოადგებათ მოცემული საწარმოსთვის რესურსების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ გადაწყვეტილებებში შედის გადაწყვეტილებები:

(ა) წილობრივი და სავალო ინსტრუმენტების ყიდვის, გაყიდვის ან შენარჩუნების თაობაზე;

(ბ) სესხებისა და სხვა ფორმის კრედიტების გაცემის ან დაფარვის შესახებ;

(გ) ან ხმის უფლების გამოყენებით ან სხვა ფორმით ზემოქმედების შესახებ, ხელმძღვანელობის ისეთ ქმედებებზე, რომლებიც გავლენას ახდენს საწარმოს ეკონომიკური რესურსების გამოყენებაზე."

2. ფინანსური ანგარიშგების ელემენტები და კომპონენტები.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას დიდი ყურადღება ექცევა მის შინაარსს, თუ რას მოიცავს, რამდენად სწორად არის მომზადებული და წარდგენილი.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია: აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები.

პირველ რიგში, განვიხილოთ აქტივები. საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციები აისახება აქტივებში, იმ შემთხვევაში, თუ ეს ოპერაციები ეხება ფულს, რომელიც მიიღო საწამომ ან გავიდა საწარმოდან, დებიტორულ დავალიანებას, შენობას, აღჭურვილობას, მანქანას და სხვებს. აქტივობები აისახება ვალდებულებებში, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას სხვა კომპანიის მიმართ გააჩნია რაიმე ვალდებულება. საკუთარი კაპიტალი არის აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები. საკუთარი კაპიტალის ცვლილებას იწვევს, მაგალითად, კომპანიის მიერ მიღებული მოგება და სხვა, საკუთარ კაპიტალში აისახება საწესდებო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი და სარეზერვო კაპიტალი. შემოსავლებში იწერება თანხა, რომელიც შემოდის გაყიდული პროდუქციიდან, ხოლო ხარჯი, რომელიც აქვს კომპანიას, მაგალითად პროდუქციის ყიდვისას. დარიცხვის მეთოდით ხარჯი და შემოსავლები შეიძლება აღიარდეს, იმ შემთხვევაშიც, თუ პროდუქცია გაყიდული ან მიღებულია, თუმცა ფული ჯერ არ არის მიღებული პროდუქციის გაყიდვისას, ამ შემთხვევაში, აღიარდება შემოსავლად, თუ კომპანიის მხრიდან არის გადასახდელი, ამ შემთხვევაში აღიარდება ხარჯად.

„ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება პერიოდის დასასრულისათვის (ბუღალტრული ბალანსი);

2. პერიოდის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ);
3. პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
4. პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
5. განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.“

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს აქვთ გარკვეული დანიშნულება. **ბუღალტრული ბალანსის** დანიშნულებაა, პერიოდის ბოლოსთვის კომპანიას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა სახის და რა მოცულობის აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი გააჩნია მას.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების დანიშნულებაა აღწეროს კომპანიის შემოსავლები და ხარჯები. **პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების** დანიშნულებაა კომპანიის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების აღწერა. **პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში** აღწერილია ფულადი ნაკადების მოძრაობა, როგორიცაა: შემოსავლები, ხარჯები, დებიტორული დავალიანებები, ვალდებულებები, წინასწარ გაწეული ხარჯები, წინასწარ მიღებული შემოსავლები. **განმარტებითი შენიშვნების** დანიშნულებაა განხილული იყოს სააღრიცხვო პოლიტიკა, განმარტებები სხვადასხვა საქმიანობის.

„ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ დაჯგუფებას **ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს** უწოდებენ. ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია: აქტივები; ვალდებულებები; საკუთარი კაპიტალი; შემოსავლები; ხარჯები. ფინანსური ანგარიშგების პირველი სამი ელემენტი, რომელიც საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების საშუალებას იძლევა, ბუღალტრულ ბალანსში აისახება. მაშასადამე, აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი **ბუღალტრული ბალანსის ელემენტებია**. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება სწორედ ბუღალტრული ბალანსის, მისი ელემენტების საფუძველზე ხდება.

პერიოდის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის (მოგებისა და ზარალის) ანგარიშგების ელემენტებს შემოსავლები და ხარჯები წარმოადგენენ. ისინი ასახავენ სამეურნეო საქმიანობაში მომხდარ ოპერაციებსა და მოვლენებს, რომლებმაც დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში გავლენა იქონიეს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის ცვლილებები განაპირობეს. საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების ერთმანეთთან დაპირისპირება საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, რომელიც მოგების ან ზარალის სახით წარმოგვიდგება.“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება სამ განაყოფს მოიცავს: საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადები, საინვესტიციო საქმიანობიდან და საფინანსო საქმიანობიდან.

ცვლილებები საკუთარ კაპიტალში არის, როდესაც კომპანია წილს მიიღებს ან მოგებას ან ისეთი აქტივობა განხორციელდება, რის შემდეგაც იცვლება საკუთარი კაპიტალი.

3. ფინანსური ანგარიშგების ზოგადი ანალიზი

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია ანგარიშგების ყოველ მაჩვენებელს სწორად უნდა ასახავდეს, როგორიცაა: მაგალითად, აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი და სხვ.

მოცემულ სტატიაში განვიხილეთ და გავეცანით ფინანსური ანგარიშგების ზოგადი ანალიზის საკითხებს. მაგალითისთვის გავეცნოთ შპს „თეგეტა მოტორსის“ ანგარიშგებას 2020-2021 წლებისათვის.

ცხრილი 1. საანალიზო საწარმოს ძირითადი მაჩვენებლები 2020-2021 წწ. (ათ.ლ)

მაჩვენებლები	2020	2021	გადახრა
1. აქტივები 2. საკუთარი კაპიტალი 3. ვალდებულებები	311,274 108,268 203,006	283,867 63,613 220,254	-27407 -44655 17248
ჯამი	**622548**	**567734**	**364186**
4. საერთო მოგება 5.საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება 6.მოგება დაბეგვრამდე 7. წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან 8. წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან 9. წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	90,792 41,488 16,072 20,117 (26,050) 7,355	35,672 23,527 1,911 50,959 (27,377) (28,699)	-55120 -17961 -14161 30842 -53427 -36054

როგორც ცხრილის ინფომაციიდან ჩანს, 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, აქტივები 55 ათასი ლარით შემცირდა. აგრეთვე შემცირებულია მოგების მაჩვენებლები, რაც არასასურველია. მოგება დაბეგვრამდე, ანუ წლიური მოგება 88%-ით (14161 /16072) შემცირდა, რაც ასევე არასასურველი მოვლენაა. 2021 წელს, წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან 30842 ლარით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს, მაგრამ, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან არსებულმა ფულის დეფიციტმა (89481 ათ. ლ) გადააჭარბა დადებით ფულად ნაკადს 30850 ლარით, რაც ასევე უარყოფითი მოვლენაა. მაშასადამე, კომპანიას არ გააჩნია საკუთარი ფულადი აქტივი.

დასკვნა

ამრიგად, მოცემულ სტატიაში განხილულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის აქტუალური საკითხები. საკითხების აქტუალობა გამომდინარეობს ფინანსური ანგარიშგების აქტუალობიდან. ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვანია არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის, რათა მიიღონ გადაწყვეტილება ამა თუ იმ კომპანიის აქციების შესყიდვის შესახებ. ასევე, ფინანსური ანგარიშგება დაინტრესებულ მხარეებს ეხმარება მნიშვნელოვანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

შრომაში განხილულია შპს „თეგეტა მოტორსის" ფინანსური ანგარიშგება, რომლის აქტივები 2021 წელს, წინა წელთან შედარებით შემცირებულია 27407 ლარით, საკუთარი კაპიტალი 44655-ით, ვალდებულებები გაიზარდა 17248-ით, საერთო მოგება შემცირდა 55120-ით, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება შემცირდა 17961 ლარით, მოგება დაბეგვრამდე შემცირდა 14161-ით, წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო მოგებიდან გაიზარდა 30842-ით, წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან შემცირდა 53427-ით, წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან 36054-ით შემცირდა. რაც არასასურველი მოვლენაა.

მაშასადამე, საანალიზო კომპანიის მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ისეთი გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელენე ხარაბაძე-ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/bugadsaf.pdf?fbclid=IwAR2V9TBO6nhK-SjZRyEH7mCRout40kTiBcfqvvIp4xnbYaukZOFSx_F7K8M
2. იზოლდა ჭილაძე- ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი) https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/finans.analiz.pdf
3. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები file:///C:/Users/User/Downloads/651-%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%A2.-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf
4. 4-ბუღალტრული აღრიცხვა
5. https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/4%20-%20%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90.pdf
6. შპს „თეგეტა მოტორსის" ანგარიშგება, წყარო ანგარიშგების პორტალი. https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/43532

საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე

მარიამ ტალახაძე

ეკონომიკის თანამედროვე ტენდეციებმა განაპირობა მეწარმეობის როლის წინ წამოწევა, ამიტომ მნიშვნელოვანია მეწარმეობის განვითარება, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა აუცილებელია სათანადო საგადასახადო პოლიტიკის გატარება. იგი მოიცავს, როგორც საგადასახადო ღონისძიებების გატარებას, ისე ფინანსური დახმარებას, ტექნიკურ მხარდაჭერასა და ინოვაციათა დანერგვას.

მეწარმეობის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის განვითარება საშუალებას იძლევა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და გაუმჯობესდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. რაციონალური საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო სისტემის ეფექტური მუშაობა ქვეყნის გამართული ეკონომიკური სისტემის საწინდარია.

საგადასახადო პოლიტიკის ევოლუცია

გადასახადების საშუალებით ხორციელდება ფინანსური რესურსებით სახელმწიფოს უზრუნველყოფა, სწორედ ამიტომ მის განვითარებას დიდი ხნის ისტორია აქვს. კაცობრიობის განვითარების საწყის ეტაპებზე გადასახადები იკრიბებოდა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს, მოგვიანებით კი გადასახადები მუდმივი გახდა, რადგან საჭირო იყო ჯარისა და მმართველთა ფინანსური უზრუნველყოფა. საგადასახადო სისტემა კი ცოტა მოგვიანებით, სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარებისას ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადები უძველესი დროიდან იყო დაწესებული, არ არსებობდა ერთიანი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც გადასახადები განსაზღვრული იქნებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. გადასახადების აღება ძირითადად ხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ სპეციალურად მოწვეული მოსამსახურეების ან რიგითი მოქალაქეების მიერ, რომლებსაც ძირითადად არ გააჩნდათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

საუკუნეების განმავლობაში, მეცნიერთა მიერ უამრავი თეორია ჩამოყალიბდა გადასახადებსა და საგადასახადო სისტემის გავლენის შესახებ. ამ მეცნიერთა შორის იყვნენ: იბნ ხალდუნი, უილიამ პეტი, ადამ სმითი, დევიდ რიკარდო, რობერტ კინგი, რიჩარდ მასგრეივსი და სხვები.

რაც შეეხება საქართველს, აქ გადასახადები შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. არსებობდა სხვადასხვა სახის გადასახადები: „ღალა (მიწაზე მომუშავე გლეხებისაგან ფეოდალისთვის გადახდილი გადასახადი, კულუხი (ღვინით გადასახადი), მე-13 საუკუნეში არსებობდა სურსათის გადასახადი.“[1] მონღოლების მიერ დაწესებული მალის გადასახადი, მიწის გადასახადი- კაბალა და სხვა. მე-18 საუკუნემდე გადასახადები უმეტესწილად ნატურალური ფორმით იყო წარმოდგენილი. მე-20 საუკუნეში გადასახადთა ფორმა შეიცვა-

[1] ერქომაიშვილი გ. ხარაიშვილი ე. 2011

ლა და ძირითადად წარმოდგენილი იყო ფულადი სახით. 1991-1992 წლებში, როცა იწყებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, საფუძველი ჩაეყარა საგადასახადო სისტემის შექმნას. იმ პერიოდში არსებობდა ბრუნვის გადასახადი და გაყიდვების გადასახადი დღგ-სა და აქციზის ჩათვლით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში გადასახადებს ერთიანი კანონის სახე არ ქონდა, რადგან ისინი სხვა კანონქვემდებარე აქტებით რეგულირდებოდა.[1] 1998-2004 წლებში ამოქმედდა პირველი საგადასახადო კოდექსი. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა 21 სახის გადასახადი; შემუშავდა გადასახადების გაანგარიშების მეთოდები და წესები. საგადასახადო კოდექსი მუდმივად განიცდიდა ცვლილებას, საჭირო იყო მისი დახვეწა. 2005 წელს განხორციელდა ცვლილებები, როგორიცაა გადასახადების რაოდენობის შემცირება 21-დან 6-მდე და დაბეგვრის ობიექტების ცვლილება. 2011 წელს კი ახალი საგადასახადო კოდექსი შეიქმნა, რომელიც დღესაც მოქმედია, პერიდულად ხდება მისი განახლება.

გადასახადის სახეები საქართველოში

გადასახადი არის საგადასახადო კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.[2] საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად განისაზღვება 6 ძირითადი გადასახადი, საიდანაც ხუთი საერთო-სახელმწიფოებრივია და თავს იყრის ქვეყნის ბიუჯეტში. 1 გადასახადი კი ადგილობრივი გადასახადია და თავს იყრის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში. არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები. პირდაპირი გადასახადები დაწესებულია პირად ქონებაზე ან შემოსავალზე. რაც შეეხება არაპირდაპირ გადასახადებს, ისინი შედიან მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ფასში, რაც იწვევს მათი ფასის ზრდას. დღეისათვის მოქმედებს შემდეგი გადასახადები:

1. **საშემოსავლო გასახადი** - გადასახადი, რომელსაც იხდის ფიზიკური პირი (რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოს ტერიტორიაზე) სხვადასხვა სახით მიღებული შემოსავლიდან. საგადასახადო კოდექსით თანახმად, სტანდარტული სახელფასო შემოსავლები იბეგრება 20%-ით, საცხოვრებელი სახლის გაქირავებით მიღებული შემოსავალი 5%-ით. რაც შეეხება სტიპენდიებს, გრანტებსა და პენსიებს, ისინი გათავისუფლებულები არიან საშემოსავლო გადასახადისგან.

2. **მოგების გადასახადი** - გადასახადი, რომელსაც იხდის იურიდიული პირი ეკონომიკური საქმიანობის გაწევისთვის. მოგების გადასახადის განაკვეთია 15%. მოცემული გადასახადისგან თავისუფლდებიან კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვეო ორგანიზაციები.

3. **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)** - არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც დაწესებულია მიწოდებულ საქონელსა ან/და გაწეულ მომსახურებაზე (ფანსამატი), რომელსაც იხდის მომხმარებელი, თუმცა ბიუჯეტში დღგ-ის გადახდის ვალდებულება

[1] ბუკია ი. 2019. 24

[2] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი მე-6

ეკისრება გამყიდველს. საგადასახადო კოდექსის თანახმად, თუ ბიზნესის წლიური ბრუნვა აღემატება 100 000 ლარს, მაშინ სავალდებულოა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირება. თუ ნაკლებია 100 000 ლარზე, მაშინ ნებაყოფლობითია.

4. აქციზის გადასახადი - გადასახადი, რომლითაც იბეგრება ზოგიერთი პროდუქტის სახეობა, მაგალითად: თამბაქოს ნაწარმი, მსუბუქი ავტომობილები, ალკოჰოლური სასმელები. გადასახადის განაკვეთის ოდენობა დამოკიდებულია უშუალოდ პროდუქტის ტიპზე.

5. იმპორტის გადასახადი - აღნიშნული გადასახადი ეხება იმ საქონელს, რომელიც კვეთს ქვეყნის საბაჟო საზღვარს. აღნიშნული გადასახადი ეხება მხოლოდ იმპორტირებულ პროდუქტს და არ ეხება ექსპორტს. გადასახადის განაკვეთები პროდუქტების მიხედვით განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

6. ქონების გადასახადი - ერთადერთი ადგილობრივი გადასახადია, რომლის განაკვეთი ქონების ღირებულების 1%-ს არ აღემატება. კონკრეტულ შემთხვევებში განაკვეთის ოდენობა დამოკიდებულია ქონების ტიპზე, შემოსავლების რაოდენობასა და ქონების მფლობერი პირის სტატუსზე.

2022 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ შეადგინა 17.57 მლრდ ლარი, საიდანაც ყველაზე დიდი წილი (40.9%) მოდის დამატებული ღირებულების გადასახადზე და საშემოსავლო გადასახადზე (31.2%)

საქართველოში 2015 წელს დაიწყო ცვილებები საგადასახადო სფეროში, რომელიც მიზნად ისახავდა მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ შემოღებას. საბოლოოდ იგი 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოში. „ესტონური მოდელი“ მიზნად ისახავდა ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას უმუშევრობის შემცირებასა და ბიზნესის გაფართოებას. აღნიშნული მოდელის არსი მდგომარეობს შემდეგში: კომპანია, რომელიც იღებს მოგებას და ამ თანხას იყენებს რეინვესტირებისთვის და არა დივიდენდების გასაცემად, არ იბეგრება მოგების გადასახადით, ეს კი საშუალებას აძლევს კომპანიებს გააფართოვონ თავიანთი ბიზნესი, დანერგონ ახალი ტექნოლოგიები და წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაში. თავდაპირვლად მოდელის დანერგვას მოჰყვა მოგების გადასახადის შემცირება დაახლოებით 300 მლნ. ლარით, რამაც უარყოფითად იმოქმედა სახელმწიფო ბიუჯეტზე, თუმცა გაიზარდა აქციზის გადასახადი, რათა შემოსულობების მოცულობა დაბალანსებულიყო. სულ რამდენიმე წელია, რაც მოდელი დაინერგა საქრთველოში და მნიშვნელოვნადაა გაზრდილი კომპანიებში რეინვესტირების მოცულობა, კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი და ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოდელი ეფექტიანად მუშაობს, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ „ესტონური მოდელი“ არის ერთადერთი საშუალება, რომლითაც შესაძლებელია მივაღწიოთ ეკონომიკურ ზრდას და გავზარდოთ უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რადგან ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ამ მიზნის მისაღწევად არის სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო და მყარი ეროვნული ვალუტა. ბოლო პერიოდში განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა, როგორიცაა Covid 19 პანდემია და რუსეთ-უკრაინის ომი, ჩვენს ეკონომიკურ გარემოს უქმნის საფრთხეს.

საგადასახადო პოლიტიკის როლი მეწარმეობის განვითარებაში

მეწარმეობის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სიძლიერეზე, რადგან მცირე და საშუალო საწარმოები ხელს უწყობს დასაქმებას და ინოვაციების დანერგვას. 2022წლის მონაცემებით მცირე საწარმოებში 41.2%, ხოლო საშუალო საწარმოებში 19.8%-ია დასაქმებული[1]. იმისათვის, რომ ქვეყანაში წახალისებული იყოს სამეწარმეო საქმიანობა, საჭიროა არსებობდეს მოქნილი საგადასახადო სისტემა, რისთვისაც სახელმწიფო შეიმუშავებს სტრატეგიებს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გადასახადების სახეობები, დაბეგვირს პრინციპები. გარდა ამისა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სფეროებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებას ხდება შეღავათების დაწესება.

ჩვენ ვიცით, რომ მეწარმეთა მიერ მიღებული სარგებლის დაბეგვრით და გადასახადებით ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება, შესაბამისად, მეტი საწარმოს არსებობა, განაპირობებს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, რაც თავის მხრივ მოხმარდება ქვეყნის განვითარებას.

ხელისუფლების მხრიდან ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის შესამუშავებლად აუცილებელია როგორც ქვეყნის შიდა, ისე მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინება. უპირველეს ყოვლისა უნდა შემუშავდეს ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც მეწარმეებზე იქნება მორგებული და დააკისრებს მათ შედარებით დაბალ გადასახადებს, ამავდროულად მობილიზებული იქნება ქვეყნის ბიუჯეტში ოპტიმალური საგადასახადო შემოსავლები. აუცილებელია განსაზღვრული იყოს გადასახადის სიდიდე, რომელიც დაეკისრებათ მეწარმეებს; რაც უფრო მაღალი იქნება გადასახადი, მით უფრო დიდი შანსია იმისა, რომ განვითარდეს ჩრდილოვანი ეკონომიკა, მეწარმეებმა უარი თქვან გადასახადების გადახდაზე, სამეწარმეო საქმიანობამ შეწყვიტოს განვითარება.

მეწარმეობის განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენს საგადასახადო პოლტიკა, ამიტომ სახელმწიფოს უნდა ქონდეს მოქმედებიის ფართო არეალი, არ იყოს შეზღუდული, რათა შესაძლებელი იყოს მეწარმეებზე მორგებული საგადასახადო პოლიტიკის გატარება და მეწარმეთა შორის გადასახადების ოპტიმალური გადანაწილება.

მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება საქართველოში

საქართველოში მეწარმეობის, განსაკუთრების მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებისათვის ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით, რათა ადამიანებს მიეცეთ სტიმული განავითარონ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობა ან შექმნან ახალი საწარმოები. ბოლო პერიოდში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რამაც ხელი შუწყო სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებას და ბაზარზე ახალი სუბიექტების გამოჩენას. განვიხილავ რამდენიმე მათგანს:

[1] ბიზნეს სექტორი საქართველოში. 2022. 110

- 2011 წელს საქართველოს საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები, რაც მდგომარეობდა შემდეგში: დაბალი შემოსავლის მქონე მეწარმეებს მიენიჭებოდათ მიკრო, მცირე და ფიქსირებული ბიზნესის სტატუსი, რაც ითვალისწინებდა სხვადასხვა ტიპის შეღავათებს. მიკრო ბიზნესის სტატუსი მიენიჭებოდა ფიზიკურ პირს, რომელიც დამოუკიდებლად ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას და კალენდარული წლის განმავლობაშ მისი ბრუნვა არ აღემატებოდა 30 000 ლარს. პირი, რომელიც მიიღებდა მიკრო ბიზნესის სტატუტს თავისუფლდებოდა საშემოსავლო გადასახადისგან. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება ფიზიკური პირისთვის ხდებოდა იმ შემთხვევაში თუ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატებოდა 100 000 ლარს. ამ შემთხვევაში იბეგრებოდა შემოსავლის 5%.
- 2018 წლის 1 ივლისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება რაც ითვალისწინებდა მცირე ბიზნესისთვის შემოსავლის ზღვრის 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე გაზრდას და დასაბეგრი შემოსავლის 5%-დან 1%-მდე შემცირებას. იმ შემთხვევაში თუ ერთობლივი შემოსავავლი გადააჭარბებს 500 000 ლარს, მაშინ შემოსავალი 3%-იანი განაკვეთით იბეგრება. აღნიშნული ცვლილების შედეგად მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებმა მიიღეს შეღავათები, რაც გამოიხატება ერთობლივი შემოსავლის ზღვარის აწევასა და დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთის შემცირებაში.
- 2019 წლის 15 თებერვალს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც გულისხმობს დამატებული ღირებულების გადასახადში (დღგ) არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის მეწარმეთათვის ავტომატურ დაბრუნების სერვისს. შედეგად გამარტივდა მეწარმეებისათვის საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობა, მცირე დროში ხდება ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.
- 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი კანონი „მეწარმეთა შესახებ“ რომელიც ეხება სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა დაფუძნებას, რეგისტრაციის საკითხებსა და პროცედურების მოწესრიგებას. კანონმდებლობიდან გამომდინარე, შექმნილია ერთიანი ელექტრონული პორტალი, სადაც მოცემული იქნება სააგენტოს გადაწყვეტილებები რეგისტრაციის შესახებ; სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები და საზოგადოების მიერ კანონმდებლობის შესაბამისი გამოქვეყნებული ინფორმაცია. ახალი რეგულაციების თანახმად, 2022 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულს სუბიექტებს შესძლებლობა აქვთ 2 წლის ვადაში მოაწესრიგონ სარეგისტრაციო მონაცემები კანონთა შესაბამისად. სუბიექტებს შესაძლებლობა აქვთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართონ ამ 2 წლის განმავლობაში და განახორციელონ შესაბამისი ცვლილებები.

ახალი კორონა ვირუსის (Covid-19) პერიოდში განხორციელებული ცვლილებებიდან აღსანიშნავია „აწარმოე საქართველოში“-ის მიერ წარმოდგენილი თანადაფინანსების მექანიზმები, რომელმაც ხელი შეუწყო საოჯახო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას, 2020 წლის 1 მარტიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში დაფინანსდა მეწარმე სუბიექტებისთვის სესხზე დარიცხული წლიური სარგებელი. სესხის მაქსიმალური მოცულობა

შეადგენდა 1 მილიონ ლარს, 300 000 აშშ დოლარსა და 250 000 ევროს.[1] იურიდიული პირები, რომლებმაც ვერ მოახერხეს სესხის დროული დაფარვა, ისარგებლეს სესხის გახანგრძლივებით.

ბოლო პერიოდში საგადასახადო სფეროში განხორციელდა რეფორმები, რომელთა დახმარებითაც საგადასახადო ადმინისტრირება გახდა ეფექტიანი, კერძოდ, განვითარდა დისტანციური სერვისები და ელექტორნული სისტემები, რამაც ხელი შეუწყო საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას. შეიქმნა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის თანახმადაც გაუნაწილებელი მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადისგან; ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, დღგ-ის კანონმდებლობა სრულად მოვიდა შესაბამისობაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან. დაინერგა დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების სრულად ავტომატური სისტემა. თუმცა მნიშვნელოვანია ამ რეფორმების გარგძელება და მთლიანი საგადასახადო სისტემის უფრო მეტად დახვეწა.

დასკვნა

მეწარმეობა არის საქმიანობა, რომლის განვითარებაც აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას, რადგან ისინი ზრდიან დასაქმებულთა რაოდენობას, ქმნიან ინოვაციურ პროდუქტებს და ზრუნავენ საზოგადოების კეთილდღეობაზე. იმისათვის, რომ ადამიანს მიეცეს სტიმულის, გახდეს მეწარმე, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს დაბალანსებული და მოქნილი საგადასახადო სისტემა. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადები იქნება ძალიან მაღალი, ადამიანებს არ ექნებათ სურვილი განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა ან ისინი მიმართავენ „იატაკქვეშა ეკონომიკას“, რაც, რა თქმა უნდა უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის მთლიან გამოშვებაზე, კეთილდღეობის დონესა და განვითარებაზე. რაც უფრი დახვეწილია საგადასახადო სისტემა, მით უფრო განვითარებულია ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობა. ასეთ დროს ადამიანებიც მოტივირებულები არიან მუდმივად ახლის ძიებაში იყვნენ, ააშენონ ახალი საწარმოები, რაც ზრდის გადასახადის გადახდისუნარიან ადამიანთა რაოდენობას და სახელმწიფო ბიუჯეტს, რაც შემდგომ ხმარდება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. აუცილებელია საგადასახადო სისტემა იყოს ოპტიმალური და მორგებული სამეწარმეო საქმიანობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუკია ი. 2019. *საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე.* თბილისი
2. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტი (EPRC) 2020. *ეკონომიკური მოსაზრებები შეზღუდვების პოლიტიკიდან გამოსვლისთვის.* თბილისი.
3. ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე., 2011 *ფირმის ეკონომიკა - თეორია და პრაქტიკა.* თბილისი.
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2021 -2026 *საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია.* თბილისი.

[1] ©ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) 2020, გვ.9

5. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2011 წლის 12 მარტის მდგომარეობით.*
6. საქართველოს პარლამენტი. 2010. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2018 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით.*
7. საქართველოს პარლამენტი 2010 *საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.*
8. საქართველოს პარლამენტი. 2010. *„კანონი მეწარმეთა შესახებ“. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით*
9. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2022. *ბიზნეს სექტორი საქართველოში 2021.* თბილისი.
10. The Small Business Administration (SBA). 2021
11. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო *სახემწიფო ხაზინა*

ტურიზმის დადებითი და უარყოფითი შედეგები საქართველოში

ლინა ფარეულიძე

დღეს ტურიზმის სექტორი მრავალი ქვეყნის უმთავრეს ეკონომიკურ ძრავად იქცა, რადგან ტურისტული ინდუსტრია მჭიდრო კავშირშია მთელ რიგ გლობალურ ინდუსტრიებთან და სექტორებთან, ის ეხმარება განვითარებად ეკონომიკებსა და განვითარებად ქვეყნებს წარმატებაში, კერძოდ, სიღარიბის დაძლევასა და უთანასწორობის შემცირებაში, ტურიზმის მსოფლიო დღე გლობალურად აღინიშნება 27 სექტემბერს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ტურისტული ინდუსტრიის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ მნიშვნელობას. ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სექტორია, მასში დასაქმებულია მილიონობით ადამიანი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით კი ტურიზმის სექტორში დასაქმებულია ყოველი მეათე ადამიანი დედამიწაზე და ზოგიერთ ქვეყანაში ტურიზმს შეუძლია წარმოადგენდეს ამ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 20%-ზე მეტს. მიუხედავად ამ დადებითი ეფექტებისა ტურიზმის განვითარებას ზოგჯერ ნეგატიური გავლენა ახლავს თან, მაგალითად შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს გარემოზე, ადგილობრივების ცხოვრების წესსზე, კულტურასა და ჩვეულებზე, ამის გამო აუცილებელი ხდება ტურისტთა ცნობიერების ამაღლება, რათა ვიზიტორები პატივისცემით მოეკიდნონ გარემოს, ადგილობრივების ცხოვრების წესს, კულტურასა და ტრადიციებს, იმისათვის, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარება გონივრულ მართვასა და ეფექტიან კონტროლს დაექვემდებაროს აუცილებელია მისი დადებითი ეფექტების მაქსიმიზებისა და უარყოფითი ეფექტების მინიმიზების რეგულირება. წინამდებარე კვლევის მიზანი სწორედ ტურიზმის, როგორც ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი პრიორიტეტის, თანმდევი დადებითი და ნეგატიური შედეგების გამოვლენა, ანალიზი, შესწავლა და მათი რეგულირებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაა.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმის დადებითი შედეგები, ტურიზმის უარყოფითი შედეგები, ტურიზმის როლი საქართველოში.*

შესავალი

ტურიზმი განვითარდა იმ ეტაპზე, როცა ადამიანმა გარკვეულწილად გადაწყვიტა გადარჩენის ამოცანა და დაიწყო ფიქრი დასვენებაზე და მასთან დაკავშირებულ სიამოვნებაზე, ამიტომ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ტურიზმი არის დასვენების ერთ-ერთი ფორმა. დასვენება კი ადამიანის ობიექტურად აუცილებელი მოთხოვნილებაა შრომაში დახარჯული ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღდგენის. ამიტომ ტურიზმი ინმარტება შემდეგნაირად - ტურიზმი არის ადამიანის საქმიანობა, რომელიც გულისხმობს დასვენების, მკურნალობის, გართობის, საქმიანი ან სხვა მიზნით თავისი ჩვეული საცხოვრებელი ადგილისაგან განსხვავებულ გარემოში გამგზავრებას, გადაბმულად არანაკლებ 24 საათისა და არაუმეტეს ერთი წლის ვადით და მის ვიზიტის მიზანს არ წარმოადგენს ამ ქვეყანაში თავისი ჩვეული საქმიანობის განხორციელება, რომელიც ანაზღაურ-

დება მოცემული ქვეყნის ფინანსური წყაროებიდან. როგორც ვხდებით, ტურიზმი უძველესი დროიდან არსებობს, მაგრამ გლობალურ საქმიანობად ძირითადად 2010 წლიდან ითვლება, როდესაც 940 მილიონი საერთაშორისო მოგზაურობა დაფიქსირდა მსოფლიო მასშტაბით, რაც 6.6%-იანი ზრდა იყო 2009 წელთან შედარებით, ამავე წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 919$ მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 4,7%-იანი ზრდა იყო. აქედან მოყოლებული ტურიზმი უფრო მზარდ როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. დღეს მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10.4%-ია და მსოფლიო ექსპორტის 7% მოდის ტურიზმზე, ინდუსტრიის ღირებულება 1.1 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტია. უცხოელების დანახარჯებიდან მიღებული შემოსავლები უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებას, ბიზნესის განვითარებას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, უცხოური ვალუტის ზრდას, სიღარიბის შემცირებას, ადგილობრივი კულტურული ფასეულობების და ტრადიციების შენარჩუნებას, ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ ტურიზმი ვითარდებოდეს, შეძლებისდაგვარად, მხოლოდ თავისი დადებითი ეფექტებით. იმისათვის, რომ უფრო ნათელი შთაბეჭდილება შეგვექვნას ტურიზმის თანმდევი ნეგატიური და დადებითი ეფექტების ანუ მისი ღირსება-ნაკლოვანებების შესახებ და, რომ შევძლოთ მისი ნაკლოვანებების გონივრული პრევენციის გზების პოვნა, განვიხილოთ მისი თანმდევი, როგორც უარყოფითი ისე დადებითი შედეგები და მოვიყვანოთ მათი რეგულირების ხელშემწყობი წინადადებები.

ტურიზმის დადებითი შედეგები

- ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე დადებით თვისებად ითვლება მისი უნარი გაზარდოს ქვეყნის ეკონომიკა, ტურიზმის განვითარ ებას შეუძლია გამოიწვიოს ახალი კომპანიების, მცირე ბიზნესების ჩამოყალიბება, რაც თავისთავად ქმნის სამუშაო ადგილებს და ზრდის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს, სავალუტო შემოსავლების გამომუშავებით კი ქვეყანას შეუძლია გადაიხადოს ვალები და დააფინანსოს იმპორტი, საერთო ჯამში ტურიზმი ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტად გვევლინება.
- ტურიზმი აახლოვებს ერებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ტურისტებსა და ადგილობრივებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები იწვევს ქვეყნების ინტეგრირებას, ამიტომ შეგვიძლია ტურიზმი მშვიდობის დესპანად ჩავთვალოთ.
- ტურიზმი შეიძლება მოგვევლინოს საზოგადოების განვითარების წყაროდ. მაგალითად ტურისტებთან კომუნიკაციისთვის გვჭირდება შესაბამისი ენის ცოდნა, რაც შეიძლება უცხო ენის სწავლის სტიმული გახდეს, ასევე მათთან კომუნიკაციით შეიძლება ბევრი რამის სწავლა, შესაძლებელია მათი თვალით დავინახოთ საგნები, მოვლენები და მსოფლიო, აღმოვაჩინოთ რაღაც ინოვაცია, გავიგოთ მათი ცხოვრების წესსზე, ტრადიციებზე, მოტივებზე და ა.შ, როგორც პეტრე შეფერდი ამბობს - „სწორი კომუნიკაცია არის პიროვნული განვითარების ფუნდამენტი“.
- ტურიზმა შეიძლება არა მხოლოდ პიროვნული განვითარება გამოიწვიოს, არამედ ქვეყნის განვითარება და გალამაზებაც. იმისთვის, რომ ქვეყანა უფრო მიმზიდვე-

ლი გახდეს ტურისტებისთვის იქმნება პარკები, გასართობი ადგილები, დასასვენებელი ადგილები, კაფეები, რესტორნები, სასტუმროები, ძეგლები, ხიდები, გზები და მრავალი სხვა, რაც ერთმხრივ ავითარებს და ამშვენიერებს ქვეყანას, მეორე მხრივ უზრუნველყოფს ტურისტების მოზიდვას, ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების გაზრდას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ადამიანების დასაქმებასა და სხვა.

- აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტურიზმი ვითარდება არა მხოლოდ საქართველოს დიდ ქალაქებში, არამედ რეგიონებსა და სოფლებშიც, რაც ადგილობრივ საზოგადოებას აძლევს საშუალებას, რომ წამოიწყონ მცირე ბიზნესი, დასაქმდნენ თარჯიმნად, გიდად, მძღოლად, ასევე საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ვერ ახერხებდა საკუთარი პროდუქციის ექსპორტზე გატანას, შეუძლია ადგილზე მოახდინოს მისი რეალიზაცია. საბოლო ჯამში ტურიზმი ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებასა და ეკონომიკური უთანასწორობის აღმოფხვრას საზოგადოებას შორის.
- ტურიზმი ასევე ითვლება კარგ საშუალებად ისტორიის, ტრადიციების, კულტურის, მითებისა თუ ლეგენდების შენარჩუნების, სწორედ ასეთი ისტორიები იზიდავს ტურისტებს, მათი ხშირი გახსენება, მოყოლა, ისტორიული ადგილების ხშირი მონახულება კი მათ დაუვიწყარს ხდის და ხელს უწყობს მათ შენახვას მომდევნო თაობებისთვის.
- შეიძლება ითქვას, რომ თავად ტურიზმი უწყობს ხელს ტურიზმის უფრო მეტად განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში, უფრო კონკრეტულად, ერთი ტურისტი თავისი მოგზაურობის შესახებ საშუალოდ ათ ადამიანს უყვება, თანამედროვე სოციალური ქსელები კი იძლევა საშუალებას იმისა, რომ გაზიარებული იქნეს ფოტოები, ემოციები და შთაბეჭდილებები, რაც უფრო მეტ ადამიანს ამცნობს ქვეყნის ღირსშესანიშნაობებისა და ღირებულებების შესახებ, რითაც იზრდება ქვეყნისადმი ინტერესი და ეს გამოიხატება გაზრდილ ვიზიტორთა რიცხვში.

ტურიზმის უარყოფითი შედეგები

- ტუიზმის ერთ-ერთ ყველაზე ნეგატიურ შედეგად, ითვლება გარემოს დაბინძურება. რაც უფრო მეტი ტურისტი სტუმრობს ამა თუ იმ ადგილს, მით უფრო მეტად ზიანდება ის მაგალითად ამერიკაში 2016 წელს ათ ნაციონალურ პარკს ეწვია 44 მილიონი ტურისტი, ვიზიტების ასეთმა, რაოდენობამ საფრთხე შეუქმნა პარკებში არსებულ გარემოს, და დააყენა ის დაბინძურებისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის საფრთხის წინაშე. აღსანიშნავია ისიც, რომ ვიზიტორთა დიდი ნაწილი სანაპირო ზოლებში არჩევს დასვენებას შედეგად ატლანტიის ოკეანის 200 მეტრის სიღრმის ანალიზმა აჩვენა, რომ ოკეანის მოცულობის 5% პროცენტი 12-დან 21 მილიონამდე ტონა მიკროპლასტმას შეიცავს, შესაბამისად მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მთელ ოკეანეში დაახლოებით 200 ტონა პლასტმასია თავმოყრილი უმეტესობა მათგანი კი აღარტივტივებს ზედაპირზე და ჩაძირულია ოკეანის ღრმა ფსკერზე, დაბინძურება ხდება მიზეზი მრავალი დავადების, პლასტმასისა და ცელოფნის ნარჩენე-

ბის გადაყლაპვით იღუპება წყალქვეშა ცხოველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, მატულობს ტემპერატურა და, რაც მთავარია, ვდგებით გლობალური დათბობისა და ჟანგბადის წყაროების ეტაპობრივად შემცირების წინაშე. ასევე ტურიზმის საშუალებით იზრდება მოთხოვნა ფრენებზე, მაგალითად 2017 წელის იანვარ-ივნისის განმავლობში საქართველოს აეროპორტებში შესრულებულია 16 477 ფრენა, გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 4 420 ფრენით ანუ 36.7%-ით მეტი, ეს კი ჰაერს მეტად აბინძურებს, გაზრდილი გადაუმუშავებელი ნარჩენები კი იწვევს უამრავი ნაგავსაყრელის შექმნასა და ნიადაგის დაბინძურებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით გარემოს დაცვა უმნიშვნელოვანეს მისიად უნდა იქცეს, რადგან მას შეუძლია მთლიან კაცობრიობის კეთილდღეობაზე იქონიოს გავლენა და გამოიწვიოს საშალო შედეგები. ამისთვის კი აუცილებელია დაინერგოს ტურიზმის განვითარების სწორი სტრატეგია გარემოსთან მიმართებაში და მოხდეს ტურისტებისთვის კიდევ ერთხელ შეხსენება იმისა, რომ აკრძალულია გარემოს დაბინძურება, მიუღებელია მათ საკუთარი სურვილები წინ დააყენონ გარემოს კეთილდღეობაზე.

- ტურისტები ხშირად გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად უპატივისცემლოდ ექცევიან ადგილობრივების კულტურას, ტრადიციებს მათ შეიძლება უგულვებელყონ კანონით დაუწერელი კანონები და მორალური სტანდარტები, რომლებსაც ადგილობრივები ასე ძალიან აფასებენ, რაც ადგილობრივებსა და ტურისტებს შორის უკმაყოფილო, დაძაბული ურთიერთობის ჩამოყალიბების მიზეზი ხდება, ამის თავიდან ასაცილებლად კი თავიდანვე უნდა მოხდეს ტურისტების ინფორმირება ადგილობრივების ცხოვრების წესის მორალური სტანდარტებისა და კულტურის შესახებ.
- მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორად ითვლება, მაინც არ არის ამ მხრივ სრულყოფილი, ვინაიდან ზოგიერთი სამუშაო ხელმისაწვდომია, მხოლოდ წლის გარკვეულ პერიოდს, მაგალითად საქართველოში ტურისტთა გაზრდილი რიცხვი შეიმჩნევა უფრო გაზაფხულ-ზაფხული და კლებულობს შემოდგომა-ზამთარი, რასაც თან ახლავს სამუშაოების შემცირება ამ პერიოდში, რაც აყენებს ადამიანებს შემოსავლის გარეშე დარჩენის საფრთხის წინაშე. ამის აღმოფხვრის კარგი საშუალება არის ტურიზმის განვითარება და ისეთი მიმზიდველი ტურისტული კლიმატის ჩამოყალიბება ქვეყანაში, რომ ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა არ იყოს დამოკიდებული სეზონზე, არამედ ჩვენი ქვეყანა ყველა სეზონზე იყოს მათთვის სასურველი და მიმზიდველი.
- ტურიზმის განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს არაკვალიფიკაციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბება. ხშირად ახალგაზრდები უარს ამბობენ სწავლა განათლებაზე და ადრევე იწყებენ მომსახურების სფეროში დასაქმებას, სადაც მოთხოვნა მაღალ კვალიფიკაციაზე არც ისე დიდია, შესაბამისად ამ ადამიანების ანაზღაურება დაბალია, არ აქვთ დაწინაურებისა და წარმატებისკენ გამავალი კიბის გავლის საშუალება. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები იყვნენ ინფორმირებული ადრეულ ასაკშივე იმის შესახებ, თუ რა ღირსებებით და ნაკლოვანებებით ხასიათდება ეს სფერო, რათა სწორად განსაზღვრონ რა არის მათვის უმჯობესი და რისი გაკეთება სურთ მომავალში.

- გაზრდილი რაოდენობა ტურისტების იწვევს დიდი რაოდენობის რესურსების გამოყენებასა და გაფლანგვასაც კი, რაც ხდება მათი დეფიციტის მიზეზი. მაგალითად, ჰავაის კუნძულზე თითოეული ტურისტი იყენებს 10-ჯერ უფრო მეტ წყალსა და ელექტროენერგიას, ვიდრე ადგილობრივი მცხოვრებნი. ტურისტების მიერ მათი რესურსების ასე ინტენსიური გამოყენება მოსახლეობას მტრულად განაწყობს ტურისტების მიმართ, ამის თავიდან ასაცილებლად კი უნდა მოხდეს ტურისტთა ცნობიერების ამაღლება და მათთვის იმის შეხსენება, რომ იყო ტურისტი არ ნიშნავს, რომ გაქვს უფლება დაიკმაყოფილო საკუთარი გაზრდილი მოთხოვნილებები სხვა ადამიანების უფელბების დარღვევისა და გარემოსთვის ზიანის მიყენების ხარჯზე.
- ტურიზმი შეიძლება იქცეს ისტორიული ადგილების, ღირებულებების, ძეგლების, შენობების დაზიანებისა და ვანდალიზმის წყაროდ, მაგალითად, ალბათ ყველას გვინახავს წარწერა, რაიმე ცნობილ ადგილას - აქ იყვნენ ესა და ეს ადამიანები, ამა და ამ წელს, სწორედ ესა და სხვა მსგავსი წარწერები კი აკარგვინებენ თავიანთ უნიკალურობას ამ ღირსშესანიშნაობებს. მისი აღმოფხვრისთვის მიზანშეწონილია უფრო მკაცრი რეგულაციები გატარდეს ამ ადგილების დასაცავად.
- ტურიზმის განვითარება არა თუ ერთადერთი დარგია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, არამედ ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი. მხოლოდ ერთი დარგის ტურიზმის განვითარებაზე ყურადღების გადატანა ეკონომიკაში ქვეყნისთვის ზიანის მომტანია, მაგალითად ქვეყანაში არეულობის, ომის, სტიქიური უბედურების ან სხვა მიზეზის გამო, თუ ტურისტები ქვეყანაში არ ჩამოვლენ, ეკონომიკა კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდება, იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა სხვა ეკონომიკური სექტორები განვითარებული, ამიტომაც ტურიზმის სექტორი სხვა ეკონომიკურ სექტორებთან უნდა თანაარსებობდეს, და ქვეყანა არ იყოს მასზე გადაჭარბებულად დამოკიდებული.

ტურიზმის როლი საქართველოში

ტურიზმი საქართველოში დღითიდღე ვითარდეაბა მის განვითარებას კი ხელს უწყობს საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება, უმშვენიერესი ხედებით, ლანდშაფტებით, დაცული ტერიტორიებით, ჩანჩქერებით, კურორტებით, მინერალური წყლებით, ასევე ისტორიული შენობა-ნაგებობები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, ქართული ტრადიციები ისტორიულ - არქიტექტურული ძეგლები, კულტურა, სამზარეულო და რაც მთავარია სტუმართ მოყვარე და გულღია ერი იზიდავს მათ. ამიტომაც საქართველო 2017 წლის მონაცემებით მე-4 ადგილს იკავებდა მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდ ტურისტული ინდუსტრიის მქონე ქვეყნების ხუთეულში

I. ადგილი ეგვიპტე - 55,1%
II. ადგილი ტოგო - 46,7%
III. ადგილი ვეიეტნამი- 27,9
IV. ადგილი საქართველო- 27,8
V. ადგილი პალესტინა - 25,7



(II) წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც მსოფლიოში ისე საქართველოშიც ტურიზმის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა იქონია 2020-21 წელების კოვიდ პანდემიამ, რამაც ვიზიტორთა რაოდენობა 2019 წელს 7,7 მილიონიდან 2020 წელს 1.5 მილიონამდე შეამცირა, 2021 წელს 1,7 მილიონი შეადგინა, 2022 წელს კი უკვე გაიზარდა 4,7 მილიონამდე. (დიაგრამა II)

2021 წლის მონაცემებით ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში არის 6,4% (დიაგრამა III)



შემოსავლებმა საქართველოში, საერთაშორისო ტურიზმიდან, 2020 წელს პანდემის გამო შედგინა, მხოლოდ 541,686 ლარი, მაგრამ 2021 წელს გაიზარდა და შეადგინა 1,244,988 ლარი (დიაგრამა IV)



ტურისტების ვიზიტის მთავარ მიზეზად მეგობრებისა და ნათესავების მონახულება ითვლება და ის მთლიანი ვიზიტის, რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენს - 46,9% (დიაგრამა V)



საქართველოში ტურიზმის განვითარება ხდება აგრეთვე წინა პირობა იმისა, რომ იზრდება ქალთა ჩართულობა ბიზნესში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შემუშავებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ტურიზმის სექტორში დასაქმებულია უფრო მეტი ქალი, ვიდრე კაცი, 2021 წელის მონაცემებით ამ სფეროში დასაქმებულია 10 ათასზე მეტი ქალი, ხოლო დასაქმებულ კაცთა რაოდენობა კი 7 936- ია. (დიაგრამა VI)



დასკვნა

იმის გამო, რომ ტურიზმი ასეთ დიდ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკის ზრდაში და შეუძლია, რომ ჩვენი ქვეყანა მეტად განავითაროს, აუცილებელია ტურიზმზე ორიენტირებული ეკონომიკის სტრუქტურის რეფორმირება, რათა მოხერხდეს საქართველოს ეროვნული მეურნეობის პოსდპანდმიური კრიზისიდან გამოსვლა და მისი გაქტიურება, აუცილებელია უფრო მნიშვნელოვანი ინვესტიციები ეკონომიკის რეალურ სექტორში და ადამიანურ კაპიტალში (მეცნიერებაში, განათლებაში და ჯანდაცვაში). ამასთან, მიზანშეწონილია ეკონომიკის რეალური სექტორის პრიორიტეტული დარგების შესაბამისად პროფესიონალებისა და სპეციალისტების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. ასევე სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ტურიზმის სწორ დაგეგმვას, რათა თავიდან ავირიდოთ ან მაქსიმალურად შევამციროთ ამ დარგის განვითარებასთან დაკავშირებული ნეგატიური შედეგები, ამისათვის პირველრიგში აუცილებელია სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ დონეზე გამოიყოს და მოხდეს სისტემატიზაცია შესაძლო ნეგატიური შედეგების. გატარდეს სხვადასხვა ღონისძიებები ამ შედეგების შერბილებისა და ნეიტრალიზაციისათვის, გამოყენებული იქნეს საერთაშორისო ცოდნა, იმიტირებული იქნეს ის ნაბიჯები, რომელსაც დგანან ტურიზმის დარგში მოწინავე განვითარებული ქვეყნები მისი უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად. აუცილებელია ტურიზმის ნეგატიური შედეგების აღმოფხვრაზე ორიენტირებული იქნეს პროფესიული ასოციაციები, ტურისტული ინდუსტრიები და რაც მთავარია, თავად საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული ტურიზმის, როგორც დადებითი შედეგების, ისე უარყოფითი შედეგების შესახებ, რათა დარწმუნდნენ, რომ ქვეყანის წარმატება მართლაც გარკვეულწილად დამოკიდებულია ტურიზმზე, რომელსაც თან ახლავს, მხოლოდ დადებითი შედეგები და არა ნეგატიური. ასევე აუცილებელია ტურისტების წინასწარვე ინფორმირება ადგილობრივების ცხოვრების წესის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ, აუცილებელია მათთვის ქცევის ნორმების კიდევ ერთხელ შეხსენება, რომ დაუშვებელია ისტორიული შენობა-ნაგებობების, ძეგლების დაზიანება, აკრძალულია გარემოს დაბინძურება, მიუღებელია დაივიწყ-

ონ და უდიერად მოექცნენ ადგილობრივ მორალურ სტანდარტებს, წესებს, კულტურას და რაც მთავარია, უნდა გამოიჩინონ პატივისცემა ადგილობრივების მიმართ, რათა მათაც კეთილგანწყობით უპასუხონ. ყოველივე ეს კი დიდი ალბათობით უნდა იქცეს, ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული კეთილდღეობის ზრდის, ჰარმონიული, ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებისა და მშვიდობის გარანტად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აწარმოე საქართველოში - https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/
2. დადებითი და უაყოფითი თვისებები ტურიზმის - https://www.javatpoint.com/advantages-and-disadvantages-of-tourism
3. მდგრადი ტურიზმი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში - ქეთევან ქველაძე, მედეა მელაშვილი, ნუნუ ქისტაური.
4. ნეტგაზეთი - https://netgazeti.ge/news/624737/
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://tourism.geostat.ge/
6. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - https://gnta.ge/ge/publication/
7. საქართველოს ტურიზმი ციფრებში
8. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025.
9. ტურიზმი და მისი გავლენა ეკონომიკაზე - https://geoeconomics.ge/?p=13699
10. ტურიზმის მნიშვნელობა - https://tourismteacher.com/importance-of-tourism/
11. ტურიზმის პოზიტიური და ნეგატიური ეფექტები საქართველოში - უშანგი სამადაშვილი, წყარო: ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ქ. ბათუმი2010 8-9 ივლისი.
12. ტურიზმის პოლიტიკა - თარგმანი: ვალერი არღუთაშვილი.
13. ტურისტული ინდუსტრია - https://www. revfine.com/tourism-industry/

ხორვატია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციულ პროცესებში

ზურაბ ქველიაშვილი

გლობალიზაციის ტემპის ზრდასთან ერთად XXI საუკუნეში განსაკუთრებით აქტუალურია ის საკითხი, თუ რა შედეგების მომტანია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია ქვეყნისათვის. დღეს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მრავალი მაგალითი არსებობს. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია „ევროკავშირი", რომლის წევრ ქვეყნებს შორის მოხსნილია ყოველგვარი სავაჭრო ბარიერი. მათ დიდ ნაწილს აქვთ საერთო ვალუტა - ევრო, რაც კიდევ უფრო ამარტივებს მათ შორის ვაჭრობას. ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ერთმანეთს უწევენ ეკონომიკურ დახმარებას, რაც აუმჯობესებს მათ მდგომარეობას.

მოცემულ ნაშრომში ხორვატიის მაგალითზე განვიხილავ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის როლს ქვეყნის ეკონომიკისათვის. ხორვატია ბოლო ქვეყანაა, რომელიც შეუერთდა ევროკავშირს. მისი ევროინტეგრაციიდან უკვე 10 წელი გავიდა, რაც სავსებით საკმარისი დროა იმისთვის, რომ ნათლად დავინახოთ თუ რა გავლენა იქონია მასზე ევროინტეგრაციამ.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია არის შემდეგი: სხვადასხვა ინდიკატორების საშუალებით განვიხილავ ხორვატიის ეკონომიკურ მდგომარეობას უახლესი მონაცემებით, შემდეგ იგივე ინდიკატორების საფუძველზე გამოვიკვლევ 2012 წლის მდგომარეობას (ხორვატია ევროკავშირში გაწევრიანდა 2013 წელს და იმისთვის, რომ დღევანდელი ხორვატიის ეკონომიკური მდგომარეობა შევადარო მის ევროინტეგრაციამდე არსებულ მდგომარეობას შესადარებლად ავიღე 2012 წლის მონაცემები) და შემდეგ შევადარებ მათ ერთმანეთს, რის საფუძველზეც გამოვიტან დასკვნას, თუ რა შედეგი მოუტანა ხორვატიის ეკონომიკას ევროინტეგრაციამ. ამის შემდეგ გამოვიკვლევ, თუ რომელი ქვეყნებია ხორვატიის მთავარი სავაჭრო პარტნიორები და რა როლი აქვთ მათ ხორვატიის ეკონომიკისათვის. ბოლოს გამოვიკვლევ, თუ როგორ გაუმკლავდა ხორვატია პანდემიას და რა როლი შეიტანა ევროკავშირმა პანდემიისგან გამოწვეული სირთულეების დაძლევაში მოცემული ქვეყნის ეკონომიკისთვის.

შესავალი

ხორვატია არის სახელმწიფო, რომელიც ბოლოს შეუერთდა ევროკავშირს. მისი ევრო ინტეგრაციიდან დაახლოებით ათი წელი გავიდა. ნაშრომში განხილულია, თუ რამდენად დიდ განვითარების დონეს მიაღწია ხორვატიის ეკონომიკამ 2012 წელთან შედარებით.

ტერიტორია მოიცავს 56 594 კვადრატულ კილომეტრს, ქვეყნის მოსხახლეობა არის დაახლოებით 4,3 მილიონი ადამიანი. მცირე მოცულობის ტერიტორიისა და მოსახლეობის მცირე რაოდენობის მიუხედავად იგი ევროპის ერთდერთი სწრაფად განვითარებადი და რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. ხორვატიის ეკონომიკის მთავარი სექტორია ტურიზმი, საიდანაც მიღებული შემოსავალიც მშპ-ს დაახლოებით 20%-ს შეადგენს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ხორვატიის განვითარებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა ევრო-

კავშირში გაწევრიანებამ. 2023 წლის იანვარში ხორვატია გახდა ევროზონისა და შენგენის ზონის წევრი ქვეყანა, რაც ძალიან დიდ ეკონომიკურ განვითარების საშუალებას იძლევა. ეს მის ეკონომიკას მისცემს საშუალებას, რომ კიდევ უფრო განავითარონ ტურიზმი და სხვა მნიშვნელოვანი სექტორები.

ხორვატია, როგორც საქართველო არის მცირე ზომის ქვეყანა. ევროკავშირში ინტეგრაციამდე იგი იდგა იმავე პრობლემების წინაშე, რა პრობლემებიც დგას დღეს საქართველოში, მაგალითად როგორიცაა უმუშევრობის მაღალი დონე. ასევე ორივე ქვეყნის ეკონომიკისათვის ძალიან დიდი როლი ენიჭება ტურიზმის სექტორს. ხორვატიაში ტურიზმის სექტორიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს მშპ-ს 20%-ს, ხოლო საქართველოში 10%-ს. შესაბამისად, ხორვატიის მაგალითზე შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, თუ რა შედეგები შეიძლება მოუტანოს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებამ.

ხორვატიის ეკონომიკური ანალიზი სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით

XXI საუკუნეში ქვეყნის ეკომიკური სიძლიერისა და განვითარების დონის დასადგენად არსებობს მრავალი ინდიკატორი. რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო ეკონომიკურად მით უფრო მაღალია მისი მაჩვენებლები სხვადასხვა ინდიკატორებში. სწორედ ეს მაჩვენებლები იძლევიან იმის საშუალებას, რომ დავადგინოთ, თუ რამდენად ძლიერი და სტაბილურია ქვეყნის ეკონომიკა.ხორვატიის ეკონომიკის გასაანალიზებლად გამოვიყენე თექვსმეტი ინდიკატორი. სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად მოცემული ინდიკატორებით არსებული მონაცემები შემდეგია:

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ): ხორვატიის მშპ 2021 წელს შეფასდა დაახლოებით $68.96 მილიარდ აშშ დოლარად, რაც მოცემული ქვეყნის მოსახლეობისა და ტერიტორიული სიდიდიდან გამომდინარე საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე: 2021 წლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა $17,671 მილიონ აშშ დოლარს.

ეკონომიკური ზრდა: ხორვატიის ეკონომიკური ზრდა 2021 წელს შეადგენდა 13.1%-ს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ 2020 წელს იყო პანდემია და ამ წელს ყველა ქვეყანა განიცდიდა ეკონომიკურ რეცესიას, ეს მონაცემი არც ისე სანდოა გამოსაყენებლად, რადგან პანდემიისგან გამოწვეული შეფერხებების შემდეგ არსებული ეკონომიკური ზრდა უფრო შესამჩნევია და პროცენტულადაც უფრო მაღალი იქნება. ამის გამო გამოვიყენებ 2019 წელის მონაცემებს, როდესაც ეკონომიკური ზრდა შეადგენდა 3.4%-ს.

უმუშევრობის დონე: 2023 წლის მარტის მდგომარეობით ხორვატიაში უმუშევრობის დონე იყო 6.5%, რაც ხორვატიის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობაზე მიუთითებს.

ინფლაციის დონე: ხორვატიის ინფლაციის მაჩვენებელი 2023 წლის მარტში იყო 2.1%. ამ დროს ეროვნული ვალუტა იყო ევრო. მართალია ხორვატია უკვე მიმოქცევაში იყენებს ევროს, მაგრამ იმისთვის, რომ უფრო ნათლად დავინახოთ ევროკავშირის გავლენა ხორვატიის ეკონომიკაზე უმჯობესი იქნება, თუ შევადარებ 2022 წლის მონაცემებს. 2022 წლის ოქტომბრის მონაცემებით ინფლაციის დონე შეადგენდა 13.5%-ს.

სავაჭრო ბალანსი: 2021 წელს ხორვატიას ჰქონდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, იმპორტი ექსპორტს აღემატება დაახლოებით $11,8 მილიარდი აშშ დოლარით.

ეროვნული ვალი: 2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, ხორვატიის სახელმწიფო ვალი დაახლოებით $36,7 მილიარდი აშშ დოლარი იყო.

საფონდო ბირჟის ინდექსები: ზაგრების საფონდო ბირჟას (ZSE), ხორვატიის მთავარ საფონდო ბირჟას, ჰქონდა მთლიანი საბაზრო კაპიტალიზაცია დაახლოებით $11.2 მილიარდი აშშ დოლარი 2023 წლის მაისის მდგომარეობით.

ჰუმანური განვითარების ინდექსი (HDI): ხორვატიის HDI 2021 წელს იყო 0,858, რაც ძალიან მაღალ დონეზეა მიჩნეული და ქვეყანას ათავსებს „ადამიანის ძალიან მაღალი განვითარების“ კატეგორიაში.

შემოსავლების უთანასწორობა: 2020 წელს ხორვატიას ჰქონდა ჯინის კოეფიციენტი 33,9, რაც დაბალია OECD-ის საშუალოზე და მიუთითებს შემოსავლების უთანასწორობის შედარებით დაბალ დონეზე.

მომხმარებელთა ნდობის ინდექსი (CCI): 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით, ხორვატიის CCI იყო 110.2, რაც უფრო მაღალია გრძელვადიან საშუალო 100-ზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI): 2021 წელს ხორვატიამ მიიღო დაახლოებით $6.8 მილიარდი აშშ დოლარი FDI.

სახელმწიფო ხარჯები: 2022 წელს ხორვატიის მთავრობის ხარჯები იყო დაახლოებით $19.7 მილიარდი აშშ დოლარი.

სამრეწველო წარმოება: 2021 წლის მონაცემებით სამრეწველო წარმოება 6.7%ით გაიზარდა.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 2022 წლის გამოცემაში ხორვატია 75-ე ადგილზე იყო 178 ქვეყანას შორის, 100-დან 64,7 ქულებით, რაც მიუთითებს ზომიერად თავისუფალ ეკონომიკაზე.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ხორვატიის ეკონომიკამ აჩვენა ზომიერი ზრდა. თუ გავითვალისწინებთ მის მოსახლეობისა და ტერიტორიულ სიმცირეს, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ხორვატიის ეკონომიკა ითქვას, რომ ხორვატიას ტერიტორიული და მოსახლეობის სიდიდიდან გამომდინარე აქვს საკმაოდ ძლიერი და სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა. მისი მოსახლეობის კეთილდღობა საკმაოდ მაღალია.

ევროკავშირის როლი ხორვატიის ეკონომიკურ განვითარებაში

ხორვატია 2013 წლის შემდეგ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ცნობილია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ჩვენ უკვე გავეცანით ხორვატიის უახლეს მონაცემებს სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით. იმისთვის, რომ დავინახოთ, თუ რა შედეგები მოუტანა ხორვატიას ევროკავშირში გაწევრიანებამ განვიხილავ 2012 წლის მონაცემებს იგივე ინდიკატორებით და შევადარებ მას უახლესს მონაცემებთან.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ): ხორვატიის მშპ 2012 წელს იყო დაახლოებით $57.37 მილიარდი აშშ დოლარი.

მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე: მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე $13, 443 მილიონი აშშ დოლარი.

ეკონომიკური ზრდა: ხორვატიაში 2012 წელს ხორვატია განიცდიდა შემცირებას 2.3%ით, ანუ ეკონომიკური ზრდა იყო -2.3%.

უმუშევრობის დონე: 2012 წელს ხორვატიაში უმუშევრობის დონემ 15,7% შეადგინა.

ინფლაციის მაჩვენებელი: 2012 წელს ხორვატიაში ინფლაციის დონე იყო 3.4%.

სავაჭრო ბალანსი: 2012 წელს ხორვატიას უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა, იმპორტი ექსპორტს დაახლოებით $7,9 მილიარდი აშშ დოლარით აღემატებოდა.

ეროვნული ვალი: 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ხორვატიის სახელმწიფო ვალი დაახლოებით $39,9 მილიარდი აშშ დოლარი იყო.

საფონდო ბირჟის ინდექსები: ზაგრების საფონდო ბირჟას (ZSE), ხორვატიის მთავარ საფონდო ბირჟას, ჰქონდა მთლიანი საბაზრო კაპიტალიზაცია დაახლოებით $4.6 მილიარდი აშშ დოლარი 2012 წლის მაისის მდგომარეობით.

ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI): ხორვატიის HDI 2012 წელს იყო 0.830, რაც ძალიან მაღალ დონეზეა მიჩნეული და ქვეყანას ათავსებს „ადამიანის ძალიან მაღალი განვითარების“ კატეგორიაში.

შემოსავლების უთანასწორობა: 2012 წელს ხორვატიას ჰქონდა ჯინის კოეფიციენტი 33.7, რაც დაბალია OECD-ის საშუალოზე და მიუთითებს შემოსავლების უთანასწორობის შედარებით დაბალ დონეზე.

მომხმარებელთა ნდობის ინდექსი (CCI): 2012 წელს ხორვატიის CCI იყო 79.4, რაც დაბალია გრძელვადიან საშუალო 100-ზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI): 2012 წელს ხორვატიამ მიიღო დაახლოებით $2.6 მილიარდი აშშ დოლარი FDI.

სახელმწიფო ხარჯები: 2012 წელს ხორვატიის სახელმწიფო ხარჯები შეადგენდა დაახლოებით $22.8 მილიარდ აშშ დოლარს.

სამრეწველო წარმოება: 2012 წელს ხორვატიის სამრეწველო წარმოება წინა წელთან შედარებით 5,7%-ით შემცირდა.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 2012 წლის გამოცემაში ხორვატია 179 ქვეყანას შორის 90-ე ადგილზე იყო, 100-დან 61,3 ქულებით, რაც მიუთითებს ზომიერად თავისუფალ ეკონომიკაზე.

თუ 2012 წლის მონაცემებს უახლეს მონაცემებთან შევადარებთ მივიღებთ:

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ): 2012 წელს ხორვატიის მშპ იყო დაახლოებით $57.37 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო 2021 წელს შეფასდა დაახლოებით $68.96 მილიარდ აშშ დოლარს, რაც მიუთითებს ზრდაზე.

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2012 წელს შეადგენდა 13,443 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო 2021 წელს $17,671 მილიონ აშშ დოლარს, რაც ასევე ზრდაზე მიუთითებს.

ეკონომიკური ზრდა: 2021 წელს ხორვატიაში აღინიშნული 13.1%-იანი ზრდა, რა თქმა უნდა, ბევრად აღემატება 2012 წელს არსებულ 2.3 პროცენტიან შემცირებას. ასევე, 2019 ში აღნიშნული 3.4%-იანი ზრდაც მნიშვნელოვნად აღმატება 2012 წლის მონაცემს.

უმუშევრობის დონე: 2012 წელს ხორვატიაში უმუშევრობის დონე იყო 15.7%, ხოლო 2023 წლის მარტში 6,5%. ეს მიუთითებს უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებაზე.

ინფლაციის მაჩვენებელი: ხორვატიაში ინფლაციის მაჩვენებელი 2012 წელს იყო 3.4%, ხოლო 2022 წლის ოქტომბრის მონაცემებით ინფლაციის დონე შეადგენდა 13.1%-ს. რაც ინფლაციის ზრდაზე მიუთითებს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხორვატიაში ამჟამად მიმოქცევაშია ევრო.

სავაჭრო ბალანსი: 2012 წელს ხორვატიას უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა, იმპორტი ექსპორტს დაახლოებით $7,9 მილიარდი აშშ დოლარით აღემატებოდა. 2021 წელს ხორვატიას ასევე ჰქონდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, სადაც იმპორტი ექსპორტს აღემატება დაახლოებით $11,8 მილიარდი აშშ დოლარით, რაც ზრდაზე მიუთითებს.

ეროვნული ვალი: 2012 წელს ხორვატიის სახელმწიფო ვალი იყო დაახლოებით $39.9 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო 2021 წლის დეკემბერში იყო დაახლოებით $36.7 მილიარდი აშშ დოლარი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყნის ეროვნული ვალი შემცირდა.

საფონდო ბირჟის ინდექსები: ზაგრების საფონდო ბირჟას ჰქონდა მთლიანი საბაზრო კაპიტალიზაცია დაახლოებით $4.6 მილიარდი აშშ დოლარი 2012 წელს, ხოლო 2023 წლის მაისში ეს იყო დაახლოებით $11.2 მილიარდი აშშ დოლარი. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ზრდა.

ჰუმანური განვითარების ინდექსი (HDI): ხორვატიის HDI 2012 წელს იყო 0,830, ხოლო 2021 წელს 0,858, რაც მიუთითებს ზრდაზე.

შემოსავლების უთანასწორობა: 2011 წელს ხორვატიას ჰქონდა ჯინის კოეფიციენტი 33.7, ხოლო 2020 წელს 33.9, რაც მიუთითებს შემოსავლების უთანასწორობის შედარებით სტაბილურ დონეებზე.

მომხმარებელთა ნდობის ინდექსი (CCI): 2012 წელს ხორვატიის CCI იყო 79.4, ხოლო 2023 წლის თებერვალში 110.2, რაც მიუთითებს ზრდაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI): 2012 წელს ხორვატიამ მიიღო დაახლოებით $2.6 მილიარდი აშშ დოლარი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით, ხოლო 2021 წელს მიიღო დაახლოებით $6.8 მილიარდი აშშ დოლარი. ეს კი მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს.

სახელმწიფო ხარჯები: 2012 წელს ხორვატიის სახელმწიფო ხარჯები შეადგენდა დაახლოებით $22.8 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო 2022 წელს იყო დაახლოებით $19,7 მილიარდი აშშ დოლარი, რაც მიუთითებს უმნიშვნელო შემცირებაზე.

სამრეწველო წარმოება: 2012 წელს ხორვატიის სამრეწველო წარმოება წინა წელთან შედარებით 5.7%-ით შემცირდა, 2021 წელს კი 6.7%-ით გაიზარდა, რაც ზრდაზე მიუთითებს.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 2012 წლის გამოცემაში ხორვატია 90-ე ადგილზე იყო 179 ქვეყანას შორის, ხოლო 2022 წლის გამოცემაში 75-ე ადგილი დაიკავა 178 ქვეყანას შორის, რაც მიუთითებს რეიტინგში და ქულების გაუმჯობესებაზე.

რომ შევაჯამოთ, ხორვატიის ეკონომიკამ ევროკავშირში გაწევრიანებით საკმაოდ დადებითი შედეგი მიიღო. მისი მონაცემები გაუმჯობესდა მოცემულ ნაშრომში გამოყენებული ინდიკატორების უმრავლესობის მიხედვით.

გარდა ამისა, ევროკავშირის წევრობამ წაახალისა უცხოური ინვესტიციები ხორვატიის ეკონომიკაში, რადგან ინვესტორებს ძალიან იზიდავს ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტაბილურობა და პროგნოზირებადობა. ამან გამოიწვია ხორვატიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის მოდერნიზაციას და დივერსიფიკაციას. 2020 წელს ხორვატიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარაგი 38,3 მილიარდი ევრო იყო, ყველაზე დიდი ინვესტორები ევროკავშირიდან იყვნენ.

ხორვატიის ეკონომიკისთვის ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებული გამოწვევებიც იყო, მაგრამ ამ გამოწვევების გადალახვამ საბოლოოდ ძალიან დადებითი შედეგები მოიტანა. ერთ-ერთ ესეთ გამოწვევა იყო ევროკავშირის წევრობის გავლენა ხორვატიის ეკონომიკის ზოგიერთ სექტორზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე და მეთევზეობაზე. ამ სექტორებს კონკურენციის გაწევის მხრივ ექმნებოდათ ძალიან დიდი პრობლემები ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების მხრიდან. პრობლემის აღმოსაფხვრელად ევროკავშირმა დაიწყო დაფინანსება და მხარდაჭერა ამ სექტორების მოდერნიზებასა და ცვალებად საბაზრო პირობებთან ადაპტაციაში. მთლიანობაში, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის როლი, განსაკუთრებით ევროკავშირში გაწევრიანების გზით, გადამწყვეტი იყო ხორვატიის ეკონომიკის განვითარებისთვის. მან შექმნა ახალი შესაძლებლობები ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის მოდერნიზაციას და დივერსიფიკაციას.

ხორვატიის მთავარი სავაჭრო პარტნიორები

ხორვატია გამოირჩევა საკმაოდ მაღალი საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის დონით. იგი ეწევა აქტიურ საერთაშორისო ვაჭრობას.

2021 წლის მონაცემებით გერმანია არის ხორვატიის მთავარი იმპორტიორი. გერმანიიდან ხორვატიაში იმპორტირებული პროდუქტისა და მომსახურების ღირებულება შეადგენს 4.99 მილიარდ აშშ დოლარს. მეორე მთავარი იმპორტიორი ხორვატიისთვის არის იტალია, საიდანაც იმპორტირებული პროდუქტისა და მომსახურეობის საერთო საფასური შეადგენს 4.25 მილიარდ აშშ დოლარს. იტალიის შემდეგ ხორვატიის მთავარი იმპორტიორია სლოვენია 3.69 მილიარდი ღირებულების იმპორტით. მეოთხე ადგილზეა უნგრეთი, საიდანაც შემოტანილი პროდუქტისა და მომსახურების ჯამური ღირებულებაა 2.5 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო მეხუთე ადგილი უჭირავს ავსტრიას. იმპორტული საქონლისა და მომსახურების ღირებულება ამ შემთხვევაში შეადგენს 2.11 მილიარდ აშშ დოლარს.

2021 წლის მონაცემებით იტალია არის ხორვატიის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ქვეყანა, სადაც გატანილი პროდუქტისა და მომსახურების ღირებულებაა 2.85 მილიარდი აშშ დოლარი. ნომერ მეორე მთავარი ექსპორტიორია გერმანია, რომელშიც ხორვატიის ექსპორტის ღირებულება შეადგენს 2.69 მილიარდ აშშ დოლარს. გერმანიის შემდეგ ხორვატიის უმსხვილესი ექსპორტიორია სლოვენია 2.34 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტით.მეოთხე და მეხუთე ადგილი უჭირავთ ბოსნია ჰერცოგოვიასა და უნგრეთს. ექსპორტი ბოსნია ჰერცოგოვიასთან შეადგენს 1.93 მილიარდი აშშ დოლარს, ხოლო უნგრეთთან 1.8 მილიარდ აშშ დოლარს.

ხორვატიის ხუთივე მთავარი სავაჭრო პარტნიორი როგორც ექსპორტში, ასევე იმპორტში არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ჩამოთვლილი ექვსივე სახელმწიფო გამოირჩევა საკმაოდ ძლიერი და სტაბილური ეკონომიკით. ხორვატიის სავაჭრო კავშირზე მოცემულ ქვეყნებთან ძალიან დიდ გავლენას ახდენს ევროკავშირის წევრობა, რადგან როგორც ევროკავშირის წევრები, ისინი მონაწილეობენ ერთიან ბაზარზე, რომელიც იძლევა საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ხალხის თავისუფალ გადაადგილებას წევრ ქვეყნებს შორის. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ტარიფები ან სხვა სავაჭრო ბარიერები მათ შორის.

ევროკავშირის შემადგენლობაში ყოფნა ასევე ნიშნავს, რომ წევრი სახელმწიფოები ექვემდებარებიან გარკვეულ რეგულაციებსა და სტანდარტებს, როგორიცაა პროდუქტების უსაფრთხოებასთან, გარემოს დაცვასთან და შრომის უფლებებთან დაკავშირებულ. ეს ამაღლებს ევროკავშირის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქტისა, თუ მომსახურეობის ხარისხს და შესაბამისად კონკურენტ უნარიანობას. შესაბამისად ხორვატიის მიერ წარმოებული პროდუქტი გამოირჩევა მაღალი ხარისხით. ამის გამო მისი ექსპორტირებული პროდუქტი თუ მომსახურება კონკურენტულია უცხო ქვეყნის ბაზარზე.

ხორვატიის ეკონომიკა პანდემიის დროს

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ხორვატიაზე, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ასევე ეკონომიკის თვალსაზრისით. მთავრობამ და ევროკავშირმა მიიღეს გარკვეული ზომები, რომლებიც მიზნად ისახავდა ვირუსის გავრცელების კონტროლს და მისი ეკონომიკური ეფექტის შერბილებას.

COVID-19-ის პანდემიამ მძიმე გავლენა მოახდინა ხორვატიის ეკონომიკაზე, რომელიც 2020 წელს 8.4%-ით შემცირდა. პანდემიამ გამოიწვია ტურიზმის, ხორვატიის ეკონომიკის საკვანძო სექტორის მკვეთრი ვარდნა. პანდემიამ ასევე დიდი დარტყმა მიაყენა სხვა სექტორებს, როგორიცაა წარმოება და მშენებლობა. მთავრობამ მიიღო ისეთი ზომები, როგორიცაა ხელფასების სუბსიდიები, გადასახადების გადავადება და სესხის გარანტიები, რათა მხარი დაეჭირა პანდემიით დაზარალებული ბიზნესისა და მუშაკებისთვის. ევროკავშირმა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პანდემიის დროს ხორვატიის მხარდაჭერაში. როგორც ევროკავშირის წევრს, ხორვატიას უფლება ჰქონდა მიეღო ფინანსური დახმარება ევროკომისიისგან. ეს ინიციატივები ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა წევრ სახელმწიფოებს ჯანდაცვაში ინვესტიციების ჩასატარებლად, ბიზნესისა და მუშაკების მხარდასაჭერად და პანდემიის ეკონომიკური შედეგების შესამცირებლად.

ფინანსური დახმარების გარდა, ევროკავშირმა ასევე უზრუნველყო ხორვატია სამედიცინო აღჭურვილობით და გაგზავნა სამედიცინო ექსპერტების გუნდი ხორვატიაში. ევროკავშირმა ასევე დიდი როლი ითამაშა იმ მხრივ, რომ იგი დაეხმარა წევრ ქვეყნებს, მათ შორის ხორვატაიასაც, პანდემიაზე რეაგირების კოორდინაციაში. დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპულმა ცენტრი (ECDC) წევრ ქვეყნებს ვირუსის გავრცელების კონტროლისა და მისი შედეგების შესამცირებლად აძლევდა მითითებებს. ევროკავშირი ასევე მუშაობდა წევრ ქვეყნებში სამედიცინო აღჭურვილობისა და მარაგების შესყიდვისა და განაწილების კოორდინაციაზე.

საერთო ჯამში, COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ხორვატიაზე, როგორც მისი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ასევე მისი ეკონომიკის თვალსაზრისით. მთავრობამ და ევროკავშირმა უპასუხეს ზომებით, რომლებიც მიზნად ისახავს ვირუსის გავრცელების კონტროლს და მისი ეკონომიკური შედეგების შერბილებას. ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პანდემიის დროს ხორვატიის მხარდაჭერაში ფინანსური დახმარების, სამედიცინო აღჭურვილობისა, ექსპერტების მხრიდან გაწეული დახმარების და წევრ ქვეყნებში რეაგირების კოორდინაციის გზით. საიდანაც ნათლად იკვეთება, თუ რამდენად დიდი იყო ევროკავშირის როლი ხორვატიისთვის პანდემიის პერიოდში.

დასკვნა

ევროკავშირში ინტეგრაციამ ვაჭრობის, ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების მეშვეობით მრავალი სარგებელი მოუტანა ხორვატიასა და მის მოქალაქეებს, მათ შორის ტექნოლოგიურ პროგრესი, ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლება, სამუშაო ადგილების შექმნა და ცხოვრების მაღალი დონე და ა.შ. ევროკავშირი ძალიან დიდ გვერდში დგომას უცხადებდა ხორვატიას ისეთ რთულ სიტუაციაშიც კი როგორიც იყო Covid 19-ით გამოწვეული პანდემია და დაეხმარა მის დაძლევაში. ევროკავშირის დახმარებით მოცემულ ქვეყანაში ამაღლდა გამოშვებული მომსახურეობისა და პროდუქციის ხარისხი, მოსახლეობის კეთიდღეობა და საერთო ეკონომიკური მდგომარეობა. ხორვატიამ დაამყარა მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, რითაც შეძლო საერთაშორისო ვაჭრობისა და ტურიზმის უფრო მაღალ დონეზე აყვანა.

ხორვატიის მაგალითზე დაყრდნობით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას მრავალ ასპექტში აუმჯობესებს. კერძოდ, იგი ამაღლებს ქვეყნის პროდუქტიულობას, ზრდის გამოშვების მოცულობას, ასტიმულირებს ფირმებს, რომ აამაღლონ პროდუქციის ხარისხი, მიაღწიონ ტექნოლოგიურ პროგრესს, ასევე იზრდება კონკურენციის დონე, უცხოური ინვესტიციები და ა.შ. ამის გამო სახელმწიფოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გააუმჯობესონ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის დონე და შეუერთდნენ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც მათ ამის მიღწევაში დაეხმარებათ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფუტკარაძე რ. ხორვატიის ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირში და საქართველო. Economic Integration of Croatia into the European Union and Georgia. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალების კრებული. თბილისი, 26–27 ოქტომბერი, 2018. გამომცემლობა „უნივერსალი'', 2018. გვ. 395-399.
2. Croatia land and people. Ministry of Foreign and European Affairs of the Republic of Croatia, Zagreb, 2013.
3. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები (საქსტატი). http://www.geostat.ge
4. World Tourism Organization , *European Union Tourism Trends,* UNWTO, Madrid, 2018.
5. Putkaradze R. Trade and Economic Relations between Georgia and the European Union: Problems and Perspectives. Tbilisi, 2010.

6. Putkaradze R. Historical Determinants of the Economic Relations of Georgia and the European Union. Wydawnictwo Uniwersytetu Przyrodniczo-Humanistycznego w Siedlcach. Zeszyty Naukowe Uniwersytetu Przyrodniczo-Humanistycznego Siedlcach. Seria: Administracja i Zarządzanie. - Nr 34 (107) (2015), s. 97-105.
7. Putkaradze R. ACTUAL ISSUES OF THE FOREIGN TRADE OF GEORGIA. PaataGugushvili Institute of Economics of Ivane JAvakhishvili Tbilisi State University. Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 60th Birth Anniversary of Professor George Tsereteli NATIONAL ECONOMIES AND GLOBALIZATION (28-29 June, 2012). p. 51-58.
8. Chania M. Putkaradze R. The Priorities of Georgian Economic Development in Conditions of Globalization. European Journal of Marketing and Economics, v. 1, n. 1, p. 63-66, july 2018.
9. Putkaradze R. Perspectives of Georgia-European Union trade relations. Journal Проблемы и перспективы развития сотрудничества между странами Юго-Восточной Европы в рамках ЧЭС и ГУАМ. 2010, Volume 1, Pages 123-127
10. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია, 2025.
11. The European economy since the start of the millennium. Eurostat. 2018. https://ec.europa.eu/eurostat/cache/digpub/european_economy/bloc-1a.html?lang=en]
12. Silagadze A, Zubiashvili T. Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS). 2015. P. 441-448
13. ბასილია თ. სილაგაძე ა. ჩხიკვაიძე თ. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი 2001.
14. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.
15. World development indicators, World bank, 2021.
16. World Trade Organization, World Trade Statistical Revie, 2021.
17. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=HR
18. https://tradingeconomics.com/croatia/unemployment-rate
19. https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?locations=HR
20. https://tradingeconomics.com/croatia/imports-by-category
21. https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS?locations=HR
22. https://tradingeconomics.com/croatia/imports-by-country
23. https://tradingeconomics.com/croatia/exports-by-country

უმუშევრობა და სიღარიბის დონე საქართველოში

ქეთი შავიშვილი

ბოლო ათწლეულის მანძილზე თანამედროვე მსოფლიო, განსაკუთრებით კი საქართველო, პირისპირ აღმოჩნდა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე, როგორებიცაა უმუშევრობა და სიღარიბის დონე, რომლებიც მაკროეკონომისტების ძირითად ამოცანას წარმოადგენენ. უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკაში ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, სწორედ ამიტომ მიიჩნევა მის განუყოფელ ნაწილად, თუმცა ეფექტური და ეფექტიანი სამუშაოს შესრულებით, მიზანმიმართული რეფორმებითა და პოზიტიური ძვრების შემოღებით სავსებით შესაძლებელია მისი დონის მინიმუმამდე დაყვანა. ამ პრობლემების არ აღმოფხვრა ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური და ეფექტიანი ფუნქციონირების გარანტს ვერ მოგვცემს. ამერიკელი მეცნიერი ჯონ გელბრეიტიც ხომ იმავეს გულისხმობდა, როცა თქვა, რომ „უმუშევრობის მაღალ დონეს საზოგადოებაში თან სდევს მეტად მძიმე ეკონომიკური და სოციალური შედეგები, რის შედეგადაც მატერიალურ და მორალურ ზარალს არა მარტო ცალკეული პიროვნება, არამედ მთელი საზოგადოება განიცდის,“ და არა მხოლოდ საზოგადოება, არამედ ქვეყანაც, ვინაიდან ოუკენის კანონის თანხმად, უმუშევრობის დონის 1%-იანი ზრდა ქვეყნის მსპ-ის 2.0%-დან 2.5%-მდე ამცირებს.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მრავალი ღონისძიებისა თუ რეფორმის გატარების მიუხედავად, მაინც არსებობს გარკვეული წინაღობები, რომლებიც შეეხება როგორც კვალიფიცირებული სამუშაო ძალის დეფიციტს, ასევე სამუშაო ადგილების ნაკლებობას. მეტად საყურადღებოა ცალკე მდგომი პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით მდიდარი ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მქონე კვალიფიციური სამუშაო კადრების სიმცირეც, რაც სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია.

ამ საკითხს უფრო მეტად ამძაფრებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე დემოგრაფიული, ორგანიზაციული თუ სტრუქტურული ცვლილებები, შრომითი მიგრაციები, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა და ა.შ. რაც შეეხება სიღარიბის დონეს, მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზი სწორედ უმუშევრობა და მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონეა, მისი დაძლევა კი შესაძლებელია ეკონომიკური აღმავლობის მაღალი მაჩვენებლითა და ქვეყნის მიერ მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით.

ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული უმუშევრობისა და სიღარიბის დონის მდგომარეობის ანალიზი, იკვეთება ასევე ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემებიც. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბოლო პერიოდში საქართველოში უმუშევრობისა და სიღარბის დონეების ცვლილების სიღრმისეულ კვლევას.

საკვანძო სიტყვები: *უმუშევრობა, სიღარიბის დონე, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდება.*

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, საქართველოში სიღარიბისა და მასობრივი უმუშევრობის დაძლევა თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქაში

კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბოლო წლებში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით გარკვეული პოზიტიური ძვრები განხორციელდა, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის მნიშვნელოვნად შემცირება მაინც ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: რა იწვევს უმუშევრობას? ამისთვის გავიხსენოთ ეკონომიკურ თეორიაში არსებული ოთხი ძირითადი მიდგომა - მალთუსის, ნეოკლასიკური, კეინზიანური და მარქსისტული მიმდინარეობის (**იხ. სქემა-1**).

სქემა-1

უმუშევრობის ძირითადი მიზეზები			
მალთუსის თეორია	**ნეოკლასიკური თეორია**	**კეინზიანური თეორია**	**მარქსისტული თეორია**
მოსახლეობის სიჭარბე	პიროვნებას არა აქვს სურვილი და უარს აცხადებს იმუშაოს დაბალი ხელფასის პირობებში (ხელფასის მაღალი დონე)	დასაქმება დამოკიდებულია მოთხოვნაზე, ინვესტიციების მოცულობასა და მოხმარებისადმი მიდრეკილებაზე (ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობა)	კაპიტალის აუცილებელი დაგროვება, რომლის დროსაც მოთხოვნა ცოცხალ შრომაზე იზრდება ნაკლებად, ვიდრე მანქანა-მოწყობილობებზე

წყარო: უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. მონოგრაფია - მურმან ცარციძე

აღნიშნული მიდგომების საფუძველზე უმუშევრობის ძირითად მიზეზებად უნდა ჩავთვალოთ: 1)მომუშავის მხრიდან დამსაქმებლისადმი წაყენებული მოთხოვნა, მისთვის სასურველი ხელფასის სიდიდესთან დაკავშირებით, როცა დაქირავებული მომუშავეები არ არიან თანახმა იმუშაონ შეთავაზებულ ხელფასზე და თვითონ ირჩევენ უმუშევრობის მდგომარეობას, 2)მოთხოვნის შემცირება სამუშაო ძალაზე. სახელმწიფომ მოთხოვნის შემცირებას სამუშაო ძალაზე უნდა უპასუხოს შესაბამისი პოლიტიკის გატარებით, შემოსავლების ზრდის ან გადასახადების შემცირებით, რითაც შეუძლია გაზარდოს მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, 3)შრომის ბაზრის მოუქნელობა.

2020 წლის მარტიდან მსოფლიო ახალი გლობალური კრიზისის სტადიაზე გადადის, რომელიც კორონავირუსის (COVID-19)-ის გავრცელებამ გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა არაეკონომიკური ხასიათისაა, მან სერიოზული დარტყმა მიაყენა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკას, მკვეთრად გაზარდა უმუშევრობის დონე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2021 წელი, როცა უმუშვარი მოსახლეობის რაოდენობა 316.2 ათას კაცს, ხოლო უმუშევრობის დონე პროცენტულად 20.6%-ს შეადგენდა (**იხ. ცხრილი-1**).

ცხრილი-1

სამუშაო ძალის მახასიათებელი მაჩვენებლები 2014-2022 წლებში საქართველოში

მაჩვენებლები	2010	2015	2020	2021	2022
სულ 15+ მოსახლეობა	3114.8	3019.1	3018.5	3010.3	2988.9
სამუშაო ძალა	1603.8	1675.6	1523.7	1533.6	1551.6
დასაქმებული	1167.6	1308.5	1241.8	1217.4	1283.7
დაქირავებული	710.0	855.3	845.3	829.4	870.9
თვითდასაქმებული	455.2	445.6	395.9	387.1	412.1
გაურკვეველი	2.5	7.5	0.7	0.9	0.8
უმუშევარი	436.2	367.2	281.9	316.2	267.9
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1511.0	1343.5	1494.8	1476.7	1437.4
უმუშევრობის დონე, პროცენტი	27.2	21.9	18.5	20.6	17.3
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე, პროცენტი	51.5	55.5	50.5	50.9	51.9
დასაქმების დონე, პროცენტი	37.5	43.3	41.1	40.4	42.9

წყარო: დასაქმება და უმუშევრობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

უმუშევრობის მაღალმა დონემ, არაეფექტიანმა დასაქმებამ და ქვეყნის შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობამ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია მოსახლეობის ცხოვრებისა და სიღარიბის დონესა და მასშტაბებზე, რამაც თავის მხრივ შეანელა ქვეყნის წინსვლა და გამოიწვია მრავალი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემა. ჯერ კიდევ 2005 წელს ქვეყნის მოსახლეობის 54,9% სიღარიბის ოფიციალურად დადგენილ ზღვარზე დაბლა ცხოვრობდა. საბედნიეროდ, 2013 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი იკლებს, თუმცა ზოგადი სიღარიბის დონის მინიმუმამდე დაყვანა კვლავ რჩება მაკროეკონომისტების ძირითად ამოცანად (**იხ ცხრილი-2**).

ცხრილი-2

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)

წელი	ქალაქი	სოფელი	ასაკობრივი ჯგუფი			სქესი		საქართველო
			0-17	18-64	65 +	ქალი	კაცი	
2004	34.4	34.1	37.7	33.3	32.9	34.2	34.4	**34.3**
2005	37.3	33.0	38.9	34.9	32.7	35.6	35.3	**35.4**
2006	39.5	33.5	40.7	36.3	34.0	37.1	36.7	**36.9**
2007	37.6	40.3	42.7	38.2	36.0	38.9	38.7	**38.8**
2008	32.0	38.7	39.1	34.5	31.0	35.0	34.9	**34.9**
2009	33.0	37.5	38.7	35.0	29.5	34.6	35.2	**34.9**

2010	32.7	43.3	41.5	37.3	31.8	36.8	37.9	**37.3**
2011	31.3	37.7	37.7	34.2	28.6	34.0	34.3	**34.1**
2012	26.3	35.0	34.7	29.8	24.1	30.0	30.1	**30.0**
2013	20.8	33.4	29.9	26.5	19.6	25.8	26.7	**26.2**
2014	19.0	29.4	28.3	23.3	17.6	23.3	23.7	**23.5**
2015*	18.0	26.4	24.2	22.0	16.4	21.3	22.0	**21.6**
2016	18.0	27.4	26.4	21.9	16.1	21.2	22.9	**22.0**
2017	18.6	26.6	26.0	21.7	16.5	21.6	22.4	**21.9**
2018	18.0	23.1	25.5	19.5	14.4	20.2	20.0	**20.1**
2019	16.4	23.7	24.4	19.2	13.8	19.4	19.6	**19.5**
2020	17.1	27.5	26.4	21.2	15.4	20.9	21.7	**21.3**
2021	15.0	21.3	22.7	17.3	11.9	17.1	17.9	**17.5**

წყარო: სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

სქემა-2

სიღარიბის დონის მახასიათებელი მაჩვენებლები 2010-2021 წლებში საქართველოში (პროცენტებში)



წყარო: სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

2021 წელს სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი, ანუ საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის (587524 კაცი) წილი მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და 15.8%-ს მიაღწია (geostat.ge). აქედან გამომდინარე ცხა-

დია, რომ ბოლო წლებში ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდის ტემპებმა ვერ უზრუნველყო სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში უმუშევრობის შედარებით მაღალი დონე განვითარებულ ქვეყნებს შორის შეინიშნებოდა აშშ-სა და კანადაში, მაშინ, როცა ამ პერიოდისთვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უმუშევრობა თითქმის ორჯერ ნაკლები იყო. 1990-იანი წლებისათვის კი პირიქით, უმუშევრობა ევროპაში 16,0%-17,0%-ით მეტი იყო. ამის დასტურია უმუშევრობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები განვითარებულ ქვეყნებში 2000 წლიდან და მის შემდგომ პერიოდში. კერძოდ, 2000-2007 წლებში უშევრობის დონე აშშ-ში 5,0%-6,8%, ავსტრალიაში 6,1%–8,2%, კანადაში 7,1%– 9,6%, გერმანიაში 8,1%-8,2%, ინგლისში 12,9%-13,1%, იტალიაში 6,5%-10,7%, იაპონიაში – 2,9-3,5%, ხოლო შვედეთში 2,1%–2,6%-ს შორის მერყეობდა. 2021 წელს უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა შემდეგი ათი ქვეყნის მიხედვით: 1) ბოსნია და ჰერცოგოვინა - 32,62%, 2) ანგოლა - 31,8%, 3) იუარი - 29,1%, 4) კოსოვო - 25,9%, 5) სვაზილენდი - 22,9%, 6) ლესოტო - 23,5%, 7) იორდანია - 19,0%, 8) ლივია - 17,3%, 9) მაკედონია - 16,6%, 10) საბერძნეთი - 16,4%. სხვადასხვა ქვეყნებში უმუშევრობის საერთო დონეში განსხვავებას პირველ რიგში უმუშევრობის ბუნებრივი დონის სხვაობა და შრომის სფეროში არსებული კანონმდებლობის თავისებურებანი განაპირობებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ქვეყნების სოციალურ-კულტურული და ისტორიული ფაქტორები.

რაც შეეხება სიღარიბეს, მის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად საქართველოში უმუშევრობაა დასახელებული. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2015 წელს სიღარიბემ საქართველოში 25,3% შეადგინა. სიღარიბის ზღვარს მიღმა კი მოსახლეობის 12,0%-ია.

თანამედროვე მსოფლიოში კი სიღარიბეს, როგორც უმწვავეს და დაუძლეველ მოვლენას, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, დესტაბილიზაციის საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვს, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე და დამოკიდებულია საზოგადოებაში ცხოვრების დონის საერთო სტანდარტზე. ასევე ის გავლენას ახდენს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების დონის ამსახველ ისეთ საბაზო მახასიათებლებზე, როგორიცაა ჯანმრთელობისა და განათლების დონე. XXI საუკუნის დასაწყისში, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო ჯერ კიდევ 2001 წელს ქვეყნის სოციალურ-კონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის, ხოლო შემდეგ 2003 წელს, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის გრძელვადიანი პროგრამების დამტკიცება, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, მოსახლეობის ყველა ფენის მიერ ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის შედეგებით სარგებლობა, სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე ზრუნვა. სიღარიბე სხვაგვარად განიმარტება, როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის ნაკლებობა, შესაბამისად, ადამიანის მოთხოვნილებების, ინტერესებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე, მეცნიერ-მკვლევართა ნაწილი გამოყოფს მის 5 ძირითად ფორმას:

- ✓ ფიზიოლოგიური სიღარიბე;
- ✓ საშემოსავლო სიღარიბე;
- ✓ დეპრივაციული (არამონეტარული) სიღარიბე;
- ✓ სტრუქტურული სიღარიბე;
- ✓ მენტალური სიღარიბე.

ცხრილი-3

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი (%)

წელი	ქალაქი	სოფელი	ასაკობრივი ჯგუფი			სქესი		საქართველო
			0 - 17	18 - 64	65 +	ქალი	კაცი	
2004	34.4	34.1	37.7	33.3	32.9	34.2	34.4	**34.3**
2005	37.3	33.0	38.9	34.9	32.7	35.6	35.3	**35.4**
2006	39.5	33.5	40.7	36.3	34.0	37.1	36.7	**36.9**
2007	37.6	40.3	42.7	38.2	36.0	38.9	38.7	**38.8**
2008	32.0	38.7	39.1	34.5	31.0	35.0	34.9	**34.9**
2009	33.0	37.5	38.7	35.0	29.5	34.6	35.2	**34.9**
2010	32.7	43.3	41.5	37.3	31.8	36.8	37.9	**37.3**
2011	31.3	37.7	37.7	34.2	28.6	34.0	34.3	**34.1**
2012	26.3	35.0	34.7	29.8	24.1	30.0	30.1	**30.0**
2013	20.8	33.4	29.9	26.5	19.6	25.8	26.7	**26.2**
2014	19.0	29.4	28.3	23.3	17.6	23.3	23.7	**23.5**
2015*	18.0	26.4	24.2	22.0	16.4	21.3	22.0	**21.6**
2016	18.0	27.4	26.4	21.9	16.1	21.2	22.9	**22.0**
2017	18.6	26.6	26.0	21.7	16.5	21.6	22.4	**21.9**
2018	18.0	23.1	25.5	19.5	14.4	20.2	20.0	**20.1**
2019	16.4	23.7	24.4	19.2	13.8	19.4	19.6	**19.5**
2020	17.1	27.5	26.4	21.2	15.4	20.9	21.7	**21.3**
2021	15.0	21.3	22.7	17.3	11.9	17.1	17.9	**17.5**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

ბოლო 15 წლის განმავლობაში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 19,5%-დან (2019 წელი) 37,3%-ის (2010 წელი) ფარგლებში მერყეობდა. 2019 წელს, ქალაქის მიხედვით, მისი დონე 16,4%, ხოლო სოფლის დასახლებისათვის შედარებით უფრო მაღალი – 23,7% იყო (**იხ. ცხრილი-3**).

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია შევაჯამოთ განხილული საკითხი. მაშასადამე, უმუშევრობა და სიღარიბის დონე საქართველოს ბოლო წლების ყველაზე მწვავე პრობლემების ხუთეულს არ ტოვებენ. ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილეთ ამ ორი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გამომწვევი მიზეზები და როგორც აღვნიშნეთ უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები მრავალფეროვანია. თუ განვაზოგადებთ აღნიშნულ პრობლემასთან

დაკავშირებით თანამედროვე კვლევებს, მათგან პირველ რიგში ხუთი ძირითადი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

1) სტრუქტურული ძვრები ეკონომიკაში, რაც გამოიხატება იმით, რომ ახალი ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის დანერგვა იწვევს ჭარბი სამუშაო ძალის შემცირებას;

2) ეკონომიკური ვარდნა ან დეპრესია, რაც აიძულებს დამსაქმებლებს შეამცირონ საჭიროება ყველა რესურსზე, მათ შორის შრომაზე;

3) მთავრობისა და პროფკავშირების პოლიტიკა ხელფასების სფეროში, კერძოდ, მინიმალური ხელფასის აწევა ზრდის წარმოების ხარჯებს და ამით ამცირებს შრომაზე მოთხოვნას;

4) ეკონომიკის ცალკეულ სექტორებსა და დარგებში წარმოების დონის სეზონური ცვლილებები;

5) მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებები, კერძოდ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ზრდა, რომელიც ამაღლებს მოთხოვნას შრომაზე და ზრდის უმუშევრობის ალბათობას.

რაც შეეხება სიღარიბეს, ქართველი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის-ილია ჭავჭავაძის აზრით, მას იწვევს ცოდნის დეფიტი და უქონლობა. „სხვა ვერაფერი გაუსწორებს ომს ცოდნასა, თუ არ ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არა ის ხერხი, ის უნარი, ის ძალღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა“ - ამ ფრაზით ილიამ საბოლოოდ დაასკვნა, რომ სათანადო ცოდნისა და განათლების გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემის დამარცხება.

სიღარიბის ანალიზი საშუალებას იძლევა ჩამოვაყალიბოთ რიგი საყურადღებო დასკვნები:

1) თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში, სიღარიბე როგორც სოციალურ - ეკონომიკური, კულტურული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით კვლავ უმწვავეს პრობლემად რჩება ქვეყანაში და პირდაპირ ზემოქმედებს მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე;

2) სიღარიბეზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში მეწარმეობის, კერძო სექტორის, ბიზნესის და, საერთოდ, ეკონომიკური განვითარების დონე და ხარისხი;

3) ბოლო წლებში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ქვეყანაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრების მიუხედავად, სიღარიბის დაძლევა მაინც ვერ მოხერხდა. კვლავ მაღალია მისი მაჩვენებლები: აბსოლუტური, რეგისტრირებული და ფარდობითი სიღარიბე, სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე;

4) საქართველოში სიღარიბის დონესა და მასშტაბებზე მოქმედებს არა მარტო შემოსავლების დონე, არამედ მათი დიფერენციაციის ხარისხი, სხვაობა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შემოსავლებს შორის. მაშასადამე, საბოლოო დასკვნად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, რომ ამ ორი პრობლემის გადაჭრას სწორი სტრატეგია და მიდგომები სჭირდება, რათა უმუშევრობის და სიღარიბის დონეები მინიმუმამდე დავიდეს, მოსახლეობის ცხოვრების დონე არა პერსპექტივაში, არამედ აწმყოში ამაღლდეს და ჩვენი ულამაზესი ქვეყანა - საქართველო ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბედიანაშვილი გ., ბიჭია ქ., ნაცვლიშვილი ე.** სამეწარმეო აქტიურობის განვითარება, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები. გლობალიზაცია და ბიზნესი. 12, 21-31*. 2021. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.002. gb-N12.pdf (eugb.ge);
2. **ლობჟანიძე მ.** კოვიდ-19 პანდემიის გავლენა სასწავლო მიგრაციაზე. IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია-საქართველოს პოსტპანდემიური ეკონომიკა: გამოწვევები, პრობლემები, გადაჭრის გზები, 2020;
3. **პაპავა ვ., ჭარაია ვ.** კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. N136. საქართველოს სტარტეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. 2020 წელი. (GFSIS.ORG);
4. **ტაბატაძე მ.** აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმები უმაღლესი განათლების სისტემაში, სტუ მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, https://gtu.ge/News/15005/, 2020;
5. **ტუხაშვილი მ.** “აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა”, მიგრაცია N2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, “უნივერსალი”, თბ., 2008, გვ. 11.
6. **ღაღანიძე გ.** მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XII, N2, 2020 წელი. http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge;
7. **ცარციძე მ.** უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. მონოგრაფია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 2022 წელი;
8. **Kharaishvili E., Natsvlishvili I.** Impact of International Educational Migration In The Contexst Of Globalization Of Higner Education (Case Of Georgia). https://iated.org/concrete3/paper_detail.php?paper_id=73405. 2019. ISBN: 978-84-09-12031-4.
9. **Tukhasvhili Mirian, Latsabidze Natela, Lobzhanidze Manana, Shelia Mzia**. Emigration Intentions Of Students Of Higner Education Institutions Of Georgia (Examples From Ivane Javakhishvili Tbilisi State University). European Journal of Humanities and Social Sciences. Scientific journal. Vienna. Premier Pubishing. №3 2018. P.132-140. **ISSN 2414-2344**. https://ppublishing.org/journals/769/;
10. **Tsartsidze M**. Poverty and the Economic Development Factors in Georgia. «European Journal of Humanities and Social Sciences», Scientific journal, №1, vienna 2016.

საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, ქ.თბილისი 2019 წლის 30 დეკემბერი (matsne.gov.ge);
2. საქართველოს შრომის კოდექსი. კანონი N4113. 17 დეკემბერი 2010 წელი. (matsne.gov.ge);
3. საქართველოს კანონი N6819-სრ „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, ქ. თბილისი, 2020 წლის 14 ივლისი (matsne.gov.ge);
4. 2022 საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=6d62d354-2f42-4614-9038-fdaea4c0d13d.

ქართული პორტების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში

მარიამ შენგელია

პორტები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კრიტიკულ ინფრასტრუქტურას. ეკონომიკური აღმავლობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის პორტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ და მათი ეფექტური ფუნქციონირება და განვითარება აუცილებელია ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობისთვის.როგორც ევროპის, კავკასიისა და აზიის დამაკავშირებელ ხიდს, საქართველოს, ამ რეგიონების გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყანას, აქვს მეზღვაურობისა და ვაჭრობის მდიდარი ისტორია.ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა შავ ზღვაზე და მისი სიახლოვე კავკასიის მთებთან, საუკუნეების განმავლობაში აქცევდა მას რეგიონალურ ვაჭრობაში მთავარ მოთამაშედ და სატრანზიტო ქვეყნად. ამის გამო ნავსადგურის შექმნის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. ბათუმის, ფოთის, ყულევის, სუფსისა და მშენებარე ანაკლიის პორტები,ყოველთვის სტრატეგიულ და დიდი პოტენციალის მატარებელ ობიექტებს წარმოადგენდნენ. სანაპირო და საზღვაო სამეურნეო-ტერიტორიული სისტემების სწრაფი განვითარება განსაკუთრებულ როლს თამაშობს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ძირითადად დამოკიდებულნი არიან საერთაშორისო ვაჭრობაზე, იმპორტსა და ექსპორტზე. საქართველოს შემთხვევაში, რომელიც დიდწილად იმპორტირებულ საქონელზეა დამოკიდებული, პორტების განვითარება და მათი სტრატეგიული გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.ამ პოტენციალისა და აუცილებლობის გამო, ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს უმნიშვნელოვანესი საზღვაო პორტების, ბათუმის, ფოთის და მშენებარე ანაკლიის როლის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკასა და ერთიან სატრანსპორტო სისტემაში. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ნაშრომი განხილული იქნება ეკონომიკურ ჭრილში,რაც გულისხმობს პორტების როლს: ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, სიღარიბის დონის შემცირებაში,ინვესტიციების მოზიდვაში და კეთილდღეობის ზრდაში. ასევე, განვიხილავთ პორტების გავლენას მომიჯნავე სექტორებზე,სფეროს განვითარების შესაძლებლობებს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საკვანძო სიტყვები: *კრიტიკული ინფრანსტრუქტურა, სატრანზიტო ქვეყანა, ეკონომიკური განვითარება.*

შესავალი

საპორტო სისტემა ქალაქის, ქვეყნისა თუ რეგიონის განვითარების ინსტრუმენტია. პორტების ძირითადი ღირებულება ეკონომიკურია, რადგან ისინი მხარს უჭერენ სავაჭრო ნაკადებს და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებს. ეკონომიკური და საჯარო პოლიტიკის პერსპექტივიდან, პორტები განიხილება, როგორც ეკონომიკური კატალიზატორები იმ რეგიონებისთვის, რომლებსაც ემსახურებიან.საქართველოს აქვს სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ქვეყანას ანიჭებს სატრანზიტო ფუნქციას. ქართულ საზღვაო პორტებს გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ აშშ-სა და მისი ევროპელი

მოკავშირეებისთვის. ქვეყნის პოზიცია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან ვაჭრობის მნიშვნელოვანი წილი, რომელიც განკუთვნილია ევროპის ბაზრისთვის, გადის ქართულ ნავსადგურებში, ხოლო სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ნაწილი ქართული პორტების მეშვეობით ხორციელდება. პორტების გამოყენება ყველაზე მოსახერხებელი და იაფი ხერხია საქონლის გადასატანად. საზღვაო ტრანსპორტზე გლობალური საერთაშორისო ვაჭრობის 90% მოდის, ხოლო საქართველო ზემოდხსენებულ საზღვაო სატრანსპორტო ქსელში შესულია 2 ყველაზე მნიშვნელოვანი პორტით, ეს პორტებია: ბათუმისა და ფოთის, სადაც ძირითადი ოპერატორები არიან ენერგოკომპანიები. აქ აუცილებელია ვახსენოთ მშენებარე ანაკლიის პორტის პერსპექტივა წინ წაწიოს ქვეყნის ეკონომიკა. ზემოდხსენებული ფაქტების გამო აუცილებელია ჩავუღრმავდეთ პორტების როლს და განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. პორტები, როგორც ეკონომიკური კატალიზატორები

პორტების სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასებისას შესაძლებელია განსხვავებული მიდგომების გამოყენება. პირველია პორტების ეკონომიკური მნიშვნელობის გაზომვა მკაფიო ეკონომიკური და ფინანსური პარამეტრების მეშვეობით. არსებობს პოტენციური ინდიკატორების დიდი დიაპაზონი. ზოგიერთი მათგანი გამოიხატება აბსოლუტურ ციფრებში, ზოგი კი შედარებითი სახით. ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლები (პორტი, როგორც მთლიანი ღირებულების და ზრდის ფაქტორი) მოიცავს:

დიაგრამა 1.

პორტების ეკონომიკური მნიშვნელობის გაზომვა მკაფიო ეკონომიკური და ფინანსური პარამეტრების მეშვეობით



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ,თავში განხილული ტექსტის საფუძველზე.

მთლიანი ღირებულება, რომელიც იძლევა ხედვას პორტის საქმიანობის წვლილის შესახებ მშპ-ში (მთლიანი შიდა პროდუქტი) ან GRP (მთლიანი რეგიონალური პროდუქტი) მოცემულ პერიოდში (ხშირად ყოველწლიურად). ამ ღირებულების შეფასება შეიძლება რთული იყოს, რადგან პორტები პირდაპირ გავლენას ახდენენ მათთან უშუალოდ დაკავშირებულ საქმიანობაზე და ასევე არსებობს არაპირდაპირი ზემოქმედებების მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, რომლებიც შეიძლება ურთიერთქმედებდეს პორტთან პირდაპირ დაკავშირებულ საქმიანობასთან, რაც გულისხმობს, რომ პორტებს დიდი გავლენა აქვთ მომიჯნავე სექტორებზე. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდასთან ერთად, პორტების არაპირდაპირი გავლენა ეროვნულ თუ რეგიონულ ეკონომიკაზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

დასაქმება გამოიხატება სრული განაკვეთის ეკვივალენტებში (FTE) და იძლევა ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს პორტის საქმიანობა დასაქმების შექმნას. ამის შესახებ ინფორმაცია წელიწადში ერთხელ მუშავდება, რათა უზრუნველყოს მთლიანი დასაქმების აღრიცხვა ან პორტის საქმიანობა. პორტები ირიბად უჭერენ მხარს სამუშაო ადგილების შექმნას პორტთან დაკავშირებულ სექტორებში, როგორიცაა ტრანსპორტი, დისტრიბუცია და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, როგორიცაა სატვირთო მანქანების მძღოლები, რომლებიც საქონელს პორტში შემოსული კონტეინერებიდან დანიშნულების ადგილამდე გადააქვთ, ტერმინალის და ნავსადგურის ოპერაციები, ინჟინერია, დაგეგმვა და დიზაინი, გარემოს დაცვა, მედიასთან და/ან საზოგადოებასთან ურთიერთობა,უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვა და სხვა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლები (პორტი, როგორც შემოსავლისა და ინვესტიციის წყარო).

ფისკალური შემოსავალი მიუთითებს, თუ როგორ უწყობს ხელს პორტის საქმიანობა საგადასახადო შემოსავალს მათი იურისდიქციის ფარგლებში. სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციები გადამწყვეტია პორტის ინფრასტრუქტურისა და ოპერაციების განვითარებისა და შენარჩუნებისთვის. პორტის ზედნაშენი მოიცავს ისეთ ფიზიკურ ობიექტებს, როგორიცაა დოკები, ნავსადგურები, საწყობები და ამწეები, ხოლო პორტის ინფრასტრუქტურა მოიცავს დამხმარე ობიექტებს, როგორიცაა გზები, რკინიგზა და კომუნალური მომსახურება. ეს ობიექტები საჭიროებს მნიშვნელოვან კაპიტალურ ინვესტიციებს და მუდმივ მოვლას და განახლებას მათი უწყვეტი ფუნქციონირებისა და ზრდის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო ინვესტიციები პორტის ინფრასტრუქტურაში ხშირად საჭიროა ვაჭრობისა და ვაჭრობის ზრდის მხარდასაჭერად და კერძო ინვესტიციების მოსაზიდად დაკავშირებულ ინდუსტრიებსა და სერვისებში. კერძო ინვესტიციები პორტის საქმიანობაში ასევე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ლოჯისტიკა, ტრანსპორტი და საწყობი. მთლიანობაში, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების კომბინაცია აუცილებელია პორტის საქმიანობის გრძელვადიანი მდგრადობისა და ზრდის უზრუნველსაყოფად.

პორტის განვითარების მთავარი მიზანია უზრუნველყოს ინფრასტრუქტურა ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული ინტერესებისთვის ყველაზე დაბალი კომბინირებული ღირებულებით პორტისთვის და მისი მომხმარებლებისთვის. პორტები ხელს უწყობენ სოციალურ-ეკონომიკური სარგებლისა და სიმდიდრის, განსაკუთრებით პირდაპირი და ირიბი დამატებითი ღირებულებისა და დასაქმების წარმოქმნას. პორტის საქმიანობის

ეკონომიკური ეფექტი სულ უფრო ფართოვდება გეოგრაფიულ ფართობზე და საერთაშორისო მოთამაშეთა დიდ რაოდენობას შორის. პოლიტიკის შემქმნელები და საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც წესი, უყურებენ პორტების მაკროეკონომიკურ ზემოქმედებას ეროვნული ან რეგიონული კონკურენტუნარიანობის პერსპექტივიდან, ლოგისტიკის მიმართ ნაკლები ყურადღებით, პოლიტიკის შემქმნელები ყურადღებას ამახვილებენ პორტის ანაზღაურებაზე მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადგილობრივი ან რეგიონული თემებისთვის. მეორე მიდგომა კი უფრო ხარისხობრივი ხასიათისაა და ცდილობს შეაფასოს საზღვაო ნავსადგურების მნიშვნელობა და ღირებულება მათი ბაზრის ეკონომიკური განვითარებისა და მუშაობისთვის.

პორტები ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რადგან ისინი აფართოებენ ბაზრის შესაძლებლობებს და ზრდის კონკურენციას, რაც იწვევს პორტების ტრაფიკის მომხმარებელთა დაბალ ფასებს. ეკონომიკური სარგებელი განსხვავდება იმ ტერიტორიის მიხედვით, რომელსაც ისინი ემსახურებიან და შეიძლება იყოს მომგებიანი ან საზიანო ეროვნული ეკონომიკისთვის. ისინი მოქმედებენ როგორც კატალიზატორები და ხელს უწყობენ განვითარებას კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორებსა და ადგილებში.

2. ქართული პორტები

ნავსადგურის დაარსება მჭიდროდ არის გადაჯაჭვული კავკასიის ზონაში ლოგისტიკური ცენტრის განვითარებასთან, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოზიციის განსაზღვრაში.

ბათუმის პორტი ემსახურება ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის გადამწყვეტ კომპონენტს, რომელსაც აქვს საწყისი წერტილი ევროპაში და ვრცელდება ბულგარეთში, რუმინეთში, უკრაინასა და შავ ზღვაზე,ის შავი ზღვით აკავშირებს აზერბაიჯანს, ყაზახეთს და ა.შ.

ბათუმის პორტის ოფიციალური მდებარეობაა: შავ ზღვა, საქართველო, კოორდინატებზე N 41° 39' 03.60" - E 041° 39' 16.19, GEBUS-ის ოფიციალური UN/Locode-ით.

ბათუმი დიდი ზომის პორტია, რომელსაც გადააქვს: გენერალური ტვირთები (23%), ნავთობ/ქიმიური ტანკერები (22%), ნაყარი ტვირთი: გემი, რომელიც ატარებს არათხევად ტვირთებს, როგორიცაა მარცვლეული (9%), საკონტეინერო გემები (8%) და მეთევზეობა(6%). პორტიში შემოსული ბოლო გემი იყო STAR PRIME, 23 საათის და 14 წუთის წინ(ინფორმაცია მოპოვებულია-17.05.2023/3:16AM). პორტში დაფიქსირებული გემების მაქსიმალური სიგრძე- 250 მეტრი.

დიაგრამა 2.

ბათუმის პორტში გემების შემოსვლა და გასვლის სტატისტიკური მონაცემები უკანასკნელი თვის განმავლობაში დღიურად.



შემოსვლა გასვლა

წყარო: www.marinetraffic.com

ბათუმის პორტი არ წარმოადგენს საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან პორტს ეს როლი დღესდღეისობით ფოთის პორტს უჭირავს, რომელიც გაცილებით ძველი, მომცველობითი და მეტი დატვირთვის მატარებელია ქართული ეკონომიკისტვის. ფოთის პორტი საქართველოში ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ევროპის კარიბჭეა საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან საერთაშორისო ტვირთებისთვის. ის სტრატეგიულად მდებარეობს, როგორც შუა აზიის სავაჭრო ცენტრის ალტერნატივა და დაკავშირებულია ქვეყნის სარკინიგზო ქსელთან, რომელიც აკავშირებს საქართველოს დიდ ქალაქებს. პორტი ასევე სთავაზობს საბორნე მომსახურებას შავი ზღვის აუზის პორტებს, მათ შორის უკრაინაში, რუსეთსა და ბულგარეთში.

ფოთის საზღვაო ნავსადგური ყველაზე დიდი პორტია საქართველოში, 15 ნავმისადგომით, რომელიც ამუშავებს სხვადასხვა სახის ტვირთს: კონტეინერებს, თხევად, მშრალ, ნაყარ ტვირთებს. პორტი ასევე ემსახურება საბორნე მოძრაობას და გთავაზობთ რო-რო მომსახურებას. ნავმისადგომების სიგრძეა 2,900 მეტრი, მასზე 20-ზე მეტი საპორტო ამწეა განლაგებული და ასევე გადის 17 კმ-იანი სარკინიგზო ხაზი. ფოთის პორტში საკონტეინერო ტვირთების გადაზიდვის მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია 2023 წლის აპრილში, სადაც 53626 TEU, პორტი 91,3%-ით მეტ გადაზიდვებს ახორციელებს 2022 წლის აპრილთან შედარებით. საერთო ჯამში, APM-ტერმინალ ფოთის მიერ დამუშავებული კონტეინერების მოცულობამ 2023 წლის პირველ ოთხ თვეში 177 900 TEU შეადგინა, რაც 73%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს. გარდა ამისა, პირველ ოთხ თვეში დამუშავდა ყველაზე მეტი – 25,239 მანქანა, რაც 59,7%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკონტეინერო გემების მიღებაც, 74,6%-ით მეტი გასულ წელთან შედარებით (103 საკონტეინერო გემი).(ინგორმაცია აღებულია: „ბიზნეს მედია საქართველო“ დან. სტატია დაიწერა -11 თებერვალი. 2023 00:05).

დიაგრამა 3.

2023 წლის ფოთის პორტის ტვრითბრუნვა



წყარო: businessinsider.ge, (გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით)

საბოლოოდ ეს ორი პორტი რომ შევაჯამოთ პორტების ზუსტი შემოსავლები 2023 წლისთვის ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის. წინა თავებში განვიხილეთ პორტების ტვირთბრუნვა აქ კი შეგვიძლია განვიხილოთ ბათუმისა და ფოთის პორტების შემოსავლები 2020, 2021 წლებში (სტატია დაწერილია 2023 წელს). პორტებისა და ნავთობტერმინალების უდიდეს ნაწილს 2021 წლის ფინანსური შედეგები უკვე გამოქვეყნებული აქვს.

- ფოთის პორტის 2021 წლის შემოსავალი 490 მილიონ ლარს აჭარბებს
- ბათუმის პორტის 2021 წლის შემოსავალი 100 მილიონ ლარს აჭარბებს
- შპს „ემს ჯორჯია“ არის გლობალური საკონტეინერო გადამზიდავი, რომელიც ფუნქციონირებს ბათუმისა და ფოთის პორტებში და 2021 წელს 86.1 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო.

ენერგეტიკული კომპანიები საქართველოს პორტების ძირითადი ოპერატორები არიან. მაგალითად, ბათუმის საზღვაო პორტსა და ბათუმის ნავთობტერმინალს ოპერირებას უწევს ყაზახეთის სახელმწიფო ნავთობკომპანია „ყაზტრანსოილი“, ხოლო კულევის ტერმინალს აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია სოკარი მართავს. ანალოგიურად, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია ზედამხედველობს ოპერაციებს სუფსის ტერმინალში. მიუხედავად იმისა, რომ ფოთის მთავარი პორტის ოპერატორი არ არის ენერგეტიკული კომპანია, პორტში ნავთობის ტერმინალი „Channel Energy“ ოპერირებას უწევს Petrocas Energy International.

დიაგრამა 4:

ბათუმისა და ფოთის პორტების 2020,2021 წლის შემოსავლები



წყარო: სტატია:ტყეშელაშვილი შოთა(2023).“ რამდენი მილიონის შემოსავალი აქვთ ქართულ პორტებს?“ - ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სტატიაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

მას შემდეგ რაც,მოკლედ განვიხილეთ საქართველოში არსებული ორი უმნიშვნელოვანესი პორტი,რომლებმაც არაერთხელ დაამტკიცეს მათი სტაბილური შემოსავლიანობის უნარი,ახლა განვიხილოთ ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე მშენებარე პორტი,რომელიც წლების მანძილზე იყო განხილვის საგანი. 2023 წლის 19 აპრილის გაზეთში დაიბეჭდა ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება,რომელშიც ის ანაკლიის პორტის მშენებლობაზე საუბრობს და აცხადებს რომ დეტალები მალე გახდება ცნობილი, დღეს უკვე დევს ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით და ასევე ცნობილია ის კრიტერიუმები რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პოტენციური ინვესტორი,კანდიდატს ან მის კონსორციუმის წევრ(ებ)ს უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გამოცდილება და ფინანსური მდგომარეობა, რომ განიხილებოდეს პროექტისთვის.ტექნიკური მოთხოვნები ასე გამოიყურება: (ტექნიკური მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია გადათარგმნილია- https://ppp.gov.ge/app/uploads/2023/02/-Anaklia-Deep-Sea-Port-draft-SOI-20.02.2023.pdf) პროექტში განსახილველად კანდიდატს ან მის კონსორციუმის წევრ(ებ)ს უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გამოცდილება და ფინანსური მდგომარეობა. ეს მოიცავს მინიმუმ ერთი ღრმაწყლოვანი პორტის/ტერმინალის დაპროექტებას, მშენებლობას და შენარჩუნებას/მფლობელს მინიმუმ 5 მილიონი ტონა წლიური გამტარუნარიანობით, მინიმუმ 500 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მინიმუმ ერთ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურულ პროექტში ინვესტირებას. ორი საკონტეინერო ტერმინალი, რომელთა მინიმალური წლიური სიმძლავრეა 500,000 TEU თითოეულ ტერმინალზე და აქვს საკმარისი მენეჯერული და ორგანიზაციული შესაძლებლობები პროექტის განსახორციელებლად. გარდა ამისა, კანდიდატს ან კონსორციუმის წევრ(ებ)ს ერთობ-

ლივად (მათი წილების პროპორციულად) უნდა ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური მდგომარეობა, რათა იმოქმედონ როგორც კერძო პარტნიორი პროექტთან მიმართებაში. ალტერნატიულად, კანდიდატმა ან კონსორციუმის წევრმა უნდა წარმოადგინოს დამხმარე წერილი/განზრახვის წერილები დამფინანსებლებისგან, რათა აჩვენოს პროექტის დაფინანსების 500 მილიონი აშშ დოლარის მოზიდვის უნარი. საქართველოში პირველი ღრმაწყლოვანი პორტი არის ანაკლიის პორტი, რომელსაც ექნება მოწინავე აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა. უმაღლესი დონის მომსახურების ხარისხისა და ეფექტური აღჭურვილობის კომბინაცია გაზრდის პორტის საიმედოობას, ეფექტურობას და პროდუქტიულობას. 2020 წელს დასრულდება და ამოქმედდება პორტის მშენებლობის პირველი ეტაპი, რასაც მოჰყვება კიდევ რვა ეტაპი პორტის სრულად განვითარების მიზნით. განვითარება სავარაუდოდ 2,5 მილიარდი დოლარი დაჯდება და პორტს 16 მეტრი სიღრმის გამო 10000 TEU გემების განთავსების საშუალებას მისცემს.პორტის 51% სახელმწიფოს კუთვნილება იქნება ხოლო დანარჩენ 49%_ზე პოტენციური ინვესტორის მოსაწვევად, საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდება. ანაკლიის პორტის პროექტის განვითარება 9 ეტაპად იგეგმება, როგორც ეს განზრახვის წერილშია აღნიშნული. საწყის ფაზა ოპერირებას სავარაუდოდ აშენებიდან 3 წელიწადში დაიწყებს.სახელმწიფოს ჩართულობით, ანაკლიის პორტის მშენებლობის გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ 2022 წლის დეკემბერში მიიღო.ანაკლიის პორტის შესაძლებლობები წინ წაწიოს ქართული ეკონომიკა: ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პირველი ფაზის მშენებლობის საწყისი ღირებულება 600 მილიონი დოლარი იყო, ხოლო მთლიანი ინვესტიცია დასრულების შემდეგ 2,5 მილიარდ დოლარამდე გაიზრდებოდა. პროექტის დასკვნითი ეტაპი მიზნად ისახავდა პორტში 20 000-მდე პირის დასაქმებას, ასევე როგორც ეს უკვე ვახსენეთ, მიუხედავად იმისა, რომ პორტის მშენებლობა ინვესტორების გარეშე დაიწყო, პარალელურად 49%_ზე გამოცხადდა ტენდერი, რაც ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას უწყობს ხელს. ქართველებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ სამუშაო და ეკონომიკური შესაძლებლობები პროექტიდან; ქართული სახელმწიფოსთვის, რომელიც მიიღებს საგადასახადო სარგებელს, რომელსაც ეს პროექტი გამოიმუშავებდა;ევროპული ეკონომიკისთვის, რომელიც სარგებელს მიიღებს აზიასთან უფრო ეფექტური ვაჭრობის გაფართოებით;შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის დემოკრატიებისთვის, რომლებიც სარგებელს მიიღებენ რეგიონში რუსული ეკონომიკური ჰეგემონიის მინიმიზაციით „ახლა არის დრო, მთავრობა სერიოზულად მოეკიდოს ანაკლიასთავისი მოქალაქეების და ეკონომიკის საკეთილდღეოდ. დროა, ცარიელი საუბარი რეალური მოქმედებებით ჩანაცვლდეს“, – აცხადებენ კონსორციუმში.

დასკვნა და რეკომენდაციები

საბოლოო ჯამში, პორტების როლი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის, რომელსაც გეოსტრატეგიულად ამოუწურავი შესაძლებლობები აქვს. პორტები მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძებია, რომლებიც ხელს უწყობენ საქონლის გადაადგილებას ადგილობრივ საზოგადოებებში და მსოფლიო ბაზრებზე. ვაჭრობის ზრდა გრძელდება, პორტები განიხილავენ შიდა შესაძლებლობების გაფართოებას ეფექტურობის გაზრდით და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებით უფრო დიდი გემების მხარდასაჭერად. გარდა ამისა, პორტებს შე-

უძლიათ კოორდინირება გაუწიონ საზოგადოებებს დაგეგმვის ორგანიზაციებს, სახელმწიფო და ფედერალურ სატრანსპორტო დეპარტამენტებს და სხვა სააგენტოებს, რათა გააფართოვონ სატრანსპორტო შესაძლებლობები პორტის გარეთ, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვა სახის ტრანსპორტის შეზღუდვები. პორტებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორება შეუძლიათ რადგან ისინი თითქმის ყველა ბიზნეს სფეროში არიან ინტეგრირებულნი,რადგან გაზრდილი მოთხოვნა მეტ მიწოდებას მოითხოვს. ვაჭრობა,-დასაქმება,ინვესტირება,იმპორტ-ექსპორტი და სხვადასხვა პოლიტიკა ერთიან სისტემას ქმნის და ამუშავებს ეკონომიკას როგორც ერთიან სისტემას. რაც შეეხება მომავალ ინვესტიციებს და პერსპექტივებს, ანაკლიის პორტის მშენებლობა აუცილებელია საქართველოს ეკონომიკისთვის, რადგან ის უზრუნველყოფს ღრმაწყლოვანპორტს/ტერმინალს, რაც აუცილებელია ქვეყნის ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდისთვის. გარდა ამისა, პორტი მოიზიდავს ინვესტიციებს ეკონომიკურ ინფრასტრუქტურულ პროექტებში და შექმნის სამუშაო შესაძლებლობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შოთა ტყეშელაშვილი(2022,2023),“ რამდენი მილიონის შემოსავალი აქვთ ქართულ პორტებს?“https://forbes.ge/ramdeni-milionis-shemosavali-aqvth-qarthul-portebs/; https://forbes.ge/ramdeni-milionis-shemosavali-aqvth-qarthul-portebs-2/
2. (ნაწილი 1,2)(დიაგრამა 4)
3. Anaklia New Deep Sea Port Public and Private Partnership Project (2023) https://ppp.gov.ge/app/uploads/2023/02/Anaklia-Deep-Sea-Port-draft-SOI-20.02.2023.pdf (page:8-9)
4. Business insider georgia (2023-05-11) ‘’ფოთის პორტში საკონტეინერო ტვირთების მოცულობამ რეკორდულ დონეს მიაღწია“(დიაგრამა 3)
5. Dr. Jean-Paul Rodrigue and Dr. Theo Notteboom’’Ports and Economic Development”
6. MarineTraffic https://www.marinetraffic.com/en/ais/details/ports/787?name=BATUMI&country=Georgia#Statistics (დიაგრამა 2)
7. https://www.apmterminals.com/ka/poti
8. NATIA TAKTAKISHVILI (10.May .2023),” VOLUME OF CONTAINER CARGO HIT A RECORD HIGH IN POTI PORT https://bm.ge/en/article/volume-of-container-cargo-hit-a-record-high-in-poti-port/133564#:~:text=Overall%2C%20the%20volume%20of%20containers,period%20of%20the%20last%20year.
9. U.S. Environmental Protection Agency” Intermodal Transportation System” https://www.epa.gov/community-port-collaboration/ports-primer-21-role-ports#:~:text=Ports%20serve%20as%20important%20transportation,local%20communities%20and%20worldwide%20markets.

ინვესტიციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს პოზიციონირებისათვის

ლიკა წერეთელი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიოში დღესდღეობით მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში.მისი ანალიზი ორი მხრიდან არის შესაძლებელი-მიკროეკონომიკის მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შესაძლებლობაა უცხო ინვესტორებისთვის, აწარმოონ პროდუქტი,თუ მომსახურება იმ ქვეყანაში, რომელშიც საჭირო რესურსები უფრო მარტივად გამოსაყენებელია,სუფთა მაკროეკონომიკური ანალიზით კი-რეზიდენტი ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით იღებს როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის გაფართოების შესაძლებლობას(იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ მოსახლეზე-უფრო მეტი პირი ხდება დასაქმებული და მწარმოებლურობა მატულობს), ასევე ვითარდება ახალი ტექნოლოგიებით გაცილებით მაღალგანვითარებული ქვეყნიდან შემოდინებით,რაც გრძელვადიანი წინსვლის პირობაა ქვეყნისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაზეა ორიენტირებული და მოკლევადიან შედეგებს იმდენად არ იძლევა,რთულია განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება,რომელიც მოკლევადიანი შედეგებით „სულდგმულობს“. მათ უმრავლესობას არ აქვს საინფორმაციო ბაზა ახალი ინვესტიციების შემოდინებისთვის საჭირო და, მაშასადამე, ამ ქვეყნების უმრავლესობა ხშირად ე.წ „sweatshop” (ტერმინი გამოიყენება იმ საქმიანობის აღსაწერად,რომლის დროსაც განვითარებული ქვეყნის ინვესტორები პროდუქტს აწარმოებენ განვითარებადი ქვეყნის ტერიტორიაზე იმ სახელფასო სისტემით, რომელიც მართალია რეზიდენტი ქვეყნის სახელფასო დონეზე მაღალია,-თუმცა განვითარებული ქვეყნის სტანდარტებში ძალიან დაბალ კრიტერიუმზეა) ვარიანტებად განიხილებიან ინვესტორების თვალში, რაც გამორიცხავს რეინვესტირებას,შესაბამისად შემოდინებული ინვესტიციები ისევ უკან თითქმის იმავე პროპორციით გაედინებიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან პროცესებზე და მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვის ხელსაწყოებიდან გამორიცხავს შრომის კოდექსის „დამახინჯებასო და ყურადღებას აქცევს ინფორმაციული ბაზის შექმნასა და შესაბამისი სამართლებრივი სისტემის მწყობრში მოყვანას.

ნაშრომში განხილულია საქართველოს შესაძლებლობები, ინტეგრირდეს მსოფლიო ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაფართოებით მთლიან შიდა პროდუქტში, რისთვისაც აუცილებელია კონცენტრირება იმ ასპექტებზე, რომლებიც ქვეყნისთვის ძლიერი მხარეებია, მათი შესაბამისი დემონსტირებით კი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის ინვესტორების მოზიდვა უფრო ინტენსიურად არის შესაძლებელი ისევე, როგორც ადგილობრივი ინვესტორების წახალისება. მაშასადამე, ნაშრომში განხილულია საქართველოს ძლიერ მხარეები და ის ბერკეტები,რომელთა დაცვაც აუცილებელია ამ პოტენციალის მისაღწევად.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს ფორმირება

საქართველოს საინვესტიციო გარემოს განსაკუთრებული აქტიურობა, მის დამოუკიდებელ ქვეყნად არსებობის ისტორიაში,იწყება 2003 წლიდან, რაც გატარებული რეფორმებისა და ინიციატივების შედეგი გახდა. აღნიშნული ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება. საქართველოს უპირატესობად ამ პერიოდიდან ნელ-ნელა იკვეთება მსოფლიო ბაზარზე საქართველოში ინვესტირების დაბალი გადასახადები, მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტირირება, ეფექტიანი ბიზნესის მხარდამჭერი და არაკორუმპირებული მთავრობა. სტაბილური და კონსერვატიულად მართული საბანკო სექტორი, საზღვაო სახმელეთო და საჰაერო წვდომით, ვაჭრობის ლოჯისტიკისა და წარმოებისათვის სტაბილური ენერგომიწოდებით. (წყარო: საქართველოს მთავრობა, 2023). მსოფლიო ბანკის ინფორმაციით საქართველო მსოფლიოში (განსაკუთრებით თავის რეგიონში) ერთ-ერთი ყველაზე ღია ქვეყანაა უცხოური (სააქციო) კაპიტალისთვის. კვლევების თანახმად, საქართველოს არ გააჩნია შეზღუდვები უცხოური კაპიტალის მიმართ, რაც მსოფლიო ბანკის ცნობით, ხშირად დამახასიათებელია დსთს ქვეყნებისათვის-ყაზახეთში კავშირგაბმულობის სფეროში 49%-ს არ უნდა აღემატებოდეს უცხოური თანამონაწილეობის მაქსიმალური ზღვარი და 10% ზე და 150 მილიონ დოლარზე და ზევით ინვესტირება საჭიროებს სახელმწიფოს აუცილებელ ნებართვას. ენერგოინდუსტრიის დარგში კი ბელორუსიაში სახელმწიფო მონოპოლიასაც კი ვხვდებით. რაც შეეხება ისეთ განვითარებულ ქვეყანას, როგორიც იაპონიაა, ჯანდაცვის სფეროში უცხოურ ინვესტორებს არ შეუძლიათ მოღვაწეობა, ესე იგი ისინი ვერ იქნებიან ვერც ერთი კლინიკის დამფინანსებლები. მსოფლიო ბანკის თანახმად საქართველო ქონების რეგისტრაციის სიმარტივით პირველი ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში („Doing business), რაც ასევე ზრდის უცხოელ ინვესტორთა მოტივაციას, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნული ინფორმაციის უსარგებლობა იმით, რომ საქართველო მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით 120-ე ადგილზეა. დავების გადაჭრის ეფექტიანობით კი -92–ე. ინვესტორები მიუხედავად რეგისტრაციის პირობების სიმარტივისა, ერიდიებიან საქართველოში ფართოდ განვითარებას, რადგან არ აქვთ სამართლებრივი სისტემისადმი ნდობა. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი სისტემის გამოსწორების გარეშე თითქმის შეუძლებელია საქართველოს ინტეგრირება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ საქართველო მდგრადი განვითარებით სპობს კორუფციის ელემენტებს ქვეყნის ტერიტორიაზე, რაზეც მეტყველებს შემდეგი მონაცემები-2003 ში 124-ე ადგილზე იყო საქართველო კორუფციის მიხედვით, ბოლო მონაცემებით კი საქართველო დღესდღეობით 45 ე ადგილს იკავებს ქვეყნებს შორის კორუფციის მიხედვით. ჩვენ წარმატებით დავძლიეთ ბიზნეს გარემოს განვითარების შემაფერხებელი კორუფციის სახე-მექრთამეობა.

აღსანიშნავია საქართველოს ინვესტიციების მოზიდვისკენ სწრაფვის პირველი ნაბიჯები. ერთ-ერთი კი არის შრომის კოდექსის ცვლილება 2006 წელს, რომლის მიხედვითაც დამსაქმებლები აბსოლუტურ უპირატესობაში აღმოჩნდნენ დასაქმებულებთან-გაუქმდა შეზღუდვები ზენორმატიულ სამუშაო გრაფიკსა და კონტრაქტების ხანგრძლივობაზე, გადავიდა შრომის ბაზარი ამით ზეპირ მოლაპარაკებაზე საქართველოში, რაც დამსაქმებლის

უპირატესობა გახდა. ამ ცვლილებამ გამოიღო მოკლევადიანი ზრდის შედეგი,რაც როგორც ანოტაციაშია აღნიშნული, დაბალი სახელფასო სისტემის ქონას ჩვევია განვითარებად ქვეყნებში და „Doing business'' ის წყარო გვამცნობს, რომ რეიტინგში მაღალი ინდექსი მოვიპოვეთ მოცემულ წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. თუმცა მოცემული შრომის კოდექსის შემოღებამ გაცილებით უფრო დიდი პოტენციური საფრთხე მოუტანა საქართველოს-მუქარა ევროკავშირისა და აშშ სგან ურთიერთობის შეწყვეტის პირობის სახით, თუ არ შეცვლიდა მთავრობა მდგომარეობას შრომის ბაზარზე. და „GSP+" ის ჩამორთმევას. საქართველოს სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, რაც შეიძლება ახლო მომავალში გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ეს გზა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისკენ გამორიცხულია. 2010 ში დასაქმებულთა საბედნიეროდ შეიცვალა შრომის კოდექსი უფრო დაბალანსებული და ლიბერალური ფორმით. აქედან გამომდინარე, საქართველოს მომავალი გადის არათუ დაბალ სახელფასო კრიტერიუმით ინვესტორთა მოზიდვაზე, რაც ისტორიამ აჩვენა რომ მდგრად განვითარებაში გვაბრკოლებს და ძლიერ პარტნიორებთან იდეური კონფლიქტის პირობაა, არამედ მაღალგანვითარებულ საზოგადოებაზე, რომელმაც ინვესტორები მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებით უნდა მოიზიდოს და იზრუნოს ადილობრივი ინვესტორების უწყვეტ განვითარებაზე. ინვესტიციების საერთო მოცულობის დიდი ნაწილი ხშირად მცდარ გადაწყვეტილებებზეა დაფუძნებული,ინვესტორები მოცემულ სფეროში გამოუცდელობიდან გამომდინარე, საინვესტიციო პროექტებს არასათანადოდ აფასებენ.ეს პრომლემაა საქართველოს საინვესტიციო გარემოს ეფექტიანობისთვის. ამ პრობლემის გადასაჭრელად, პირველ რიგში ყველა სხვა პროგრამებთან ერთად აუცილებელია აქცენტი განათლების სექტორში მეწარმეობის მხრივ, რასაც ახორციელებენ საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ტერაბანკი და სხვა მსხვილი ფირმები, რომელბიც თავიანთი საქმიანობის პარალელურად აქცენტს აკეთებენ CSR კამპანიებზე.

აღნიშნული პრობლემის-ინვესტიციების შესახებ ახალგაზრდა თაობის ცოდნის გაზომვის მიზნით,ჩავატარეთ სპეციალური კვლევა საქართველოს უნივერსიტეტების ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულეტის სტუდენტებისთვის. გამოკითხულთა 97 % არის 18 იდან 22 წლის ახალგაზრდა,რომელთა 23% მონაწილეობას იღებს საინვესტიციო გარემოში, დანარჩენი 77 % ის პასიურობით კი დავინტერესდით კვლევის დროს და გამოვიკითხეთ ამის მიზეზი.გამოკითხულთა 85 % პროცენტი მიზეზად ასახელებს ინფორმაციის დეფიციტს ინვესტიციების შესახებ, რის გამოც არ უღირთ ფულის რისკიანი დაბანდება. ამ პრობლემის აღმოფხვრის მექანიზმი აქვთ შემუშავებული განვითარებული ქვეყნებს, კერძოდ, საფრანგეთის უნივერსიტეტში არსებობს პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტი თანამშრომლობს მეწარმეებთან, ისინი კი იზიარებენ სტუდენტთა სამეწარმეო იდეებს და ეხმარებიან მათ საინვესტიციო გარემოს უკეთ შეცნობისათვის. ანალოგიური პროგრამების განხორციელებაა შესაძლებელი საქართველოშიც,რომელიც ახალგზარდა თაობის უფრო აქტიურ ჩართულობას განაპირობებს სამეწარმეო საქმეებში და შედეგად ინვესტიციებში. ამ პროგრამისთვის მხარდაჭერა სჭირდებათ საქართველოს უნივერსიტეტებს ისეთი კომერციული კომპანიებისგან, რომლებსაც აქვს CSR კამპანია და მზად არიან თავიანთი ცოდნა გაუზიარონ ამ სფეროთი დაინტერესებულ ახალგზარდებს, რაც უფრო მეტი პოტენციური ინვესტორის და მზარდი ეკონომიკის პირობაა.

დიაგრამა 1

სტუდენტთა პასუხი საინვესტიციო გარემოში მათ ჩართულობაზე



სინერგია-ბერკეტები, რომლებიც საქართველოს უწევს რომ რაც შეიძლება მალე მწყობრში ჩააყენოს

საქართველო, როგორც პოსტსაბჭოური ქვეყანა, ცდილობს აითვისოს მაქსიმალურად თავისი პოტენციალი მსოფლიო ასპარეზზე ისევე, როგორც დანარჩენი პოსტსაბჭოური ქვეყნები. ამის წარმატებული მაგალითია ბალტიისპირეთი-ესტონეთი,ლიეტუვა და ლატვია. მოცემული წარმატებული ქვეყნებიდან ლიდერობს ესტონეთი, ქვეყანა, რომელმაც უმოკლეს დროში შეძლო და იმ პერიოდში ზუსტად, რომელიც ჩვენ გვქონდა განვითარებისთვის დამოუკიდებლობის დღიდან, შეძლო და გაემიჯნა მაქსიმალურად რუსეთს და კავშირები შექმნა ევროპასთან. თავდაპირველად მისი შედარებითი უპირატესობა იყო დაბალი ხელფასები სხვა ევროპის ქვეყნებთან, თუმცა ეს სიტუაცია დარეგულირდა და ფუნდამენტად, რომლითაც მან განავითარა ქვეყანა, აღიარებულია სწორი სამართლებრივი სისტემა და ამის საფუძველზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. აზიისკენ თუ გადავინაცვლებთ, აღსანიშნავია მსგავსი ეკონომიკური აღმავლობის გზის მქონე სინგაპური,რომელმაც ასევე აქცენტი გააკეთა სამართლებრივ სისტემაზე და ამის ნიადაგზე გახდა რენტაბელური უცხოელი ინვესტორებისთვის. საქართველოს მდგომარეობა სამართლებრივი სისტემის კუთხით შემდეგია: 2022 წელს მეწარმეთა შესახებ კანონში განხორციელდა ცვლილება ინვესტორების სასარგებლოდ, კერძოდ, იმპერატიული ნორმებით (რაც ნიშნავს, რომ მხარეები მოცემულ ურთიერთობებს საწესდებო ავტონომიის ფარგლებში თავისუფლად ვეღარ მოაწესრიგებენ) განისაზღვრა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც მიმართულია კრედიტორებისა და ინვესტორების ინტერესების დაცვისაკენ. აღნიშნული ცვლილება ისევ და ისევ ამყარებს ინვესტორთა მოზიდვის და წახალისების პროგრამას, თუმცა როგორც დასაწყისში ვახსენეთ, ეს ყველაფერი ამაოა,თუ არა მოწესრიგებული ანტიმონოპოლისტური კანონი და გამკაცრებული სასამართლო სისტემა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში

საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ბანკის ანალიზით არის ღია ეკონომიკა,რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე ძლიერად მოქმედებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. საქართველო ნელ-ნელა ცდილობს ექსპორტის გაზრდას, თუმცა ასევე მკაფიოდ დამოკიდებულია იმპორტზე.

ღია ეკონომიკა, რამდენაც დადებითია თანამედროვე მსოფლიოსთვის და წინსვლის პირობაა, იმდენად აყოლილია მსოფლიო ბაზრის ელემენტების ცვლილების ტენდენციებს. ბოლო დეკადის მსოფლიო მოვლენა არის პანდემია და მისი მეშვეობით გამოწვეული კრიზისი როგორც განვითარებულ, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. იმისათვის რომ გამოვავლინოთ ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეები იმპორტ-ექსპორტსა და ინვესტიციების თვალთახედვით, საჭიროა დავაკვირდეთ კრიზის დროს მათ ვარდნას და შესაბამის გავლენას მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებაში, რისთვისაც პანდემიური მოვლენების განხილვა ეკონომიკაში ხელსაყრელი იქნება. მოცემულმა პროცესმა გამოიწვია მნიშვნელოვანი რყევები და მაღალი ინფლაცია საქართველოს ეკონომიკაში, ასევე გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ტურიზმზე ორიენტირებული ქვეყანაა, ქვეყნის საზღვრების ჩაკეტვამ პანდემიური სიტუაციის გამო, საქართველოში ძლიერი რეცესია გამოიწვია. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ საქართველოს ეროვნული ბანკის 2020-2021 წლების ანგარიში.

2020 წელს რეალურ გამოსახულებაში საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 38,2%-ით, ხოლო საქონლისა და მომსახურების იმპორტი 17.4 %-ით შემცირდა. უცხოეთიდან ტურისტული შემოსავლების ანუ მომსახურების ექსპორტის ასეთი ვარდნის გამო წმინდა ექსპორტის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში მკვეთრად უარყოფითი იყო (-9.8%), რაც ნაწილობრივ გაზრდილმა მოხმარებამ (4.5%) დააბალანსა. კრიზისის მიუხედავად აქტიურად გრძელდებოდა ინფრასტრუქტურული პროექტები. ეს ფაქტორი შესაძლებელია იმის მთავარ მიზეზად მივიჩნიოთ, თუ რატომ იყო ეკონომიკურ ვარდნაში ინვესტიციების უარყოფითი წვლილი (-0.9%) სხვა კომპონენტებთან შედარებით ნაკლები. 2020-ში ინვესტიციების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან პანდემიის მიუხედავად არ შემცირებულა და 26%-ს შეადგენდა.ეს მაჩვენებელი სტაბილურია და შესაძლებელია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ადეკვატურ დონედ მივიჩნიოთ(საქართველოს ეროვნული ბანკი).

დიაგრამა N 1.17 მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით

წყარო: საქსტატი

რაც შეეხება 2021 წელს, მაღალი ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორებად პანდემიის დროს მკაცრი შეზღუდვები, თვეების განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნის გააქტიურება და საგარეო სექტორის გაუმჯობესება მოისაზრება. აქედან გამომდინარე 10,4 %-იანი ზრდიდან მოხმარებაზე 8.9% მოდიოდა,ხოლო წმინდა ექსპორტის კონტრიბუციამ ზრდაში 4,5 % შეადგინა, გვამცნობს სებ-ი. ინვესტიციების წვლილმა მთლიან შიდა პროდუქტის ზრდაში უარყოფითი 3,1% შეადგინა.2021 წელს ინვესტიციების ფარდობამ მთლიან შიდა პროდუქტთან 22 % იყო, რაც ასევე სტაბილური და ადეკვატური მაჩვენებელია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის.

აღნიშნული ინფორმაციით ნათელია, რომ საქართველოს ეკონომიკა ძლიერ არის დამოკიდებული ექსპორტ-იმპორტის წილებზე მთლიან შიდა პროდუქტში,რომელთა რყევებიც პირდაპირი ზეგავლენის ქვეშაა მსოფლიო კრიზისთან, რაც შეეხება ინვესტიციებს, მათ ჩვენს ქვეყანაშიც სტანდარტული ტენდენცია აქვთ,რომლის რეაგირებაც კრიზისზე უფრო ნელია,რაც ხელსაყრელია ამ პროცესებში, რადგან როგორც 2020-2021-ის სების მონაცემებითა და ანალიზებით ვნახეთ, ექსპორტ-იმპორტის ხისტი რეაგირება მთლიან შიდა პროდუქტზე მკვეთრად ისახება, მაშინ როცა ინვესტიციებს წლის ბოლოს ნავარაუდები შედეგები მაინც მოყვება და ერთგვარი „შემსუბუქებაა“ დაგვიანებული რეაქცია ჩვენი ეკონომიკისთვის, მისი გვიანი რეაქცია კი აღმავალი ეკონომიკისთვის უკვე საფრთხეს აღარ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, კრიზისული სიტუაცია გვიჩვენებს მკაფიოდ როგორც ექსპორტ-იმპორტის მნიშვნელოვან წვლილს ქვეყნის სტაბილიზებაში, ისე ინვესტიციების გარდაუვალ როლს ჩვენს ეკონომიკაში, რაც შეიძლება უნდა გაიზარდოს,რათა გავხდეთ უფრო სტაბილური ეკონომიკის ქვეყანა და დავეწიოთ ისეთ ქვეყნებს,რომლებმაც გაიარეს ჩვენი გავნითარების გზა და ამ გზაზე დაამტკიცეს ინვესტიციების მთავარი როლი.

რაც შეეხება ბოლო წლების მონაცემებს, აუცილებელია ვახსენოთ რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად მნიშვნელოვან ძვრებს იწვევს საქართველოში. საქართველოში აღნიშნული მოვლენის შედეგად მოიმატა ტურისტულმა ნაკადებმა, რაც ძირითადად რუსების სანციების შედეგად საქართველოში მიგრა-

ციის ფონზე მოხდა. შედეგად იმატა ჩვენს ეკონომიკაში ფულის დიდი ნაკადების შემოსვლამ, შემცირდა ინფლაცია და გამყარდა ლარის კურსი, ამ ყველაფერმა კი დიდი აღმავლობა გამოიწვია, რასაც სიტუაციის არასტაბილურობიდან გამომდინარე, დროებითი ხასიათი აქვს და ეროვნული ბანკი ცდილობს დიდი იმედები არ დაამყაროს პოტენციური რიცხვების გამოვლენაზე 2023 წლის მონაცემებისთვის. ომმა გაზარდა საქართველოს სატრანსპორტო ფუნქცია და ბევრი ტვირთი, რომლებიც საქართველოს გვერდს უვლიდა, საქართველოს გავლით გადის დღესდღეობით.ჩვენი განხილვის საგანთან,ინვესტიციებთან აღნიშნულ ფაქტს ის კავშირი აქვს,რომ ომი როგორც არ უნდა დასრულდეს სატრანზიტო როლი გაზრდილი დარჩება, რამაც ტრანსპორტში, ლოგისტიკაში,ენერგეტიკასა და კომუნიკაციებში მსხვილი ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების დაწყება უნდა განაპირობოს. რაც გაზრდის როგორც ადგილობრივი ინვესტორების ქმედებებს,ისე მოიზიდავს თავისი პოტენციალით უცხოელ ინვესტორებს. აღნიშნული იმედები არის გამოხატული პროგნოზირებული მაჩვენებლებით 2023-სა და 2024 წლებში. 2022 წელსა და 2023 წელს შორის პროგნოზირებული დაცემა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპში (10% იდან 5% მდე კლება), მსოფლიო ბანკის მიერ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „დაზღვევის“ მხრივ არის გამოთვლილი, რადგან რუსი ემიგრანტების ქვეყნიდან გასვლა და ამით დანაკლისი მოსალოდნელია. აღნიშნული კლება მკვლევარების აზრით არის ასევე იმით გამოწვეული, რომ საქართველო რუსეთზეა დამოკიდებული ეკონომიკურად, იგი დღეისათვის საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია. რისი კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორი არის ის, რომ რუსეთი შედის კრიზისულ მდგომარეობაში, რაც პირდაპირ მოქმედებს საქართველოზე. 2023 წელსა და 2024 წელს შორის მდგრადი ზრდის მიზეზად კი სწორედ მოცემული სატრანსპორტო ფუნქციის წვლილი შეიძლება დასახელდეს და მსოფლიო ბანკის მიერ მოწონებული მთავრობის პოტენციური სამუშაოები.

აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელსაც მრავალი წამახალისებელი და საგანმანათლებლო აქტივობები აქვს საქართველოში. ამ პროგრამის მეშვეობით ხდება როგორც მცირე და საშუალო ბიზნესების დაფინანსება და წახალისება,ასევე ცალკეულ პირთა იდეების რეალიზება და გადამზადება. უნდა ითქვას ისიც, რომ პროგრამის ფარგლებში უცხოელი ინვესტორები ეცნობიან საქართველოს შესაძლებლობებს ბიზნეს სექტორში და მათთან კოორდინირებით ხდება საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამის მაგალითია ევროპის უმსხვილესი ფირმის „გირტეკას“ შემოსვლა საქართველოში და „აწარმოე საქართველოში“ პროექტთან ხელშეკრულების გაფორმება 2023 წლის გაზაფხულზე. ამ კონკრეტული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მეშვეობით საქართველოში შეიქმნება პირველ ეტაპზე 65 სამუშაო ადგილი, შემდეგ კი 200. საბოლოო ჯამში კი „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ეს მიმართულება გეგმავს მოცემული აქტივობებით 400-მდე სამუშაო ადგილის შექმნას, დამატებითი ინვესტიციების განხორციელებად მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე სექტორებში და შედეგად ეკონომიკის გაძლიერებას. (წყარო: „აწარმოე საქართველოში“)

გრაფიკი 1



წყარო: საქსტატი და ფინანსთა სამინისტრო

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიან ინვესტიციებში

ნაშრომში განხილული მექანიზმების ამუშავების პარალელურად, აუცილებელია სახელმწიფომ დანერგოს უცხოელი ინვესტორებისთვის ჰეჯირების სისტემა და სახელისუფლებო გარანტიები საქართველოში. სახელმწიფო გარანტიების ე.წ FDI გარანტის, დანერგვა დაიწყო უკვე საქართველოს მთავრობამ, რომლის ფართოდ განვითარებასაც გეგმავს ის 2030 წლისთვის (საქართველოს სტრატეგიული 2030). საქართველო დღესდღეობით ინტერესის სფეროა ისეთი მძლავრი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც არის ჩინეთი. ჩინეთი ცდილობს საქართველოს ეკონომიკაში დომინირებას როგორც ექსპორტის დარგში,ისე პირდაპირი უცხოური ინვესტირების მხრივ. ბოლო მონაცემებით, 2023 წლის აპრილის თვეში განახლდა „შუა დერეფნის“ პროექტზე საუბარი ჩინეთსა და საქართველოს შორის, რომლის მეშვეობითაც საქართველო იქნება შემარეთებელი ხაზი ევროპასა და ჩინეთს შორის სარკინიგზო გადაზიდვებში. ლოგიკურია,რომ მოცემული პროექტი როგორც გააძლიერებს სამომავლოდ საქართველოს, ისე დიდი რაოდენობით ინვესტირებას და სარკინიგზო ცოდნას საჭიროებს, რაშიც პარტნიორობას საქართველოს სთავაზობს ჩინეთი, ამით კი ჩინეთი უფრო და უფრო პოზიციონირდება საქართველოს ეკონომიკაში.

როგორც გრაფიკი 2 გვიჩვენებს, საქართველო მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს ევროკავშირის ქვეყნის ინვესტორებს შორის.აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენ ვფლობთ „GSP+” ს-წახალისების სპეციალური სისტემა მდგრადი განვითარების და კარგი მმართველობის-

თვის“, რითიც გვეძლევა შეღავათიანი დაბეგვრის პირობები. თუმცა ჩვენი კონკურენტუნარიანი პროდუქცია არ შედის ამ კრიტერიუმის ჩამონათვალში, ამიტომ სრულად იბეგვრება ევროპაში: ღვინო და მინერალური პროდუქტები. თავისუფალი ვაჭრობა კი ევროპასთან გაზრდის საქართველოს შესაძლებლობას სრულად განვავითაროთ ჩვენი კონკურენტული პროდუქცია ევროპის ბაზარზე, რასაც მკვლევარები ვარაუდობენ რომ გრძელვადიანი მიზანია.

ჩინეთის მზარდი პოტენციალი ჩვენს ეკონომიკაში გადაჭრის ერთ მთავარ პრობლემას კიდევ-რუსეთის ეკონომიკაზე მიჯაჭვულობას. საქართველო ჩინეთთან ინტეგრირებით არა მარტო გაზრდის თავის კაპიტალს,განავითარებს ტექნოლოგიებს, არამედ ჩამოშორდება რუსეთის ეკონომიკას, რომელიც თავისი სწრაფად კლებადი ტენდენციით საქართველოს რეცესიის საფრთხეებს უქმნის ინტენსიურად.

იმისათვის, რომ ქვეყანამ უფრო მეტი სარგებელი მიიღოს პირდაპირი უცხოური ინვესტირებისგან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რომელი დარგებია პრიორიტეტული, რის შემდეგაც აუცილებელია გაზარდოს დაფინანსება კვლევებსა და განვითარებისთვის როგორც სახელმწიფოს, ასევე ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ.მეცნიერთა აზრით, ინვესტიციების რაოდენობა კვლევებსა და განვითარებაში დადებით კორელაციაშია მულტინაციონალური კომპანიებისგან მიღებულ გამოცდილებასთან.

საქართველოს მზარდი პოტენციალის მქონე დარგებია სამთომომპოვებელი მრეწველობა, მშენებლობა და საფინანსო საქმიანობა. ყველაზე დიდი წილი როგორც ვხედავთ, საბანკო სფეროზე მოდის, რაც აუცილებელია ქვეყანაში ინვესტიციების ზრდისთვის - „საბანკო სექტორი ეკონომიკის გულსისძარღვთა სისტემის როლს ასრულებს, სადაც ბანკები გულია, ხოლო საანგარიშწორებო სისტემა-სისხლძარღვი.ჭარბი პულსი (რომელიც იზომება, როგორც დაკრედიტების მატების ტემპი) არღვევს სისტემას, ისევე როგორც მისი სისუსტე, ან საერთოდ, განულება.“ („ეკონომიკური კრიზისის თეორიების შედარებითი ანალიზი“, ჩიქობავა მ., კაკულია ნ.)

მშენებლობის მზარდი როლი განპირობებულია ჩვენი ქვეყნის ტურისტული აქტივობების სიჭარბით-შენდება უფრო და უფრო მეტი სასტუმროები, რესტორნები და რეკრეაციული ზონები. ინვესტირების ამ ფორმას ძირითადად თანაბარი აქტიურობით მიმართავენ როგორც ადგილობრივი ინვესტორები, ასევე უცხოელი ბიზნესმენები. მშენებლობის სექტორის აქტიური ზრდა კი დიდწილად განაპირობებს საფინანსო და სადაღვევო საქმიანობების ზრდას, გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივი ინვესტორები მშენებლობაში ინვესტირების მიზნით ხშირად იღებენ სესხებს და აზღვევენ ობიექტებს. ამის შედეგად კი ქვეყნის საფინანსო საქმიანობა უფრო მოთხოვნადი და აქტიურია.

დიაგრამა 1



მოცემული გრაფიკიდან იმედისმომცემი ნიშნული აქვს სამთომომპოვებელ მრეწველობას, რომლის რესურსებითაც საქართველო მდიდარია და სწორედ ამ სფეროს რეალიზებით შეიძლება მისი პოზიციონირება მსოფლიო ბაზარზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამთომომპოვებელ მრეწველობას სჭირდება 4 აუცილებელი ფაქტორის უზრუნველყოფა ინვესტორების მიერ, რათა პროექტმა წარმატებით ჩაიაროს, ესენია: 1. მაღალგანვითარებული ტექნოლოგიები 2. რობოტები-მომავალი წლებისათვის 50 % ზე მეტი საქმიანობის პროგნოზირებულია, რომ ჩატარდება რობოტების მიერ 3. გამჭირვალობა ევროკავშირის სტანდარტებით 4. კიბერუსაფრთხოება მოცემული კრიტერიუმები განავითარებს ქვეყანას როგორც შესაბამის ტექნოლოგიებზე ორიენტირებით (რომელიც მუდმივ განახლებას საჭიროებს), ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის გაფართოების კუთხით რაც მსოფლიოს მომავლად ითვლება.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამრიგად, საქართველოს დღევანდელი მონაცემებით აქვს მზარდი პოტენციალი, გაზარდოს ინვესტიციების როლი მთლიან შიდა პროდუქტში, იმ ასპექტებზე ორიენტირების შედეგად, რომელიც როგორც მის ძლიერ მხარეებს უსვამს ხაზს, ასევე უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლების დონეს, ამ პროცესების დაწყება კი ევროპის მაგალითზე უნივერსიტეტებისთვის კომერციული კომპანიების მიერ მხარდაჭერით არის შესაძლებელი, კვალიფიკაციის ამაღლება კი რეინვესტირებასა და ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის მდგრად ზრდას განაპირობებს.საქართველოს ინვესტიციების რეალური პოტენციალის გამოყენება შესაძლებელია სატრანსპორტო და სამთომომპოვებითი მრეწველობის მეშვეობით, რომლებიც ერთოდროულად ქვეყნის პოტენციალს მოცემულ დარგებში და ახალი ტექნოლოგიების უწყვეტ შემოდინებას გამოიწვევს. გათვალის-

წინებული უნდა იყოს ის ინსტიტუტები, რომელთა გარეშეც ინვესტირება ვერ მიაღწევს განვითარებისთვის საჭირო ნიშნულს, რაც არის გამართული სამართლებრივი სისტემა,სახელმწიფო გრანტებისა და ჰეჯირების სისტემების ფართოდ დანერგვა და შესაბამისად ადამიანთა უფლებების დაცვა ადეკვატური სახელფასო სალდოებით,რაც საქართველოს განვითარების სტრატეგიის (2030) განხორციელებას ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ტაბატაძე მ. -საინვესტიციო გარემო და ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგი,თსუ,პაატა გუგუშვილის სახ.ეკ.ინსტიტუტი, საერთ. სამეც-პრაქტ.კონფერენცია გვ 312-315
2. ჩიქობავა მ., კაკულია ნ. -ეკონომიკური კრიზისის თეორიების შედარებითი ანალიზი (თბილისი, 2010)
3. CIEC გლობალური ეკონომიკის მონაცემები, (2021)-ინვესტიციის წილი მთლიან შიდა პროდუქტში https://www.ceicdata.com/en/indicator/investment--nominal-gdp?fbclid=IwAR1_-S2frYou2W2EN8oejeU_HcKNk53pqDBuWKRC_WzcYPcJUSKFCAShYEY
4. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-2020
5. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2021
6. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-2022
7. ჭარაია ვახტანგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე. თბილისი,2019
8. ფინანსთა სამინისტროს 2020 წლის ანგარიში
9. რას უნდა ველოდოთ 2023 წელს მსოფლიო ეკონომიკასა და საქართველოში?-forbes georgia https://forbes.ge/ras-unda-velodeth-2023-tsels-msophlio-ekonomikasa-da-saqarthveloshi/
10. როგორ გამდიდრდა სინგაპური ?- forbes georgia https://forbes.ge/rogor-gamdidrda-singapuri/
11. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ- https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=2
12. საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ
13. 2030-საქართველოს განვითარების სტრატეგიაhttps://www.gov.ge/wp-content/uploads/2022/11/khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf
14. Regional integration and baltic perfomance file:///C:/Users/PC/Downloads/_wp97167.pdf
15. Economic growth and convergence in the Baltic states:caught in a middle income trap? https://www.intereconomics.eu/contents/year/2015/number/5/article/economic-growth-and-convergence-in-the-baltic-states-caught-in-a-middle-income-trap.html
16. IMF blog https://www.imf.org/en/Home
17. international labour organization https://www.ilo.org/global/lang--en/index.htm
18. invest in georgiawhy invest in georgia?https://investingeorgia.org/en/key-sectors/energy

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია და დასაქმების პოლიტიკა

ლიზი ქელიძე

გლობალური შრომის ბაზარი სულ უფრო მეტად იყენებს ახალ ტექნოლოგიებს. ახალი ტექნოლოგია უადვილებს კომპანიებს რუტინული ამოცანების ავტომატიზაციას და ხელს უწყობს დაარღვიოს ბალანსი ადამიანების მიერ შესრულებულ სამუშაო პასუხისმგებლობებსა და მანქანებისა და ალგორითმების საშუალებით შესრულებულ მოვალეობებს შორის. როდესაც ჭკვიანი ტექნოლოგია უფრო მეინსტრიმული ხდება, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ამ ახალი ტექნოლოგიის გამოყენების გავლენა ჩვენს საზოგადოებასა და სამუშაო ძალაზე.

ტრანსფორმაციები და შეფერხებები უკვე ხდება შრომის ბაზრებზე მთელ მსოფლიოში. ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებამ გამოიწვია გარკვეული როლების გაქრობა და ასევე შექმნა ახალი, აქამდე უცნობი სამუშაო ტიტულები. მაგალითად, ონლაინ ავიაკომპანიების საიტების ზრდამ მკვეთრად შეამცირა ფიზიკური ტურისტული აგენტების რაოდენობა. მეორეს მხრივ, ტექნოლოგიურმა წინსვლამ ასევე გამოიწვია ახალი სამუშაო ტიტულების გაჩენა, როგორიცაა აპლიკაციების შემქმნელები, სოციალური მედიის მარკეტოლოგები და მონაცემთა მეცნიერები.

საბოლოოდ ისმის კითხვა: მსგავსი ცვლილებები გააუმჯობესებს ჩვენს ამჟამინდელ ცხოვრების დონეს და მომავალ სამუშაოს, თუ პირიქით, შეაფერხებს? პასუხის საპოვნელად, ჩვენ უნდა შევისწავლოთ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, მისი პოტენციური გავლენისა და უპირატესობების ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები: *ინდუსტრიული რევოლუცია, დასაქმება, დასაქმების დინამიკა, პროფესიების გაქრობა, ახალი პროფესიები.*

ბევრი ეკონომისტი იზიარებს მოსაზრებას, რომ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია ესაა პროცესი, რომელიც არა მხოლოდ შეცვლის ადამიანთა ცხოვრებას, სამუშაო პროცესს, არამედ მთელ ეკონომიკაზე ექნება გავლენა. მაგალითად სიტის და ოქსფორდის 2016 წლის ერთობლივი ანგარიშის მიხედვით OECD-ში (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) სამუშაო ადგილების 57.0% სწორედ ავტომატიზაციის გამო იმყოფება საფრთხეში. Financal Times კი იტყობინება რომ 2000-2010 წლებში აშშ-ში გაუქმებული სამუშაო ადგილების 85.0% ახალ ტექნოლოგიებს უკავშირდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2020 წლამდე აშშ-ში ყოველწლიურად იქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, თუმცა 2020 წელს იგი არ შექმნილა.

მაშინ როდესაც ბიზნეს სამყარო სიღრმისეულად განიხილავს თუ როგორი ზემოქმედება ექნება მე-4 ინდუსტრიულ რევოლუციას მათ ბიზნესზე, საზოგადოება გულგრილად ეკიდება ამ საკითხს და არ ცდილობს ზუსტად გაიგოს რევოლუციის გავლენა სოციუმზე.

საინტერესოა უახლესი მონაცემებიც. McKinsey Global Institute-ის მიერ გამოქვეყნებული უახლესი კვლევა იუწყება, რომ გლობალურად, მუშახელის დაახლოებით ერთი მეხუთედზე გავლენას მოახდენს ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის ფართოდ გამოყენება, რაც ყველაზე მეტად აისახება ისეთ განვითარებულ ქვეყნებში როგორებიცაა აშშ,

გერმანია, დიდი ბრიტანეთი. კომპანიათა უმრავლესობას მიაჩნია რომ 2025 წლამდე ავტომატიზაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებს, 2030 წლისთვის კი რობოტები ჩაანაცვლებენ 800 მილიონ მუშაკს მთელ მსოფლიოში.

მეოთხე ინდუსტრუყლი რევოლუციის ზუსტი განსაზღვრება

წარმოების პროცესმა საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. პირველი ინდუსტრიული რევოლუცია უკავშირდება წყლისა და ორთქლის ენერგიის გამოყენებას, რომელსაც წარმოების მექანიზება უწოდეს. მეორე ინდუსტრიული რევოლუცოოს დროს გამოიყენეს ელექტროენერგია მასობრივი წარმოებისთვის, მესამე ინდუსტრიული რევოლუციის დროს კი გამოყენებული იქნა ელექტრონიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოების ავტომატიზაციისთვის. მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას კი ტექნოლოგიების საშუალებით სრულად ახალ დონეზე გადაჰყავს წარმოება და ადამიანის მიერ შესრულებულ სამუშაოებს მნიშვნელოვნად ანაცვლებს ჭკვიანი ტექნოლოგიებით.

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ინდუსტრია 4.0, მოიცავს კიბერ-ფიზიკური სისტემების მიღებას, როგორიცაა ნივთების ინტერნეტი და სისტემების ინტერნეტი. რაც უფრო განვითარდება ინტერნეტ სივრცე, ჭკვიან მოწყობილობებს (რობოტებს) ექნებათ მეტი წვდომა მონაცემებზე, რაც მათ საშუალებას მისცემს გახდნენ უფრო დამოუკიდებლები. საბოლოოდ, ჭკვიან მოწყობილობებს შეიძლება ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია, რათა დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები და გააკონტროლონ ძირითადი ბიზნეს პროცესები, როგორიცაა მიწოდების ჯაჭვები, ეს ყველაფერი კი ადამიანის ჩარევის გარეშე ხორციელდება.

ნახაზი 1



მეცნიერთა ნაწილს სჯერა, რომ რობოტები აღმოფხვრიან ჩვენი მუშაობის საკმაოდ მოსაწყენ ასპექტებს და საშუალებას მისცემს ადამიანებს ფოკუსირება მოახდინონ უფრო რთულად შესასრულებელ ამოცანებზე, რაც საერთო ჯამში უფრო ბედნიერ და პროდუქტიულ საზოგადოებამდე მიგვიყვანს. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია გავლენას მოახდენს ყველა ქვეყანაში თითქმის ყველა ინდუსტრიაზე.

რომელ სამუშაოზე იმოქმედებს ყველაზე მეტად მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია?

მე-4 ინდუსტრიული რევოლუცია გავლენას მოახდენს თითქმის ყველა ინდუსტრიაზე. ეკონომისტები პროგნოზირებენ, რომ სამუშაო ადგილების 50.0% დაუცველია ავტომატიზაციის წინაშე. თუმცა, ზოგიერთი ინდუსტრია უფრო ავტომატიზირებულია, ვიდრე სხვები, რადგან რობოტებს, ისევე როგორც ადამიანებს, აქვთ სპეციფიკური უნარების ნაკრები.

უახლოეს მომავალში, ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ სრულ განაკვეთზე თანამშრომლების რაოდენობის შემცირებას წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში, რადგან ამ პოზიციებიდან ბევრი უკვე ეტაპობრივად იხსნება გაზრდილი ავტომატიზაციის გამო. რობოტებს ასევე შეუძლიათ უფრო ეფექტურად და უსაფრთხოდ გაუმკლავდნენ დავალებებს სამრეწველო ქარხნებში და როგორც ცნობილია მათი გამოყენება წარმოებაში თარიღდება ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან.

OECD-მ გამოაქვეყნა სია, რომელიც აჩვენებს ალბათობას იმისა,რომ კონკრეტულ ინდუსტრიებში გარკვეული სამუშაო ადგილები გახდეს მოძველებული ან ავტომატიზირებული. სიის სათავეში არის პროფესიები საკვების მომზადების, მშენებლობის, დასუფთავების, მართვისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში.

სქემა-2



გარდა საწარმოო როლებისა, ავტომატიზაციამ შეიძლება ასევე გავლენა მოახდინოს საფოსტო და საკურიერო მომსახურებაზე, გადაზიდვაზე და მიწოდებაზე და მომსახურების ინდუსტრიაზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ BBC-მ შეადგინა მოსახერხებელი კალკულატორი, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად სავარაუდოა, რომ მომავალში რობოტი შეგცვლით.

პროფესიები, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შეეხება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია

მიუხედავად იმისა, რომ რობოტებს შეუძლიათ სწრაფად, ეფექტურად და უსაფრთხოდ შეასრულონ ფიზიკური, პროგნოზირებადი ამოცანები, ისინი ყველაფერში არ არიან უკეთესები. ამჟამად რობოტების უმეტესობას არ გააჩნია სოციალური და შემეცნებითი უნარები. მათ შეუძლიათ იმუშაონ როგორც ჩატბოტები, რათა უპასუხონ მომხმარებელთა კითხვებსა და საჩივრებს მოცემულ ჩარჩოში, მაგრამ მათ არ აქვთ საკმარისი თანაგრძნობა კლიენტებისა და პაციენტების ადეკვატურად მხარდაჭერისთვის ან ზრუნვისთვის. შედეგად, პროფესიები, რომლებიც მოიცავს კულტურული სენსიტიურობის ამოცნობას, სხვებზე ზრუნვას, შემოქმედებით ან რთულ მსჯელობას ან აღქმას და მანიპულირებას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ავტომატიზირებული იყოს. ასე რომ, სოციალურ მუშაკებს, ექთნებს, ბირთვულ ინჟინერებს, მასწავლებლებსა და მწერლებს შეუძლიათ დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ მალე რობოტები ვერ ჩაანაცვლებენ.

დისტანციურად მუშაობა

ახალი როლებისა და პასუხისმგებლობების გარდა, მე-4 ინდუსტრიულმა რევოლუციამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო მეტი კომპანიის შექმნა რომლებიც დაასაქმებენ სპეციალისტ კონტრაქტორებს ან დისტანციურ მუშაკებს. ახალი ტექნოლოგიებისა და ცვალებადი მოთხოვნების გამო, დამსაქმებლები შესაძლოა უფრო მეტად დაეხმარონ არსებულ თანამშრომლებს, რომლებსაც სურთ დისტანციურად მუშაობა ან მოქნილი სამუშაო.

პოტენციურ და ამჟამინდელ თანამშრომლებისთვის მეტი თავისუფლების მინიჭება იმისათვის, რომ მათ იმუშაონ თავისუფალი მოქნილი სამუშაო გრაფიკით, რომელიც საკმაოდ მომგებიანი იყოს კომპანიებისთვის. ეს მათ საშუალებას აძლევს დაიქირაონ გლობალური სამუშაო ძალა, გაზარდონ თანამშრომელთა ლოიალობა და ერთგულება, უფრო სწრაფი ტემპით მასშტაბირება და პროდუქტიულობის ახალ დონეებს მიაღწიონ. თანამშრომლებს მოქნილი სამუშაო გრაფიკი და მგზავრობის დროის გამოთავისუფლება საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანად გამოიყენოს თავისუფალი დრო, შექმნას უკეთესი სამუშაო და ცხოვრების ბალანსი, რაც იწვევს თანამშრომლების საერთო კმაყოფილებას და პასუხისმგებლობის ზრდას.

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის გავლენა რეკრუტირების ინდუსტრიაზე

LinkedIn-ის მიერ გამოქვეყნებული 2018 წლის გლობალური ტენდენციების ანგარიშის მიხედვით, დამსაქმებელთა და დაქირავებულ მენეჯერთა 76.0% ფიქრობს, რომ მე-4 ინდუსტრიული რევოლუცია, უფრო კონკრეტულად კი ავტომატიზაცია და ხელოვნური ინტელექტი, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს დასაქმების ინდუსტრიაზე. სპეციალისტ რეკრუტერებს, განსაკუთრებით იმ სექტორებში, რომლებიც ძალიან დაუცველია ავტომატიზაციის მიმართ, შეიძლება დასჭირდეთ კვალიფიკაციის ამაღლება ან ყურადღების გადატანა ახალ დისციპლინაზე, რათა შეინარჩუნონ თავიანთი სტატუსი.

რეკრუტერებს არა მხოლოდ მოუწევთ გაუმკლავდეთ სამუშაო ადგილების დაკარგვას ინდუსტრიებში, არამედ მათი როლების ასპექტებიც შეიძლება ავტომატიზირებული იყოს. რობოტები უკვე გამოიყენება რეკრუტირების ინდუსტრიაში, რათა რეკრუტერების სამუშაო უფრო მარტივი, სწრაფი და სრულფასოვანი გახდეს. ყოველივე ამას კი ხელს უწყობს ის რომ ადვილია ადმინისტრატორის ამოცანების ჩაბმა, როგორიცაა რეზიუმეების ჩვენება ან ინტერვიუების დაგეგმვა.

ინტელექტუალური სკრინინგის პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა Ideal, შეუძლია დაეხმაროს დამსაქმებლებს CV-ების დიდი მოცულობის დამუშავებაში, რათა იპოვონ იდეალური კანდიდატი. ის იკვლევს ამჟამინდელი თანამშრომლების უნარების კომპლექტს და ატრიბუტებს, რათა იპოვოს სრულყოფილი კანდიდატი გუნდში გასაწევრიანებლად. მას შეუძლია კანდიდატის შესახებ ინფორმაციის ამოღება მათი სოციალური მედიის პროფილიდან ან ღია კოდის კომპანიის მონაცემთა ბაზებიდან. ჩატბოტები შეიძლება გამოყენებულ იქნას კანდიდატების კითხვებზე პასუხის გასაცემად ან გამოხმაურების მისაცემად, ხოლო ონლაინ ინტერვიუს პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება გამოვიყენოთ ინტერვიუების პასუხების გასაანალიზებლად, მათ შორის სიტყვების არჩევანის, მეტყველების შაბლონებისა და სახის გამონათქვამების დასადგენად.

დასკვნა

„ეს ტრანსფორმაციები, თუ გონივრულად წარიმართება, შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოს და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ახალი ეპოქა ყველასთვის, მაგრამ თუ არასწორად წარიმართება, შექმნის უნარების ხარვეზების გაფართოებას, უფრო დიდ უთანასწორობას და უფრო ფართო პოლარიზაციას.“ - მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2018 წლის ანგარიში.

გარკვეულ დონეზე, სამუშაო ძალის ცვლილებები და ტექნოლოგიური წინსვლა ნორმალურია და მოსალოდნელია ნებისმიერი განვითარებადი საზოგადოებისთვის. ზოგიერთი წუხს, რომ მე-4 ინდუსტრიულმა რევოლუციამ შეიძლება შექმნას დისტოპიური სამყარო, სადაც რობოტები დაიკავებენ ჩვენს სამუშაო ადგილებს და იქნება უზარმაზარი განსხვავება მათ შორის, ვინც ფლობს რობოტებს და მათ, ვინც არ ფლობს. თუმცა, საკვანძო ამოცანების ავტომატიზაციამ შეიძლება აღმოფხვრას ჩვენი სამუშაოს უფრო დამღლელი

ასპექტები და საშუალებას მისცემს თანამშრომლებს ფოკუსირება მოახდინონ უფრო მნიშ-ვნელოვანი მისიების შესრულებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Artificial intelligence and algorithms:pros and cons dw documentary(AI documentary) Artificial intelligence and algorithms: pros and cons | DW Documentary (AI documentary)
2. Fourth Industrial Revolution: what it means and how to respond | World Economic Forum https://www.weforum.org/agenda/2016/01/the-fourthindustrial-revolution-what-it-means-and-how-to-respond/
3. How will the Fourth industrial revolution impact the future of work? https://www.changerecruitmentgroup.com/knowledge-centre/how-will-the-fourth-industrial-revolution-impact-the-future-of-work
4. Organisation for Economic Co-operation and Development https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%94%E1%83%99%E
5. The Fourth Industrial Revolution: What Happens With Employment? https://www.td.org/insights/the-fourth-industrial-revolution-what-happens-withemployment

ინფლაციის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში

ეთერ ჯიმშელეიშვილი

ფასების დონის სტაბილურობა და დაბალანსებული ინფლაციის დონე ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. თუ ფასების დონე სტაბილურია ეკონომიკაში ეს ხელს უწყობს დაბალანსებულ წარმოებას და დასაქმების სასურველ დონეს. აღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გავიაზროთ გზა მონეტარული თარგეთირების რეჟიმიდან ინფლაციის თარგეთირებამდე, ასევე ინფლაციის დინამიკის ანალიზის საფუძველზე შევაფასოთ პროცესები და ის ამართლებს თუ არა საქართველოს მსგავსი განვითარების მქონე ქვეყნაში ეს უკანასკნელი. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის შემცირების მიზნით ეროვნული ბანკის მიერ 2021 წლის შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკისა შედეგად მიღწეული იქნა ინფლაციის წლიური დონის შემცირება და მისი მიახლოება მიზნობრივ მაჩვენებელთან. თუმცა, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად რთულია ვისაუბროთ თარგეთირების რეჟიმის ეფექტიანობაზე, როცა რეალურად არცერთ პერიოდში, არცერთ სტადიაზე არ ფიქსირდება, რომ ეკონომიკა აღწევდეს ნომინალურ ღუზას. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2021)

საკვანძო სიტყვები: *ინფლაციის თარგეთირება, „ნომინალური ღუზა“, სფი, ინფლაციური სპირალი და დეფლაციური სპირალი.*

საქართველოს ცენტრალური ბანკი, როგორც ეროვნული ბანკი, ფლობს მონოპოლიურ ძალაუფლებას წარმართოს მონეტარული პოლიტიკა საქართველოში. მის მიზანს წარმოადგენს ფასების დონის სტაბილურობა. როდესაც ვსაუბრობთ ფასების სტაბილურობაზე, ეს არ უნდა აღვიქვათ, როგორც მუდმივი ფასი ყველა პროდუქტზე. არამედ ეს გულისხმობს დაბალ და კონტროლირებად ინფლაციას. საქართველოში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ამოქმედებამდე, გამოიყენებოდა მონეტარული თარგეთირება. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ხდებოდა ფულის მასის და ფასების დონეს შორის არსებული მუდმივი დამოკიდებულების გამოყენება და ისეთი ფულის მასის დონის მიღწევა, რომელიც შეესაბამებოდა მიზნობრივ ინფლაციას. ფაქტია საქართველოში ეს მეთოდი აღარ ამართლებს, რადგან ზემოთ ხსენებული კავშირი ორ ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადს შორის დაირღვა. მოგვიანებით 2009 წლიდან გადავიდა ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე. რომლის ძირითად ელემენტებს შორისაა:

1. ინფლაციის მიზნობრივი დონე;
2. პროგნოზირების და პოლიტიკის ანალიზის სისტემა;
3. კომუნიკაცია. (საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, 2023 წლის მეორე კვარტალი)

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი საქართველოში

ინფლაციის საშუალოვადიან მიზნობრივ სიდიდეს მომავალი 3 წლისთვის წარმოადგენს 3%- იანი ინფლაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ცენტრალური ბანკის ყველა ქმედება მიმართულია ამ „ნომინალური ღუზისკენ“. სხვადსხვა ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მიზნობრივი დონე იცვლება. გთავაზობთ მიზნობრივი დონის დინამიკას თარგეთირების რეჟიმის ამოქმედებიდან დღემდე.

გრაფიკი 1.

ინფლაციის თარგეთის ცვლილება საქართველოში



ცალსახაა, რომ ეკონომიკური კლიმატის თავისებურება აისახება ყველა მაკროეკონომიკურ ცვლადზე, მათ შორის მოლოდინებზე და პროცესებიც შესაბამისად მიჰყავს. იმისთვის, რომ ცენტრალური ბანკი ეფექტურად ასრულებდეს მასზე დაკისრებულ მისიას აუცილებელია პროცესი იყოს გამჭირვალე. ამიტომ, ცენტრალური ბანკი ყოველწლიურ საქმიანობის ანგარიშს წარადგენს პარლამენტი, რომელიც შემდეგ ახორციელებს ვიზირებას. ამასთან მაკროეკონომიკური ანგარიში ქვეყნდება ყოველკვარტალურად, სადაც მოცემულია თითოეული მაკროეკონომიკური ცვლადი, მათი პროგნოზული სიდიდე და ის თუ რას გეგმას სებ-ი ინფლაციის მიზნობრივ დონესთან შენარჩუნების მიზნით.

ის, რომ მიზნობრივი ორიენტირია 3% და მოხდა მისი გადახრა აღნიშნული მნიშვნელობიდან, ლოგიკურია ეს არ იწვევს შეშფოთებას. სანამ ის არ აზიანებს მოლოდინებს და ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებს, მანამდე ცენტრალური ბანკი არ იწყებს მის წინააღმდეგ მოქმედებას. (თეთრაული, 2019)

ყველაზე მთავარი არის მოლოდინების რაციონალური წარმართვა. ამისთვის აუცილებელია ცენტრალური ბანკი იყოს დამოუკიდებელი. სებ-ი დამოუკიდებელია და ეს უზრუნველყოფილია ორგანული კანონით. რატომაა მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა? ერთი მარტივი მიზეზის გამო, კერძოდ, როდესაც ახლოვდება არჩევნები, მოქმედი ხელისუფლების მხრიდან ხშირად ადგილი აქვს სპეკულაციურ ქმედებებს. ისინი ახორციელებენ ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენების გზით, დროებითი ეფექტის მიღწევას და

ჩანს თითქოს ეკონომიკა დუღს და გადადუღს. რეალურად ეს ამოქმედებული ეკონომიკა შედეგად იწვევს გრძელვადიან ინფლაციას, რომლის დამორჩილებაც საკმაოდ რთულია. მოქალაქეები, რომელიც აანალიზებენ რა, რომ ეს პროცესი ეკონომიკას ჭაობში ითრევს, ცხადია მათი მოლოდინებიც შესაბამისად ფორმირდება და ნებსით თუ უნებლიედ იწყობენ ხელს დესტაბილიზაციის პროცესს. ხოლო თუ სებ-ი დამოუკიდებელია, საზოგადოება იაზრებს, რომ ეს 3%-იანი დონე საზოგადოების კეთილდღეობას, პარეტოს პრინციპით გაზრდის და რომ ეს გადაწყვეტილება არავის პოლიტიკურ ინტერესს არ ემსახურება. მოლოდინებიც ამ მიმართულებით გადაეწყობა. (Oner , 2022)

ინფლაციის გაზომვა - CPI, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ზომავს ინფლაცია/-დეფლაციის დონეს. მისი საშუალებით უცვლელი კალათის საფუძველზე 305 საქონლის და მომსახურების მიხედვით, რომელსაც შეიძენს ტიპიური მომხმარებელი, თუ როგორ შეიცვალა ფასები, თუმცა შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს, კერძოდ:

- რთულია ხარისხის ზრდის ასახვა;
- უცვლელია კალათა, მაშინ როცა მომხმარებელი მუდმივად ცვლის არჩევანს, იაფი ჩამნაცვლებლის სასარგებლოდ;
- არ ითვალისწინებს ბაზარზე ახალი პროდუქტის შემოსვლას და მასზე მოთხოვნის გადართვას.

<u>ამიტომაც რეალური ინფლაცია უფრო ნაკლებია, ვიდრე სფი-ს მეშვეობით გაანგარიშებული.</u>

გრაფიკი 2 .

სფი-ს დინამიკას წლების მიხედვით. (Oner , 2022)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/-modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia

რატომაა მნიშვნელოვანი არანულოვანი დადებითი ინფლაცია? თუ სფი-ის ანალიზით მივყვებით, ნულოვანი ინფლაცია ნიშნავს რამე სასაქონლო ჯგუფზე მაინც დეფლაციურ პროცესებს. თანაც ინფლაციური სპირალი (ფასების და ხელფასების დამოკიდებულება

ერთმანეთთან) უფრო ადვილი გადასალახავია, ვიდრე დეფლაციური სპირალი, რომელიც ერთობლივ მოთხოვნის მრუდს გადადებული მოხმარებისა და ინვესტიციების ფონზე მარცხნივ გადაადგილებს და ამცირებს გამოშვებას. ეს კი სულ რომ არაფერი მეორე მნიშვნელოვან თავისტკივილს უმუშევრობას იწვევს. (Nikhil Patel and Agustín Villar, 2022)

თუ გადავავლებთ თვალს ბოლო დროის ინფლაციის საკმაოდ საინტერესო ტენდენციას შევამჩნევთ. კერძოდ იმას, რომ დადებითი ტენდენცია შეინიშნება და რეგრესულია ინფლაციის დონე. მეორე საკითხია ის, ამართლებს თუ არა საქართველოში თარგეთირების რეჟიმი. დასკვნის გამოტანამდე ვნახოთ სტატისტიკა.

გრაფიკი 3.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-https://www.geostat.ge/ka/-modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia

როგორც გრაფიკიდან ვიგებთ, საქართველოში ინფლაციის დონე 3%-იან ნიშნულზე არასდროს ყოფილა, ეს კი გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა, რომ თარგეთირება არ ან ვერ ამართლებს. მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენ ვართ იმპორტდამოკიდებული ქვეყანა, დამოკიდებული ვართ გარე ფაქტორებზე, მიწოდების შოკების ნიველირების არანაირი შესაძლებლობა არ გვაქვს და ამის შედეგია ის, რომ უდიდეს გამოწვევად რჩება ფასების დონე. (პაპავა, 2019)

2020 წლიდან კოვიდ პანდემიის გავრცელებამ და 2022 წლიდან რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ინფლაციის მაჩვენებლის ზრდაზე მთელს მსოფლიში და მათ შორის საქართველოშიც. გარე შოკების და შიდა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად 2020-2022 წწ-ში ინფლაციის პიკური დონე საქართველოში 13,9%-ს აღწევდა. ეროვნული ბანკის მიზანია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით ეკონომიკის ერთობლივ მოთხოვნასა და ინფლაციურ მოლოდინებზე ზემოქმედება ისე მოახდინოს რომ საშუალოვადიან პერიოდში წლიური ინფლაცია მის სამიზნე მაჩვენებელთან ახლოს იყოს. (საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული სტატისტიკის მონაცემები, 2023)

შესაბამისად, ინფლაციის მოთოკვის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ეტაპობრივად გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა, მონეტაული პოლიტიკის განაკვეთი 2021 წლის დასაწყისის 8 %-დან 2022 წლის ბოლოს 11%-მდე გაიზარდა . მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებისა და იმპორტირებული ინფლაციის თანდათანობითი შემცირების შედეგად წლიური ინფლაციის მაჩვენებელი საქართველოში 2023 წლის მე- 2 კვარტალში მიზნობრივ მაჩვენებელს მცირედით ჩამოსცდა.

ინფლაციის წლიური დონის შემცირების წყაროდ ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო ბაზრებიდან მომდინარე წნეხის აღმოფხვრა და ლარის გაცვლითი კურსის გამყარება განიხილება. ასევე,, შეინიშნება მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარების გამო ადგილობრივი ინფლაციის შემცირების ტენდენციაც. მიმდინარე მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით მოსალოდნელია ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს დასტაბილურება.

დასკვნა

ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის შემცირების მიზნით ეროვნული ბანკის მიერ 2021 წლის შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკისა და უარყოფითი გარე შოკების ზეგავლენის შემცირების შედეგად მიღწეული იქნა ინფლაციის წლიური დონის შემცირება და მისი მიახლოება მიზნობრივ მაჩვენებელთან. მიუხედავად ამისა, მაღალი გაურკვევლობის პირობებში მოსალოდნელია, რომ რეფინანსირების განაკვეთის შემცირების ტენდენცია მხოლოდ მცირე ზომით გაგრძელდება და მას მაკროეკონომიკური სტაბილურობის საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნების მიზნიდან გამომდინარე არ ექნება მყისიერი ხასიათი. ცალსახაა ისიც, რომ რთულია ვისაუბროთ თარგეთირების რეჟიმის ეფექტიანობაზე, როცა რეალურად არცერთ პერიოდში, არცერთ სტადიაზე არ ფიქსირდება, რომ ეკონომიკა აღწევდეს ნომინალურ ღუზას. (პაპავა, 2019)

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრაული, გ. (2019). ინფლაციის თარგეთირების ეფექტიანობის შეფასება. *ეკონომიკა 21-ე საუკუნე* (გვ. 2-3). თბილისი: თსუ.
2. პაპავა, ლ. (2019 წლის 22 მაისი). *ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე უარი უნდა თქვას.* მოპოვებული bm.ge: https://bm.ge/ka/article/lado-papava-quoterovnulma-bankma-inflaciis-targetirebis-rejimze-uari-unda-tqvas-/34214-დან
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2021). *მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო დოკუმენტი.* თბილისი.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2023). *მონეტარული სტატისტიკის მონაცემები.* თბილისი.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2023 წლის მეორე კვარტალი). *მონეტარული პოლიტიკის ანგარიში.* თბილისი.
6. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023 წლის 20 მაისი). მოპოვებული https://www.geostat.ge/ka-დან
7. Nikhil Patel and Agustín Villar. (2022). *Measuring inflation.* Bank for International Settlements.
8. Oner , C. (2022). *How policymakers deal with inflation.* INTERNATIONAL MONETARY FUND.

გამოცემაზე იმუშავეს ხათუთა ბადრიძემ და ეკა თეთრაშვილმა

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house

UNIVERSITAS TPHILISENSIS
1918